ი. ანთელავა

XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის

(სოფლის მასალების მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1977

9 (C 41)
9 (47.922)
ა 657

ნაშრომში, ნარატიული თუ დოკუმენტური, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი, სამართლის ძეგლებისა და სხვა ხასიათის წყაროების ფართოდ გამოყენებით, შესწავლილია XVIII საუკუნის საქართველოს. სოფელში მიმდინარე ცვლილებები, მათი ხასიათი. ავტორის აზრით, მიუხედავად მძიმე და რთული საგარეო პოლიტიკური ვითარებისა, საკვლევი ხანის საქართველოში, მის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაინც მიმდინარეობდა გარკვეული ძვრები (სასაქონლო წარმოების განვითარება, მანუფაქტურის ჩანასახები, ფეოდალური საკუთრების საფუძვლების შერყევა, ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდა, კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების გაჩენა და სხვ.), რომლებიც ნიადაგს ამზადებდნენ ძველი ფორმაციის დასამხობად და ახლის გასამარჯვებლად მომავალში. აქედან გამომდინარე, ნაშრომში გაკრიტიკებულია თვალსაზრისი XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების დაჩიხულობის შესახებ, ისე როგორც უარყოფილია ქვეყნის განვითარების საერთო დონის გადაჭარბებულად წარმოდგენის ყოველგვარი ცდა.

ა $\frac{10604}{\text{М607 (03)—77}}$ 135—77 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1977

ისტორიოგრაფია

XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათით არაერთი ისტორიკოსი და ეკონომისტი დაინტერესებულა. ზოგი გაკვრით შეხებია მას, ზოგს კი სპეციალური კვლევა უწარმოებია. მიუხედავად ამ მიმართულებით მოპოვებული გარკვეული წარმატებისა, არსებული მდგომარეობა მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი. კერძოდ, დადგენილი არ არის იგრძნობოდა თუ არა XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში რაიმე საყურადღებო ძვრები, ხომ არ იყო შეჩერებული საწარმოო ძალთა განვითარება და ქვეყნის წინსვლა, ხომ არ ემუქრებოდა რაიმე საფრთხე მაშინ გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ა. შ. ამ საკითხებზე გამოთქმულია სრულიად სხვადასხვა, ერთიმეორის გამომრიცხველი აზრები, რომლებიდანაც ჯერ-ჯერობით არც ერთი არ არის საბოლოოდ მიღებული და დამკვიდრებული მეცნიერებაში.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც აქ დასმულ საკითხებს შეეხო, იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი, შემდგომში ცნობილი მეცნიერი, ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მან ჯერ კიდევ 1902 წელს „კვალში“ დაბეჭდა სტატია სათაურით „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნეში“, რომელშიც არასპეციალურად, სხვათა შორის ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც შეეხო. მან კითხვაზე, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს, გასცა პასუხი, რომელშიც საქართველოს ძლიერი ჩამორჩენილობა ხაზგასმითაა აღნიშნული. საქართველო მაშინ, ფ. გოგიჩაიშვილის სიტყვით, კარჩაკეტილი მხარე იყო, „ძალიან, ძალიან სუსტად“ დაკავშირებული სხვა ქვეყნებთან[1]. არ იყო „განვითარებული ვაჭრო-

---

[1] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები (აკად. პ. გუგუშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), ტ. I, თბ., 1974, გვ. 154.

ბა, არ იყო გასპეციალებული მრეწველობა"[2]. ცოტა მოგვიანებით, 1904 წელს, იმავე ავტორმა ჟურნალ „მოამბეში" გამოაქვეყნა წერილი „შინაური მიმოხილვა", რომელშიც უარყოფილია ვაჭრობის, მრეწველობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების არსებობა არა მარტო XVIII საუკუნის, არამედ საგლეხო რეფორმის წინარე ხანის საქართველოშიც. „არ უნდა დავივიწყოთ, — ნათქვამია დასახელებულ წერილში,—რომ ამ 40—50 წლის წინათ—ჩ ვ ე ნ შ ი ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ა რ ს ე ბ ო ბ დ ა დ ა თ ი თ ქ მ ი ს ნ ა ს ა ხ ი ც ა რ ი ყ ო მ ო ქ ა ლ ა ქ ე ო ბ რ ი ვ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა... ქ ა ლ ა ქ ი დ ა ქ ა ლ ა ქ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა მ ა შ ი ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს ა რ ა რ ს ე ბ ო ბ დ ა. ვაჭრობა და მრეწველობა ჭცირედ იყო განვითარებული"[3].

როგორც მოტანილი ადგილებიდან ჩანს, ფ. გოგიჩაიშვილი XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს წარმოგვიდგენს როგორც ნატურალური მეურნეობის ქვეყანას, სადაც უბრალო ნასახიც არ არსებობს ქალაქისა და ქალაქური ცხოვრებისა. კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობისა იყო მისი სავაჭრო-ეკონომიური კავშირები უცხო ქვეყნებთან. ასეთია ის დასკვნები, რომლებსაც აკეთებს დასახელებული წერილების ავტორი. სამწუხაროდ, იგი სათანადო მასალით ვერ ამაგრებს თავის დასკვნებს, რის გამოც ისინი დამაჯერებლობას მოკლებული არიან.

1912 წელს ოდესაში გამოვიდა სიმონ ავალიანის ოთხტომიანი ნაშრომის „Крестьянский вопрос в Закавказье" პირველი ტომი, რომელშიც შესულია გამოკვლევები საგლეხო რეფორმების შესახებ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. მონოგრაფიაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის არაფერია ნათქვამი XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათზე, მაგრამ XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხის შრომისა და ცხოვრების პირობების დახასიათებისას ავტორი გაკვრით. ძალიან ზოგადად, ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც ეხება: „უშეცდომოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რეფორმამდელი ხანის მთელი ამიერკავკასია, აღმოსავლეთი და დასავლეთი კი განსაკუთრებით,

---

[2] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები (აკად. პ. გუგუშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით), ტ. I, თბ., 1974, გვ. 154.

[3] ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, „შინაური მიმოხილვა", ჟურნ. „მოამბე", 1904, № 11, გვ. 103. რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 332. ხაზასმა აქაც და ქვემოთაც, თუ კი საგანგებოდ აღნიშნული არაა, ყველგან ჩვენია.

ცხოვრობდა ნატურალური მეურნეობის ტიპიური ფორმების ფარგლებში"[4]. ამ კონტექსტში, როგორც აღვნიშნეთ, უშუალოდ გასული საუკუნე იგულისხმება, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ იქ გატარებული აზრი კიდევ მეტი საფუძვლიანობით შეიძლება გავრცელდეს ჩვენს საკვლევ ხანაზე. XVIII (მით უმეტეს XIX) საუკუნის საქართველოს ტიპიური ნატურალური მეურნეობის ქვეყნად გამოცხადება კი, რასაც ს. ავალიანი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აკეთებს, მცდარია და ფაქტიური მასალით არ დასტურდება.

ჩვენთვის საინტერესო საკითხები დაწვრილებითაა განხილული სარგის კაკაბაძის შრომებში. ამათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ შემდეგი წერილები: „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში" (1924 წ), „Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке" (1930 წ.) და რეცენზია დ. გვრიტიშვილის წიგნზე „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში" (1936 წ.).

პირველ წერილში ლაპარაკია საქართველოს ეკონომიურ აღორძინებაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მოტანილია სათანადო ფაქტიური მასალა მრეწველობის, კერძოდ, სამთამადნო დარგისა და ვაჭრობის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთოდ საფინანსო საქმის წარმატების შესახებ. „რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას (1750 წლიდან — ი. ა.), — წერს ს. კაკაბაძე, — მოჰყვა ტფილისის სავაჭრო მნიშვნელობის ზრდაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მაშინ როდესაც 1705 — 1709 წლებში ტფილისში 200 სავაჭრო დუქანი ირიცხებოდა, 1786 წელს უკვე 500 დუქანი იყო, ხოლო 1803 წელს, მიუხედავად ტფილისის მიერ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს განვლილ საშინელ... აოხრებისა, ქართლ-კახეთის დედაქალაქში მაინც 574 სავაჭრო დუქანი არსებობდა. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთთან საქარავნო გზის გახსნის შემდეგ ქართლ-კახეთის ეკონომიურ ცხოვრებას ეტყობა თვალსაჩინო გამოცოცხლება"[5].

---

[4] С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912, გვ. 179.

[5] ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, ჟურნ. „მნათობი", 1924 წ., № 3, გვ. 272 (წერილის დასაწყისი დაბეჭდილია იმავე ჟურნალის იმავე წლის მეორე ნომერში).

ცოტა ქვემოთ იმავე საკითხებზე სულ სხვა თვალსაზრისია განვითარებული. აქ უკვე ავტორი, არამც თუ არაფერს ამბობს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, არამედ, პირიქით, ლაპარაკობს საწარმოო ძალების განვითარების შეუძლებლობაზე, ქართლ-კახეთის დაჩიხულობაზე. „მიუხედავად რუსეთთან საქარავნო გზის გახსნისა და მაშასადამე ეკონომიური განვითარებისათვის ახალ შესაძლებლობათა მიღებისა, — ვკითხულობთ დასახელებულ წერილში, — ქართლ-კახეთი (მაინც) ჩიხში იყო მომწყვდეული და ვერ ახერხებდა თავისი ეკონომიური მდგომარეობის თვალსაჩინოდ გამაგრებას"[6].

ეს დასკვნა არა მარტო ეწინააღმდეგება ზემოთ ციტირებულ პირველ დასკვნას, არამედ, ჩვენი აზრით, საერთოდ არ შეესაბამება განსახილველი წერილის შინაარსს; ეს უკანასკნელი, ჩვენი ღრმა რწმენით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვილაპარაკოთ ქვეყნის დაჩიხულობაზე, მისი სოციალურ-ეკონომიური განვითარების შეუძლებლობაზე.

ასეთი მსჯელობის საფუძველს არც მისი მეორე სტატია — „Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке", — იძლევა. აქ, ავტორი სხვადასხვა ხასიათის მასალაზე დაყრდნობით, ასაბუთებს დებულებას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს (ქართლ-კახეთის) ეკონომიური ცხოვრების საგრძნობი აღორძინების შესახებ. თანაც ეს აღმავლობა, როგორც წერილიდან ჩანს, იგრძნობოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში—ვაჭრობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში. ეხება რა კერძოდ ვაჭრობის სფეროში მომხდარ ძვრებს, ავტორი გახაზავს საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა შესამჩნევ ზრდას. მისი მიახლოებითი გამოანგარიშებით 1760—1770 წლებში საქონელ-ბრუნვა თბილისში მარტო საგარეო ვაჭრობის ხაზით 160 ათასი მანეთიდან 400 ათას მანეთამდე გაზრდილა[7]; ე. ი. აღნიშნულ ათწლეულში საქონლის ბრუნვის მასშტაბი 2,5-ჯერ გადიდებულა.

---

[6] ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, ჟურნ. „მნათობი", 1924 წ., № 3, გვ. 272 (წერილის დასაწყისი დაბეჭდილია იმავე ჟურნალის იმავე წლის მეორე ნომერში).

[7] С. Н. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения в восточной Грузии в XVIII веке, დაბეჭდილია კრებულში «История классовой борьбы в Закавказье» (ИКБЗ) 1930, გვ. 179.

ს. კაკაბაძის ამ წერილში (ისე როგორც 1924 წელს დაბეჭ-დილში) არ არის დაყენებული და სპეციალურად განხილული საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მიდიოდა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განვითარება, რა შედეგები მოჰყვა ვაჭრობა-მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში არსებულ წარმატებებს. ხომ არ განაპირობებდა ის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლების შერყევასა და ახლის აღმოცენებას? მართალია, დასახელებულ წერილებში ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხები არაა გაცემული, მაგრამ მათი საერთო შინაარსი, ავტორის მსჯელობის ხასიათი (ცალკეული გამონაკლისების გარდა) და სხვა, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ისტორიკოსი XVIII საუკუნეს საქართველოს არ თვლიდა ტიპიური ნატურალური მეურნეობის ქვეყნად. მისი აზრით, მრავალი დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის მიუხედავად, იმდროინდელი ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ძვრებს, რომლებიც ერთგვარ საფრთხეს უქმნიდნენ ფეოდალურ ურთიერთობას, უპირისპირდებოდნენ მას. ს. კაკაბაძემ ეს დასკვნა, რომელიც პირდაპირ არსად არ ჰქონია ჩამოყალიბებული, 1956 წელს მკაფიოდ ფორმულირებული დებულების სახით წარმოადგინა ჟურნალში „Вопросы истории" დ. გვრიტიშვილის ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაზე დაწერილ რეცენზიაში. რეცენზენტი აქ არა მარტო გახაზავს ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებს, არამედ ლაპარაკობს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევაზე, კაპიტალისტური წყობის არსებობაზე და აკრიტიკებს დ. გვრიტიშვილს, რომელიც ამას ვერ ხედავს იმდროინდელ ქართლ-კახეთის სახელმწიფოში[8]: „Но автор (ე. ი. გვრიტიშვილი — ი. ა.) не замечает, что во второй половине XVIII века в Восточной Грузии существовал капиталистический уклад"[9]. ამის შემდეგ ავტორს მოაქვს სტატისტიკური მასალა, რომელიც ადასტურებს ქალაქების მოსახლეობისა და თავისუფალი სამუშაო ძალის ხვედრითი წონის ზრდას XVIII საუკუნის 80—90-იან წლებში წინარე ხანასთან შედარებით[10].

---

[8] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1955, გვ. 36.

[9] С. Н. К а к а б а д з е. რეცენზია დ. გვრიტიშვილის წიგნზე «Вопросы истории», 1956, № 10, გვ. 176.

[10] ი ქ ვ ე.

აქ, როგორც ვხედავთ, სავსებით სამართლიანად უარყოფილია თვალსაზრისი იმდროინდელი საქართველოს ტიპიური ნატურალური მეურნეობის ქვეყნად გამოცხადების შესახებ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მისი სოციალური და ეკონომიური ცხოვრების კაპიტალისტური წყობის დონემდე აყვანა გადაჭარბებულად მიგვაჩნია. მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ანგარიშგასაწევი მასშტაბით არსებობდა ახალი ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ რთული პოლიტიკური ვითარების წყალობით ამ ნიშნების წყობად ჩამოყალიბება ხსენებული საუკუნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ მოხერხდა. გარეშე მტრების მოძალებამ საგრძნობლად შეაფერხა უკვე დაწყებული ეს პროცესი, თუმცა მთლიანად ვერ მოსპო ის და ვერ ააცდინა ქვეყანა განვითარების ამ მაგისტრალურ ხაზს.

ჩვენს საკვლევ თემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გრიგოლ ნათაძემ. მან 1930 წელს კრებულში „История классовой борьбы в Закавказье" გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия", რომელშიც ლაპარაკია სასაქონლო წარმოების განვითარებაზე, საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა გაფართოებაზე, მიწების ყიდვა-გაყიდვის გაძლიერებაზე, მამულების დამრგვალებაზე, რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობილ მეურნეობებზე, შესავალ-გასავლის ზუსტ აღრიცხვაზე მსგვილ ეკონომიებში და ა. შ. აქ ჩამოთვლილი მოვლენებიდან, ავტორის აზრით, ზოგი საერთოდ სიახლეს წარმოადგენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, ზოგს კი, მართალია, ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მცირე მასშტაბითა და მოცულობით. გრ. ნათაძის შეხედულებით, XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში არავითარი თვისებრივი ცვლილებები არ მომხდარა, გაგრძელდა მხოლოდ ადრე, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული პროცესები. «Конечно, в этом схематическом обзоре рукописного материала.. нельзя рассчитывать на полную убедительность аргументации. Но традиционный взгляд, в силу которого начало XIX века... вносит в жизнь этой страны (იგულისხმება საქართველო — ი. ა.) крутой перелом, убеждение, будто присоединение Грузинского царства к России внесло в жизнь Грузии нечто совершенно новое и чуждое ей, можно считать поколебленным и требующим пересмотра... Экономическое развитие Грузии в XIX веке можно рассмотри-

вать как дальнейшее продолжение предыдущего периода, но продолжение более решительное, твердое, с более ускоренным темпом... Есть все данные думать, что развитие торгового капитализма в конце XVIII столетия уже успело поколебать основы феодального строя»[11].

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლები უკვე შერყეული იყო, მაგრამ არც იმას ვფიქრობთ, რომ ამ საფუძვლების შერყევას საფრთხე არ ემუქრებოდა. მთლიანად ვიზიარებთ გრ. ნათაძის მოსაზრებას პრინციპული განსხვავების არარსებობის შესახებ XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს შორის. სწორია ავტორის დებულება, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებას არ შეუცვლია ქვეყნის განვითარების ხასიათი და მიმართულება, მხოლოდ უფრო მეტი სიღრმე და სისწრაფე მისცა მას. სამწუხაროდ, ეს მართებული დებულება წერილში სათანადო დამაჯერებლობით ვერაა დასაბუთებული.

წინამდებარე მონოგრაფიაში აღძრულ საკითხებზე საინტერესო მუშაობა აქვს ჩატარებული ნიკოლოზ ბერძენიშვილს. ჯერ კიდევ 1934 წლის 20 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტის ღია სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „სამღეროთა შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში". მოხსენება, რომელშიც მეცნიერმა თავისი შედარებით ხანგრძლივი დაკვირვების შედეგები წარმოადგინა, პირველად გამოქვეყნდა 1937 წელს სერიაში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" (ნაკვ. VI), ხოლო მეორედ—1967 წელს „საქართველოს ისტორიის საკითხების" მეოთხე ტომში. დასახელებულ გამოკვლევაში, დიდძალ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, საფუძვლიანადაა შესწავლილი სამღებრო საქმის მდგომარეობა, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. აღნიშნული დარგის გულდასმით შესწავლამ ნ. ბერძენიშვილი მიიყვანა დასკვნამდე, რომ განსახილველი ხანის საქართველოს სამღებრო საქმეში საშუალსაუკუნეობრივი ხელოსნური წარმოების გვერდით, არსებობდა მანუფაქტურული წარმოებაც. მართალია, რაოდენობრივი უპირატესობა პირველის მხარეზე იყო, მაგრამ, განვითარების პერსპექტივის

---

[11] Г. Я. Натадзе. К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, ИКБЗ, Тифлис, 1930, გვ. 148.

თვალსაზრისით, მეორე ბევრად უსწრებდა. ეხება რა ამ უკანასკნელს, ნ. ბერძენიშვილი წერს: „ჩვენთვის გაცილებით საინტერესოა სამღებროს ექსპლოატაციის ის სახე, როცა ოსტატი თვით არის დაქირავებული სამღებროს მოიჯარადრის მიერ. აქ უკვე პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობაა, მეურნეობის სულ სხვა ტიპია მოცემული. ასეთ პირობებში ოსტატ-შეგირდის ურთიერთობა სრულიად განსხვავებულია. ასეთ ოსტატს არც შეუძლია შეგირდი ჰყავდეს ძველის გაგებით. და როცა ოსტატი დაქირავებულია, სხვებიც — ქარგალი, შეგირდი — ასევე დაქირავებულნი უნდა იყვნენ. მაგრამ ეს უკვე მანუფაქტურაა და არაა საშუალო საუკუნეების სახელოსნო"[12].

რომ ზოგი სამღებრო თავისი ხასიათით შედარებით მსხვილი საწარმო იყო და არა წვრილი სახელოსნო, ამას ნ. ბერძენიშვილი სხვადასხვაგვარი მონაცემებით ამტკიცებს. ერთ-ერთი მათ შორის არის საიჯარო ფასი. დარეჯან დედოფლის თბილისის სამღებროს საიჯარო ფასი 500—700 თუმანს უდრიდა თურმე წელიწადში[13]. მარიამ დედოფლის მოწმობითაც 1799—1801 წლებში, თბილისის სამღებროს წლიური საშუალო საიჯარო ქირა 520 თუმანი ყოფილა[14].

ნ. ბერძენიშვილის ზემოთ განხილულ წერილში, როგორც მოსალოდნელი იყო, ლაპარაკია სახალხო მეურნეობის მხოლოდ ერთ დარგზე და ამიტომ, ცხადია, ამ დარგის შესახებ გაკეთებული დასკვნა არ შეიძლება მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე გავრცელდეს. არსად, არც წერილში სამღებროების შესახებ და არც სხვა უფრო მოგვიანებით დაწერილ შრომებში, მეცნიერი არაფერს ამბობს წარმოების მანუფაქტურული წესის რამდენადმე საგრძნობი მასშტაბით გავრცელებაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. არაფერს ამბობს ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ ი რღვევა, კაპიტალისტური წყობის გაჩენა და ა. შ. ერთი სიტყვით, ნ. ბერძენიშვილის აზრით, ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში მიმდინარე ძვრებს თუმცა არ გამოუწვევია რ ა დ ი კ ა ლ უ რ ი ხასიათის ცვლილებები და არ შეუქმნია უ შ უ ა ლ ო საფრთხე იმ დროს არსებული წყობილებისათვის, მაგრამ ისინი მაინც

---

[12] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 319—320.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 321.

[14] ი ქ ვ ე; შდრ. AKAK, 1, გვ. 214.

წინ სწევდნენ ქვეყანას, ემსახურებოდნენ პროგრესის საქმეს და ამზადებდნენ ნიადაგს ახალი, უფრო მოწინავე სოციალური სისტემის გამარჯვებისათვის მომავალში[15].

1937 წელს გამოქვეყნდა დოროთე უჩანეიშვილის საინტერესო გამოკვლევა „К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII века". ავტორი, ჩვენი აზრით, ჯეროვნად ვერ აფასებს XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეს. საკმარისია ითქვას, რომ ის იმდროინდელ საქართველოს განიხილავს როგორც ნატურალური მეურნეობის ქვეყანას, სადაც საბაზრო კავშირ-ურთიერთობანი ასრულებდნენ სრულიად უმნიშვნელო როლს [16]. მართალია, შენიშნავს დ. უჩანეიშვილი, ჩვენთვის საინტერესო საუკუნის ბოლოს ოდნავ გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა, მაგრამ ეს მოხდა სატრანზიტო ვაჭრობის ხარჯზე, რომელსაც არ შეეძლო „сколько-нибудь заметно поколебать господствующее в то время в Грузии натуральное хозяйство[17]". მკვლევარი უარყოფს კომუტაციის თვით ცალკეულ შემთხვევასაც და წერს: „В документах этого периода (მხედველობაშია XVIII საუკუნე—ი. ა.) не видим ни случаев перевода крепостных на денежный оброк, ни организации барщины в крупных размерах[18]". ასეთი განცხადება ცოტა არ იყოს მოულოდნელია ისეთი სპეციალისტისაგან, როგორიც არის დოროთე უჩანეიშვილი.

ავტორის საბოლოო დასკვნა განსახილველ წერილში შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: «Резимируя все сказанное, можно с уверенностью сказать, что во второй половине XVIII века в Грузии мы еще не видим сколько-нибудь заметной интенсификации сельского хозяйства, смены натурального хозяйства товарным производством, тем более зарождения и роста

---

[15] აჯამებს რა თავის მსჯელობას ერეკლე II-ის ღონისძიებათა შესახებ, ნ. ბერძენიშვილი წერს: „ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვეყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური (და ეკონომიური — ი. ა.) ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთს შეეძლო საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა გაქრობას გადაერჩინა" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, სის, ტ. V, თბ., 1971, გვ. 177).

[16] Д. У ч а н е и ш в и л и, К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII века, მსკი, ნაკვ. V, 1937, გვ. 386.

[17] ი ქ ვ ე, გვ. 389.

[18] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, მსკი, ნაკვ. V, 1937, გვ. 412.

аграрного капитализма и заметных следов обуржуазивания грузинского дворянства»[19].

ნატურალური მეურნეობის სასაქონლო წარმოებით მთლიანად შეცვლაზე XVIII საუკუნის საქართველოში, რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ უკანასკნელის საგრძნობი მასშტაბით განვითარების აღუნიშვნელობაც არაფრით არ არის გამართლებული. ასევე ნაადრევია ლაპარაკი აგრარული კაპიტალიზმისა და გაბურჟუების გზაზე შემდგარი თავადაზნაურობის შესახებ, მაგრამ ბაზართან მჭიდროდ დაკავშირებული ახალი ტიპის „პომეშჩიკების“ (მანუჩარ თუმანიშვილი და სხვ.) არდანახვა ან მათი შეუფასებლობა, ცხადია, ასევე შეცდომაა.

პაატა გუგუშვილი XVIII ს. ქართლ-კახეთში ხედავს მანუფაქტურული წარმოების ნიმუშებს. მის ნაშრომში „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა, ნათქვამია: „საქართველოსა და ამიერკავკასიაში მანუფაქტურული წარმოების თავდაპირველი სახეები შეიძლება მოიძებნოს XVIII საუკუნეშიც. XVIII საუკუნის დასაწყისშივე თბილისში დაარსებულ იქნა სტამბა, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს შრომის მანუფაქტურულ დანაწილებასთან, შემდეგ თოფხანა, ზარაფხანა და სხვა“[20] ახასიათებს რა აღნიშნულ საწარმოთა სოციალურ-ეკონომიურ ბუნებას, მკვლევარი შენიშნავს რომ მაშინდელ საქართველოში ისინი „მხოლოდ სახელმწიფო სარეწავების სახით შეიძლებოდა წარმოშობილიყო, რამდენადაც კაპიტალისტური თაოსნობისა, საერთოდ, და განსაკუთრებით კერძო კაპიტალისტური სარეწავის წარმოქმნა იმ დროს ჩვენში... შეუძლებელი იყო“[21]. აქედან გამოდის, რომ სახელმწიფო სარეწი საერთოდ თავისი ხასიათით არ შეიძლება იყოს კაპიტალისტური და რომ XVIII საუკუნის საქართველოში გამორიცხული იყო კაპიტალისტური ტიპის საწარმოს წარმოშობა. აქ, ვფიქრობთ, რაღაც ტექნიკურ უზუსტობასთან უნდა გვქონდეს საქმე, მით უმეტეს, რომ აკად. პ. გუგუშვილი არც ციტირებული ნაშრომის სხვა ადგილას და არც უფრო მოგვიანებით გამოქვეყნებულ გამოკვლევებში მსგავს მოსაზრებას არ გამოთქვამს[22].

---

[19] ი ქ ვ ე, გვ. 427.

[20] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 209.

[21] ი ქ ვ ე.

[22] П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, 1957, გვ. 240—241.

1954 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა მოაწყო დისკუსია თემაზე „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში". აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ მამია დუმბაძე და ზურაბ ანჩაბაძე. მართალია, სადისკუსიო თემის ქრონოლოგიური ჩარჩოები XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანით იყო შემოფარგლული, მომხსენებლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, XVIII საუკუნესაც ვერ აუარეს გვერდი და ისიც მიმოიხილეს. მათ თავიანთი შეხედულება იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების შესახებ საგანგებოდ ჩამოაყალიბეს და მოხსენების თეზისებში შეიტანეს პირველ და მეორე მუხლად. აი, ეს ადგილიც: „მე-18 საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ქვეყანას, სადაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის. კაპიტალისტურმა ელემენტებმა ამ დროს სათანადო განვითარება ვერ ჰპოვეს, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური „ჩიხიდან" ქვეყნის საკუთარი ძალებით გამოყვანა შეუძლებელი იყო და მისი რუსეთთან შეერთება 1801 წელს ისტორიულად აუცილებელი მოვლენა გახდა. ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებით დაიწყო მტრული გარემოცვის გარღვევის პერიოდი და არსებული „ჩიხიდან" ქვეყნის დაძვრის ხანა"[23].

რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რთულ საშინაო და საგარეო სიტუაციაში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები სათანადოდ ვერ განვითარდებოდნენ, მაგრამ განა ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ უარვყოთ, არ დავინახოთ სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრები და დავხატოთ წინსვლა-წარმატების შეუძლებლობისა და ქვეყნის სრული დაჩიხულობის სურათი? ეტყობა, ეს უხერხულობა იგრძნო მ. დუმბაძემ და, განსხვავებით ზ. ანჩაბაძისაგან[24], მნიშვნელოვანწილად შეიცვალა შეხედულება. ამის ნათელი დადასტურებაა 1966 წელს დასტამბული მისი სტა-

---

[23] მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში (თეზისები).

[24] იხ. მისი «Генезис капиталистических отношений (по материалам Грузии) (тезисы доклада), „მაცნე", 1968, № 2, გვ. 234.

ტია „თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში". „თავისუფალი ფენა, — ვკითხულობთ იქ, — საერთო გლეხურ მასებში შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მას ერეკლეს დროს ზრდა-განვითარების პერსპექტივები ჰქონდა. იგი ახალისებდა ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ყმა გლეხობას და ბატონყმობის რღვევის პროცესზე, ისევე როგორც ახალი საზოგადოების წინამძღვარ მოვლენებზე, მიუთითებდა"[25]. ეს ადგილი სიტყვასიტყვით შეტანილია საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომის იმ ნაწილში, რომელიც მ. დუმბაძეს ეკუთვნის[26]. აქ კი, როგორც ვხედავთ, უკვე არაა ლაპარაკი ქვეყნის განვითარების უპერსპექტივობაზე, მის დაჩიხულობაზე. უფრო მეტიც. ციტირებული სიტყვების ავტორი შესაძლებლად მიიჩნევს ილაპარაკოს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევის პროცესზე, ისევე როგორც „ახალი საზოგადოების წინამძღვარ მოვლენებზე". ეს კი, ცხადია, გამორიცხული იყო ნატურალური მეურნეობის განუყოფელი ბატონობისა და ქვეყნის დაჩიხულობის ვითარებაში.

XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების მაღალი დონის დამცველად დიდი ხანია გამოდის აპოლონ როგავა. მან მხარი დაუჭირა მოსაზრებას, განსახილველი ხანის საქართველოში მტკიცედ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული, კაპიტალისტური წყობის არსებობის შესახებ. ეს თვალსაზრისი განავითარა თავის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში, რომელიც დაისტამბა 1956 წელს სათაურით „Обозрение Грузии по части прав и законоведения" Давида Георгиевича Багратиони". უფრო დაწვრილებით ეს საკითხი ავტორმა განიხილა წერილში „კაპიტალიზმის ჩანასახი საქართველოში და ერეკლე II-ის პოლიტიკა" (ჟურნ. „მაცნე", 1964 წ., № 6) და მონოგრაფიაში „Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II" (1974 წ.). ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით, რადგან მასში, ვითარცა განმაზოგადებელ გამოკვლევაში, შესულია ავტორის ადრინდელ შრომებში წამოყენებული ყველა მოსაზრება და დებულება.

---

[25] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში, კხის, 1966, გვ. 398.

[26] საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სინ), ტ. IV, 1973, გვ. 559.

ამ ნაშრომში ა. როგავა დაბეჯითებით იმეორებს და იცავს დებულებას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობის შესახებ. ფიქრობს, რომ უკანასკნელმა ხსენებული საუკუნის ქრონოლოგიურ ფარგლებში მთლიანად და სრულად მოასწრო ჩამოყალიბება-გაფორმება და იმდენად მოშაგრდა, რომ ძლიერად შეუტია ფეოდალურ-ბატონყმურ სისტემას, რის შედეგადაც დაიწყო და თითქმის შეუჩერებლად მიმდინარეობდა რღვევა მაშინ გაბატონებული სოციალ-ეკონომიური ფორმაციისა. «Как мы уже убедились, — ვკითხულობთ განსახილველ ნაშრომში, — во второй половине XVIII века в Грузии, в особенности в Картли-Кахети, во всех ведущих областях хозяйственной жизни ясно видны зачатки капитализма, оформившиеся с 70 годов в капиталистический уклад (но не строй); к тому времени он уже подрос в лоне феодального экономического строя, против которого он уже выступает, как отрицающий и разлагающий фактор»[27] (პირველი ხაზგასმა ა. როგავასია—ი. ა.). მეორე ადგილას ავტორი კიდევ უფრო დაბეჯითებით მიუთითებს, რომ მაშინ „ქართული ფეოდალური საზოგადოება უკვე ორსულად იყო კაპიტალისტური წყობითო“[28] (ხაზი ა. როგავასია—ი. ა.). „В условиях объединения Картли и Кахети,—წერს მესამე ადგილას ა. როგავა,—в условиях полной политической независимости от иностранных государств и рациональных действий правительства Ираклия II эти капиталистические элементы, в результате внутреннего развития уже к середине XVIII века (если не раньше) представляли в феодальном обществе новое качественное явление в виде зачатков (зародыша) капитализма, переросших с 70 годов в капиталистический уклад»[29]. (ხაზი ა. როგავასია — ი. ა.).

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მსგავსი ადგილის მოტანა[30], მაგრამ მოტანილიც, ვფიქრობთ, საკმარისია იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ა. როგავას შეხედულებაზე.

---

[27] А. А. Рогава, Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, Тбилиси, 1974, стр. 163.

[28] ა. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 199 (სქოლიო).

[29] იქვე, გვ. 204

[30] იხ. მაგალითად, გვ. 25, 72, 77—78, 85, 87, 105, 110—111, 138—139, 168, 169, 203, 205.

როგორც ვხედავთ, აპ. როგავა რადიკალურად უპირისპირდება ყველა იმათ, ვინც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ვერ ხედავს ახალ მოვლენებს, პროგრესული ხასიათის ძვრებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სწორია და სრულ მხარდაჭერას იმსახურებს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს აშკარა გადაჭარბების ტენდენცია, რომელსაც იჩენს მკვლევარი ჩვენი ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრისას. ვფიქრობთ, გადაჭარბებულია განსახილველი ხანის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების კაპიტალისტური წყობით ფეხმძიმედ გამოცხადება. ნაადრევია ლაპარაკი წარმოების ბურჟუაზიული წესის არსებობაზე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში[31], კაპიტალისტური წყობის საბოლოოდ შექმნა-ჩამოყალიბებაზე და ფეოდალური ურთიერთობის მეტად ინტენსიურ რღვევაზე. მხოლოდ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს აპ. როგავას წიგნიდან, რომელსაც, სამწუხაროდ, საბუთიანობა არ ჰყოფნის. ავტორი თავისი დებულების არგუმენტირებას უპირატესად ზედნაშენური მოვლენების, საკანონმდებლო ძეგლების მოშველიებით ცდილობს და სრულიად არასაკმარისად მიმართავს ფაქტებს ბაზისის სფეროდან. მკვლევარი, რომელიც უყოყმანოდ წერს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაზე XVIII საუკუნის სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, არაფერს ამბობს ფეოდალური საკუთრების მოშლაზე, ბურჟუაზიული საკუთრების ფორმირებაზე, მსხვილი „პომეშჩიკური", საბაზრო პროდუქციის მწარმოებელი მეურნეობების წარმოშობაზე, ბატონყმობიდან გლეხთა თავდახსნის პროცესზე, სოფლის მშრომელი მოსახლეობის კლასობრივ დიფერენციაციაზე, დაქირავებულ შრომაზე, მანუფაქტურაზე და ა.შ. მართალია, ზოგ აქ ჩამოთვლილ მოვლენაზე წიგნში არის საუბარი, მაგრამ გაკვრით, არადამაჯერებლად. ეს ითქმის, მაგალითად, დაქირავებულ შრომაზე, რომლის არსებობის დასამტკიცებლად დასახელებული ფაქტები არ არის საკმარისი. იქ ლაპარაკია, თავისუფალ მუშათა შრომის გამოყენებაზე სამხედრო (არტილერიის) წარმოებაში ერეკლეს დროს[32], არხის მშენებლობაზე 1790 წელს[33]. ეს და მათი მსგავსი მაგალითები, ცხადია, ყურადღებას იმსახურებენ, მაგრამ პრინციპში ცოტას ამბობენ. მარტო მათი მოშველიებით გაჭირდება ამა თუ იმ საწარმოს კაპიტალის-

---

[31] აპ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.
[32] იქვე, გვ. 96.
[33] იქვე, გვ. 65.

ტური ბუნების ჩვენება, რადგან კაპიტალიზმი, პირველ ყოვლისა, სასაქონლო ურთიერთობაა, პროდუქციის საბაზროდ დამზადებაა, ხოლო ზარბაზნების წარმოება და არხის მშენებლობა კი სულ სხვა დანიშნულების, ბაზართან საერთოდ დაუკავშირებელი ობიექტებია.

შენიშვნას იმსახურებს აპ. როგავას მეორე დებულებაც, რომელიც ერეკლე II-ს კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლად აცხადებს. ქართლ-კახეთის მეფის ყველა ღონისძიება, მიმართული სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებისაკენ, განხილულია როგორც ფეოდალიზმის საფუძვლების მოშლისა და კაპიტალიზმის დანერგვის შეგნებული, წინასწარდაგეგმილი ცდა. ნათქვამის დასადასტურებლად მოვიტანოთ რამდენიმე ადგილი აპ. როგავას მონოგრაფიიდან: «Законами для царевичей в уделах нового типа он (ერეკლე II — ი. ა.) ставит целью развитие капиталистического производства и буржуазных отношений в сельском хозяйстве, промышленности и торговле»[34]. «Вместе с тем, царь заботился не только о внедрении капиталистического уклада в хозяйстве крупных помещиков, но и оказывал широкое содействие дворянам, мелким помещикам в деле создания буржуазных форм хозяйственной и культурной жизни. С целью развития зачатков капитализма в хозяйстве и быту грузинских помещиков, царь Ираклий II... всесторонне способствовал соответственному изменению их сознания»[35]... «Из всего сказанного можно прийти к заключению, что в Грузии второй половины XVIII века, особенно в Картли-Кахети, прогрессивная общественно-политическая «даси», действовавшая под главенством Ираклия II, — в противовес защищавшей систему сатавадо реакционной тавадской «даси»... и родственному ей по духу реакционному церковному кружку Захария Габашвили, — ставила своей целью достигнуть постепенной переделки и перерастания феодального социально-экономического и политического строя в помещичье-капиталистический строй... прусским, а не революционным (американским) путем»[36]. (ხაზი აპ. როგავასია — ი. ა.).

---

[34] აპ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

[35] იქვე, გვ. 30.

[36] აპ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 147. შდრ. გვ. 28, 34, 35, 182, 232—233, 234, 237, 241, 242 და სხვ.

ერეკლე II-ის ბევრი ღონისძიება, როგორც ქვემოთაც ვნახავთ (იხ. თავი I), მართლაც ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ჩვენთვის საინტერესო ხანაში თანდათანობით წყალს უყენებდა გაბატონებულ სოციალ-ეკონომიურ სისტემას და გზას უთავისუფლებდა ახალ ურთიერთობას, მაგრამ ეს იყო ამ ღონისძიებათა ობიექტური, მთავრობის ნებასურვილისაგან სრულიად დამოუკიდებელი შედეგი. არც ისაა სწორი, თითქოს ქართული ფეოდალური საზოგადოების მეთაურის ერეკლე II-ის მთავარი საზრუნავი ამ საზოგადოების ბურჟუაზიულ ან. ავტორის ტერმინოლოგიით „პომეშჩიკურ"-ბურჟუაზიულ წყობილებაში გადაზრდა ყოფილიყო. ასეთი მიზანი მას არ ჰქონდა, არც შეეძლო ჰქონოდა და კიდეც რომ ჰქონოდა, საეჭვოა ისეთი წარმატებით ემოქმედა, როგორც ეს აპ. როგავას აქვს წარმოდგენილი. ეს პიროვნების როლის გადაჭარბებული შეფასებაა.

აპ. როგავას წიგნს სხვა სუსტი მხარეებიც გააჩნია, მაგრამ მათზე არ შევჩერდებით, რადგან უშუალო კავშირი არა აქვთ განსახილველ საკითხთან.

დასასრულ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის დიდი მონდომება, პრინციპულობა და საქმისადმი სიყვარული, რომელიც აპ. როგავამ გამოამჟღავნა XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის შესწავლა-დადგენის პროცესში. თავი რომ დავანებოთ მრავალგვარ დაბრკოლებას, იგი ერთსულოვან წინააღმდეგობას წააწყდა თავის კოლეგებში, რომლებიც საერთოდ ვერაფერს ხედავდნენ დადებითსა და რაციონალურს მის შეხედულებებში. აპ. როგავა ამას არ შეუშინდა, განაგრძო დაწყებული საქმე და სცადა დაემტკიცებინა დებულება ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში კაპიტალისტური წყობის არსებობის შესახებ. და თუმცა მკვლევარმა, როგორც უკვე ვთქვით, ვერ შეძლო დასახული მიზნის წარმატებით განხორციელება, იმას მაინც მიაღწია, რომ ბევრ სპეციალისტს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორსაც, შეეცვალა თავისი აღრინდელი შეხედულება XVIII საუკუნის საქართველოს სოციალური და სამეურნეო ცხოვრების სრული კონსერვაციის შესახებ.

1966 წელს გამოვიდა დ. გოგოლაძის ნაშრომი „სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გე-

ნეზისის ზოგიერთი საკითხი". ეხება რა კერძოდ ნ. ბერძენიშვილის საქმიანობას ამ მიმართულებით, ავტორი წერს, რომ მან სათანადო კვლევითა და მსჯელობით, სამღებრო დარგში, პირველმა დაადასტურა წარმოების კაპიტალისტური წესის არსებობა[37]. და რაკი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, დ. გოგოლაძეს ეს მეცნიერის დიდ დამსახურებად მიაჩნია, ცხადია, თვითონაც ამ თვალსაზრისს იზიარებს. წიგნში ისეთი ადგილებიც არის, რომლებშიც მოცემულია ავტორის აზრი არა მარტო წარმოების ამა თუ იმ დარგის შესახებ კონკრეტულად, არამედ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს განვითარების დონისა და ხასიათის შესახებ საერთოდ. აცნობს რა მკითხველ საზოგადოებას ს. კაკაბაძისა და გრ. ნათაძის შეხედულებას აღძრულ საკითხზე, დ. გოგოლაძე წერს: „როგორც ვხედავთ, პროფ. ს. კაკაბაძეს და პროფ. გ. ნათაძეს უეჭველად ს წ ო რ ა დ ესმით ის გარემოება, რომ XVIII საუკუნე საქართველოსათვის ეს არის გ ა რ დ ა ტ ე ხ ი ს ხ ა ნ ა, რომ ქვეყნის ეკონომიურ აღმავლობას უნდა გამოეწვია სოციალ-ეკონომიური ძვრები — უ ნ დ ა დ ა რ ღ ვ ე უ ლ ი ყ ო ფ ე ო დ ა ლ ურ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა და ა ხ ა ლ ი ხ ა ნ ა შ ე მ ო ს ულ ი ყ ო"[38]. ამრიგად, დ. გოგოლაძეს, ს. კაკაბაძესა და გრ. ნათაძესთან ერთად, XVIII საუკუნე ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევის ხანად შეიჩნია, იგი იზიარებს ამ თვალსაზრისს, ოღონდ უსაყვედურებს დასახელებულ ავტორებს „კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის საილუსტრაციოდ" კონკრეტული მასალის მოუტანლობას, მის არასაკმარისობას[39].

ჩვენთვის საინტერესო თემაზეა ლაპარაკი ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას, მ. დუმბაძის, გ. მელიქიშვილის, შ. მესხიასა და პ. რატიანის მიერ დაწერილ „საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოშიც (თბ., 1958 წ.). წიგნის იმ ნაწილში, რომელიც

---

[37] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966, გვ. 168.

[38] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

[39] ი ქ ვ ე.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ დ. გოგოლაძემ მოგვიანებით ეს შეხედულება შეიცვალა. მან თავის ნაშრომში „საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (1800—1864 წწ.)", რომელიც 1970 წელს გამოვიდა, ეჭვის ქვეშ დააყენა ფეოდალური ურთიერთობის რღვევის მაჩვენებელი მოვლენების არსებობა არა მარტო XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, არამედ XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოშიც კი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისადმია მიძღვნილი და შ. მ ე ს ხ ი ა ს ეკუთვნის, მკითხველი ნახავს აღნიშნული პერიოდის ზოგადს, მაგრამ სწორ დახასიათებას. აქ ლაპარაკია თოფ-ზარბაზნების წარმოებაზე, ზარაფხანაზე, სტამბაზე, მინის სარეწზე, სამღებროებზე, საპნის, მარილისა და თოფის წამლის დამზადებაზე და ა. შ.[40] ჩამოთვლილის უმეტესობა, ავტორის სიტყვით, მეფისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილებას შეადგენდა იჯარით გაიცემოდა კერძო პირზე — დიდვაჭრებსა და შეძლებულ ოსტატებზე. ისინი აქ დაქირავებულ შრომას იყენებდნენ[41]. ავტორი ხაზს უსვამს არა მარტო სამრეწველო, მანუფაქტურის დონემდე ასულ საქმიანობას, არამედ წარმატებებს სოფლის მეურნეობაში, სადაც განსახილველ ხანაში შედარებით დიდი მნიშვნელობა მიეცა საბაზრო პროდუქციის წარმოებას და დაქირავებული შრომის გამოყენებას როგორც სამეფო და საბატონო, ისე გლეხურ მეურნეობაში[42].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემული ეს მოკლე დახასიათება არსებითად სწორია და რაიმე სერიოზულ შენიშვნას არ იმსახურებს. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნში არ ჩანს, თუ რა ცვლილებები გამოიწვია ვაჭრობის, მრეწველობის, ქალაქებისა და ქალაქური ცხოვრების განვითარებამ, მანუფაქტურული წარმოებისა და დაქირავებული შრომის შედარებითმა გავრცელებამ ფეოდალურ-ბატონყმურ ეკონომიკასა და სტრუქტურაში.

ამაზე პირდაპირი პასუხი არც შ. მ ე ს ხ ი ა ს მონოგრაფიაშია გაცემული, რომელიც გამოვიდა თბილისში 1959 წელს სათაურით «Города и городской строй феодальной Грузии». ამ ფუნდამენტურ გამოკვლევაში, დიდძალ ფაქტიურ მასალაზე დამყარებით, განხილულია ქალაქურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, მათ შორის: მოსახლეობის დინამიკის, ხელოსნური თუ სხვაგვარი წარმოების, ვაჭრობის, ქალაქის კეთილმოწყობის, კლასობრივი ბრძოლის და ა. შ. ყურადღებაა გამახვილებული XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილ ქალაქებზე, ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზებზე.

---

[40] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი — საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 363—364.

[41] ი ქ ვ ე.

[42] ი ქ ვ ე, გვ. 362.

საერთო შთაბეჭდილება, რომელიც წიგნის მკითხველს რჩება ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს ეკონომიური განვითარების დონეზე, რადიკალურად განსხვავებულია, ვთქვათ, გოგიჩაიშვილისა და ავალიანის თვალსაზრისისაგან. მონოგრაფიის მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ქალაქები თავისი ხასიათით ფეოდალური ქალაქები იყვნენ და ამ წყობილებას ემსახურებოდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, პირიქით, იქ მიმდინარე პროცესები (მანუფაქტურული წარმოების წარმოშობა, ვაჭრობის გაფართოება, თავდახსნილ გლეხთა რიცხვის გამრავლება, ვაჭარ-მოქალაქეთა მემკვიდრეობითი უფლებების გაფართოება, საერთოდ მათი ინტერესების დაცვა ხელისუფლების მიერ და სხვ.) უპირისპირდებოდნენ მას და ხელს უწყობდნენ ახალი ურთიერთობის განვითარებას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზეა ლაპარაკი 1959 წელს გამოსულ ვასილ ჩანტლაძის წიგნშიც „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები". როგორც ნაშრომის სათაურიდან ჩანს, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხების კვლევა ავტორის მიზანს არ შეადგენდა. მაგრამ მან გვერდი მაინც ვერ აუარა ამ საკითხს და ზოგადად, საგანგებო დასაბუთების გარეშე (ეს ავტორს არც მოეთხოვებოდა) გამოთქვა თავისი შეხედულებები. ვ. ჩანტლაძის აზრით, საქართველოში ფეოდალიზმის დაშლის წინამძღვრები და „თვით დაშლის ელემენტები" წარმოიშვა „XVII საუკუნის მიწურულიდან და XVIII საუკუნის დასაწყისიდან, უფრო გამოკვეთილად კი XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან"[43]. ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის დაშლის წანამძღვრების შექმნის მაჩვენებლად იგი მიიჩნევს სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას, ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდას, სოფელსა და ქალაქს შორის შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას, მიწების „აღებმიცემობის საგნად გადაქცევას", საკუთრების წოდებრივი ხასიათის შეცვლას, მანუფაქტურების წარმოშობას[44] და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ვ. ჩანტლაძის თვალსაზრისი პრინციპულად უპირისპირდება იმათ შეხედულებებს, ვინც XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ვერ ხედავს პროგ-

---

[43] ვ. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი, 1959, გვ. 11.

[44] ი ქ ვ ე, გვ. 11—14.

რესულ ძვრებს, ვერ ხედავს ფეოდალიზმის საფუძვლების შერყევისა და ახალი ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშნების გაჩენა-განვითარების პროცესს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების საკითხს ეხება მ ი ხ ე ი ლ ს ა მ ს ო ნ ა ძ ე ც. იგი იმდროინდელ საფეიქრო მრეწველობას განიხილავს როგორც საკმაოდ დაწინაურებულ დარგს, რომელშიც წარმოების ბურჟუაზიული (მანუფაქტურული) წესია ფეხმოკიდებული. „შეიძლება დაბეჯითებით აღვნიშნოთ, ნათქვამია 1968 წელს გამოსულ მის მონოგრაფიაში, — რომ მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე საქსოვი და კერძოდ ბამბეულის საქსოვი წარმოება მთელს აღმოსავლეთ საქართველოში განვითარების მაღალ დონეზე იდგა. გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ა ღ ა ლ ი დ ო ნ ე კ ი გ ვ ი კ ა რ ნ ა ხ ე ბ ს მ ა ს შ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ა ღ ა ლ ი, მ ა ნ უ ფ ა ქ ტ უ რ უ ლ ი, ფ ო რ მ ე ბ ი ვ ე ძ ი ო თ, რადგან ამქრულ-ხელოსნურ, ანდა საოჯახო წარმოებას არ შეეძლო მოეცა იმდენი ნამატი, რომ აღგილობრივი ბაზარიც დაეკმაყოფილებინა და ასე ფართო მასშტაბით ეწარმოებინა გატანა საგარეო ბაზარზე“[45].

მ. სამსონაძის მონოგრაფია, რომელიც თბილისის სამრეწველო განვითარების შესწავლისადმია მიძღვნილი, ბუნებრივია, ვერ იძლევა პასუხს ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე, მაგრამ ავტორის დასკვნა XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მანუფაქტურულ დონემდე დაწინაურების შესახებ, უსათუოდ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი, მით უმეტეს, რომ ეს დასკვნა სათანადო ფაქტიური მასალითაა დასაბუთებული. მ. სამსონაძის მონოგრაფია არ უპერს მხარს ზოგი მეცნიერის მიერ გაზიარებულ ქვეყნის დაჩიხულობის თვალსაზრისს.

1965 წლის ივნისში მოსკოვში მოეწყო დისკუსია, მიძღვნილი ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პრობლემისადმი, რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. სხვა საკითხებთან ერთად შედარებით ვრცლად შევჩერდით საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემაზე და ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების საკმაოდ დამუქებული სურათი წარმოვადგინეთ. ჩვენს გამოსვლაში ა რ ს ე ბ ი თ ა დ უარყოფილია რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრები საკვლევი ხანის საქართველოში:

---

45 მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968, გვ. 61. გვ. 82, 219.

«Факты, характеризующие социально-экономическое положение Грузии второй половины XVIII века, недвусмысленно говорят о незыблемости феодально-крепостнических отношений, о незначительности явлений, составляющих основу новой жизни. Не видно прежде всего процесса разрушения феодальной собственности и формирования буржуазной... Источники... не позволяют говорить и о сужении сферы феодальных отношений, о сколько-нибудь заметном процессе высвобождения сельских трудящихся от крепостной зависимости. Правда, бывали случаи, когда крестьяне тем или иным путем получали личную свободу, но они, вследствие неблагоприятной общей ситуации названной эпохи, снова попадали в ярмо крепостничества»[46].

ამ დისკუსიის შემდეგ დაგროვილი და წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული მასალა ეჭვის ქვეშ აყენებს აქ გამოთქმულ მოსაზრებას. ახლა ჩვენ აღარ ვფიქრობთ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არ მიმდინარეობდა ფეოდალური საკუთრების მოშლის თუნდაც საწყისი პროცესი, არ მცირდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძველი და სხვ.

შესასწავლი ხანის საქართველოში ფეოდალიზმის რღვევის ნიშნების არსებობაზე მითითებული აქვთ შ. მესხიას და ვ. გუჩუას საშუალო სკოლის მოწაფეებისათვის დაწერილ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში (1971 წ.). იქ ნათქვამია: „XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქვეყანა ეკონომიური აღმავლობის გზაზე შედგა: გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა, გაჩნდა ახალი საწარმოები, სადაც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ; გახშირდა ყმობიდან გლეხობის თავდახსნა. სამეფო კარზე მზადდებოდა ბატონყმობის გაუქმების პროექტებიც კი. ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ ფეოდალიზმი მისი განვითარების ახალ, გვიანდელ პერიოდში შედიოდა. მაგრამ XVIII ს. 80-იანი წლებიდან დამპყრობელთა შემოსევებმა კვლავ შეაფერხეს განვითარების პროცესი. ამიტომ მხოლოდ XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან გახდა საგ-

---

[46] იხ. კრებული «Переход от феодализма к капитализму», (материалы Всесоюзной дискуссии), Москва, 1969 г., стр. 293—294.

И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе и Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, стр. 4—5.

რძნობი ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და მის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი"[47].

80-იანი წლების რთულმა საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ, რა თქმა უნდა, ნამდვილად შეაფერხა იმდროინდელ საქართველოში ჭიმდინარე პროგრესული სოციალ-ეკონომიური პროცესები, მაგრამ მთლად ვერ შეაჩერა, ვერ მოსპო და ამიტომ, ვფიქრობთ, არ იქნება სწორი ვთქვათ, რომ ფეოდალური ურთიერთობის რღვევის ნიშნები „მხოლოდ XIX საუკუნის 30—40-იანი წლებიდან გახდა საგრძნობი".

XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკითხებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა გ. აკოფაშვილმა. მაგრამ ჩვენ შევეხებით მხოლოდ საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომისათვის დაწერილ მეთერთმეტე თავს (ორიოდე პარაგრაფის გამოკლებით), რომელშიც განხილულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემები. აჯამებს რა თავის დაკვირვებას XVIII საუკუნის 40—80-იან წლებში მიმდინარე ძვრების შესახებ, გ. აკოფაშვილი წერს: „XVIII ს. 40—80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ადგილი აქვს ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას, ხდება მისი ახალი შინაარსით გამდიდრება. მიმდინარეობს შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება, ვითარდება ხელოსნური წარმოება, ფართოვდება საშინაო და საგარეო ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება, მრეწველობაში ისახება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტები. მართალია, ახალი ურთიერთობა ამ დროს ქვეყნის ეკონომიკაზე თვალსაჩინო გავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენს, ვინაიდან საერთო წარმოებაში შედარებით მცირე ადგილი უკავია, მაგრამ მისი ჩასახვა იმის საწინდარი იყო, რომ ხელსაყრელი ვითარების პირობებში იგი სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს დაიკავებდა ქვეყნის საწარმოო ურთიერთობაში"[48].

ავტორი ასევე ჩამოთვლის წარმატებებს სოფლის მეურნეობის დარგში. გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავება, თავისუფალ მწარმოებელთა რიცხვის ზრდა, ფულადი გადასახადების ხვედრითი წონის გადიდება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, საბატონო მეურნეობის შემდგომი გაფართოება და ა. შ., იმის მაჩვენებელი იყო, რომ „აღნიშნულ პერიოდში ქართლ-კახეთის

---

[47] შ. მ ე ს ხ ი ა, ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოს ისტორია (VII—X კლასებისათვის), თბ., 1971, გვ. 145.

[48] სინ, ტ. IV, 1973, წ., გვ. 553.

ეკონომიური ცხოვრება შეუჩერებელი აღმავლობის გზით მიდიოდა"[49].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების გ. აკოფაშვილის მიერ წარმოდგენილი სურათი ძირითადად სწორია, თუმცა ციტირებული ადგილებიდან არ ჩანს, თუ რას გულისხმობს მკვლევარი კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტების ქვეშ. იმას, რაც იოლად ჩნდებოდა და უკვალოდ ქრებოდა, თუ, პირიქით, იმას, რაც სიცოცხლეს ინარჩუნებდა და, მიუხედავად მომდევნო ხანის (90-იანი წლების) არახელსაყრელი პირობებისა, არსებობას მაინც განაგრძობდა? ნარკვევის კონტექსტის მიხედვით ავტორი მეორე პასუხის მომხრედ უფრო გამოიყურება, ვიდრე პირველის, თუმცა, შეიძლება, ჩვენი ვარაუდი მცდარი იყოს.

როგორც ამ ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან ჩანს, მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა XVIII საუკუნის, ან ამ საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის შესახებ. სპეციალისტთა ერთი ნაწილი თითქმის მთლიანად უარყოფს პროგრესული ხასიათის ძვრებსა და პროცესებს განსახილველ პერიოდში, მეორე კი, პირიქით, გადაჭარბებული მასშტაბით წარმოგვიდგენს ამ ძვრებს და ლაპარაკობს ფეოდალური ურთიერთობის ინტენსიურ რღვევაზე. საბოლოოდ ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ წყობაზე. ჩვენი აზრით, სრული ჭეშმარიტება არც ერთის მხარეზეა და არც მეორის. ვფიქრობთ, მართალი არიან ისინი, ვინც კარგად ხედავენ ახალ მოვლენებს XVIII საუკუნის საქართველოს სინამდვილეში, მაგრამ გადაჭარბებულ შეფასებას არ აძლევენ და არ მიიჩნევენ მათ მაშინ გაბატონებული წყობილების სწრაფი დაგარდაუვალი დაღუპვის მაჩვენებლად.

---

[49] სინ, ტ. IV, გვ. 554.

თავი I

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საერთო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება. ცენტრალური ხელისუფლების სამხედრო და სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის ხასიათი

ის მეტად რთული საგარეო პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მოექცა საქართველო XVIII საუკუნეში, თავისთავად ცხადია, ბოჭავდა ხალხის შემოქმედებით საქმიანობას, საწარმოო ძალთა განვითარებას და ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს. ეს განსაკუთრებით ითქმის ხსენებული საუკუნის მეორე მეოთხედზე (1723—1735 და 1735—1747 წლები), როდესაც ქართლსა და კახეთში ჯერ თურქ-ოსმალები და შემდგომ ირანელები ბატონობდნენ. აგრესორთა საფინანსო-ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანს ხარკის გადიდებული რაოდენობით აღება შეადგენდა, არ ითვალისწინებდა ხარკის გადამხდელთა რეალურ შესაძლებლობას და უზომოდ ბეგრავდა მათ, ამით კი ართმევდა სტიმულს შრომა-საქმიანობისადმი. ამ უხეირო პოლიტიკის წყალობით, მეურნეობის თითქმის ყველა დარგი წამგებიანი გახდა, ხალხმა მათ თავი ანება, დასახლებულ-ათვისებული ადგილები დატოვა, დაიფანტა. გაჩნდა (განსაკუთრებით ქვემო ქართლში) ბევრი „ნამოსახლარი“, „ნასოფლარი“, „ნაქალაქარი“.

ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მოგვითხრობს რა ირანელების ბატონობაზე, კერძოდ 1741 წელს მათ მიერ განხორციელებულ ქართლის აღწერასა და მის შედეგებზე, წერს: „იმავ ქრონიკონსა (ე. ი. 1741 წელს — ი. ა.) მოვიდა მუმეიზი (ე. ი. აღმწერი—ი. ა.)... აღწერად ქართლისა ...რაც ძველი ნასოფლარი სადმე იყო ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრეევი დასდვეს. ეგრეთვე ამ სახით შენობა სადმე იყო დიდი ხრეევი დასდვეს... სოფელსა და ბაღსა შინა რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დაჰ-

წერეს, ყმაწვილზე, პირუტყვზე, ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს. ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო"[1]. ყოველივე ამის შედეგად, იმავე თანამედროვის სიტყვით, „მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი ...აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფიდის და აოხრებდის"[2]. ამ მოვლენების ბუნებრივი თანამგზავრი მეურნეობის მოშლა, არსებობის საშუალებათა მკვეთრი შემცირება და გაძვირება იყო. პაპუნა ორბელიანის მოწმობით, მაგალითად, ქართლში ირანელთა ბატონობის დროს პურის ისეთი სინაკლებე ყოფილა, რომ ხალხი თურმე ბალახის კურკას ახმობდა, ფქვავდა, პურად აცხობდა და იმას სჭამდა[3]. უფრო მეტიც, „თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ (მშობლები) თავისის ხელით შვილებს აძლევდენ"[4].

1747 წელს საქართველომ თავი დააღწია ყიზილბაშობას. დადგა შედარებით მყუდრო ცხოვრების ხანა (50—80-იანი და 90-იანი წლების პირველი ნახევარი). ჩვენ ვამბობთ შედარებით მყუდროებაზე, რადგან სრული სიმშვიდე ქართველ ხალხს არც ამ წლებში ჰქონია. ლეკ ფეოდალთა პერმანენტული თავდასხმები იძულებულს ხდიდა მას მუდმივად იარაღასხმული ყოფილიყო, რომ ამ გზით დაეცვა საკუთარი თავი, ოჯახი და უძრავ-მოძრავი ქონება. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე, აღმწერი ერეკლე II-ის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, დაწვრილებით ლაპარაკობს იმ დიდი მატერიალური და სხვაგვარი ზიანის შესახებ, რომელსაც ლეკიანობა აყენებდა ხოლმე ჩვენს ქვეყანას. ყველაფერი ეს გადმოცემული აქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით, წლიდან წლამდე მომხდარი შემოსევების აღწერით: „ლეკებმა ჯავახეთი მოარბიეს და მრავალი ქრისტიანი დაატყვევეს"[5] (1760 წ.)," წამოვიდა დაღისტნის ჯარი საქართველოსა საოხრებლად" (1761 წ.), „შიგნით კახეთს ახმეტას ლეკის ჯარი მივიდა და ამათ მყის თან მიუხდა მეფე ერეკლე" (1762 წ.), „მოვიდა სამაჩაბლოში ...ლეკის ჯარი" (1763 წ.), „დახვდა

---

[1] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, იხ. „ქართლის ცხოვრება", II, პეტერბურგი, 1854, გვ. 345.

[2] იქვე, შდრ. „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", ტ. I, თბ., 1962, გვ. 49, 51, 55, 79, 241, 259; ტ. II, თბ., 1964, გვ. 177, 179.

[3] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 347.

[4] იქვე.

[5] ომან ხერხეულიძე, ცხოვრება ირაკლი მეორისა, „ქართლის ცხოვრება", II, 1854, გვ. 490.

მეფე ირაკლი ლეკის ჯარს მრავალ წყაროზედ გაიმარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს" (1764 წ.), „ლეკის ჯართა გორი დაარბივეს და ტყვე-ნი წარასხნეს. დაუხვდა მეფე ირაკლი სამგორის მინდორში... ლეკის ჯარიც სრულად მოსწყვიტეს და ტყვენიცა გაანთავისუფლეს[6]" (1765 წ.), „დაღისტნის ჯარი გარდავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები ძოარბიეს, სამასამდის ქრისტიანე ტყვე იშოვეს და წარმოვიდნენ"[7] (1767 წ.). მის ცნობებს, ლეკიანობასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილ მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ, ადასტურებენ გიულდენშტედტი[8] და იესე ბარათაშვილი[9]. ორივე თანამედროვე ხაზგასმით ლაპარაკობს იმ დაძაბულ ვითარებაზე, რომელსაც თურმე ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის საქართველოში მტრული შემოსევების შედეგად.

პაპუნა ორბელიანი, აჯამებს რა თავის მსჯელობას ლეკიანობის შედეგების შესახებ, 1767 წლის თარიღით წერს: „დაიცალა საბარათაშვილო სომხითი, ორბელიანთ მამული ...ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო-ქართლში და საერისთოებში, არღარა დარჩა შენობა იმ მხარეს... იყო ცემა ლეკთაგან მარადის და ოხრება საქართველოსა შინა"[10].

ასეთი ვითარება, ცხადია, ვერ შეუწყობდა ხელს ქვეყნის დაწინაურების საქმეს. ხალხი, რომელიც პერმანენტულად იყრებოდა და იხიზნებოდა, საწარმოო საქმიანობას თავს არ აკლავდა, რადგან მეურნეობის წარმოების სტიმული მნიშვნელოვნად დაქვეითებული ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ითქმის ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვემო ქართლზე, სადაც კატასტროფულად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა და გაქრა ინტენსიური (კულტურული) მეურნეობა[11].

როგორც ვხედავთ, თვით XVIII საუკუნის 50—80-იან წლებშიც კი, როდესაც ქართლ-კახეთში შედარებით მყუდროება სუფევდა, არ იყო ნორმალური პირობები საწარმოო ძალების განვითარე-

---

6 ომან ხერხეულიძე, ცხოვრება ირაკლი მეორისა, „ქართლის ცხოვრება", II, 1854, გვ. 490.

7 იქვე, გვ. 491.

8 „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", ტ. I, 13, 27, 31, 79; ტ. II, გვ. 137, 138, 143, 145, 151, 155.

9 იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, 1950, გვ. 18, 22, 37, 69.

10 პაპუნა ორბელიანი, დასახ. თხზულება, ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 473.

11 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 490—491.

ბისათვის, შრომითი საქმიანობის გაშლა-გაფართოებისათვის, სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებისათვის. და მაინც ხალხი გულზე ხელებდაკრეფილი არ იჯდა, შრომობდა და იბრძოდა, დოვლათსაც ქმნიდა და მტერსაც უმკლავდებოდა, ქვეყანასაც იცავდა და საკუთარ თავსაც. ქართველი გლეხი, სოფლის თუ ქალაქის მშრომელი მოსახლეობა, ეფექტურად იყენებდა მშვიდობიანი ცხოვრების მოკლე მონაკვეთებსაც კი მტრის მიერ მოშლილი მეურნეობის აღსადგენად, საწარმოო საქმიანობის გასაშლელად. ასევე იქცეოდნენ ვაჭარ-მრეწველებიც და შსხვილი მემამულე რაციონალიზატორებიც, რაშიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მთავრობის ენერგიული მხარდაჭერა ჰქონდათ.

გიულდენშტედტის მოწმობით, სოფლები ლომისციხე და ვეფხისციხე (კახეთი), აოხრებული, დარბეული და გაუკაცრიელებული ლეკ ფეოდალთა მიერ, აღუდგენია ერეკლე II-ს XVIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად 1762 წელს. შეუგროვებია გადარჩენილი მოსახლეობა, დაუმკვიდრებია აღნიშნულ სოფლებში[12], რითაც მათ ცხოვრებაში დაწყებულა ახალი, შედარებით მყუდრო შრომა-საქმიანობის პერიოდი. მშვიდობიანობის წლები დანგრეულ-გაპარტახებულის აღსადგენად, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ დედოფალ დარეჯანს გამოუყენებია. მოხსენებაში, რომელიც დედოფალმა 1801 წლის აპრილის დამლევს რუსეთის მმართველობას წარუდგინა[13], ასახელებს არაერთ მის მიერ აღდგენილსა და მოწყობილ სოფელს. კუჭატანი, სანავარდო, ველისციხე, კუკია, ქოლაგირი — აი იმ ადგილების არასრული სია, რომელთა ნაწილი დედოფალს საერთოდ თავიდან აუშენებია[14]. ნაწილი კი უფრო კეთილმოუწყვია და მოსახლეობით გაუმდიდრებია[15]. შრომასა და გარ-

---

[12] გიულდენშტედტის მოგზაურობა..., ტ. I, გვ. 31.

[13] ეკე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი (სს), ტ. III, გვ. 295—300, სად. 31..

[14] ასეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, სოფ. კუჭატანი, რომლის შესახებ დედოფალი თავის მოხსენებაში წერს: „კუჭატანი... გახარაბებული იყო, ოცდახუთი წელიწადი იქნება, რომ მე ამიშენებია, კაცნი მომიკრეფია და დამისახლებია", (სს. III, გვ. 295). იგივეა ნათქვამი სანავარდოს შესახებ. „სანავარდოც,—მოახსენებდა დედოფალი მეფის მთავრობას, — გახარაბებული იყო. მეთექვსმეტე წელიწადია მე ავაშენე, ტყე იყო, გავაკაფინე, კაცები აქა-იქ მოვკრიფე, დავასახლე" (ი ქ ვ ე).

[15] ასეთი იყო, მაგალითად, კუკია. დარეჯანი წერს: „წინწყარო სოფელი ხარაბა (იყო). ამის ხალხი აქა-იქ დაფანტულნი მამიკრეფია და კუკიას დამისახლებია" (იქ-ვე, გვ. 299).

ჯას შეჩვეული ხალხი თავის საცხოვრებელ ადგილებსა და საწარმოო საქმიანობას დიდი კატასტროფების შემდეგაც უბრუნდებოდა, თუ კი მას მომავალში მშვიდობიანი ცხოვრების მოწყობის სულ მცირე იმედი მაინც ჰქონდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ თბილისის შედარებით სწრაფი აღდგენა 1795 წლის დარბევის შემდეგ. „მეც ეს მიხარია, — წერდა ბატონიშვილი ალექსანდრე დარეჯან დედოფალს 1797 წელს, — რომ რა ქალაქს გიახელ, არც კაცი იყო და არც ბოლი სდიოდა, ღვთით და თქვენის ბედნიერებით, (ის) თანდათანობით ივსება, მუდამ დღე მილი მილზე უზევს და ხიზანი შემოდის“[16].

მსგავსი მაგალითების მოტანა, ცხადია, კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილიც, ვფიქრობთ, საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ნაყოფიერად იყენებდა მშრომელი კაცი ხშირ საომარ მოქმედებაში თვით მცირე შესვენებასაც კი თავისი მოშლილი სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად, მის ხელახლა მოსაწყობად და წინწასაწევად. სწორედ ეს, უშუალო მწარმოებლის დაუცხრომელი ენერგია და სიყვარული შრომისადმი, იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ განსახილველი ხანის რთულმა და მძიმე საგარეო ვითარებამ, დროის გარკვეულ მონაკვეთებში კი უცხოელ დამპყრობთა ბატონობამ და მათ მიერ დამყარებულმა რეჟიმმა, მაინც ვერ შესძლეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების სრული დამუხრუჭება. აღნიშნულმა გარემოებამ, რა თქმა უნდა, ძალიან შეაფერხა საქართველოს წინსვლა, მაგრამ პროცესი მთლიანად მან მაინც ვერ შეაჩერა. ამ საქმეში, გარდა ხალხისა, ჩანს, დიდი დამსახურება მიუძღვის მთავრობას, ცენტრალურ ხელისუფლებას, თეიმურაზ II-სა და განსაკუთრებით ერეკლე II-ს. მათ მიერ გატარებული სამხედრო, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს შექმნას, მაგრამ მათი ობიექტური შედეგები უფრო შორს მიდიოდა, სცილდებოდა აღნიშნული მიზანდასახულობის ფარგლებს და ხელს უწყობდა ისეთი მოვლენების განვითარებას, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უპირისპირდებოდნენ არსებული წყობილების საფუძვლებს.

---

[16] სს, ტ. III, გვ. 226—227, საბ. 240.

* * *

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და მისი ეკონომიური დაწინაურება ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენები იყო. მშვიდობიანობას მოკლებული ხალხი მეურნეობას ნორმალურად ვერ გაშლიდა, ხოლო მეურნეობამოშლილი ხალხი მტერს ვერ გაუმკლავდებოდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად ესმოდა ერეკლე II-ს, იცოდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვიდობას ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პროგრესის საქმეში და შეეცადა კიდეც მიეღწია მიზნისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საერთო კეთილდღეობას დიდ ზიანს აყენებდა ლეკ ფეოდალთა რაზმების განუწყვეტელი თარეში. ამ მეტად არასასიამოვნო და მძიმე შედეგების მქონე მოვლენის წინააღმდეგ იყო მიმართული ერეკლე II-ის მიერ მორიგე ყარაულების გამოყოფის წესის შემოღება. ამ წესის თანახმად, დასაცავი ტერიტორიის მტრის შემოსევისაგან დაცვა პირველ კაცს — თავადს ევალებოდა. მას მორიგეობით გამოჰყავდა საყარაულოდ თავისი ხელქვეითი აზნაურები და გლეხები. ქვეყნის დაცვის ეს სისტემა, მიუხედავად ზოგი დადებითი მხარეებისა, მაინც არ იყო საიმედო და ვერ პასუხობდა იმ მთავარ ამოცანას, რომელიც დაკისრებული ჰქონდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა თავადსა და მეფეს შორის, იყო თუ არა პირველი მეორის ერთგული და მის დავალებათა შემსრულებელი. რაკი ასეთი ერთგული თავადი ერთობ იშვიათად ან საერთოდ არ იყო, ცხადია, მორიგე ყარაულის გამოყვანის ერეკლეს მიერ შემოღებული სისტემა არასაიმედო აღმოჩნდა და ქვეყნის მტრისგან დაცვაც ვერ შესძლო[17].

უშიშროების უზრუნველყოფის კეთილშობილსავე საქმეს ემსახურებოდა ერეკლეს მეორე ღონისძიებაც — ციხე-სიმაგრეების აშენება. ომან ხერხეულიძის მოწმობით, მას ქართლ-კახეთში 160-მდე ციხე-გალავანი აუშენებია[18]. სწორედ ამან შეაძლებინა მეფეს ლეკ-

---

[17] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 434.

[18] ომან ხერხეულიძე, დასახ. თხზულება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1854, გვ. 499.

იოანე ხელაშვილიც წერს, რომ ერეკლე მეფემ „მრავალნი სოფლები აღაშენა, და ეკლესიანი, და ზღუდენი და უფროსღა მქისიყსა მოსდვა ზღუდე დიდი“ (იხ. მისი „რონინი“, თბ., 1959, გვ. 94—95. რედაქტორ-გამომცემელი ს. კაკაბაძე).

თა არაერთი ძლიერი შემოსევის მოგერიება. მაგრამ თავდაცვის არც ეს საშუალება იყო უნაკლო და ლეკიანობის მომსპობი, რადგანაც მწარმოებელი საზოგადოება, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, „დიდი ხნით ციხე-გალავანში ვერ ჩაიკეტებოდა“[19].

მთავრობა, ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, მეზობელ ხალხთა რაზმების („როქის ჯარის“) დაქირავებასაც ფიქრობდა, მაგრამ ის დიდ ხარჯებთან აღმოჩნდა დაკავშირებული და მისი დაფინანსება შეუძლებელი შეიქნა[20]. რეალური არც ადგილობრივი ჯარის დაქირავება („ნოქარი“) აღმოჩნდა, რადგან ისიც ძვირი ჯდებოდა. ხოლო ხაზინას დიდი თანხის გაღება არ შეეძლო[21]. სახელმწიფო მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმის შენახვის ხარჯებს თუ აიღებდა თავზე, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა, რადგან ლეკიანობის მოსპობა რთული პრობლემა იყო და „ძალების სრულ მობილიზაციას მოითხოვდა“[22].

ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის გაძლიერების ყველაზე უკეთესი საშუალება იყო ეგრეთ წოდებული მორიგე ჯარის სისტემის შემოღება ქართლ-კახეთში 1774 წელს. დამტკიცებული დებულების თანახმად[23], მორიგე ჯარში გადიოდა ფიზიკურად ჯანსაღი ყველა მამაკაცი ერთი თვის ვადით, რომლის შემდეგ მათ სხვები სცვლიდნენ. სამხედრო ვალდებული თავისუფლდებოდა სახელმწიფოსა და სურსათის გადასახადისაგან, სამაგიეროდ საკუთარ ხარჯზე უნდა შეიარაღებულიყო და მომზადებულიყო. მატერიალურად ხელმოკლე გლეხებს თავიანთი ბატონები ამარაგებდნენ, ბატონებივე აგებდნენ პასუხს გლეხის გამოუცხადებლობაზე, ჯარის ნაწილების მეთაურებს მეფე ნიშნავდა. როგორც ამ მოკლე დახასიათებიდან ჩანს, მორიგე ჯარი რეგულარული ჯარის პროტოტიპი იყო და განსხვავდებოდა ფეოდალთა უფროსობით მოქმედი ფეოდალური რაზმისაგან. მორიგე ჯარის შემოღებამ მალე გამოიღო თავისი დადებითი შედეგები. შეწყდა ლეკების თარეში, დამკვიდრდა მშვიდობიანი, ნორმალური ცხოვრება, მიტოვებულ სახლ-კარს დაუბრუნდა დახიზნული მოსახლეობა, მშრომელ კაცს საშუალებ-

---

[19] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 435.

[20] ი ქ ვ ე.

[21] ი ქ ვ ე.

[22] ი ქ ვ ე.

[23] სს. ტ. I, გვ. 177—187.

მიეცა საფრთხის გარეშე ემუშავა ველზე და ა. შ.[24] მაგრამ თავადებს არ აწყობდათ მორიგე ჯარის სისტემა და ყველაფერი გააკეთეს მის გასაუქმებლად. მართალია, ოფიციალურად ის არასოდეს გაუქმებულა, მაგრამ დროთა განმავლობაში, თავადური რეაქციის წყალობით, მან თანდათანობით დაკარგა ადრინდელი ძალა და მნიშვნელობა[25]. ამ ფრიად სასარგებლო საქმეს დიდი ზიანი მიაყენა მისი ფაქტიური მეთაურისა და ენერგიული ხელმძღვანელის ბატონიშვილ ლევანის მოულოდნელმა სიკვდილმა 1781 წელს[26].

აგრესიის მძიმე შედეგების ლიკვიდაციას ცენტრალური ხელისუფლება, თეიმურაზ II და ერეკლე II, კლასობრივი თვალსაზრისით გამართლებული გონივრული სოციალური პოლიტიკის გატარებითაც ცდილობდნენ. მამამ და შვილმა (განსაკუთრებით კი უკანასკნელმა) ყურადღება გლეხთა საკითხზე გაამახვილეს, რადგან შესანიშნავად იცოდნენ, რომ ძირითადი მწარმოებელი კლასის შრომა-ცხოვრების მეტ-ნაკლებად ნორმალურ პირობებში ჩაყენების გარეშე შეუძლებელი იყო სახელმწიფოს ეკონომიური საფუძვლების განმტკიცება, მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. საჭირო იყო გლეხს შრომის სტიმული ჰქონოდა. ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მშრომელი კაცი დაცული იქნებოდა ძალადობისაგან, თავისი ნაღვაწ-ნაამაგარის, უძრავი თუ მოძრავი ქონების სხვათა მიერ მიტაცებისაგან. ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ვითარებაში ეს ძნელი საქმე იყო, მაგრამ ერეკლე სიძნელეს არ შეუშინდა. გაბედულად შეება მას და მის დასაძლევად რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა.

გლეხის სამეურნეო საქმიანობას სერიოზულად აბრკოლებდა ეგრეთ წოდებული ბეითალმანობა. იგი „მიწის ფეოდალური მფლობელობის პირობებში შემუშავებული ძველი წესი იყო და იმ პრინციპს ემყარებოდა, რომ მამული პატრონისაა, ხოლო ყმა მამულის „მჭერავია“ და პატრონს ამ მამულით „ემსახურება“[27]. ბეითალმანო-

---

[24] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბილისი, 1946 წ. გვ. 397—398.

[25] იქვე, 398.

[26] იქვე.

[27] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 402—403.

ბის წესის თანახმად[28], უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი გლეხის უძრავ-მოძრავი ქონება მისი ბატონის განკარგულებაში გადადიოდა. კანონი, რომელიც მემკვიდრის ქვეშ მხოლოდ ვაჟიშვილს გულისხმობდა, არც გარდაცვლილის ქვრივს და არც მის ქალიშვილს არაფერს უტოვებდა. ასე რომ, გლეხს, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, „ყოველ წამს თვალწინ ედგა მისი ნაჭირნახულევის მიტაცებისა და მისი ოჯახის განადგურების საშინელი სურათი"[29]. ეს, ცხადია, უკარგავდა ინტენსიური მეურნეობის მოწყობის სტიმულს. ერთი სიტყვით, ბეითალმანობის წესი აფერხებდა გლეხური მეურნეობის განვითარებას და განვლილი ეტაპისკენ ექაჩებოდა მას.

ამ წესის უარყოფით შედეგებს კარგად ხედავდნენ არა მარტო უშუალო მწარმოებელნი, არამედ თვით ფეოდალური კლასის ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილიც. ბეითალმანობა ყველაზე ადრე ალავერდელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა მოსპო. მან, 1749 წელს დამტკიცებული სიგელით, თავის სამფლობელოში აკრძალა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილ ყმათა მამულების ხსენებული წესის მიხედვით გადაცემა. ალავერდელმა უძეო გლეხის ქონების კანონიერ მემკვიდრედ მისი ქვრივი და ქალიშვილი გამოაცხადა. „რომელსა ჩვენს საყმოში კაცი მოკუდეს, — ნათქვამია განსახილველ დოკუმენტში, — ჩვენი ყმა და ქვრივი დარჩეს, და ვაჟი არ დაუშთეს, და იმ ქვრივს იმ მამულზე დგომა უნდოდეს, ვინც იმას ვენახი, აგარაკი მიწა და საქონელი წაართოს, შეჩვენებულმც არს"[30]. და კიდევ. „ჩვენს მამულში, სადაც კაცი მოკუდეს და დედაკაციც, და მათ ერთი გინა ორი ქალი დარჩეს, თავისი მამული ნუ მოეშლება; ნურც თავის მამის და დედის საქონელი გამოერთმევა; იმ მამულმა და საქონელმა გაზარდოს, შეინახოს და დააჭორწილოს"[31].

მალე, ალავერდელის შემდეგ, ბეითალმანობის წესი ერეკლე მეორემაც შეცვალა თავის სახასო მამულებში, კახეთში. მეფის მიერ დამტკიცებულ განჩინებაში აღიარებულია გლეხის ქვრივისა და ქა-

---

[28] ქართლში XVII საუკუნის შუა წლებიდან საყოველთაოდ შემოსული, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისს საბოლოოდ დაკანონებული ბეითალმანობის წესი თანდათანობით კახეთშიც ვრცელდება (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 403).

[29] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 403.

[30] ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ), ტ. III, გვ. 811.

[31] ი ქ ვ ე, გვ. 811—812.

ლიშვილების უფლება გარდაცვლილი ქმრისა და მამის ნაჭირნახულევზე[32].

მართალია, არც ალავერდელი ეპისკოპოსისა და არც ერეკლეს განწესებას არ ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით მომქმედი კანონის ძალა და ხასიათი—ხსენებული წესები სავალდებულო იყო მხოლოდ მათ (მეფე-ეპისკოპოსის) საყმო სამფლობელოებში. მაგრამ კახეთის სხვა ფეოდალებიც იძულებული ხდებოდნენ ანგარიში გაეწიათ მომხდარი ცვლილებებისათვის, მიებაძათ ზემოთ დასახელებული ორი უდიდესი სასულიერო და საერო ფეოდალისათვის და თვითონაც იგივე გაეკეთებინათ.

მწარმოებელი კლასის ეკონომიური მდგომარეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი სახელმწიფო თუ საბატონო გადასახადების რაოდენობა იყო. განსახილველი ხანის საქართველოში კი საგლეხო გადასახადი, როგორც ეს მასალებიდან ჩანს, ხშირად იზრდებოდა, რაც შრომის ხალისს უკარგავდა გლეხს, აბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. ერეკლე მეორემ ყურადღება მიაქცია ამ საკითხს და სცადა მისი მოგვარება, პირველ რიგში, კახეთის საძეფო და სადედოფლო მამულებში. მან მოიძია ძველი საგადასახადო წიგნები, შეადარა თავისდროინდელ დავთრებს და სადაც გადასახადი გადიდებული ნახა — შეამცირა, ადრინდელი ნორმები აღადგინა[33].

XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ერეკლემ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კანონი გაატარა — კატეგორიულად აკრძა-

---

[32] ქსძ, II, გვ. 412—413; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 403.

ქალიშვილის მემკვიდრეობით უფლებებზე. მაგალითად, განჩინებაში ნათქვამია: „თუ ქალი დარჩეს, მამულიც იმისია და საქონელიც. თუ სხვაგან არ გათხოვდა. და თუ სხვაგან გათხოვდა, საქონელი იმისია და მამული ბატონისა არის“ (ქსძ, II, გვ. 413).

[33] „ჩვენ, — ნათქვამია ერეკლეს ამ განჩინებაში, — რაც ძველთაგან დაეთრები ან წიგნები იყო კახეთისა, ყველა გავსინჯეთ, რაც ჩვენი სამეფო, სახასო. ან სადედოფლო სოფლები იყო, და ანელებისა, ასე გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რ ა ც ზ ო გ ი ს ა მ ო ს ა კ ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო, მ ო უ კ ე ლ ი თ, და ზოგი, რ ო გ ო რ ც ძ ვ ე ლ თ ა გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, ა გ რ ე ვ ე გ ა ვ ა რ ი გ ე თ“ (ქ ს ძ, II. გვ. 410; სს, III, საბ. 160,). საბუთს ზუსტი თარიღი არ უზის, თარიღდება 1744—1762 წლებით, რადგანაც მასში ერეკლე მხოლოდ კახეთის მეფედ ჩანს და არა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს.

ლა გლეხის უმიწოდ გაყიდვა[34], რაც, ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი შენიშვნით, არსებითად ძველი, XIV საუკუნის მომდევნო ხანაში მებატონეთა მიერ დარღვეული კანონის აღდგენა იყო. ამიერიდან არა მარტო გლეხი კარგავდა თავისი ნება-სურვილით ბატონის მიწის დატოვების უფლებას. არამედ ამ უკანასკნელსაც ეკრძალებოდა მისი იქიდან აყრა-გაძევება. ამ გარანტიას მოკლებული გლეხი მიწაზე დასმულ მონას უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ნახევრად თავისუფალ მწარმოებელს და ამიტომ, ცხადია, მეტად უმნიშვნელო იყო მისი სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობა. ერეკლეს მიერ გატარებული ღონისძიება კი სწორედ ამ უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას, ქართული ბატონყმური ურთიერთობის ნორმალიზაციას, მისი ჩიხიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად[35].

ზემოთ განხილულ კანონთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერეკლეს ღონისძიება, რომლის მიხედვით აიკრძალა გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. ამიერიდან ბატონი მოვალე იყო ყმა, თუ კი მისი გაყიდვა-გასხვისება აუცილებელი და გარდაუვალი იყო, მთელ ოჯახთან ერთად გაეყიდა და არ დაეშვა მათი ერთიმეორისაგან გათიშვა. ეს კანონი, ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ზემორე კანონს (მხედველობაშია კანონი გლეხის უმიწოდ გაყიდვის აკრძალვის შესახებ — ი. ა.) ავსებდა და ორივე ერთად გლეხის ოჯახის აღდგენას, მონადექცეული მიწის მუშის კვლავ გლეხად გადაქცევას გულისხმობდა“[36].

---

[34] ამ კანონის შესახებ თვით ერეკლე წერდა (1787 წ.): „ჩვენ კარგა ხანია ხელი აგვიღია, რომ უმაჯულო კაცი აღარავის გაკასყიდვინოთ“ (ს ს ც ი ა, ფ. 1450, დავ. 5, საბ. 92. მომყავს საქ-ს ისტორიის ნარკვევების (სინ) მიხედვით, IV, გვ. 526).

[35] ერეკლეს ამ კანონის არსისა და მნიშვნელობის შესახებ საერთოდ, იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 405; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, Крестьянский вопрос..., გვ. 180.

[36] ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე რუსი მოაზროვნეები მოითხოვდნენ გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვის აკრძალვას და თვლიდნენ მას სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად. მაგალითისათვის შეიძლება ალექსი იაკობის ძე პოლენოვი (1738—1816). ცნობილი რუსი განმანათლებელი დავასახელოთ, რომელიც ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხზე წერდა: „თუ ვინმე გადაწყვეტს ყმის გაყიდვას, გაყიდოს, მაგრამ არა ცალ-ცალკე, არამედ მიწასთან და ოჯახის წევრებთან ერთად— მშობლები არ უნდა დააშორონ ბავშვებს, ძმები — დებს, მოყვრები — მოყვრებს. მათ ცალ-ცალკე გაყიდვას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შედეგად მოსდევს ხალხის გადაკვარება და მიწათმოქმედების მკვეთრი დაცემა“ («Избранные произведения

რთული საგარეო მდგომარეობა, აგრესორთა ხშირი თავდასხმები და ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერება განაპირობებდნენ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ისეთი არასასიამოვნო და საშიში მოვლენის გავრცელებას, როგორიც იყო ადგილობრივი მოსახლეობის უცხოეთში გადახვეწა. მწარმოებელი კლასის რაოდენობის შემცირება საქართველოს ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, მის სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს და საერთოდ ფრიად არასახარბიელო პერსპექტივას სახავდა. ამიტომ, ცხადია, გაქცეული ხალხის უკან დაბრუნებას და ამ გზით მოსახლეობის რიცხვის გაზრდა-გადიდებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა მას, კერძოდ, ერეკლე II, რომელმაც სათანადო კანონებიც კი გამოსცა ამ მიმართულებით. საკმარისია დავასახელოთ 1765 წლის დებულება ტყვეობიდან საკუთარი სახსრებით სამშობლოში დაბრუნებულ ყმათა თავისუფლების შესახებ და კანონი უცხო ქვეყნიდან მოყვანილი კაცის მომყვანის საკუთრებად აღიარების შესახებ[37] (XVIII ს. მეორე ნახევარი). პირველ მათგანზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ[38]; რაც შეეხება მეორეს, მის შესახებ ბატონიშვილი დავითი თავის „ობოზრენიეში" წერს: «Помещикам не возбраняется приобретать людей за границею и селить на своих землях. Люди остаются за тем, кто склонит их поселиться в Грузии, на общем о переселенцах положении. Строго запрещается переманивать и склонять их на свою сторону»[39].

მოსახლეობის გამრავლების საქმეს ემსახურებოდა ერეკლეს კანონიც საქართველოში ჩამოსულ უცხო ქვეშევრდომობის პირთა შე-

---

русских мыслителей второй половины XVIII века», т. II, 1952, გვ. 15; ი. ანთელავა, რუსეთის საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია, თბ., 1971, გვ. 6—7).

[37] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 407.

[38] დაწვრილებით ამაზე იხ. ი. ანთელავა, ერეკლე II-ს 1765 წლის კანონი ტყვედყოფილთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. იხ. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.

[39] ბატონიშვილი დავითი, Обозрение Грузии по части прав и законоведения, (ტექსტი შესავალი წერილით გამოსცა ა.ა. როგავამ), თბ., 1959, გვ. 267, მუხ. 874; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 407.

სახებ, რომლის შინაარსი გადმოცემულია ბატონიშვილ დავითის „ობოზრენიეს“ რამდენიმე მუხლში. ხსენებული კანონი ნებას აძლევდა ადგილობრივ მებატონეებს უცხოეთიდან ჩამოსული გლეხები მიეღოთ თავიანთ ხელქვეითობაში[40] და მიეცათ მათთვის მიწა, ბაღი და საერთოდ ყველაფერი ის, რაც აუცილებელი იყო მეურნეობის მოსაწყობად და გასამართავად[41]. ახლად ჩამოსულს უფლება ჰქონდა ხუთი წლის განმავლობაში დაეტოვებინა მისი ბატონი, შეძენილი ქონება და გადასულიყო მეორესთან ან საერთოდ თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი იგი კარგავდა ამ უფლებებს და სამუდამოდ მემამულის განკარგულებაში რჩებოდა[42]. ის უცხოელი კი, რომელიც საქართველოში ჩამოსვლისას მეურნეობის გასამართავად არ მიიღებდა არც მიწას და არც სხვა სავარგულებს, გაორკეცებული ვადით, ე. ი. 10 წლით, რჩებოდა არაყმურ, თავისუფალ მდგომარეობაში[43].

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული[44], რომ XVI — XVIII საუკუნეების საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურსა და ეკონომიურ მდგომარეობას ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობამ უფრო მეტი და საგრძნობი ზიანი მიაყენა, ვიდრე გარეშე მტრების შემოსევებმა. ეს ანტიხალხური მოვლენა, რომელიც განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში გავრცელდა, გადაგვარებით ემუქრებოდა ქართველ ხალხს, დიდ საფრთხეს უმზადებდა მის ფიზიკურ არსებობას. მთელი ხალხი, მისი მოწინავე ადამიანები თავიდანვე აღდგნენ აღნიშნული სიმახინჯისა და მისი ცხოვრებაში გამტარებელი თავადაზნაურობის გადაგვარებული ნაწილის წინააღმდეგ. XVI საუკუნეში დაწყებული ბრძოლა მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. საკმაო სიმძაფრით მიმდინარეობდა იგი XVIII საუკუნეშიც. მას სათავეში ედგა ცენტრალური საერო და სასულიერო ხელისუფლება. რომლებიც ენერგიულად უტევდნენ ტყვეებით მოვაჭრე ფეოდალებს და აიძულებდნენ ხელი აეღოთ ამ სამარ-

---

40 ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ, Обозрение Грузии по части прав и законоведения, (ტექსტი შესავალი წერილით გამოსცა აპ. როგავამ), თბ., 1959, გვ. 267, მუხ. 874; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 273.

41 ი ქ ვ ე, მუხ. 274.

42 ი ქ ვ ე, მუხ. 275.

43 ი ქ ვ ე, მუხ. 276.

44 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, 1946, წ., გვ. 355.

ცხვინო კომერციაზე. მაგალითად, ასეთი იძულების შედეგად იმერელმა ბურჯანაძეებმა პირობა მისცეს აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლს ამიერიდან არ გარეულიყვნენ ტყვის ყიდვა-გაყიდვასა და მოპარული კაცის გადამალვაში[45]. მოგვიანებით, სახელდობრ 1747 წელს, ავალიშვილების მიერ კათალიკოს ანტონ I-სადმი მიცემულ პირობის წიგნში ნათქვამია: „ჩვენს ოჯახში, მამულსა და ადგილში მრავალი უკეთურობა და სიბოროტე იყო: ტყვის სყიდვა, კაცის კვლა, მრუშობა, კაცთა ცარცვა და მრავალი (სხვა)... აწე მობრძანდით ჩვენს ოჯახში..., გვასწავეთ, გვიბძანეთ და დაგვმწყსევით. ჩვენც ეს პირობა მოგახსენეთ და აღთქმა დავდევით..., რომ დღეს ამას იქით არ გავერიოთ ტყვის სყიდვაში, არც კაცის კვლასა და რაც ჩვენში... აქამომდე უკეთურობა და სიბილწის ჩვეულება იყო, ხელიც ავიღოთ... თუ ჩვენს საბატონოში, ყმასა და მამულში ტყვე გაყიდოს ვინმე(მ), თუ შევიძლოთ დავიჭიროთ, ის ტყვეცა და ტყვის გამყიდველიც ორივ თქვენ მოგართვათ და თუ ვერ მოვერივნეთ, ისიც თქვენ მოგახსენოთ“[46].

იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შეუნელებელმა და უკომპრომისო ბრძოლამ ამ სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს მთავრები და ფეოდალური კლასის სხვა წარმომადგენლები აიძულა უარი ეთქვათ ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობაზე. მათ 1759 წელს „მტკიცე“ პირობა მისცეს მეფეს, რომ დღიდან ხსენებული დოკუმენტის გაფორმებისა, მათს სამფლობელოებში არ გაიყიდებოდა არც ერთი ტყვე[47]. ოსმალეთის მთავრობამ, რომლის სავაჭრო ინტერესებსაც დიდ ზიანს აყენებდა აღნიშნული დადგენილება, კატეგორიულად მოსთხოვა სოლომონ I-ს გაეუქმებინა იგი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია — მეფე ბოლომდე ერთგული დარჩა მიღებული გადაწყვეტილებისა[48].

დავით ბატონიშვილის მოწმობით, ქართლ-კახეთის სამეფოში, მისი არსებობის ბოლო ხანებში, მონებით მოვაჭრე ადამიანების წინააღმდეგ შემდეგი წესი ყოფილა დადგენილი: ტყვის გამყიდველს, დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, ევალებოდა მისი უკან

---

45 სს, ტ. I, 1920, გვ. 47. საბ. 19. საბუთი შედგენილია არა უადრეს 1707 და არა უგვიანეს 1710 წლისა.

46 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (დსსი), I, 1940, გვ. 333, საბ. 470.

47 АКАК, I, გვ. 56—57.

48 И. Г. Антелава, Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1951, 74—76.

გამოსყიდვა, დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ და ცოდვების მონანიება ეკლესიაში[49]. თუ კი გაყიდულის უკან დაბრუნება რაიმე გარემოების გამო შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ დამნაშავე ისჯებოდა როგორც მკვლელი[50]. ეს ამბები იმავე ავტორის მიერ შემუშავებულ მეორე იურიდიულ ძეგლში ასეა ჩამოყალიბებული: „ვინცა ვინ სარწმუნოებისა ჩვენისა... ანუ შვილი მამულისა ჩვენისა გაყიდოს, უკეთუ შეიძლებოდეს, ტყვე იგი უკანვე დაახსნევინონ და იგიცა მძიმისა სამეფოსა ჯურუმითა განიჯურუმოს და შემდგომად ამისსა ეკკლესიურითა კანონითა განიკანონოს. ხოლო უკეთუ ვერღარა დაიხსნებოდეს უკან ტყვე იგი, თვინიერ შეწყალებისა სიცოცხლესა მოაკლდეს გამსყიდველი მისი“[51].

ხელისუფლებისა და საზოგადოების მოწინავე ადამიანების ინტენსიური ბრძოლა აქ განხილული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ძირფესვიანად ვერ აღმოფხვრიდა[52] ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემაფერხებელ ამ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, მაგრამ იგი მის შემდგომ გაფართოებასაც შეუძლებელს ხდიდა.

ცენტრალური ხელისუფლება, კერძოდ ერეკლე II, შეუნელებლად იღწვოდა სამეფო (სახასო) ყმა-მამულების გასამრავლებლად.

---

[49] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ი, Обозрение..., მუხ. 867.

[50] ი ქ ვ ე.

[51] „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, თბილისი, 1964, გვ. 94. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ.

[52] რომ ეს სოციალური ბოროტება XVIII საუკუნის მიწურულისთვისაც არ იყო საბოლოოდ აღმოფხვრილი, ჩანს ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ასევე ენერგიულად მებრძოლის, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის 1786 წლის წერილიდან გენერალ პავლე პატიონკინისადმი. იქ ნათქვამია: „ეშმაკის მანქანამ და ხელოვნებამ ჩვენის დიდი კაცების გულში საძაგელი საქმე დასთესა და ტყვეთ გაყიდვის ქამი შემოიღეს. ჩვენის ქვეყნიდამ ოთხი ქრისტიანე ტყვე ახალციხის ფაშას გაუგზავნეს... მრავალი რიგად ვეცადენით..., რომ ამ რიგი საქმეები არ ექნათ, მაგრამ მათს გულში არც სიყვარული, არც მოთმინება და სიკეთე ინებეს და იმდენი ფიცი და პირობის გამოღება უარყვეს და აღუდგნენ ამდენს ქვეყანას. ჩვენ ეს ვეღარ მოვითმინეთ... და მყის ერთხმობით ჩვენ, დიდიანი და გურიელი და ყოველი საიმერეთოს თავადნი და აზნაურნი ერთად შეეკრბით და ერთობით მოგახსენებთ და გევედრებით. რომ ამათის მიზეზით დიდებული ხელმწიფის წყალობა და საფარველი არ მოგვეღოს... თუ საუკუნოდ შეინანებენ ამ... შეცოდებას, ჩვენც ვაპატიებთ და მიუტევებთ და თუ არ შეინანეს — ბრალი ამათი... ამათთანა კაცებით ჩვენს ქვეყანას არ წავახდენთ“ (Центральный государственный военно-исторический архив в Москве — ЦГВИАМ, ф. 52, оп. 194, д. 20, л.л. 34—35).

1767 წელს ერეკლემ ქართლში მეფის სახასო ყმები „მოიკითხა“. გაირკვა, რომ ბევრი მათგანი ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს კერძო მებატონეებს მიეთვისებინათ. დაიწყო მათი უკან დაბრუნების პროცესი. არაერთი ფეოდალი გამოეთხოვა დიდი ხნის წინათ მიტაცებულ ყმა-მამულს და განსაკუთრებით დაზარალდნენ, რადგან შექმნილ ვითარებაში „ყოფილ სამეფო ყმებად თავი გამოაცხადა მრავალმა საბატონო ყმამ“[53]. ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარება ხელს უწყობდა არა მარტო სამეფო ხელისუფლების ეკონომიური საფუძვლების განმტკიცებას, არამედ საერთოდ ქვეყნის სოციალურსა და სამეურნეო პროგრესს. სამეფო გლეხებს, როგორც ცნობილია, შედარებით უკეთესი უფლებრივი და საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ. ამიტომ, ბუნებრივია, ისინი უფრო ადრე და უფრო იოლად ებმებოდნენ ახალი ურთიერთობისათვის დამახასიათებელ მოვლენებში, ვიდრე საბატონო და საეკლესიო ყმები.

ბრძოლა „ბატონყმობის რიგის“ დაცვისათვის წითელი ზოლივით გასდევს ერეკლე II-ის მთელს საგლეხო პოლიტიკას. ამის შესახებ ჩვენ სხვაგანაც გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ მეფის კატეგორიული ბრძანებები, გლეხებისათვის უდების დაუდებლობისა[54] და მათი აყრა-გაქცევის პასუხისმგებლობის მებატონეებისათვის დაკისრების[55] შესახებ, გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა პრივილეგიური წოდების თვითნებობა და ინტენსიური მეურნეობისაკენ უბიძგებდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას, „მოკლედ,—წერს ნ. ბერძენიშვილი,—ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან-ბო-

---

[53] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 408.

[54] აი ეს ბრძანება: „რომელიც ამათი დებულება არ არის და არ სდებიათ, იმას გარდა თუ მეტი რამე მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექეცით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან გიჩიელესთ, იცოდეთ რომ გიწყენთ“ (მომყავს, ნ. ბერძენიშვილთ, იხ. მისი — საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 407).

[55] „თუ რომ თქვენი მამულიდან მემკვიდრე კაცი აიყარა, და წავიდა სადმე, ერთი კაცი რომ აიყაროს, იცოდეთ, დიაღ ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ“ (იქვე, გვ. 408).

საბუთები „ბატონყმური რიგის“ დაცვის აუცილებლობის შესახებ იხ. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные грамоты, [ГЦГ], გვ. 99; მისივე, ГКГ, გვ. 27 — 28, 38 — 39; ნ. ბერძენიშვილი, დსსი, 1, გვ. 351, სამ. 496; სსცია ფონდი 1448, სამ. 414, 447, 492, 499, 644, 1145, 1828, 1829, 3029; საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი — სმახი, ფონდი სამ. 14789 და სხვ.

განოთა შემცირებისაკენ, სამშობლოს დამცველ მემკვიდრე ,გლეხთა, შეძლებულ გამომღებ მიწის მუშათა გამრავლებისაკენ, ბატონყმობის გაჯანსაღებისაკენ, მისთვის განვითარებისა და ნაყოფიერების უნარის დაბრუნებისაკენ, საქართველოს ხსნისაკენ"[56]. ყოველივე ეს კი, ერეკლეს ნებისა და სურვილის გარეშე, წარმოშობდა ისეთ მოვლენებს, რომლებიც არსებულ წყობილებას ვერ უთავსდებოდნენ და თანდათანობით სახიფათო მდგომარეობას უქმნიდნენ.

ერეკლე II-ის სოციალური და ეკონომიური პოლიტიკა მარტო გლეხის მოღონიერებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებას არ ისახავდა მიზნად. სამეფო ხელისუფლება, გამომდინარე ქვეყნის სამხედრო და ფისკალური ინტერესებიდან, მთელი სახალხო მეურნეობის საიმედო საფუძვლებზე დაყენებას ცდილობდა; ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ვაჭარ-ხელოსანთა სასარგებლოდ, მათი საქმიანობის გასაძლიერებლად. მათ რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, საკუთრების ქალაქური წესის მიღება 1770 წელს, რომლის მიხედვით, უშვილოდ გარდაცვლილი მოქალაქის ქონება მეფეს კი არ რჩებოდა, არამედ ამ მოქალაქის თუნდაც შორეულ ნათესავს[57]. იგივე ითქმის ერეკლეს ისეთ ღონისძიებაზე, როგორიცაა თვითნება, ვაჭრების მძარცველ-შეურაცხმყოფელი ფეოდალების დატუსვა[58]. საბაჟო ცხოვრება-ნორმების გადასინჯვა[59] და სხვ.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა მრეწველობა საერთოდ, განსაკუთრებით კი მისი ისეთი დარგები, როგორიც იყო ზარბაზნებისა და ყუმბარების ჩამომსხმელი წარმოება და სამთამადნო მრეწველობა. 1774 წ. ოსმალეთიდან ჩამოყვანილი ბერძენი ოსტატების მეშვეობით ახტალის, ალავერდისა და შამბლუღის წარმოებებში საქმე სწრაფად და კარგად წავიდა წინ. მარტო ახტალის „ქარხანა" ზოგ „იღბლიან" წელს

---

[56] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 409.

[57] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 224; ტ. VI, გვ. 443. შდრ. სინ. IV, 527.

[58] ი ქ ვ ე, VI, გვ. 442.

[59] ი ქ ვ ე.

ვაჭრებს მფარველობას არც თეიმურაზ II აკლებდა. მას, როგორც კათალიკოს ანტონის ერთი სიგელიდან ჩანს, ვაჭარი ვინმე ბაღდასარა კალუანთშვილი გაუთავისუფლებია გადასახადისაგან მცხეთის ეკლესიის სასარგებლოდ. კათალიკოსს უცნია აღნიშნული დოკუმენტის ძალა და 1769 წელს თავის მხრივ მისთვის დასტური მიუცია (Д. П у р ц е л а д з е, Грузинские крестьянские грамоты—ГКГ, стр. 22).

90 ფუთამდე წმინდა ვერცხლს იძლეოდა[60]. ამან საგრძნობლად გაზარდა სახელმწიფო შემოსავალი[61]. ერეკლე ცდილობდა საქართველოში გაეხსნა შაქრის (მოლაპარაკება ინდოელ სომეხ დიდვაჭარ შაჰამირ აღასთან), მინისა და მაუდის დამამზადებელი წარმოებები, რათა ამ გზით მოღონიერებული ქვეყანა მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე დამდგარიყო.

* * *

ჩვენ შევჩერდით ცენტრალური ხელისუფლების, უპირატესად ერეკლე II-ის მიერ გატარებულ სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებზე, რომელთაც ერთნაირი წარმატება არ ჰქონიათ, მაგრამ არც ერთს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი მწარმოებლური ძალების ამოქმედებას, მშრომელი მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას, მისი საქმიანობის გაშლას, ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ წინსვლას. რთული საგარეო-პოლიტიკური ვითარება დიდ საფრთხეს უქმნიდა, ამუხრუჭებდა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო პროგრესს, მაგრამ აგრესორთა ვარაუდი საერთოდ ჩაიშალა, რაშიც უსათუოდ დიდი როლი ითამაშა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მთავრობის გონივრულმა პოლიტიკამ. მისი წყალობით, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, მოხერხდა მტრის მიერ მიყენებული ზიანის საგრძნობი მასშტაბით კომპენსირება.

დასკვნები

ამ თავიდან გამომდინარე დასკვნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

I. რთული საგარეო პოლიტიკური ვითარება, რომელშიც მოექცა საქართველო. XVIII საუკუნეში, თავისთავად ცხადია, ბოჭავდა ხალხის შემოქმედებით (სამეურნეო) საქმიანობას, საწარმოო ძალთა განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს, მის დაწინაურებას. განსაკუთრებით ითქმის ეს ხსენებული საუკუნის მეორე მეოთხედზე (უფრო ზუსტად 1723—1735 და 1735—1747 წლებზე), როდესაც ქართლსა და კახეთში ზედიზედ თურქ-ოსმალე-

---

60 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 442.

61 მისი მეხუთედი მადნებზე მოდიოდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, გვ. 441).

ბი და ირახელები ბატონობდნენ. აგრესორთა საფინანსო-ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანს მხოლოდ ხარკის გადიდებული რაოდენობით აღება წარმოადგენდა, არ ითვალისწინებდა გადამხდელთა რეალურ შესაძლებლობას, უზომოდ ბეგრავდა მათ და ამით შრომა-საქმიანობის სტიმულს ართმევდა. ამ უხეირო პოლიტიკის წყალობით, მეურნეობის თითქმის ყველა დარგი წამგებიანი გახდა, ხალხმა მათ თავი ანება, ათვისებული ადგილები დატოვა, დაიფანტა. გაჩნდა (განსაკუთრებით ქვემო ქართლში) ბევრი „ნამოსახლარი, „ნასოფლარი", „ნაქალაქარი".

2. 1747 წელს საქართველომ თავი დააღწია ყიზილბაშობას. დადგა შ ე დ ა რ ე ბ ი თ მყუდრო ცხოვრების ხანა, რომელმაც მოიცვა მთელი 50—80-იანი და 90-იანი წლების პირველი ნახევარი. ჩვენ ვლაპარაკობთ შედარებით მყუდროებაზე, რადგან სრული სიმშვიდე ქართველ ხალხს არც ხსენებულ წლებში ჰქონია. ლეკ ფეოდალთა პერმანენტული თავდასხმები იძულებულს ხდიდა მოსახლეობას მუდმივად იარაღასხმული ყოფილიყო, ამ გზით დაეცვა საკუთარი თავი, ოჯახი და უძრავ-მოძრავი ქონება. წყაროებში დაწვრილებითაა აღწერილი ის დიდი მატერიალური ზიანი, რომელსაც ლეკიანობა აყენებდა ხოლმე მაშინ ჩვენს ქვეყანას. ასეთი ვითარება, ბუნებრივია, ვერ შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს მეურნეობის განვითარებისა და აყვავებისათვის. ამრიგად, თვით XVIII საუკუნის 50—80-იან წლებშიც კი, როდესაც ქართლ-კახეთი თავისუფალი იყო უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან და ქვეყანაში შედარებით მყუდროება სუფევდა, არ იყო ნორმალური პირობები საწარმოო ძალების განვითარებისათვის, სამეურნეო ცხოვრების დაუბრკოლებელი წინსვლისათვის.

3. და მაინც ხალხი გულხელდაკრეფილი არ იჯდა, იგი შრომობდა და იბრძოდა, დოვლათსაც ქმნიდა და მტერსაც უმკლავდებოდა, ქვეყანასაც იცავდა და საკუთარ თავსაც. ქართველი გლეხი, სოფლის თუ ქალაქის მშრომელი მოსახლეობა ეფექტურად იყენებდა მშვიდობიანი ცხოვრების მოკლე მონაკვეთებსაც კი მტრის მიერ მოშლილი მეურნეობის აღსადგენად, საწარმოო საქმიანობის გასაშლელად (ასევე იქცეოდნენ ვაჭარ-მრეწველებიც და მსხვილი რაციონალიზატორი მემამულეებიც). უშუალო მწარმოებლის ეს დაუცხრომელი ენერგია და შრომისადმი სიყვარული იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ განსახილველი ხანის რთულმა და მძიმე საგარეო ვითარებამ, დროის გარკვეულ მონაკვეთებში კი უცხოელ

დამპყრობთა ბატონობამ და მათ მიერ დამყარებულმა რეჟიმმა, ვერ შეძლეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების სრული დამუხრუჭება. აღნიშნულმა გარემოებამ, რა თქმა უნდა, ძალიან შეაფერხა საქართველოს წინსვლა, მაგრამ პროცესი მთლიანად მან მაინც ვერ შეაჩერა.

4. ამ საქმეში, გარდა ხალხისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთავრობის, ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკას. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის (განსაკუთრებით კი უკანასკნელის) მიერ გატარებული სამხედრო და სოციალ-ეკონომიური ღონისძიებები (მორიგე ჯარის დაწესება, ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ, „ბატონყმობის რიგის“ დაცვა, კანონი ბეითალმანი მამულისა და ვაჭართა მესაკუთრული უფლებების შესახებ, გლეხების უმიწოდ გაყიდვის აკრძალავი ძველი კანონის აღდგენა, მათი საგადასახადო ტვირთის რეგულირება-შემსუბუქების ცდა და სხვ.) მიზნად ისახავდნენ ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს შექმნას, ხალხის სამეურნეო საქმიანობის გაშლა-გაფართოებას, აგრესიის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციას, ზარალის კომპენსირებას. ამ უკანასკნელს მთავრობა, როგორც ქვემოთ ვნახეთ, მართლაც აღწევდა თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც. მაგრამ მისი პოლიტიკის ობიექტური შედეგები უფრო შორს მიდიოდა, სცილდებოდა აღნიშნული მიზანდასახულობის ფარგლებს და ხელს უწყობდა ისეთი მოვლენების განვითარებას, რომლებიც, ს ა ბ ო ლ ო ო ჯამში, უპირისპირდებოდნენ არსებული წყობილების საფუძვლებს.

თავი II

სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარება XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ XVIII საუკუნის არც ერთ მონაკვეთში, თვით ძნელბედობის ხანის, ე. ი. ოსმალებისა და ყიზილბაშების ბატონობის პერიოდის (1723—1735 და 1735—1747 წწ.) ჩათვლითაც კი, სასაქონლო ურთიერთობა არ ჩამკვდარა, ქვეყანა ნატურალური მეურნეობის ნორმებს არ დაბრუნებია. სწორედ პირიქით. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალა ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ განსახილველი ხანის საქართველოში, მიუხედავად მრავალი დამაბრკოლებელი გარემოებისა, მაინც მიმდინარეობდა გარკვეული სოციალურ-ეკონომიური პროგრესი, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარება წარმოადგენდა. ეს კი არღვევდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ერთ-ერთ საფუძველს — ნატურალურ მეურნეობას.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე უხვ საყურადღებო მასალას იძლევა ეგრეთ წოდებული დანახარჯების ნუსხები, შედგენილი ვსხვილი საერო თუ სასულიერო ფეოდალების მიერ. აღნიშნული ტიპის საბუთების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ XVIII საუკუნის საქართველოს ბაზრებზე იყიდებოდა თითქმის ყველაფერი—ტყემლიდან დაწყებული და ადგილობრივი თუ უცხოური წარმოშობის ძვირფასი ნივთებით დამთავრებული. სანიმუშოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით.

პირველია გორჯასპი მდივნის (თუმანიშვილის) 1751 წლის დანახარჯის ნუსხა, რომელსაც თავში დედნის ხელით აწერია: „ქალაქს ჩემის სასახლის აშენებაზე რაც დამიხარჯავს იმისი დავთარი არის“[1].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, (მსეი), I, თბ., 1938, გვ. 6.

საბუთში, რომელსაც ტიპოგრაფიული წესით დაბეჭდილი 19 გვერდი უჭირავს, ჩამოთვლილია რა დღეს, რაში და რამდენი დაიხარჯა, კონკრეტულად, მითითებულია, რომ მშენებლობის საჭიროებისათვის წლის განმავლობაში — სხვადასხვა დროს, სხვადასხვა რაოდენობით, ნაღდ ანგარიშზე უყიდიათ: აგური, გაჯი, ლურსმანი, რკინა, ხე-ტყის მასალა, კირი, ტივი, ბარი, ნიჩბები, წყლის საზიდი ჩაფები, კალათები და საჭმელ-სასმელი[2]. თუ რა იგულისხმება ამ უკანასკნელის ქვეშ, საბუთიდან არ ჩანს, მხოლოდ ერთგან არის აღნიშნული, რომ ოსტატების გამოსაკვებად უყიდიათ „ღვინო და პური"[3]. ცხა,-დია, „სასმელ-საჭმელში", რომელიც გასარჩევ ნუსხაში არაერთგზის არის მოხსენებული[4], იგულისხმება სხვა სურსათიც, ვთქვათ, ხორცი, ყველი, მწვანილი და ა. შ. სულ 1751 წელს მშენებლობაზე, მუშა-ოსტატების ხელფასის ჩათვლით, დახარჯულა 560 მანეთი, 4 მინალთუნი და 10 შაური[5].

ჩვენს ხელთაა იმავე გორჯასპი მდივნის (თუმანიშვილის) დანახარჯის მეორე ნუსხა, დათარიღებული 1757 წლით[6]. მასში აღნუსხულია სეიდაბადის ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით პატრონის მიერ გაწეული ხარჯები. აქაც, ისე როგორც წინა შემთხვევაში, წერილადაა ჩამოთვლილი ბაზარზე შეძენილი სამშენებლო მასალა და სურსათი. მათ შორის: მილი, მილის მოსახურავი სპილენძის ქაფქირი, ხე-ტყე, ნიჩბები, კირი, ბარები, ძეძვი, კარჩხა, სარი, ლობიოს ფიჩხი, პური, „ნიორი თესლად"[7], ნიორი საჭმელად, „ხახვი ნერგათ[8]", „ხახვის თესლი"[9], პრასის თესლი, ჭარხლის თესლი, ქონდარი, ქინძი, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბოლოკი, ნიახური, რეჰანი, წიწმატი, ბადრიჯანი, კომბოსტო, სტაფილო, ლობიო, „კახური ლობიო"[10] და ა. შ. სულ ხსენებულ მშენებლობაზე, მუშა-ოსტატთა ხელფასის ჩათვლით, დახარჯულა 340 მანეთი, 4 მინალთუნი და 2 აბაზი[11]. ამ ჩამოთვლაში ყურადღებას იქცევს სასოფლო-სამეურნეო

---

[2] მსეი, I, გვ. 6—25.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 7.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 23, 24, 25.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 25.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 29—44.
[7] ი ქ ვ ე, გვ. 43.
[8] ი ქ ვ ე, გვ. 44.
[9] ი ქ ვ ე.
[10] მ ს ე ი, I, გვ. 44.
[11] ი ქ ვ ე.

პროდუქციის მდიდარი ასორტიმენტი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ერთი და იმავე პროდუქტის სხვადასხვა სახეობის გაყიდვის ფაქტი. ნუსხის თანახმად, მაგალითად, თბილისის ბაზარი მომხმარებელს სთავაზობდა ხახვის ნერგს და ხახვის თესლს, ნივრის თესლსა და საკმელ ნიორს, ლობიოს საერთოდ და კახურს — კერძოდ და ა. შ.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების სასაქონლო-საბაზრო ურთიერთობაზე წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე 1753 წლის ტაშისკარის ბაჟების ნუსხა[12]. ამ საბუთის თანახმად, საქართველოს ბაზრებზე იყიდებოდა: ფარჩა, აბრეშუმი, ბამბა, მაუდი, ლანდრა, ზეთისხილი, ბრინჯი, მარილი და სხვ. ყველა ამათზე დაწესებული იყო ბაჟი, რომლის სიდიდეს შემოტანილი საქონლის რაოდენობა განსაზღვრავდა. მაგალითად, სახედრით (მაშასადამე, მეტი რაოდენობით) შემოტანილ ფარჩაზე დადგენილი ყოფილა 5 აბაზი ბაჟი, ხოლო ზურგით შემოზიდულზე — 2 აბაზი[13], ბამბაზე (შესაბამისად) — ათი შაური და აბაზი[14].

აქ მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ 50-იან წლებშიც კი სასაქონლო-საბაზრო კავშირურთიერთობა საკმაოდ განვითარებული ყოფილა და არ არის რაიმე საფუძველი ვილაპარაკოთ ნატურალური მეურნეობის მოქმედების ასპარეზის გაფართოებაზე.

XVIII საუკუნის 70-იანი წლები მშვიდობიანობის თვალსაზრისით ბევრად უკეთესი პერიოდია, ვიდრე იმავე საუკუნის 20—40-იანი წლები. და თუმცა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას არაერთი დაბრკოლება ეღობება წინ, ის მაინც ვითარდება. უფრო საგრძნობი ხდება სასაქონლო წარმოების მასშტაბი, მოსახლეობის კავშირი ბაზართან. იზრდება საბაზრო პროდუქციის ასორტიმენტი. მყიდველ-გამყიდველთა კონტინგენტი. ამას მკაფიოდ ადასტურებს ერთი უცნობი პირის ქორწილთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ნუსხა, დათარიღებული 1779 წლით[15]. საბუთში ჩამოთვლილია ყველაფერი, რაც ბაზარზე შეუძენიათ: არაყი, ღვინო, ძროხა, ცხვრის ხორცი, ქათამი, ბატი, ორაგული, ზურგიელი, ხრამული, ქიშმიში, შაქარი, თაფლი, ნუში, ბრინჯი, მუხუდო, დარიჩინის ყვავილი, ერბო, ქო-

---

12 ქსძ, II, გვ. 403—404.

13 „ფარჩის საპალნეზედ, ერთზედ აბაზი ხუთი... ზურგით ფარჩა ვისაც მოჰქონდეს — ორი აბაზი“ (ქსძ, II, გვ. 403—404).

14 „ბანბის საპალნეზედ — შაური ათი... ზურგით ბანბა ვისაც მოჰქონდეს — ერთი აბაზი“ (იქვე)

15 მსეი, I, გვ. 69—75.

ნის სანთელი, წმინდა სანთელი, ხახვი, ნიგოზი, ხოხობი, ჩაი, ჭანჭური, ჯონჯოლი, ისპანახი, სხვა მწვანილი, ზეთისხილი, კვერცხი, ყველი და სხვ[16]. ამას გარდა, შეუძენიათ აგრეთვე ხე-ტყის მასალა, შეშა, ნახშირი, სასარჩულე მატერია, შალითა, ძაფი, ბეწკეული, გაჯი, კოვზები და ა. შ.[17].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ასეთივე მრავალფეროვნებაა დადასტურებული თუმანიშვილთა სახლის 1788 წლის დანახარჯის ნუსხაში[18]. ამ ნუსხის მიხედვით, თუმანიშვილებს სახლის საჭიროებისათვის ბაზარზე უყიდიათ: ღვინო, ძროხის ხორცი, ყველი, მწვანილი, ორაგული, ხიზილალა, ცხვრის ხორცი, ბატკნის ხორცი, კვერცხი, ერბო, ხახვი, მაწონი, ზეთისხილი, ფქვილი, მარილი, ზაფრანა, ბრინჯი, ზეთი, ხილი, თეთრი სანთელი, წმინდა სანთელი, საკმელი, გუნდრუკი და სხვ. სულ დასახელებულ წელს თუმანიშვილებს ოჯახისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაძენად დაუხარჯავს 280 მანეთი, 3 მინალთუნი, ერთი შაური და ორი ფული[19]. ეს, როგორც ჩანს, გაწეული ხარჯების მხოლოდ ნაწილია, რადგან ნუსხაში შეტანილია მხოლოდ სურსათზე დახარჯული თანხა და უყურადღებოდაა დატოვებული სხვა სახის დანახარჯები. ნუსხიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თუმანიშვილების ოჯახს 1788 წელს არ შეუძენია არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი, არც თეთრეული და არც სახლის რამე ავეჯი, სამშენებლო მასალა ან ძვირფასი ლითონი. ეს ცოტა არ იყოს დაუჯერებელია. ნუსხა კი ამ „საიდუმლოს“ გახსნის საშუალებას არ იძლევა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში საშინაო ბაზრის განვითარების დონის შესახებ საინტერესო მონაცემებს შეიცავს „ქალაქის მოურავის სარგო“ (1784—1790 წწ.). აქ ყურადღებას იქცევს ერთი და იმავე პროდუქტის ნაირსახეობა. საბუთის მიხედვით, მაგალითად, თბილისის ბაზარზე იყიდებოდა ექვსი სხვადასხვა სახეობის თევზი — ზუთხი[20], ორაგული[21], დოში[22], ხრამული[23],

---

16 მსეი. I, გვ. 69—75.
17 ი ქ ვ ე.
18 ი ქ ვ ე, გვ. 89—96.
19 ი ქ ვ ე, გვ. 96.
20 ქსძ, II, სიტ. 136, მუხ. 23.
21 ი ქ ვ ე, მუხ. 22.
22 ი ქ ვ ე, მუხ. 27.
23 ი ქ ვ ე, მუხ. 24.

„ხველი თევზი“[24] და ზურგიელი[25]. იმავე დოკუმენტში დასახელებულია სხვა საქონელიც, რომელსაც მოსახლეობა დედაქალაქში ეზიდებოდა გასასყიდად. „ქალაქში რაც ღვინო შემოვა, — ნათქვამია იქ, — ურემზედ ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზედ ნახევარი თუნგი“[26]. „ზეით, დიღმის კარზედ, კოჯრის კარზედ და წყლისკარზედ რაც შეშა შემოვა, ურემზედ ორსა და სამს შეშას გამოართმევენ მოურავისათვის, აგრეთვე ნახშირზედ, აგრეთვე ფიჩხზედ“[27]. გარდა ამისა, ბაზარზე იყიდებოდა ბევრი ხილი, მათ შორის სამხრეთ საქართველოდან (ახალციხიდან) ჩამოტანილი[28], ნესვი[29], ზეთი[30], შაქარი[31], ღორის ქონი[32], ყურძენი[33] და სხვ.

სანამ დავამთავრებთ საუბარს 70—80-იან წლებზე, მკითხველს ყურადღებას შევაჩერებთ კიდევ ერთ საბუთზე. ეს არის კაცხის არქიმანდრიტის ნაღვაწის ანგარიში, დათარიღებული 1782 წლით. მასში ნათქვამია: „ერთი ფილონი (სასულიერო პირის შესამოსელი — ი. ა.) შევაკერინე ბატჯანა ოცხელს და 100 მარჩილი მიეეც. ოთხმოცი ჩემი ალალი იყო და ოცი საყდრისა. ერთი ფარჩა აქ დამიხვდა და შევაკერინე სტიხრად და ამაშიდ დამეხარჯა თუთხმეტი (15) მარჩილი. ერთი კიდევ სტიხარი შევაკერვინე და სამოცდაცამეტი (73) მარჩილი გამოვიდა. ჩემი ალალი ...ერთი ძველი შანდალი იყო და ტრაპეზზე სასვენი (?) სანაწილე (?) გავაკეთებინე... (ამაში) დამეხარჯა თორმეტი (12) მარჩილი... ერთი სახლის ადგილი ვიყიდე მორგვეთს (?)... ოთხმოცი (80) მარჩილი გამივიდა... ორი გლეხი შროშას ამოვიყვანე ჩემის საცადით და ოცი (20) მარჩილი იმაზე დამეხარჯა. დავთრები იყო სიძველისაგან მეტად გაჭირვებული და ოსეს გადავაწერინე ხუცურად და ათი (10) მარჩილი მას მივართვი. გუმბათის ყავარი დედოფალმა მიბოძა, შევახურვინე და ათის (10) მარჩილის რკინა მას უნდა ჩემი ნასყიდი. ერთი სამოციანი და ორმოციანი ჭური ჩავაგდე, ერთი მიყიდნია ოთხ მარჩილად და ერთი[34]...

---

[24] ქსძ, II. საბ. 36, მუხ. 27.
[25] ი ქ ვ ე.
[26] ი ქ ვ ე, მუხ. 6.
[27] ი ქ ვ ე, მუხ. 7.
[28] ი ქ ვ ე, მუხ. 30.
[29] ი ქ ვ ე, მუხ. 31.
[30] ი ქ ვ ე, მუხ. 30.
[31] ი ქ ვ ე, მუხ. 12.
[32] ი ქ ვ ე, მუხ. 16.
[33] ი ქ ვ ე, მუხ. 26.
[34] ამის მომდევნო ერთი სიტყვა ვერ წავიკითხეთ.

ამიღია. ამათ კირშიდ და წყაროს ამოკირვაშიდ ხელფასიანად დამ-ხარჯვია ათი (10) მარჩილი. ორი სამოციქულო შევაკეთებინე და ამათშიდ დამეხარჯა ხუთი (5) მარჩილი, ხელფასი თუ სამოსი. ტრა-პეზის საფარებელი ტილო გამოვიდა ხუთი (5) მარჩილი. საწის-ქვილე ვიყიდე კაცხურაზედ ექვს (6) მარჩილად. ათი მარჩილი ჯვა-რის ბუდეშიდ მივეცი... ოთხი მარჩილი სახაბაზოშიდ მივეცი... კროპისაგან ყანა ვიყიდე ოცდაოთხ (24) მარჩილად. ას სამოცი-(160) მარჩილი ამ სახლშიდ დამიხარჯავს ჩემი ალალი და ამას გარდა თუთხმეტი (15) მარჩილის მიყიდნია ხორცი და ოცი (20) მარჩილის ღვინო და ამას მოსდომებია აქაურს პურსა და ღვინოს გარდა"[35].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, კაცხის ეკლესია ბევრ პროდუქტს საკუთარის ყმების ძალებით აკეთებდა, მაგრამ ბაზართან მაინც მჭი-დროდ იყო დაკავშირებული და სასაქონლო-ფულად ურთიერთობა-ში ჩაბმული.

1795 წელს, როგორც ცნობილია, საქართველოს და კერძოდ თბილისს დიდი უბედურება ატყდება თავს. ირანის შაჰი აღა-მაჰ-მად-ხანი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ქვეყანას, მის კულტურასა და ეკონომიკას. მაგრამ ხალხი მაინც არ ჰყრის ფარ-ხმალს. უბრუნდება თავის მშვიდობიან სამეურნეო საქმიანობას, მიწას ამუშავებს, ხელ-საქმობს, ვაჭრობს. სულ მალე იგრძნობა დანგრეულ-დაზარალებუ-ლი ქალაქებისა და ბაზრების აღორძინება: ასეთი დასკვნის გაკეთე-ბის საშუალებას იძლევა XVIII საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრის ჩვენამდე მოღწეული დანახარჯის ნუსხების ანალიზი. ავი-ღოთ, მაგალითად, მეფის ოჯახის მიერ 1797 წ. მახლობლად თე-ლავში გაწეული ხარჯების ნუსხა[36]. ერეკლეს ოჯახს შეუძენია რო-გორც სურსათი: პური, ღვინო, ხორცი, ფრინველი, ბრინჯი, ხიზი-ლალა, ერბო, ყველი, ლობიო, თევზი, ნიგოზი, ხახვი, კვერცხი, სანთ-ლის ქონი, ისე სამრეწველო პროდუქცია: სტამბოლის ტილო, ქუდი, ლეიბი, საკაბე, ლეიბის პირი, ჩექმის ძირი, ჩექმის საპირე, საწუღე მასალა, ლაინი, ტყავი, ქოშები, ნაბადი, წამოსასხამი ნაბადი, ხამი და სხვა.

ჩვენს ხელთაა იმავე 1797 წლის წილკნის ეკლესიის ერთი სა-ბუთი, რომელიც ადასტურებს მის კავშირს ბაზართან. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას ჰყავდა თავისი ყმები, რომლებიც სხვადასხვა

---

35 ს ს ც ი, ფონდი 1448, საბ. 3281.

36 მ ს ე ი, I, გვ. 139—154.

ნატურალურ გადასახადებს უხდიდნენ მას, როგორც ჩანს, ბაზართან კავშირი მაინც გარდაუვალი და აუცილებელი ყოფილა. 1797 წელს, წერს წილკნელი, ვიყიდე ოთხი ცხენი, ორი ურემი ღვინო, „სახლის მოფენილობა და სახლისთვის ჭურჭელი, რომელიც რომ სულ ყველა საჭირო არის მოსახმარებლად“[37].

ბაზარზე უპირატესად ადგილობრივი საქონელი იყიდებოდა, მაგრამ არც იმპორტული საქონლის ნაკლებობა იგრძნობოდა. უცხო ქვეყნებთან კავშირი განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ძლიერდება. დარიალის ანუ „ოსეთის გზის“ გახსნით 1750 წელს საქართველომ სავაჭრო ურთიერთობა გაიბა რუსეთთან და ამ უკანასკნელის მეშვეობით — ევროპასთანაც. ხსენებული დროიდან მოყოლებული საბუთებში მუდმივადაა ლაპარაკი რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილ საქონელზე. მაგალითად, მანუჩარ თუმანიშვილის ტანისამოსის ნუსხაში, რომელსაც თარიღად 1788 წელი უზის, დასახელებულია „ერთი მწვანე ფრანგის ატლასის კაბა“[38]. „ერთი ფრანგის შალის ოიმა“[39], „ერთი თეთრი ფრანგის შალის ჩოხა“[40], „ერთი წყვილი ესპანის წიდა“[41], „ერთი რუსული ჩითის ახალუხი შესაკერავი“[42] და „ერთი რუსული ჩითის ახალუხი“[43] შეკერილი.

1795 წლის ახლო საბუთში ლაპარაკია რუსულ სტამბაზე[44], რუსულ ყუთზე[45], რუსულ კლიტეზე,[46], რუსულ ხელსახოცზე[47], რუსულ ჩითზე[48], რუსულ ზიარიან ფარჩაზე[49], რუსულ ვარაყის ქაღალდზე[50], ესპანურ სარკეზე[51], ესპანურ შაქარზე[52] და ა. შ.

---

[37] სმახი, ფონდი Qd, საბ. 1616.
[38] მსეი. III. გვ. 326.
[39] ი ქ ვ ე, გვ. 327.
[40] ი ქ ვ ე.
[41] ი ქ ვ ე.
[42] ი ქ ვ ე.
[43] ი ქ ვ ე.
[44] ი ქ ვ ე, გვ. 257.
[45] ი ქ ვ ე, გვ. 258.
[46] ი ქ ვ ე, გვ. 259.
[47] ი ქ ვ ე. გვ. 266.
[48] ი ქ ვ ე, გვ. 267.
[49] ი ქ ვ ე, გვ. 270.
[50] ი ქ ვ ე, გვ. 271.
[51] ი ქ ვ ე, გვ. 265.
[52] ი ქ ვ ე, გვ. 270.

XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოშიც სისტემატურად იყიდებოდა რუსულ-ფრანგული საქონელი. იყიდებოდა, მაგალითად, რუსული „შლაპა"[53], რუსული „პოდნოსი"[54], ფრანგული დამბაჩა[55], ფრანგული თოფი[56], გარნიტური[57] და სხვ.

საქართველოს ადრეც ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა ირანთან, ოსმალეთთან, ინდოეთთან, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან. განსახილველ ხანაში კი ის კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. საბუთების მიხედვით, XVIII საუკუნის 80—90-იან წლებში თბილისის ბაზარზე იყიდებოდა თურმე გილანის (ირანი) „უზარო წვივსაკრავი"[58], „თავრიზის თავთა[59], „თავრიზის ბალიში[60], „ოსმალის შალის დირის პირი ჭრელი"[61], „ინდური ჩაის კოლოფი"[62], „ინდური თეთრი ხელსახოცი"[63], „ინდური ლეინი ლილის ფერი"[64] და ა. შ. პეისონელის ცნობით, XVIII საუკუნის 60-იანი წლების თბილისში ყოველწლიურად მოდიოდნენ საქონლით დატვირთული ქარავნები თავრიზიდან, ერზერუმიდან და ამიერკავკასიის ქალაქებიდან — განჯიდან, შემახიიდან, ერევნიდან[65]. თბილისიდანაც დაახლოებული ადგილებისაკენ ყოველწლიურად მიემართებოდა 150—200 ურემი[66]. საქართველოს ამ და სხვა ქვეყნებში უმთავრესად გაჰქონდა მატყლი, ტყავი, ერბო, ღვინო, სპილენძი, ხოლო შემოჰქონდა, ბევრი სხვა დასახელების საქონელთან ერთად, თევზი (განჯიდან) და აბრეშუმი (შემახიიდან).

---

[53] ი ქ ვ ე, გვ. 276; სს. I. გვ. 406.
[54] ს ს I. გვ. 407.
[55] მ ს ე ი, III, გვ. 275.
[56] ი ქ ვ ე.
[57] ი ქ ვ ე, II, გვ. 300.
[58] ი ქ ვ ე, III, გვ. 227.
[59] ი ქ ვ ე, გვ. 232.
[60] ი ქ ვ ე, გვ. 258.
[61] ი ქ ვ ე, გვ.271.
[62] ი ქ ვ ე, გვ. 247.
[63] ი ქ ვ ე.
[64] ი ქ ვ ე, გვ. 248.
[65] Ш. А. М е с х и а. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959. გვ. 134.

კერძოდ, ერევანთან ვაჭრობის შესახებ ერთ 1798 წლის საბუთში ნათქვამია: „დღეს ხვალ ერევნის ქარავანია მოსასულელი" (სს, III, საბ. 356).

[66] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, 1940, გვ. 121; შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, დარიალის გზის გახსნის შემდეგ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გაიზარდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებთან. ქალაქებთან. ოსები, ყაბარდოელები, ლეკები სავაჭრო მიზნით ჩამოდიოდნენ თბილისში, ცხინვალში, ახალგორში, დუშეთში, თელავში, ყვარელსა და სიღნაღში. აქ ისინი იძენდნენ უპირატესად პირველი მოხმარების საგნებს, პურეულს, ხელოსნურ ნაწარმს[67]. ხოლო თვითონ შემოჰქონდათ შალეული, მეცხოველეობის პროდუქტები და ადგილობრივი შინამრეწველობის საგნები[68].

ქართველი ვაჭრები ხშირი სტუმრები ჩანან ჩრდილოეთ კავკასიაში. 1780 წლის 20 თებერვლის ერთ დოკუმენტში ლაპარაკია, მაგალითად, თბილისელ ვაჭარ ვინმე იაგორა ბორისაშვილზე (ბორისოვ), რომელიც ყიზლარიდან მოზდოკს მიდიოდა და თან მიჰქონდა: «2 топы бумаги пищей, 20 пудов сала топленнаго, 4 пуда веревок пеньковых, 3 пуда бумаги хлопчатой, в 2-х боченках 14 пудов масла посного, 300 трубок глиняных, в 7 мешках 7000 орехов грецких»[69]. იმავე 1780 წელს მოზდოკს ჩასულა თბილისელი პეტრე ოსიპოვი, რომელიც 5 ურმისაგან შემდგარი ქარავნით იქიდან ყიზლარს მიემართებოდა და სომეხი ვაჭრისათვის მისასყიდად მიჰქონდა: „шелку 80 пудов, порешены 150, бязи бумажной белой 500 концов[70]“. 1791 წლის საბუთში კი ლაპარაკია ვინმე იმერელ ანტონ ელიზბარაშვილზე, რომელსაც ასტრახანიდან მოზდოკს გაუგზავნია: „три тысячи аршин холста бельного узкаго, три пуда краски брусковой, три пуда сахара головнаго, десят дюжен зеркал малых, пятнадцать дюжен ножей складных, две тысячи шкур кошачьих, одинадцать кож сафьянных»[71].

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების მაჩვენებელია თბილისის საბაჟოს მონაცემებიც, რომელთა თანახმად, მარტო დედაქალაქის სავაჭრო ბრუნვა 1760—1770 წლებში 160 ათასი მანეთიდან 400 ათას მანეთამდე გაზრდილა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქონელბრუნვა აღნიშნულ ათწლეულში 2,5-ჯერ გადიდებულა[72].

---

67 სინ, IV, 544.

68 იქვე, 545.

69 В. Н. Гамрекели, Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Тбилиси, 1968, стр. 69.

70 იქვე, გვ. 222.

71 იქვე, გვ. 246.

72 ИКБЗ, стр. 178—179.

ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში თბილისი წარმოადგენდა (20-ათასიანი მოსახლეობით[73]—1772 წელს; 500 დუქნით — ოთხმოციანი წლებისთვის)[74]. იგი იყო არა მარტო მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი კონსტანტინოპოლიდან, სმირნადან, ალეპოდან ირანში და ირანიდან ამ ქალაქებში მიმავალი საქონლისათვის, არამედ იქ თავს იყრიდა ადგილობრივი მშრომელი კაცის ხელებით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო ხასიათის პროდუქციაც. თბილისში, — წერს გიულდენშტედტი, — „ბევრი არიან ვაჭრები, ანუ უფრო უკეთ წვრილი მედახლეები, რომლებთანაც შეიძლება შეიძინოს კაცმა გასავლიანი საქონელი, წვრილმანი საქონელი, სურსათი, საჭელებელი და სხვა რამეები. არიან სხვადასხვა (ხელოსნები): მეტყავეები, მღებავები, მჭსოველები, მჭედლები“[75]. ამას მოსდევს იმ საქონლის სია, რომელიც ბაზარზე იყიდებოდა თითოეული მათგანის ფასის ჩვენებით. ამ სიაშია: პური, საქონლის ხორცი, ცხვრის ხორცი, ყველი, ბრინჯი, ღვინო, კარაქი და ბევრი სხვა[76]. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოცემული[77] თბილისის ბაზრის აღწერა მკაფიოდ მეტყველებს მის ფართო მასშტაბზე, საქონლის სიუხვეზე, ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე. იგი სასაქონლო ურთიერთობის განვითარება-დაწინაურების ეჭვმიუტანელი მოწმობაა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი იყო ქალაქი თელავიც. მის კედლებს გარეთ. გიულდენშტედტის სიტყვით, დუქნები ყოფილა განლაგებული, სადაც სომეხი ვაჭრები უხვში ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებს ყიდდნენ, ხოლო ლეკები — სხვადასხვა, უპირატესად, ალბათ, შინამრეწველობის საგნებს[78]. განსახილველი ხანის საბუთებში ხშირადაა ლაპარაკი თელავის ბაზარზე, როგორც საყურადღებო სავაჭრო ადგილზე[79]. იგივე ითქმის სიღნაღის შესახებაც. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ის ჯერ კიდევ არ იყო ქალაქი. ქართლ-კახეთის ქალაქების

---

[73] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 87.

[74] С. Д. Бурнашев, Картина Грузии, 1896, стр. 3.

[75] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 93.

[76] იქვე.

[77] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936, გვ. 193—195.

[78] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 35.

[79] ГКГ, გვ. 20—21.აქაა ერეკლე II-ის ბრძანება თელავის შესახებ (1768 წ.). მსეი, III, 289, 1799 წლის დოკუმენტი.

ლიაში სიღნაღი 1770 წ. შეიტანეს[80]. უფრო მოგვიანებით, სახელდობრ 1784 წელს, ერეკლე II-ის ბრძანებით ქალაქის რანგში აყვანილ იქნა დუშეთიც. ამ დროისთვის უკვე ცნობილი თავისი სავაჭრო-კომერციული ოპერაციებით[81]. ცხოველი ვაჭრობა მიმდინარეობდა ქუთაისში[82], გორში, ცხინვალში, სურამში, ანანურში, ახალგორში, ახალდაბაში, წილკანში, ონში, ხონში და სხვა. ამ უკანასკნელის შესახებ გიულდენშტედტი წერს: „17 აგვისტო (1772 წლისა) კვლავ ხონში გავათიეთ. ხონში ეკლესიის გვერდით არის დიდი მოედანი ცაცხვით და აღმოსავლური ჭადრით... ეს მოედანი 2 ვერსის ფართობს მოიცავს; როგორც ყოველ პარასკევს ამ ხეების ჩრდილში შეკრებილიყვნენ ორივე სქესის მყიდველ-გამყიდველნი და (გაეჩაღებინათ) ბაზრობა. იყიდებოდა შემდეგი საქონელი: რუხი და შავი მაუდის ჩოხები და ნაბდები, რომლებიც შემოაქვთ ბასიანიდან და დუგორიდან, ონის გზით. ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისათვის და ქალთა ზედატანისათვის და სახიანი ბამბის ქსოვილები ქვედატანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან... ჭრელი არშიები ევროპული ტილოსი... ადგილობრივი რუხი მაუდის ქუდები... ერთვედროიანი სპილენძის ქვაბი..., ზღვის მარილი ყირიმიდან..., დამარილებული ზურგიელი... სალიანიდან და თბილისიდან..., ცხვრები პატარა კუდებით, ურქებოდ..., კანაფის თოკი და ხის ჯამები. ამას გარდა, აქაური ცხენები... და ზოგი სხვა საქონელი. ბაზარში მყოფ ხალხში იყვნენ მეგრელებიც"[83].

ჩანს, ხონს საქართველოს საერთო ბაზრის მნიშვნელობა ჰქონია, რომ იქ მყიდველ-გამყიდველი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყრიდა თავს. იგი ასორტიმენტითაც მდიდარი სავაჭრო ადგილი ყოფილა.

ბაზარზე გლეხობა მყიდველიც იყო და გამყიდველიც. ყიდდა არა მარტო ზედმეტს, ე. ი. იმას, რაც რჩებოდა ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ, არამედ წინასწარ საბაზროდ დამზადებულ პროდუქციასაც. ამას ადასტურებს 1804 წლის კამერალური აღწერის მასალები. სოფელ კურდღელაურის 14 კომლი გლე-

---

[80] Ш. А. Месхиа, Города..., გვ. 108—109. სიღნაღი ძველი ხორნაბუჯის ნანგრევებზე აღმოცენდა.

[81] იქვე, გვ. 115.

[82] А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, I, с. Петербург, 1891, стр. 29.

[83] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 153—155.

ხის შესახებ, რომლებიც გარსევან ჭავჭავაძეს ეკუთვნოდნენ. დასახელებულ წყაროში ვკითხულობთ: „თავს ირჩენენ... ხვნა-თესვითა. და აგრეთვე ხალიჩებისა და მატყლის ტომრების დამზადებით"[84]. ზუსტად იგივეა ნათქვამი იმავე სოფელში მცხოვრებ ხელქვეით 6 კომლ გლეხზეც. ისინი ცხოვრობდნენ ხვნა-თესვითა, აგრეთვე ხალიჩებისა და მატყლის ტომრების დამზადებით[85]. ალავერდელის ყვარელელი ყმები კი, პურის მოყვანისა და მევენახეობა-მეღვინეობის გარდა, აბრეშუმის წარმოებასაც ეტანებოდნენ[86]. იმავე საქმიანობას ეწეოდნენ ყვარელში მცხოვრები გრიგოლ და პაატა ჭავჭავაძეები-ს[87] და თელავის კარის ეკლესიის გლეხებიც[88]. საეჭვო არაა, რომ ხალიჩებს, ტომრებსა და აბრეშუმს სოფლის მშრომელი მოსახლეობა თავიდანვე საბაზროდ ამზადებდა. იგი ამ პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს იტოვებდა ოჯახის საჭიროებისათვის, ხოლო დანარჩენს ყიდდა, რათა აღებული ფულით გადაეხადა ხაზინის თუ ბატონის გადასახადი, შეეძინა ჩასაცმელ-დასახურავი, მეურნეობის გასამართავი იარაღები, პირუტყვი და ა. შ.

მსგავს სურათს წარმოგვიდგენს 1813 წლით დათარიღებული ერთი უწყისი, რომელშიც თავმოყრილია ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხის სახაზინო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. იგი აშუქებს ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც. ახასიათებს რა, მაგალითად, ტურისციხის, სანავარდოს, კუჭატანის, ჭიკაანისა და ვავაზის სახელმწიფო გლეხთა სამეურნეო საქმიანობას, დასახელებული საბუთის შემდგენელი წერს: «Жители означенных селений занимаются хлебопашеством и скотоводством, имеют рогатый скот..., упражняются в садоводстве и в делании для домашних обиходов и на продажу шелку»[89]. ფაშაანისა და თოლნიანის მშრომელი მოსახლეობის შესახებ უწყისში ნათქვამია, რომ ისინი, გარდა ხვნა-თესვისა და მესაქონლეობისა,

---

[84] სსცია, ფონდი 254. ანაწერი I, საქმე 52. ფურც. 18.

[85] სსცია, ფონდი 254, ანაწერი I, საქმე 52, ფურც. 18 უკ. მხარე.

[86] ი ქ ვ ე, ფურც. 66.

[87] იქ ვ ე, ფურც. 66 უკ. მხარე.

[88] ი ქ ვ ე, ფურც. 66.

ერთი წლით ადრე, ე. ი. 1803 წელს, შედგენილ დოკუმენტში, რომელშიაც მირიან ბატონიშვილის ყაფანაქჩელი გლეხების საქმიანობაა დახასიათებული, ნათქვამია: „ზოგი მათგანი მისდევს მიწათმოქმედებას, მოჰყავს საკუთარი საჭიროებისათვის პური და ქერი; ამზადებენ აგრეთვე, ხალიჩებსა და ტომრებს" სსცია, ფონდი 2, ანაწ. I, საქმე 36, ფურც; 92).

[89] ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18480, л. л. 41об—77об.

ეტანებიან აბრეშუმის დამზადებას, „როგორც თავისთვის, ისე გ ა ს ა ს ყ ი დ ა დ“[90]. სოფლების სოშიანის, ურიათუბნის. გიორგიწმინდას, საგარეჯოს, ბერთუბნისა და პატარძეულის 230 კომლ გლეხზე მითითებულია, რომ მათი ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეევნახეობა-მეღვინეობა და, აგრეთვე (ნაწილისათვის) „აბრეშუმის წარმოება ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და გასასყიდად“[91]. ამ მასალებით აბრეშუმს საბაზროდ ამზადებდნენ დიდი საქობოს, პატარა საქობოს, ვაქირის, ანაგისა და ველისციხის სახაზინო გლეხებიც, რომელთა საერთო რაოდენობა. უწყისით, 796 კომლს უდრიდა[92].

მართალია, აქ მოტანილი მასალა გასული საუკუნის დამდეგს ეხება, მაგრამ იგი სავსებით გამოდგება XVIII საუკუნის მიწურულის მდგომარეობის დასახასიათებლადაც. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ქართველმა გლეხმა საბაზრო პროდუქციის დამზადება დაიწყო არა უცბად, 1801 წლის შემდეგ, არამედ მანამდე, ქართველ მეფეთა ხანაშიც და ამდენად გარკვეული გამოცდილებით შეხვდა XIX საუკუნეს.

ბაზარს სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა პროდუქციით ამარაგებდნენ პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ახალ ვითარებასთან შეგუებასა და მეურნეობის რაციონალურ საფუძვლებზე მოწყობას ცდილობდა. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდნენ ოსეფა ყორღანაშვილი, გორჯასპი და მანუჩარ თუმანიშვილები, დავით თარხნიშვილი და სხვები. ისინი იყენენ ახალი ტიპის მებატონეები, „პომეშჩიკები“. მათ მეურნეობას ახასიათებდა წარმოების პროცესის რაციონალიზაცია[93] და მჭიდრო კავშირი ბაზართან, რაც გამოიხატებოდა არა მარტო ოჯახისათვის ზედმეტი პროდუქტის გაყიდვაში, არამედ სპეციალურად საბაზრო პროდუქციის დამზადებაში. ამ ბოლო დროს მკვლევართა უმრავლესობა სწორედ ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. მაგალითად, გ. აკოფაშვილი სავსებით სამართლიანად ფიქრობს, რომ მანუჩარ

---

[90] ЦГВИАМ. Ф. ВУА. д. 18480. л.л. 41об.—77об.

[91] ი ქ ვ ე.

[92] ი ქ ვ ე.

[93] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი. აზნაურობა და სამეფო ხელისუფლება XVII—XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მსკი, ნაკ. 35, გვ. 138; მ ი ს ი ვ ე. „მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ნახევარი—XIX ს. დამდეგი)“, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები — კხის, თბ., 1966 წ., გვ. 405, 410, 411.

თუმანიშვილის მეურნეობა ბაზარზე ეზიდებოდა არა მარტო იმას, რაც ზედმეტი იყო მისთვის, არამედ წინასწარ, რეალიზაციის მიზნით დამზადებულ საგნებსაც. „აღსანიშნავია, — წერს დასახელებული ავტორი, — რომ იგი (თუმანიშვილის მეურნეობა — ი. ა.) სამომხმარებლო ღირებულების წარმოებიდან საცვლელი ღირებულების წარმოებაზე გადასვლის ნიშნებსაც შეიცავს[94]. იგივე ითქმის ოსეფა და აღალო ყორღანაშვილების მეურნეობაზეც[95]. ვფიქრობთ, საბაზრო პროდუქციას ამზადებდა დავით თარხნიშვილის ეკონომიაც. მართალია, ალ. სარაჯიშვილის პუბლიკაციაში, რომელიც ჟურნალმა „კლდემ" გამოაქვეყნა 1914 წელს [96], სათაურით „თავადიშვილის მეურნეობა ამ ასი წლის წინათ", პირდაპირი პასუხი არ არის გაცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, მაგრამ იქ მოტანილი მასალა სრულ საფუძველს გვაძლევს თარხნიშვილი საბაზრო პროდუქციის მწარმოებელ მემამულეთა რიცხვს მივაკუთვნოთ[97].

თვით იესე ბარათაშვილიც კი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეურნეო საქმიანობის მიზანს ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში ხედავს, იძულებულია აღიაროს პურ-ღვინის გარკვეული ნაწილის სარეალიზაციოდ დამზადების აუცილებლობა[98]. მოგვიანებით კი, სახელდობრ 1816 წელს, ბატონიშვილი ბაგრატი თავის ტრაქტატში „შემოკლებული სოფლის ეკონომია", XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის ვითარებიდან გამომდინარე, ასევე ლაპარაკობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთი ნაწილის საბაზროდ წარმოების შესახებ[99]. ასეთი შეხე-

---

[94] გ. აკოფაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა, კხის, გვ. 411.

[95] გ. აკოფაშვილი, აზნაურობა და სამეფო ხელისუფლება..., მსკი, ნაკ. 35, გვ. 138.

[96] ჟურნ. „კლდე", 1914 წ., №№ 20, 21, 22.

[97] აზრი იმის შესახებ, რომ XVIII საუკუნეში მემამულეთა ერთი ნაწილი სპეციალურად ამზადებდა საბაზრო პროდუქციას, გატარებულია ნ. ქანთარიას საკანდიდატო დისერტაციაში. დისერტაციის ავტორეფერატში ნათქვამია: «Устанавливается, что существовал постоянно действующий рынок, на который доставлялись разнообразные товары с разных концов страны в большом количестве и имелся постоянный спрос на них. Все это заставляет нас предположить, что на рынок вывозились не только излишки продуктов, но также и продукты, специально изготовленные для продажи» (Н. Г. Кантария, Хозяйство грузинского помещика в XVIII веке, Тб., 1955, стр. 17).

[98] იესე ბარათაშვილი, ცხოვრება, გვ. 99.

[99] ბატონიშვილი ბაგრატი, შემოკლებული სოფლის ეკონომია. კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერების ფონდი, 524, პარაგრაფი 6.

ჯულებები ცხოვრებაში უკვე მიმდინარე პროცესების ანარეკლი იყო.

ნაშრომის ამ ნაწილში მოტანილი მასალა მკაფიოდ ადასტურებს სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარების ფაქტს განსახილველი ხანის საქართველოში. სასაქონლო წარმოების განვითარება კი გვიანფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა (ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად) იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ძირს უთხრიდა ძველს და ნიადაგს უმზადებდა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გამარჯვებას მომავალში[100]. ის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ერთ-ერთი ნიშნის — ნატურალური მეურნეობის მოშლის მკაფიო მაჩვენებელი იყო. «Европейский капитализм, — წერს საბჭოთა ისტორიკოსი ა. ჩისტოზვონოვი, — вырастал из феодализма, на базе определенных предпосылок, из которых главными были: 1. развитие простого товарного хозяйства и купеческо-ростовщического капитала; 2. разложение на этой основе натурально-хозяйственной базы феодального производства»[101]. (ხაზი ჩვენია — ი. ბ.).

დასკვნები

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. XVIII საუკუნის არც ერთ მონაკვეთში, თვით ძნელბედობის ე. ი. ოსმალებისა და ყიზილბაშების ბატონობის დროსაც (1723—1735; 1735—1747 წწ.) კი, სასაქონლო ურთიერთობა არ ჩამკვდარა, ქვეყანა ნატურალური მეურნეობის ნორმებს არ დაბრუნებია. ჩვენს განკარგულებაში არსებული ფაქტობრივი მასალა ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ განსახილველი ხანის საქართველოში, მიუხედავად მრავალი დამაბრკოლებელი გარემოებისა, მაინც იგრძნობოდა გარკვეული სოციალ-ეკონომიური პროგრესი, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარება წარმოადგენდა.

2. სხვადასხვა სახისა და ხასიათის წყაროების, მათ შორის სასულიერო და საერო ფეოდალების მიერ შედგენილი დანახარჯის

---

[100] ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 207—28, 360—361.

[101] А. Н. Чистозвонов, Генезис капитализма и отражение его в региональных типах крестьянских движений в Европе в XVI—XVIII веках. Журн. «Вопросы истории», 1975 г., № 1, стр. 75.

ნუსხების, გულდასმით შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ XVIII საუკუნის საქართველოს ბაზარზე იყიდებოდა თითქმის ყველაფერი, ტყემლიდან დაწყებული და დამთავრებული ადგილობრივი თუ უცხო წარმოშობის ძვირფასი ნივთებით. თბილისელი ვაჭრები დაკავშირებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიასთან, რუსეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან. სასაქონლო პროდუქციას ამზადებდნენ და კომერციულ საქმიანობაში ჩაბმული იყვნენ როგორც გლეხები (ნაწილი), ისე მემამულე რაციონალიზატორები. ისინი მყიდველების როლშიც გამოდიოდნენ და გამყიდველებისაც.

3. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც (ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად) ძირს უთხრიდა ძველს და ნიადაგს უმზადებდა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გამარჯვებას მომავალში. ის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ერთ-ერთი ნიშნის — ნატურალური მეურნეობის მოშლის მკაფიო მაჩვენებელი იყო.

თ ა ვ ი III

ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფეოდალის საკუთრება მიწაზე. ხსენებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გამარჯვება-განვითარების და მისი დაღმავალი გზით სიარულის უპირველესი განმსაზღვრელი სწორედ ფეოდალური საკუთრებაა. ფეოდალური წყობილება იშლება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მიმდინარეობს მისი ეკონომიური საფუძვლის, მიწაზე ფეოდალის მფლობელობის მოშლისა და უწოდებრიო (ბურჟუაზიული) საკუთრების განვითარების მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი. ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება-გამარჯვება, პირველ რიგში, სწორედ საკუთრების ამ ძველი (ფეოდალური) ფორმის ახლით შეცვლას გულისხმობს. მართალია, მარტო საკუთრების ფორმის შეცვლა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეიცვალოს მთელი წყობილება, მაგრამ ის მაინც მთავარია, რადგანაც მისი ევოლუცია იწვევს მნიშვნელოვან გარდაქმნებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში.

ქართული ფეოდალური ურთიერთობა, ცხადია, იმავე ეკონომიურ საფუძვლებს ემყარებოდა, რასაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი, მაგრამ მას თავისი სპეციფიკური, სხვებისაგან განსხვავებული ნიშნებიც გააჩნდა. ასეთების რიცხვს ეკუთვნის, კერძოდ, ქართველი გლეხის მიწაზე საკუთრების უფლება. მიწა, მისი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი უმეტესობა, ცხადია, ჩვენშიც ფეოდალური კლასის კუთვნილებას შეადგენდა, მაგრამ ქართული ფეოდალური სამართალი და პრაქტიკა არ უკრძალავდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას შეეძინა მიწა საკუთრებაში. სადღეისოდ ცნობილი საკანონმდებლო თუ სხვა ხასიათის ძეგლები ეპვმიუტანლად ადასტურებს,

რომ ჩვენი გლეხი ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე, მოყოლებული ადრე ფეოდალიზმის ხანიდან, ითვლებოდა მიწის მესაკუთრედ და ეწეოდა მის ყიდვა-გაყიდვას[1]. ამ გარემოებას, რომელიც ყოველთვის ახდენდა თავის ზეგავლენას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა გვიანფეოდალურ ხანაში მიეცა. მაშინ, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, მიწების ყიდვა-გაყიდვამ ძალზე მასობრივი ხასიათი მიიღო. იესე ბარათაშვილის მოწმობით, დასახელებული ხანის საქართველოში „ბევრი კაცი იყო ნასყიდობის მქონე"[2]. ერთი სიტყვით, მოხდა მიწების მანამდე არნახული ამოძრავება. მკვლევარი, რომელიც აღნიშნული ხანის საქართველოს სოფელში, კერძოდ ფეოდალურ მიწათმფლობელობაში მომხდარ ცვლილებას სწავლობს, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის ამ ფაქტს. მან უნდა გაარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რით იყო მიწების ასეთი ამოძრავება გამოწვეული და რა სოციალურ-ეკონომიური შედეგები მოჰყვა მას. გამოიწვია თუ არა ამ ფაქტმა ფეოდალური საკუთრების შეზღუდვა და არაპრივილეგიურ წოდებათა მიწათმფლობელობის შემდგომი ზრდა და განვითარება.

ამ საკითხების შესწავლა, ცხადია, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მთავარია მათ შორის აღნიშნულ საკითხზე პირდაპირი ცნობების შემცველი წყაროების თითქმის სრული უქონლობა. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან წყაროდ ეგრეთ წოდებული მიწის ნასყიდობის სიგელები რჩება. ნასყიდობის სიგელებში ნაჩვენებია გამყიდველისა და მყიდველის გვარი და სახელი, მიწის გაყიდვის მიზეზი და ცალკეულ შემთხვევაში გაყიდული მიწის ფართობი. მარტო ამ მონაცემებით, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია საკვლევი საკითხის სასურველი სისრულით და უშეცდომოდ შესწავლა, მაგრამ სხვა უკეთესი საშუალების უქონლობა აიძულებს მკვლევარს ნასყიდობის სიგელებს მიმართოს. ზოგი უზუსტობა კი, რომელსაც ამ გზით მომუშავე უნდა შეურიგდეს, გაპირობებულია ნასყიდობის სიგელში მყიდ-

---

[1] საერთოდ მიწების ყიდვა-გაყიდვაზე ადრეფეოდალურ ხანაში იხ. „ნასყიდობის დაწერილი ფაენელისა შიო მღვიმისადმი" (IX ს.), გამოცემული ი. დ ო ლ ი ძ ი ს მიერ, ქსძ, II, თბ., 1966, გვ. 3; „ნიკორწმინდის დაწერილი" (XI ს.) და სხვ.

[2] იესე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ცხოვრება-ანდერძი" (ქვემოთ შემოკლებით „ანდერძი"). ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლით ავთ. ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა, თბ., 1950, გვ. 42.

ველ-გამყიდველთა სოციალური კუთვნილების აღუნიშვნელობით (როგორც წესი). მარტო გვარების მიხედვით კი საკმაოდ რთულია ოპერაციაში ჩართულ პირთა მდგომარეობის დადგენა, მით უმეტეს, რომ ერთი და იმავე გვარის კაცი ხშირ შემთხვევაში ფეოდალიცაა (თავადი, აზნაური) და გლეხიც. მაგალითად, ჯავახიშვილები, როგორც ცნობილია, საერთოდ ფეოდალები (თავადები) არიან, მაგრამ წყაროები ამ გვარის ყმა-გლეხებსაც ასახელებენ[2]. ასევე, წერეთლები ფეოდალებად ითვლებოდნენ, მაგრამ XVIII საუკუნის ერთ ძეგლში დასახელებული ივანე წერეთელი გლეხია[4]. ფიცხელაურები აზნაურთა წოდებას განეკუთვნებიან, მაგრამ წყაროები ამ გვარის ყმებსაც იცნობენ. ერთ მათგანში, მაგალითად, მოხსენიებულია „ლაშარის ჯვრის ყმა ფიცხელაური", რომელიც გლეხი უნდა იყოს[5]. იგივე ითქმის ისეთ გვარებზე, როგორიცაა მესხიშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი, სვიმონიშვილი, თაზიშვილი, ტატიშვილი, კობიაშვილი, პეტრიაშვილი, გურამიშვილი, სულხანიშვილი, საგინაშვილი და სხვ. სოციალურად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, ქართლი, კახეთი) მცხოვრები ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები, არამედ გეოგრაფიულად ზუსტად ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მობინადრენიც.

ამ სირთულის დაძლევას, ე. ი. გვარების მიხედვით მყიდველ-გამყიდველთა სოციალური კუთვნილების დადგენას, ჩვენ ვცდილობდით, როგორც თვით ნასყიდობის სიგელების ტექსტის სხვადასხვა მონაცემების გულდასმით შესწავლით, ისე, უმთავრესად, ისეთი წყაროების მოშველიებით, როგორიცაა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დანართი — ქართლ-კახეთის თავადაზნაურების სია[6-9], კახეთის 1801 — 1802 წწ. აღწერილობის მასალები, გამოქვეყნებული გ. ბოჟორიშვილის მიერ 1927 წელს, ივ. ჯავახიშვილის „საქარ-

---

[3] ზ. ბ ო ჟ ო რ ი ძ ე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლებისა, საქართველოს არქივი, III, 1927, გვ. 129, 139, 152 და სხვ.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 180.

[5] ი ბ ი ვ ე, 38.

[6-9] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 483.—492. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ.

თველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები", ექ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი" (სამი ტომი), ნ. ბერძენიშვილის „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან" (ორი ტომი), „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის" (სამი ტომი). იასე ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლი" (ოთხი ნაწილი) და სხვ. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მონდომებისა, დასახელებული და სხვა წყაროების მიხედვით, ზუსტად დაგვედგინა ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მონაწილე პირთა სოციალური ვინაობა, მაინც ვერ მოხერხდა ამ ამოცანის უნაკლოდ გადაჭრა. სირთულის გამო, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ოპერაციაში ჩართულ პირთა სოციალური მდგომარეობის გარკვევისას დაშვებულია ცალკეული შეცდომები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს შეცდომები, რიცხობრივი სიმცირის გამო, არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენენ მიღებულ დასკვნებზე.

ჩვენ ხელთ გვქონდა და შევისწავლეთ სულ XVIII საუკუნის (1700—1800 წწ.) 2390 ნასყიდობის სიგელი, რომელთაგან 1401 დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ძველი საბუთების სამ ფონდში (1448, 1449 და 1450), 812—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორნ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხ ფონდში (Hd. Sd, Ad, Qd). ხოლო დანარჩენი 177 გამოქვეყნებულია დ. ფურცელაძის[10], ექვთ. თაყაიშვილის[11], ნ. ბერძენიშვილის[12], ს. კაკაბაძის[13], შ. ბურჯანაძისა[14] და სხვათა მიერ. ნასყიდობის სიგელები სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათისაა; ზოგი ეხება ყმების ყიდვა-გაყიდვას, ზოგი — ყმებისა და მამულების, ზოგი კი — მარტო მამულების[15]. ჩვენ ნასყიდობის სიგელების უკანასკნელ ჯგუფზე შევაჩერეთ

---

[10] «Грузинские церковные грамоты» Тифлис, 1882 და «Грузинские церковные гуджари (грамоты»), Тифлис, 1881.

[11] „საქართველოს სიძველენი", ტომი I—III.

[12] „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", ტ. I—II, თბილისი, 1940, 1953.

[13] „ისტორიული საბუთები", წიგნი, V, 1913.

[14] „ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), თბ., 1958.

[15] ნასყიდობის სიგელები ფორმდებოდა სხვა შემთხვევებშიც (სახლის, მისი ნაწილის, ოთახის, დუქნისა და სხვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს). „მაცნე", ისტორიის სერია, 1972, № 1.

ყურადღება. რადგანაც იგი უფრო მეტად, ვიდრე პირველი ორი ჯგუფის საბუთები, გამოხატავს საქართველოს სოფელში მიმდინარე ცვლილებას. ჩვენი აზრით, ყმის ცალკე თუ მამულთან ერთად გაყიდვა, რომლის დროსაც მყიდველად, როგორც წესი ფეოდალი იგულისხმება, უფრო ფეოდალური აქტია, ვიდრე ბურჟუაზიული. იგი ძველი წყობილების განმტკიცებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე დაშლასა და ახლის განვითარებას. ჩვენ მიერ შესწავლილი 2390 სიგელიდან 2116 დათარიღებულია XVIII საუკუნის ამა თუ იმ წლით, ხოლო 274 საბუთს კონკრეტული თარიღი არ უზის, მაგრამ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (ხელი, ქაღალდი და სხვ.) ჩვენთვის საინტერესო XVIII საუკუნეს განეკუთვნება. დათარიღებული სიგელებიდან 1303 საბუთი ან 62% XVIII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის, ხოლო 813 საბუთი ანუ 38% — მეორე ნახევარზე.

მამულების ნასყიდობის სიგელების რაოდენობა XVIII საუკუნეში, ცხადია, მეტია, ვიდრე 2390. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ამ რიცხვის გადიდება, მაგრამ ის, ჩვენი აზრით, საკმარისია იმისათვის, რომ მკვლევარმა სათანადო, მიახლოებითი დასკვნები მაინც გააკეთოს.

წლების განმავლობაში ჩატარებული ჩვენი მუშაობა შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით წარმოვიდგინოთ:

ცხრილი 1

გამყიდველ-მყიდველთა დასახელება მათი სოციალური კუთვნილების აღნიშვნით	XVIII საუკუნეში მთლიანად		XVIII საუკუნის პირვ. ნახევარში (1700—1750 წწ.)		XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1751—1800 წწ.)	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გამყიდველი:						
ფეოდალი	1173	44,4	643	49,4	425	52,2
გლეხი	1217	55,6	660	50,6	388	47.8
სულ	2390	100,0	1303	100.0	813	100,0
მყიდველი						
ფეოდალი	1038	43,4	692	53,3	290	35,6
გლეხი	1352	56,6	611	46,7	523	64,4
სულ	2390	100,0	1303	100,0	813	100,0

როგორც 2390 ნასყიდობის სიგელის საფუძველზე შედგენილი ამ ცხრილიდან ჩანს, XVIII საუკუნის (თუ მას მთლიანად ავიღებთ) მიწათმფლობელობის ხასიათში მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილება არ შეინიშნება. ფეოდალური კლასის წარმომადგენლები თითქმის ერთნაირად მონაწილეობენ როგორც გაყიდვის, ასევე ყიდვის ოპერაციებში. გამყიდველის როლში ისინი გამოდიან 1173 შემთხვევაში, ხოლო მყიდველის—1038, რაც ყველა ჩატარებული ოპერაციის 44,4% და 43,4%-ს უდრის (შესაბამისად). სხვანაირად რომ ვთქვათ, მაღალი პრივილეგიური წოდების მონაწილეობა ყიდვაში მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამორჩებოდა მის მონაწილეობას მამულების გაყიდვაში. იგივე ითქმის გლეხობის შესახებაც. ისიც დაახლოებით ისეთივე სიხშირითაა ჩაბმული გაყიდვის ოპერაციებში, როგორც ყიდვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მამულის გაყიდვის იმ 2390 შემთხვევიდან, რომელსაც, ჩვენი მონაცემებით, ადგილი ჰქონდა 1700—1800 წლების საქართველოში, 1217 ან საერთო რაოდენობის 55,6% სწორედ გლეხობაზე მოდიოდა, ხოლო ყიდვის—1352 ანუ საერთო რაოდენობის 56,6%. ახლა თუ შევადარებთ ფეოდალისა და გლეხის მონაწილეობას ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში, ვნახავთ რომ, განსახილველი ხანის საქართველოში პირველი რამდენადმე უფრო ხშირად გამოდიოდა გამყიდველის როლში, ვიდრე მყიდველის, მეორე კი—პირიქით. განსხვავება აქ სულ რაღაც ერთი პროცენტია, ე. ი. იმდენად მცირე, რომ არ იძლევა არავითარ საფუძველს ვილაპარაკოთ ფეოდალური საკუთრების რღვევის პროცესის თუნდაც უმნიშვნელო მასშტაბით მიმდინარეობაზე. აქ შეიძლება ლაპარაკი მ ხ ო ლ ო დ მაღალი წოდების მიწების სოფლის შრომელი მოსახლეობის ხელში გადასვლის ერთგვარ. სუსტად საგრძნობ ტენდენციაზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ კი ჩვენი მუშაობა მყიდველ-გამყიდველთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ძირითადად სწორად და უშეცდომოდაა ჩატარებული.

ამისგან განსხვავებულ სურათს იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხის ცალ-ცალკე განხილვა XVIII საუკუნის პირველსა და მეორე ნახევარში. 1700—1750 წლებში ფეოდალები უფრო აქტიურად მონაწილეობენ მამულების შესყიდვის ოპერაციებში, ვიდრე გაყიდვის, გლეხები კი—პირიქით. პრივილეგირებული წოდების მონაწილეობა გაყიდვის ოპერაციების საერთო მასაში (1303 შემთხვევა) 49,4%-ს უდრის, ხოლო გლეხის—50,6%-ს. ყიდვის აქტებში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამისად იყო: 53,3% და 46,7%.

სხვანაირად რომ ვთქვათ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თავადაზნაურობა უფრო ხშირად ყიდულობდა, ვიდრე ყიდდა, გლეხობა კი — პირიქით. თუ საკითხზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში საზოგადოების ძირითადი კლასების ჩაბმის სიხშირის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 1700—1750 წლებში ფეოდალები უფრო უტევდნენ გლეხების საკუთრებას, ვიდრე გლეხები ფეოდალების საკუთრებას.

სხვაგვარი ვითარება ისახება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. აქ თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩება მას შესყიდვის ოპერაციებში. მიწა-ვენახების გაყიდვის იმ 813 შემთხვევიდან, 1750 — 1800 წლების საქართველოში რომ ჰქონდა ადგილი (ჩვენი მონაცემებით), 425 (ან 52,2%) მოდის ფეოდალებზე, 388 (ან 47,8)— გლეხებზე. იმავე რაოდენობის ყიდვის ოპერაციიდან კი ფეოდალებზე მოდის 290 ან 35,6%. ხოლო გლეხებზე—523 ან 64,4%. ამ მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს სოფლის მშრომელი მოსახლეობის ძლიერი გააქტივება, მისი ინტენსიური მონაწილეობა მამულების შეძენის საქმეში. იგი ყიდულობს საერთოდ გაყიდული მიწების დიდ ნაწილს, უტევს ფეოდალურ საკუთრებას.

სამწუხაროდ, ნასყიდობის სიგელების დიდ უმრავლესობაში არაა ნაჩვენები გაყიდული მიწების რაოდენობა (და ხშირად ადგილიც კი). ამის მაგივრად იქ მითითებულია ბრუნვაში მოქცეული მიწის საზღვარი, რაც შეუძლებელს ხდის მისი ფართობის დადგენას. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. 1724 წელს საგინაშვილმა პაატამ საგინაშვილ ბეჟუას მიჰყიდა მიწა, რომლის ადგილმდებარეობისა და ფართობის შესახებ საბუთში ნათქვამია, რომ მისი ერთი ნაწილი „პაპიაშვილის კარზედაა“, ხოლო მეორე — „იმის ზეით“[16]. 1728 წელს გიორგი რევიშვილმა მდივანბეგ ერასტის მიჰყიდა ახალშენს „ჯალდმისსა და მუსეფირის საზღვრებს შუა“ მდებარე მამული[17]. თარხნიშვილი იორამი, რომელმაც 1763 წელს გიორგი, ბაინდურა და ქაიხოსრო წვერანასშვილებთან გააფორმა ნასყიდობის აქტი, წერს: „მოგყიდეთ ახალქალაქს შენის ბოსტნის გვერდით“ მდებარე ბოსტანი[18]. გიორგი მინბაშის მიერ 1797 წელს გაცემულ ერთ საბუთში კი ნათქვამია, რომ მან პუპა და ოთარ სესიაშვილებს

---

[16] სსცია, ფ. 1448, საბ. 4142.

[17] იქვე, საბ. 2988.

[18] სსცია, ფ. 1448, საბ. 4384.

მიჰყიდა მამულის თავი „მარჯვნივ მხარეს“ დედასშვილის, ხოლო მარცხნივ — „პეტრე მღვდლის (მიწის) მიჯნამდინა“[19].

ჩვენ მიერ შესწავლილი 2390 ნსსყიდობის სიგელიდან გაყიდული მიწის (თუ ვენახის) ფართობი მხოლოდ 310 სიგელშია ნაჩვენები, რაც მათი საერთო რიცხვის დაახლოებით 13%-ს შეადგენს. გაყიდული ფართობის ზომის მიხედვით ეს რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება (ცხრ. 2).

ცხრილი 2

გაყიდული მიწების რაოდენობის შემცველი სიგელები, რიცხვი და ხვედრითი წონა	გაყიდული მიწების ფართობი (დღიურებში)										
	ერთ დღიურამდე	1—2	2—3	3—4	4—5	5—6	6—7	7—8	8—9	9—10	10-ზე მეტი
310	11	175	36	32,	18	15	3	3	1	5	10
100.0%	3,6	56,7	11,7	10,3	5,9	4,8	0,9	0,9	0,3	1,6	3,3

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მიწის გაყიდვის 310 შემთხვევიდან 273 შემთხვევაში დადასტურებულია უწვრილესი და წვრილი (5 დღიურამდე) ნაკვეთების გაყიდვა, 27 შემთხვევაში — საშუალო მასშტაბის ნაკვეთების (5-დან 10 დღიურამდე), ხოლო 10 შემთხვევაში— შედარებით მსხვილი (10 დღიურზე მეტი)[20] ნაკვეთებისა. მათი ხვედრითი წონა შესაბამისად უდრის: 87,9%, 8,8% და 3,3%-ს.

შედარებით მსხვილი ნაკვეთების გაყიდვის ათი შემთხვევიდან 3 ,მოდის XVIII საუკუნის პირველ ნახევარზე, ხოლო 7—იმავე საუკუნის მეორე ნახევარზე. სულ ამ ათი ოპერაციით 225 დღიური მიწა გაიყიდა. აქედან 1700—1750 წლებში — 45 დღიური ანუ 20%, ხოლო 1751—1800 წლებში—180 დღიური ანუ 80%. ფეოდა-

[19] საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში შემოკლებით-სმახი), ფონდი Qd, საბ. 3967.

[20] აქედან: ორი — 12, ორი — 15, ერთი — 18, ერთი — 25,5, ორი — 26, ერთი — 26,5, და ერთი 49 დღიური. არის ერთი შემთხვევა 60 დღიური ტყის მასივის გაყიდვისა (სმახი, ფ. Qd, საბ. 2463), მაგრამ ჩვენ ის, ვითარცა ტყის მასივი, ზემოთ დასახელებულ შედარებით მსხვილი ნაკვეთების გაყიდვის შემთხვევებში არ შეგვიტანია. ეს ტყე გაყიდა ფეოდალმა, იყიდა გლეხმა. იყო არაერთი შემთხვევა მთელი სოფლის ან მისი ნაწილის ყიდვა-გაყიდვისა, რომელშიც მხოლოდ ფეოდალები მონაწილეობდნენ. 1799 წელს, მაგალითად, ფეოდალმა შანშიაშვილმა გაყიდა სოფ. ხორი. იყიდა იგი უცუნის ეპისკოპოსმა სვიმონმა (სსია, ფ. 1448, საბ. 3900). იმავე წელს შანშიაშვილმა უცუნის ეპისკოპოსსვე მიჰყიდა სოფელ ჯილიზის ნახევარი (ი ქ-ვ ე, საბ. 3901).

ლებმა გაყიდეს 116,5 დღიური ანუ საერთო რაოდენობის 51,7%, გლეხებმა კი — 108,5 დღიური ან 48,3%. პრივილეგიურმა წოდებამ შეისყიდა მსხვილ ნაკვეთებად გაყიდული მიწების მხოლოდ 35.3% (79,5 დღიური), სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ კი— 64.7% (145,5 დღიური). ამ მაგალითშიც დასტურდება ფეოდალურ საკუთრებაზე გლეხების მხრივ იერიშის მიტანის საინტერესო ფაქტი.

წვრილი ნაკვეთების შემსყიდველები უპირატესად გლეხები იყვნენ, მაგრამ ამ საქმეში თავადაზნაურობაც მონაწილეობდა. პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები, როგორც წესი, მაშინ იძენდნენ წვრილ ნაკვეთებს, როდესაც საქმე ეხებოდა მათ საკუთრებაში უკვე მყოფი მამულების დამრგვალებას[21]. ამ გარემოებას პირველად გ. ნათაძემ მიაქცია ყურადღება და სათანადო დასკვნა გააკეთა[22], რაზედაც მოგვიანებით საგანგებოდ გვექნება მსჯელობა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ XVIII საუკუნეში საერთოდ, და მის მეორე ნახევარში განსაკუთრებით, თავადაზნაურობა გაცილებით უფრო ხშირად გამოდიოდა გამყიდველის როლში, ვიდრე მყიდველის, გლეხი კი — პირიქით. ამაზე დავაფუძნეთ ჩვენი დასკვნა პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელობის მძიმე მდგომარეობის, მისი შერყევის შესახებ. ასეთ დასკვნას მხარს უჭერს საკითხის მეორე ასპექტში განხილვაც — საზოგადოების ძირითადი კლასების — ფეოდალებისა და გლეხების მიერ გაყიდული და შესყიდული მიწების ფართობის ერთიმეორესთან შედარება. ჩვენ, როგორც უკვე ვთქვით, არ ვიცით, თუ რამდენი მიწა გაიყიდა სულ ჩვენ მიერ განხილული 2390 ნასყიდობის სიგელით, რადგან მსგავსი ხასიათის ცნობები მოიპოვება სიგელების მხოლოდ მცირე ნაწილში — 310 ნასყიდობის აქტში. როგორც სათანადო გაანგარიშებიდან ჩანს, 310 აქტით გაყიდულა სულ 1102 დღიური მიწა. აქედან ფეოდალებს გაუყიდიათ 519,5 დღიური ან მიმოქცევაში ჩავარდნილი მიწების საერთო რაოდენობის 47,1%, ხოლო გლეხებს — 582,5 დღიური ან 52,9%. გაყიდული მიწების უდიდესი ნაწილი — 716,5 დღიური ან 65,1% გადასულა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ხელში, ხოლო უმცირესი—385,5% დღიური ანუ 34,9%—პრივილეგირებული წო-

---

[21] ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს სიძველენი. ტ. I, გვ. 84, 84—85, 92—93; ტ. II, გვ. 470, 471—472, 473—474, 476.

[22] Г. Я. Н а т а д з е. К вопросу об экономическом положении Грузии в XVIII веке, კრებულში: «История классовой борьбы в Закавказье», Тифлис» 1930.

დების ხელში. თუ ახლა 310 ნასყიდობის სიგელის ‘ონაცემებს გავავრცელებთ ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა 2390 სიგელზე, მაშინ გამოვა, რომ ხსენებული აქტებით სულ გაყიდულა დაახლოებით 9000 დღიური მიწა, რომლიდანაც 5940 (65,1%) გლეხებს შეუძენნიათ, ხოლო 3060 დღიური (34,9%) — თავადაზნაურობას. ამრიგად, გლეხებს შეუსყიდიათ არა მარტო მათი კლასობრივი მოძმის მიერ გაყიდული მიწები მთლიანად, არამედ თავადაზნაურთა მიწების ნაწილიც, დაახლოებით 25,8%.

აღებულ თემასთან მჭიდრო კავშირშია საკითხი იმის შესახებ, თუ რით და როგორ ისტუმრებდა მყიდველი მიწის გამყიდველს? ყველა ნასყიდობის სიგელში, როგორც წესი, მითითებულია, რომ გამყიდველმა მიიღო სრული ფასი, რითაც იგი კმაყოფილი დარჩა, გული შეიჯერა. ჯავახიშვილი ზაალი, რომელმაც 1759 წელს თავის რძალს „ბატონ თინათინს“ მიწა მიჰყიდა, წერს: „ავიღეთ ფასი სრული და უკლები“[23]. ნასყიდობის საბუთში, როჭიკი როჭიკიშვილსა და დავით ქადაგიშვილს შორის რომ გაფორმდა 1700 წელს, ნათქვამია, რომ პირველმა აიღო „ფასი სრული და უკლებული“[24]. ამასვე აცხადებს რამაზ გოგიბაშვილი[25] (1721 წელი), გიორგი კაციაშვილი[26] (1735 წ.), ამსოანთ ელენე[27] (1776 წ.), ბაღლალაანთ სტეფანა[28] (1779 წ.) და მრავალი სხვ.

ხშირად იგივე ფორმულა ნასყიდობის სიგელებში ასეა ჩამოყალიბებული: „ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი (ან ჩვენი) გული შესჯერდებოდა“. ამ ფორმულიდან და მისი სხვა ვარიანტებიდან ჩანს, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის სრული თანხმობა იქნა მიღწეული და რომ ოპერაციით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა[29]. მაგ-

---

[23] სმახი, ფ. Qd საბ. 8577.

[24] სსცია, ფ. 1448, საბ. 5392.

[25] სსცია, ფ. 1448, საბ. 5437ბ.

[26] ი ქ ვ ე, საბ. 8732.

[27] ი ქ ვ ე, ფ. 1450, დავთ. 6, საბ. 125.

[28] ი ქ ვ ე, დავთ. 6, საბ. 122.

[29] „ფორმულა „ფასი დასაჯერებელი“, — წერს ივ. ჯავახიშვილი,—სრული გამონათქვამის შემოკლებას წარმოადგენს. ეს სრული გამონათქვამი ნასყიდობის შემდეგდროინდელ წიგნებშია დაცული და ამ სახით იხმარებოდა. აეიღეთ, ან მივეცით „ფასი სრული, რითაც ჩვენი (ან მისი) გული შესჯერდებოდა“-ო. ხშირად ასეთ გამონათქვამს მიცემული ფასის რაოდენობის შესახებ ცნობაც მოსდევს, მაგრამ ზოგჯერ ფასი აღნიშნული არ არის, როგორც ეტყობა, უ კ ვ ე ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა, რ ო მ ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა შ ი ფ ა ს ი ს რ უ ლ ა დ ი ყ ო გ ა დ ა ხ დ ი ლ ი დ ა ა ღ ე ბ უ ლ ი დ ა ე ს... წ ე რ ი ლ ო ბ ი თ დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ უ ლ ი ი ყ ო, კა-

ერამ თითქმის არსად, ცალკეულ გამონაკლისებს გარდა, საბუთში არაა მითითებული, თუ რა იგულისხმება ფასის ქვეშ — გამყიდველის ფულით თუ ნატურით დაკმაყოფილება. ჩვენ მიერ შესწავლილი 2390 ნასყიდობის სიგელიდან მხოლოდ რამდენიმეშია გაშიფრული, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად გამოთქმა „ავიღე ფასი სრული". ირკვევა, რომ ფასის აღება მიწის თუ სხვა ღირებულების გაყიდვისას ყოველთვის მარტო გამყიდველის ფულით დაკმაყოფილებას არ ნიშნავდა. ასე, მაგალითად, ერთ საბუთში, რომელშიც ფიქსირებულია მიწის გაყიდვის ფაქტი (XVIII ს.) პაპუნა ბახტაძისა და ძმების მიერ, ნათქვამია: „აგვიღია ფასი სრული, რასაც ჩვენი გული შეგიჯერდებოდა: ერთი ხარი, ერთი კაბიწითა-ფური, ერთი მარჩილი თეთრი"[30].

მასალების თანახმად ზოგჯერ ანგარიშის გასწორება მთლიანად და მხოლოდ ფულით ხდებოდა. ფულით გაისტუმრა, მაგალითად, ნიკოლოზ მაღალაშვილმა მიწის გამყიდველი ქაიხოსრო თუმანიშვილი (1720 წ.)[31], როინ ჯავახიშვილმა — მანგლელი ეპისკოპოსი იოსები (1727)[32], გიორგი ჩიკვაიძემ — ბერიკელა კოპაძე (XVIII ს.)[33], ნიკოლოზ ჟორჟოლიანმა — სვიმონა ჭოლაძე (XVIII ს.)[34], ივანე სიხარულიძემ — წიქორია ნასყიდა, დავით ხუციშვილმა — დიმიტრი გარაყანიძე (1792 წ.)[35], ბეო ხოჯაშვილმა — დარეჯან დედოფალი (1790 წ.)[36] და სხვ. მაგრამ ასეთების რიცხვი ერთობ მცირეა, რაც თავისთავად მიწის ფულზე გაყიდვის იშვიათობის დამადასტურებლად ვერ გამოდგება. ნასყიდობის სიგელებში, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, საერთოდ იშვიათადაა მოცემული ფასის კონკრეტული

ნონის თვალსაზრისით სრულებით საკმარისად ითვლებოდა, რათგან ამითუკვე მხარეთა კმაყოფილება მტკიცდებოდა და როგორც გამყიდველისა, ისევე მყიდველისაგან საფასურის გამო ყოველგვარი ჩივილი შეუძლებელი იქნებოდა და რომ ატეხილიყო კიდეც, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი, 1929, გვ. 434, ხაზი ავტორისაა — ი. ა.).

30 სს. ტ. II, გვ. 452—453.

31 სსცია, ფონდი 1448, საბ. 3896.

32 იქვე, საბ. 3904.

33 იქვე, საბ. 2853.

34 იქვე, საბ. 2828.

35 იქვე, ფ. 1450, დავთ. 5, საბ. 132.

36 სმახი, ფ., საბ. 9362.

დასახელება, მაგრამ იქ, სადაც იგი მითითებულია, თითქმის ყველგან ანგარიშის ფულით გასწორებაა დადასტურებული. გამონაკლისს შეადგენს სულ რაღაც რამდენიმე შემთხვევა (აქედან ერთი უკვე მოვიხსენიეთ), როდესაც გაყიდულის საფასურად აღებულია შერეული სახის ეკვივალენტი (ფული, ხარი და სხვ.). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიწა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში იყიდებოდა გაჭირვების, უსახსრობის, ტყვეობისა და დავალიანების გამო (ამაზე საგანგებოდ ქვემოთ გვექნება საუბარი), ხოლო ამ მდგომარეობებიდან გამოსვლა, როგორც წესი, მხოლოდ ფულის შეძენა-გადახდას გულისხმობდა, მაშინ ბუნებრივად მივალთ ფულადი ოპერაციების საგრძნობი ხვედრითი წონის, მათი წამყვანი როლის აღიარებამდე.

მიწების, ვენახების ტყისა და სხვათა (სახლი, დუქანი, საათი, თოფი ა. შ.) გაყიდვის მიზეზად უმრავლეს შემთხვევაში გამყიდველის მატერიალური შეუძლებლობაა დასახელებული. ნასყიდობის სიგელები აჭრელებულია წინადადებებით, რომლებიც ლაპარაკობენ გამყიდველის მძიმე, ზოგჯერ უკიდურესობამდე მისულ სიღარიბეზე, მის გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობაზე. ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის საბუთში (1701 წ.) შალუტა ცერცვაძე აცხადებს: „დამეჭირა და სულს აქეთ გზა და ღონე არა მქონდა, შიმშილობა იყო... და მოგყიდე ჩემგანაც ნასყიდი ერთი დღის მიწა“[37]. ბერუა სუთიაშვილიც მის მიერ გაცემულ საბუთში წერს (1710 წ.): „დაგვეჭირა, ვალი მემართა, თქვენ (სახლთუხუცეს ამილბარს — ი. ა.) შემოგეხვეწეთ... გარდავწყვიტეთ და მოგყიდეთ ალალი ჩემი მკვიდრი მამული — ნავენახობი“[38]. „ქმარი და შვილები დამეხოცენ, იმათი ვალი დამრჩა, მკვდრებიც დაუმარხავი მყუანდნენ, იმათი ცოდვაც მაწუხებდა და ამის გამო გავყიდე წისქვილი და ავლაბარში ბაღის ნაწილი“[39] — ვკითხულობთ ერთ სიგელში (XVIII ს.), რომელსაც ხელს აწერს ამ სიტყვების ავტორი ელენე მეფურიშვილი. „თათარმა დაგვიჭირა და დაგვიბორკილა, — ნათქვამია მანგლელი ეპისკოპოსის იოსებ ჯავახიშვილის მიერ 1727 წელს გაცემულ საბუთში, — თეთრსა გვთხოვდა: ჩვენ არსად შოვნის ღონე არ

---

[37] სმახი, ფ. Sd, საბ. 570.
[38] ი ქ ვ ე, ფ. Ad, საბ. 11849.
[39] ი ქ ვ ე, ფ. Sd, საბ. 150.
[40] სსცია, ფ. 1448, საბ. 3904.

გვქონდა და მოგყიდეთ ჩემი ნასახლარი თავის შესავალ-გასავლითა"[40]. „სიღარიბემა დიაღ შემაწუხა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვდრო ორი დღის მიწა"[41], „სიღარიბემ და ვალმა დიდად შეგვაწუხა. მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი მიწა ერთი დღისა და ცოტა მეტი"[42]—აცხადებენ თამაზა ავაქიშვილი და ფარემუზ პეტროზაშვილი, რომლებმაც 1727—1728 წლებში (შესაბამისად) გაყიდეს თავიანთი მიწები. მატერიალური ხელმოკლეობის მიზეზით გაყიდეს ავრეთვე მამულები ფეოდალებმა: ლუარსაბ აფურფატიშვილმა[43], გერმანოზ გერმანოზიშვილმა[44], გოდერძი თურქისტანიშვილმა[45], შერმაზან მერაბიშვილმა[46], იოსებ გედევანიშვილმა (1794 წ.)[47], კაცია მუხრანბატონმა (1799 წ.)[48] და სხვებმა. იესე ბარათაშვილის მოწმობიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ მიწებს იგი სწორედ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი პირებისაგან ყიდულობდა. 1763 წლის თარიღით იგი წერს: „შანუჩარ სოლოღაშვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჭირვება მიაპბო... დიდის ფიცით მითხრა, ორი დღე არც მე მქონია პური, არც ჩემს შვილსაო; ძიძამ შემომიგდო, აღარ აწოვა, საჯამაგიროს მთხოვსო, ექვსის თვისა მმართებსო; ის ჩემი შვილი გუშინ, წუხელის და დღეს ჩემს სახლში გდია, უძუძური ტირისო. ის კი მოკვდება და ვიღასთვის მინდა მამულიო, ელიზბარის წილი ტაგნავეთი იყიდეო"[49]. ქაიხოსრო აბაშიძე კი 1793 წლის პირველ ნოემბერს ერეკლე მეორისადმი მირთმეულ არზაში დაბეჯითებით არწმუნებს მეფეს, რომ მას, ვითარცა გაღატაკებულს, შეშის საყიდელი ფული არა აქვს[50].

თავადაზნაურობა (ცხადია გლეხობაც) იოლად როდი მიდიოდა მამულების გაყიდვაზე. იგი ხშირად მათ აგირავებდა, სესხს იღებდა და მიღებული ფულით შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლას

---

41 ი ქ ვ ე, ფ. 1450, დავთ. 6. საბ. 26,

42 ი ქ ვ ე, დავთ. 8. საბ. 19,

43 ი ქ ვ ე, დავთ. 11, საბ. 61, 1738 წ.

44 „ჩვენის დიდის გაჭირვებისათვის მოგყიდეთ... ენაგეთს ჩვენი სამკვიდრო მამული" (იქვე, დავთ. 6, საბ. 69, 1738).

45 „არსით ილაჯი და ღონე არ მქონდა, მოვალე მაწუხებდა... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო... მიწა წყლითა და წისქვილითა" (იქვე, დავთ. 2, საბ. 93, 1738).

46 „თათრის ვალი მქონდა და მაწუხებდნენ... მოგყიდე ჩემი წილი იჯნარის ნახევარი" (იქვე, დავთ. 2, საბ. 109, 1738).

47 სმახი, ფ. საბ. 40.

48 ი ქ ვ ე, საბ. 1614.

49 იესე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ანდერძი" გვ. 36.

50 მსეი, წიგნი 11, თბ., 1953, გვ. 103.

ცდილობდა. ასეთი ნაბიჯი გადადგა, მაგალითად, ქაიხოსრო სოლოღაშვილმა. მან 1721 წელს ზურაბ რატიშვილისაგან აიღო სესხად 30 თუმანი „ახალი თეთრი". „დაგიდევ ამის გირაოთ ასურეთს, — წერს მსესხებელი, — ჩემი კერძი რაც ბარათში გამომყოლოდეს ან გლეხი, ან ხოდაბუნი, ან აზნაური, ან მიწა-წყალი... სანამ შენს თეთრს მოგცემდე... ჩემი წილი ასურეთის გამოსაღებით" შენ ისარგებლე[51]. 1725 წელს იგივე გააკეთა ნოდარ ციციშვილმა. მან თავის ბიძაშვილ ბაგრატ ციციშვილისაგან ოთხთუმან-ნახევარი თეთრი აიღო და გირაოდ მისცა გლეხი ხოსია კამარიაშვილი „თავისის მამულითა"[52]. 1756 წელს ქაიხოსრო წერეთელმა როსაპ მაჭავარიანისაგან 44 მარჩილი (თეთრი) ისესხა, რაშიაც თავისი ხელქვეითი სამი კომლი გლეხი (გვარად გაჩეჩილაძეები) დაუგირავა „მამულადგილით, ეკლესია-სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილითა, მათის ყოვლისფრით, საძებარ-უძებრით"[53]. 1781 წელს გლეხმა ბეროა შიოშვილმა სულხან თუმანიშვილს რვა თუმანი „ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი თეთრი" გამოართვა. გირაოდ მისცა საკუთარი ხელით გაშენებული ვენახი იმ პირობით, რომ იგი მას თვითონ დაამუშავებდა და ვალის გადახდამდე შემოსავლის ნახევარს ყოველწლიურად კრედიტორს მისცემდა[54].

აგირავებდა რა მამულებს, დამგირავებელი (განურჩევლად წოდებრივი მდგომარეობისა) ერთგვარი იმედით შეჰყურებდა ამ ოპერაციას და ფიქრობდა, რომ იგი მოახერხებდა ვალის გადახდას და დაგირავებულის უკან დაბრუნებას. მაგრამ ამას იგი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწევდა და ჩვეულებრივ ვალების აღების ოპერაცია დაგირავებული (თუ დაუგირავებელი) მამულების დაკარგვით, სესხის მიმცემის ხელში გადასვლით მთავრდებოდა. ასე დაკარგეს, მაგალითად, მამულები გიორგი ფალავანდიშვილმა (XVIII ს.

---

[51] ი ქ ვ ე, გვ. 14.
[52] ი ქ ვ ე, გვ. 19.
[53] მსეი, II, გვ. 38—39.
[54] ი ქ ვ ე, გვ. 54.

პირველი ნახევარი)[55], ქაიხოსრო წერეთელმა (1770 წ.)[56], ოტია წერეთელმა (1780 წ.)[57], ხოსრო ხოჯაშვილმა (1790 წ.)[58], გიორგი აბაშიძემ (1799 წ.)[59] და სხვ.

ერთი სიტყვით ეკონომიური შეუძლებლობა, ვიმეორებთ ისევ, აიძულებდა მიწის პატრონს მისი გაყიდვის სახიფათო გზას დასდგომოდა. მიწა-მამულებს ,,ბლეხიც ,,ყიდდა ,,და ,,ფეოდალიც, მაგრამ უკანასკნელი მას ,,უფრო ხშირად ,,და მეტი მასშტაბით მიმართავდა, ვიდრე პირველი და მისთვის ამ მოვლენას ,,უფრო სავალალო შედეგები ჰქონდა, ვიდრე ,,სოფლის მშრომელი ,,მოსახლეობისათვის. სოფლის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ,,ზევით ვნახეთ, ,,ბევრად უფრო მეტს ,,იძენდა, ,,ვიდრე ,,ჰკარგავდა.

მიწის მყიდველებს შორის განსაკუთრებით გლეხები აქტიურობდნენ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა მესაკუთრენი გამხდარიყვნენ. საკუთრების ყველაზე მყარ და საიმედო სახეობას კი სწორედ ნასყიდობის გზით შეძენილი საკუთრება წარმოადგენდა. იგი, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, იურიდიულად წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა. ასეთად ითვლებოდა არა

---

[55] „ეს წიგნი — ნათქვამია საბუთში, — მოგართვით თქვენ, ბატონს წერეთელს, ქვეს, თქვენს შვილს ბეჟანს და დავითს მე, ფალავანდიისშვილმა გიორგიმ, ჩემა შეილმა შიოშ, ასრე რომ აბაშიძემ მამული დამიკავა. ახლა დამეირდა თეთრი იმ მამულის გარდასახადად აბაშიძისათვის. ორასორმოცდაათი მარჩილი ეიღე თქვენგან მამულის დასახსნელად. სხვა ვერა ვიშოვე რა და ... მოგართვი აბრამიშვილი ლაზარე და შიოთათის ცოლ-შვილით, სახლით, კარით, საფლავით, წყლით, წისქვილით, სათიბით, ტყით, რისაც მჭონებელი იყოს მისის ყოვლის ფრით“ (მსეი, II, გვ. 32).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ტექსტიდან ჩანს, ფალავნისშვილმა დაგირავებული მამული დაიხსნა სხვა მამულის გაყიდვის გზით.

[56] ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. 39 („თეთრის გადახდა ვეღარ შეეიძლე და გლეხი შემოგატოვეთ“).

[57] ი ქ ვ ე. საბ. 73 („თეთრს დიდი ხანი დაეყოვნა... გარდახდა ვეღარ შეეძელით და ის საწინდარი გლეხი შემოგატოვეთ“).

[58] „შენ — წერს მანუჩარ თუმანიშვილი ხოსრო ხოჯაშვილის სახელზე გაცემულ საბუთში, — ჩემის მეუღლის... ორმოცდათექვსმეტი თუმანი გემართა და შენი დიდი ვენახი იმაში გირაოთ მეკირა. ამ ჟამათ თეთრის თხოვნა დაგიწყე. შენ რომ მოცემა ვერ შეიძელ, მეც ორმოცდათექვსმეტ თუმნად შენი დიდი ვენახი, რომელიც ჩემთან გირაოთ იყო, ვიყიდე“ (მ ს ე ი, II, 86).

[59] „გამოვიდა რამდენიმე წელი,—ეკითხულობთ გიორგი აბაშიძის მიერ ქიზიყის მოურავის ქაღის ანას სახელზე დაწერილ საბუთში, და ვერ მოგეც შენი ეალი. მთხოვდი და მაწუხებდი, შენ დედ-მამას ცრემლით შესტიროდი, ისინი იასაულათ დამაყენე... სხვა ღონე არა მქონდა რა (და ამიტომ) ეს ჩემი ნასყიდი... გვერდის-უბანი მომიცია“ (მ ს ე ი, II, III).

მარტო ფეოდალის, არამედ გლეხის ნასყიდი საკუთრებაც. „თუ კაცმან ნასყიდობა ქმნას, — ნათქვამია ვახტანგ VI სამართლის წიგნში, — მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყვი (იყიდოს), დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის. და თუ ბატონი გაუწყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც ეს მართებს: სხვარიგად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს"[60] (ხაზი ჩვენია — ი. ა.). იასე ბარათაშვილიც თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ქვეყანაში... ნასყიდობის მოშლა" ძნელი შემოსაღებიაო[61]. ცხოვრება, ცხადია, ხშირად არღვევდა ამ იურიდიულ ნორმებს, მაგრამ სამართლის ძეგლებში ნასყიდი საკუთრების განსაკუთრებული სიმყარის აღნიშვნას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. იგი საფუძველს აძლევდა ყველას, ვისაც ნასყიდობა მოუშალეს, ებრძოლა და კანონის დაცვა მოეთხოვა.

გლეხი, როგორც უკვე ვთქვით, უპირატესად წვრილ ნაკვეთებს ყიდულობდა, თუმცა არც შედარებით მსხვილი ნაკვეთების შესყიდვა იყო გამორიცხული. **განურჩევლად იმისა, თუ რა ფართობის მიწებს იძენდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა — დიდს თუ მცირეს—იგი ყველა შემთხვევაში ერთი მთავარი ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად — თავი დაეღწია მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმური საშუალებისაგან და გამხდარიყო დამოუკიდებელი მეურნე[62]. ეს კი ძირს უთხრიდა ფეოდალურ საკუთრებას და**

---

[60] ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თბ., 1955, მუხ. 160. ძეგლი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ.

უკეთებს რა კომენტარს ამ მუხლს ალ. ვაჩნაძეული წერს: „ამგვარად, ფეოდალურ საქართველოში მიღებული ყოფილა დებულება, რომლის ძალით „ნასყიდი ქონება", საერთოდ და კერძოდ „ნასყიდი მამული", ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად, ხელშეუხლებლად იყო აღიარებული" (ალ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე ული, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, III, თბ., 1963, გვ. 111).

იმის საილუსტრაციოდ, რომ კანონს ნასყიდობას მოუშლელობის შესახებ ანგარიში ეწეოდა, ივ. სურგულაძეს იესე ბარათაშვილის მაგალითი მოაქვს. მას, როგორც ცნობილია, ერეკლეს ბრძანებით მთელი ქონება ჩამოართვეს, გარდა სახლისა, რომელსაც ვითარცა ნასყიდს, ხელი ვერ ახლეს (ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საკუთრების უფლების ინსტიტუტის ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ, „შრომები", XXXVII, 1949, გვ. 2).

[61] ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ანდერძი, გვ. 42.

[62] გლეხების მიერ მიწების საკუთრებაში შეძენა სწორედ ასეა შეფასებული საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში (იხ. И. Д. Ковальченко, о характере и формах расслоения помещичьих крестьян России в первой половине XIX века, «Исторические записки», т. 78, 1965.

ხელს უწყობდა საკუთრების ახალი ფორმის წარმოშობა-განვითარებას, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-დაწინაურებას[63].

მიწას, როგორც უკვე ითქვა, ფეოდალებიც ყიდულობდნენ. ზოგი მათგანის მოქმედება ამ მიმართულებით განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ამილბარ ბაღალაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილი, არჯევან ფიცხელაური, იესე ბარათაშვილი და სხვები. აქ დასახელებული პირები ეწეოდნენ სისტემატურ ნომხვეჭელობას, მამულების შეუნელებელ შესყიდვას. ესენი და პრივილეგირებული წოდების სხვა წარმომადგენლები ყიდულობდნენ როგორც წვრილ ნაჭრებს, ისე მსხვილ ნაკვეთებს, ზოგჯერ მთელ სოფლებსაც კი. პატარა ნაკვეთების შესყიდვა უმეტეს შემთხვევაში მაშინ ხდებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა ფეოდალის მამულის დამრგვალებას. აი ამის რამდენიმე მაგალითი: იესე წინამძღვრიშვილმა ზაალ წინამძღვრიშვილს მიჰყიდა მიწა, რომელიც უშუალოდ უკანასკნელის მამულს ემიჯნებოდა[64]. 1784 წელს შედგენილ ნასყიდობის სიგელში ნათქვამია, რომ ბერი ფიცხელაურმა თავის ბიძაშვილს არჯევან ფიცხელაურს ნაღდ ანგარიშზე მისცა მიწა, რომელიც მეორის მამულის ნაწილს, მის გაგრძელებას წარმოადგენდა[65]. იმავე არჯევანის სახელზე გაფორმებულ მეორე ნასყიდობაში (1784 წ.) კი მიწის გამყიდველი თექთუმან ფიცხელაური წერს: „დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი, ბარათში ნარგები, შენი კოშკის გვერდზე სახლ-კარათ ნარგები მიწა"[66]. თავიანთი მამულების მომიჯნავე მიწის ნაკვეთები იყიდეს აგრეთვე ბევერდიშვილმა[67], ყანჩელმა[68], ლოლაძემ[69], გოსტაშაბიშვილმა[70] და სხვებმა.

დამრგვალების ტენდენციას პირველად ყურადღება გ. ნათაძემ მიაქცია. მანვე მოგვცა ამ მოვლენის მნიშვნელობის პირველი შეფა-

---

[63] Н. Л. Рубинштейн, Сельское хозяйство России во второй половине XVIII века, Москва, 1957, გვ. 39, 72.

[64] ს ს ც ი ა, ფ. 1448, საბ. 690.

[65] ს ს, II, გვ. 85.

[66] სს, II, გვ. 471—472.

[67] Г. Я. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, კრებული: «История классовой борьбы, в Закавказье". Тифлис, 1930, გვ. 131. (ქვემოთ გ. ნათაძის სტატიის დასახელებისას ამ კრებულის გვერდები იქნება მითითებული).

[68] ი ქ ვ ე.

[69] ი ქ ვ ე.

[70] სს, I, გვ. 85.

ხებაც. «Таким образом, — წერს იგი — одна сторона освобождается от лишней, ненужной ему для хозяйства земли, а другая приобретает землю, округляющую ее имение. При старом способе хозяйства, когда участки земли отдавались под «галу», разбросанность и чересполосность мешать ведению хозяйства не могли. Очевидно здесь мы имеем дело со стремлением к округлению имения с целью вести более рациональное хозяйство, иначе говоря — расширить то, что называлось барской запашкой за счет сокращения количества участков, отданных крестьянам под галу и другие повинности»[71].

მკვლევარი ამასთანავე აღნიშნავს, რომ მიწების დამრგვალების ტენდენცია დამახასიათებელი იყო სწორედ XVIII საუკუნისათვის, უფრო ზუსტად ამ საუკუნის მეორე ნახევრისათვის. მისი აზრით, წინა პერიოდში ის ძალზე მკრთალად, უმნიშვნელო მასშტაბით შეინიშნებოდა. აჯამებს რა თავის დაკვირვებებს ამ მიმართულებით, ავტორი წერს: «Если ближе познакомиться с упомянутыми выше случаями частных сделок на землю, зафиксированными в документах XVII столетия и сравнить их с аналогичными документами XVIII столетия, мы увидим чрезвычайно характерную разницу. До XVIII столетия[72]... чрезвычайно редки случай покупки имения смежного с землей покупателя или продавца, что указывает на отсутствие тенденции к округлению имения с целью более рациональной эксплуатации»[73].

მსხვილი რაციონალური[74], საბაზრო პროდუქციის დამამზადებელი მეურნეობები განსახილველი ხანის საქართველოში მართლაც არსებობდნენ[75]. ამაზე ჩვენ სხვაგან გვექნება საგანგებოდ ლაპარაკი. აქ კი მხოლოდ ვიტყვით, რომ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური აზრიც უბიძგებდა ყველას, მათ შორის, ცხადია, ფეოდალებსაც, რაციონალური, სასაქონლო მეურნეობების შექმნისაკენ. იგი მხარს უჭერდა არა მარტო ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი პროდუქციის გაყიდვას, არამედ პრო-

---

[71] გ. ნათაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129—130.

[72] აქ, ვფიქრობთ შეცდომით წერია XVII საუკუნე.

[73] გ. ნათაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 129.

[74] მსხვილ რაციონალურ მეურნეობას ეწოდა არა მარტო ის, ვინც პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებს ყიდულობდა და ამ გზით ამრგვალებდა თავის მამულს, არამედ დიდი ფართობის შემსყიდველნიც.

[75] Н. Г. Кантария, Хозяйство грузинского помещика в XVIII веке (автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1955.

ღუქციის გარკვეული ნაწილის თავიდანვე საბაზროდ წარმოების იდეას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბატონიშვილ ბაგრატის ტრაქტატი „შემოკლებული სოფლის ეკონომია", დათარიღებული 1816 წლით. ამ ხელნაწერის მეექვსე პარაგრაფში ვკითხულობთ: „შემოსავალი ყოველივე შამულისა... ცგანიყოფების სამად. ერთი ნაწილი აიღების სახლის სახარჯავად, მეორე — შესანახავად. **ხოლო მესამე — გაიყიდების**"[76]. მეხუთე პარაგრაფში კი, რომელიც მესაქონლეობას ეხება, ნათქვამია: „მეგატონეს მართებს რათა ჰყუანდეს პირუტყვი მრავლებით... ცხუარი მისცემს დიდს სარგებლობასა. აგრეთუვე ღორი უფრორე. ღორის ქონი იხმარება საპნად და სანთლად, ხოლო ხორცი ლორედ, მძეხუად და საქმელად, **ეგრეთუვე გასასყიდათ, რომელიცა გაიყიდების კარგად ფასად**"[77].

იგივე აზრია გატარებული იოანე ბატონიშვილის „სჯულდებაში", რომელიც 1799 წელს განეკუთვნება. ამ ძეგლის 89-ე მუხლში წერია: „აკეთონ ერბო და ყველი, მატყლით ქსოონ საფენნი და სხვა საჭიროებანი, და აგრეთვე, თათართაცა და ქართუელთაცა, სადაც კეთდებოდეს აბრეშუმი, იმასაც მუშაობდენ და **ესეც ყოველივე ანგარიშით ინახებოდეს, იყიდებოდეს და თეთრად გროვდებოდეს**"[78].

ციტირებული ადგილების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიური აზრი მოუწოდებდა ფეოდალებს (ალბათ გლეხებსაც) არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ აუცილებელის წარმოებით და დაემზადებინათ საბაზრო პროდუქციაც. ამ რჩევას, ჩანს, ისინი ყურს

---

[76] კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, 24, პარაგრაფი 6.

ამ ნაშრომისა და მისი ავტორის ეკონომიურ შეხედულებათა დახასიათება იხ. ს. ბერაძის ნაშრომში: „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები მე-19 საუკ. დამდეგს", ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, თბილისი, 1952.

[77] კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, § 24, პარაგრაფი 5.

[78] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 44—45.

მოაქვს რა ეს ადგილი, ს. ბერაძე წერს: „დიახ, იოანე მოითხოვს სამეფო საცალო ვაჭრობის შემოღებას... მაშინ, როცა ქართველი თავადაზნაურობა ვაჭრობას ქედმაღლურად უყურებდნენ და თავისთვის არასაკადრის საქმედ თვლიდნენ, იოანე ბატონიშვილი დიდად აფასებს მას. ეს გარემოება და სიმდიდრის მთავარ ფორმად თეთრის, ე. ი. ძვირფასი ლითონის მიჩნევა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მერკანტილიზმისათვის" (იხ. მისი „ქართული ეკონომიკური აზრის განვითარება XVIII საუკუნის დამლეგს", ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 1951, გვ. 407).

უგდებდნენ, რის ერთ-ერთ დამადასტურებელს წარმოადგენს ქართველ მებატონეთა ერთი ნაწილის მიერ მაიულების ინტენსიურად შესყიდვის, მათი დამრგვალების შეუნელებელი ტენდენცია.

ამ ჩვენს დასკვნას, ვფიქრობთ, ვერ დაარღვევს იესე ბარათაშვილის მოგონების ის ადგილი, სადაც მიწების სისტემატურად შესყიდვის მიზეზად სულ სხვა გარემოებაა დასახელებული. ბარათაშვილის მომხვეჭელობითი საქმიანობა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნად ისახავდა მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვას, სტუმრების გამასპინძლებასა და შვილების მამულებით უზრუნველყოფას. ჩვენ „ქართველები ვართ, — წერს იესე, — პური საჭმელად და სამოსლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმელად, ცხვარი, ღორი საკლავად, ძროხა სახნავად და ასე უნდა დავრჩეთ... ქართველი კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნება“[79]. ბარათაშვილი ტრაბახობს კიდეც იმით, რომ მას არასოდეს არც ერთი კოდი პური არ გაუყიდია. „ჩემგან პური არ გაისყიდებოდა, თუნდ ათასი კოდი მომსვლოდაო“[80], — აცხადებს იგი.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ „ცხოვრება-ანდერძის“ ავტორის ეს განცხადება არაა გულწრფელი. ჩვენ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი მომხვეჭელობა, მიწების დიდი რაოდენობით შესყიდვა გამოწვეული იყო არა მარტო ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის სურვილით. მას საბაზრო პროდუქციის წარმოების სურვილიც ამოძრავებდა. ღალის თუ სხვა გზით მიღებული პროდუქციის ნაწილს, იგი ბაზარში ეზიდებოდა, თუმცა ამას დაჟინებით უარყოფს. „ცხოვრება-ანდერძის“ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია ამა თუ იმ პროდუქტის დანიშნულებაზე, იესე იძულებულია აღნიშნოს, რომ პური საჭმელადაც უნდა ვიყოფინოთ და სამოსლადაც[81]. ზუსტად იმასვე ამბობს იგი ღვინოზეც. ღვინო „სამოსლად და სასმელად“ უნდა გამოვიყენოთო[82]. აქ ავტორი, როგორც ვხედავთ, უარყოფს მის მიერ სხვაგან გაკეთებულ განცხადებას და ადასტურებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული ნაწილის თავიდანვე საბაზროდ დამზადების ფაქტს[83].

---

[79] ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ანდერძი, გვ. 99.

[80] ი ქ ვ ე, გვ. 97.

[81] ი ქ ვ ე, გვ. 99.

[82] ი ქ ვ ე.

[83] იესეს „ცხოვრება-ანდერძიდან“ საწინააღმდეგო დასკვნას აკეთებს დ. უჩანეიშვილი თავის საინტერესო გამოკვლევაში: «К вопросу об экономическом разви-

ამრიგად, ფეოდალთა კლასის ერთი ნაწილის მიერ მიწების ინტენსიური ყიდვა, ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებით რომ იყო შეპირობებული, მიზნად ისახავდა მსხვილი რაციონალური მეურნეობების შექმნას, რომლებიც ოჯახის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდნენ და საბაზრო პროდუქციასაც დაამზადებდნენ. ამდენად აღნიშნული ტენდენცია თავის მხრივ გარკვეულად ხელს უწყობდა საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ახალი უფრო პროგრესული გზით წარმართვის საქმეს.

* * *

ამ თავში მოცემული ჩვენი მსჯელობა შეიძლება შემდეგი დასკვნების სახით ჩამოყალიბდეს.

1. XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მიწების ძლიერ ამოძრავებას. მამულების ყიდვა-გაყიდვამ მიიღო მასობრივი ხასიათი, ისეთი მასშტაბი, როგორიც მას არასოდეს არ ჰქონია მანამდე. ეს მოვლენა შეპირობებული იყო, ერთი მხრივ, საგარეო ვითარებით გამოწვეული ფეოდალური და გლეხთა კლასის გარკვეული ნაწილის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით, ხოლო, მეორე მხრივ — ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის წარმატებით, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური კავშირების გაძლიერებით უცხო ქვეყნებთან, მათ შორის ისეთებთანაც, რომლებიც უკვე განვითარების კაპიტალისტურ გზაზე იყვნენ შემდგარნი.

2. მიწას ყიდდნენ როგორც ფეოდალები, ისე გლეხები. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მშრომელი მოსახლეობა უფრო ხშირად გამოდის გამყიდველის როლში, ვიდრე პრივილეგიური წოდება. მამულების გაყიდვის იმ 1303 შემთხვევიდან[84], 1700—1751 წლებში რომ ჰქონდა ადგილი (ჩვენი მონაცემებით), 50,6% მოდიოდა გლეხობაზე, ხოლო 49,4% — ფეოდალებზე. ყიდვის აქტებში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამისად 46,7% და 53,3%-ს უდრიდა.

тии Восточной Грузии во второй половине XVIII века» (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. V, თბ., 1937, გვ. 386, 408—410), მაგრამ ამ-ჟამად ჩვენ ამაზე არ ვეჭრდებით.

[84] აქ ლაპარაკია არა საერთოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრით, არამედ ამ პერიოდის რომელიმე კონკრეტული წლით დათარიღებულ ნასყიდობის სიგელებზე. ასეთების რიცხვი კი სწორედ 1303-ს უდრიდა.

3. არსებითად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჩვენთვის საინტერესო საუკუნის მეორე ნახევარში. აქ თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში და, პირიქით, მკვეთრად ჩამორჩება მას მიწების შესყიდვაში. მიწა-ვენახების გაყიდვის იმ 813 შემთხვევიდან, რომლებიც 1751—1800 წლებითაა დათარიღებული, 52,2% მოდის პრივილეგირებულ წოდებაზე, 47,8% — გლეხობაზე. იმავე რაოდენობის ყიდვის ოპერაციიდან კი 35,6% მოდის პირველზე, 64,4% — მეორეზე. ამ მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტენსიური მონაწილეობა მამულების შეძენის საქმეში, იგი აშკარად უტევს ფეოდალურ საკუთრებას.

4. გლეხობა უსწრებდა თავადაზნაურობას შესყიდული მიწების ფართობის, მათი რაოდენობის მხრივაც. იმ 1102 დღიური მიწიდან, 310 ნასყიდობის სიგელით რომ გაიყიდა XVIII საუკუნეში[85], პირველს გაუყიდია 582,5 დღიური ანუ მიმოქცევაში ჩავარდნილი მიწების საერთო რაოდენობის 52,9%, ხოლო მეორეს — 519,5 დღიური ანუ 47,1%. გაყიდული მიწების უმეტესი ნაწილი—716, 5 დღიური ანუ 65.1% უშუალო მწარმოებლის ხელში გადასულა, ხოლო უმცირესი — 385,5 დღიური ან 34,9% — პრივილეგიური წოდების. სხვანაირად რომ ვთქვათ, გლეხებს შეუსყიდიათ არა მარტო მათი კლასობრივი მოძმის მიერ გაყიდული მიწები მთლიანად, არამედ თავადაზნაურთა მიერ რეალიზებული მიწების ნაწილიც, დაახლოებით 25,8%.

5. გლეხები მიწას, ამ მთავარ საწარმოო საშუალებას, უპირატესად წვრილ ნაკვეთებად იძენდნენ, თუმცა მსხვილი ნაკვეთების შესყიდვის შემთხვევაც არაერთი იყო. განურჩევლად იმისა, თუ რა მასშტაბით ხდებოდა ეს შეძენა, მცირე თუ დიდი, გლეხის დაგროვებით საქმიანობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყიდულობდა რა მიწებს საკუთრების უფლებით, იგი თავს აღწევდა მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმურ საშუალებებს, ძირს უთხრიდა ფეოდალის მონოპოლიურ მიწათმფლობელობას და ხელს უწყობდა საკუთრების ახალი, ბურჟუაზიული ფორმის დამკვიდრებას, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას.

6. ფეოდალური კლასის ერთი ნაწილის აქტიური მონაწილეობა მიწის ყიდვის ოპერაციებში შეპირობებული იყო ფულადი-სასა-

---

[85] აქ მხედველობაშია ნასყიდობის სიგელების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია გაყიდული მიწების რაოდენობა.

ქონლო ურთიერთობის განვითარებით, ამ ურთიერთობის შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის შეცვლის სურვილით. პრივილეგირებული წოდების არაერთი წარმომადგენელი მსხვილი, რაციონალურ საფუძვლებზე დაყენებული, საბაზრო პროდუქციის დამამზადებელი მეურნეობების მოწყობაზე ოცნებობდა და ზოგმა მათგანმა მიაღწია კიდეც ამას. ამით ისინი, ნებით თუ უნებლიეთ, ბიძგს აძლევდნენ არსებული სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის საწინააღმდეგო მოვლენების განვითარებას.

თავი IV

ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში (თავდახსნა-განთავისუფლებისა და დაყმავების პროცესების ურთიერთშეფარდების ცდა)

მიწისა და თავისუფლებისათვის ქართველი გლეხი ყოველთვის იბრძოდა. მაგრამ განსაკუთრებით ის გვიანფეოდალურ ხანაში, უფრო ზუსტად XVIII საუკუნეში, ამ საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა. ამ დროს უფრო ენერგიულად შეუტია მან ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას, რაც მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებით აიხსნება. ეს უკანასკნელი კი გამოწვეული იყო ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებით, ერთი მხრივ, და თურქეთ-ირანის აგრესიისა და ლეკიანობის უარყოფითი შედეგებით — მეორე მხრივ. მძიმე საგარეო ურთიერთობა, ხშირი ომები და თარეში სერიოზულ ზიანს აყენებდა საქართველოს სახალხო მეურნეობას, დიდად აბრკოლებდა მის წინსვლას, თავადაზნაურობა გლეხების ხარჯზე ცდილობდა დანაკლისის ანაზღაურებას. განსახილველი ხანის საბუთებში ხშირადაა ლაპარაკი ყმური მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის დამძიმებაზე, წინანდელი ნორმების გადიდებაზე, ადრე არარსებული გადასახადების შემოღებაზე, უდების დადებაზე და ა. შ. თხოვნა-საჩივრებითა და დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმით, რამაც განსახილველ ხანაში განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო, სოფლის მშრომელი მოსახლეობა ცდილობდა მძიმე საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შრომისა და ცხოვრების პირობების რამდენადმე მაინც გაუკეთესებას.

იმავე საქმეს ემსახურებოდა კლასობრივი ბრძოლის დანარჩენი ფორმებიც, კერძოდ მოძრაობა სამეფო (სახელმწიფო) უწყებაში გადასვლისათვის. იგი არსებითად ახალი მოვლენა იყო XVIII სა-

უკუნის საქართველოს ცხოვრებაში, რომელიც მანამდე, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ოდნავ იგრძნობოდა. ამ საინტერესო მოძრაობაზე, მის როლსა და ადგილზე, ისე როგორც ბრძოლის სხვა ფორმებზე, ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგანაც მათზე საგანგებოდ ცალკე გვექნება ლაპარაკი.

* * *

ქართველი გლეხი, როგორც უკვე ვთქვით, სამეფო უწყებისკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი მისი საბოლოო მიზანი მაინც არ იყო. იგი ოცნებობდა სრულ თავისუფლებაზე, ფეოდალურ-ბატონყმური დამოკიდებულებიდან თავის დახსნაზე. ამის მიღწევის ყველაზე კანონიერ და მშვიდობიან გზას კი გამოსყიდვა წარმოადგენდა. გვიანფეოდალური ხანის სამართალი და სამართლებლივი აზროვნება, რომელიც თავისი არსით ფეოდალურ-ბატონყმური იყო, ერთგვარად ხელს უწყობდა ამ პროცესის გაშლა-გაფართოებას. ვახტანგ VI-ის კანონები, მაგალითად, არა მარტო უშვებს მშრომელი მოსახლეობის დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსვლას, არამედ რიგი დეტალების გახაზვით თითქოს ცდილობს კიდეც გაამარტივოს ეს პროცესი. ხსენებული ძეგლის 260-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ ბატონს უფლება აქვს „თავი დაახსნევინოს“[1] ყმას და აზატი გახადოს. თავდახსნილობა წერილობით ფორმდებოდა — პატრონი თავის ხელქვეითს აძლევდა არსებული წესების დაცვით შედგენილ წიგნს, რომელიც თავისუფლების ყველაზე მკაფიო დამადასტურებელი იყო. მაგრამ კანონმდებელი აქ არ სვამს წერტილს და შენიშნავს, რომ თავისუფლების მიღების დადასტურება შესაძლებელია სანდო პირების მოწმობითაც. „ესეც იქმნების,—ნათქვამია იქ,—რომე წიგნი არა ჰქონდეს და მოწამე კი ჰყვანდეს, კაის მოწმის პირითაც დაიჯერების, რომე თავი გამოეხსნას“.[2] თავისუფლების დამამტკიცებელ საბუთად მიჩნეული იყო აგრეთვე თვით მებატონის მოწმობაც. „იქნების, რომე პატრონიც ამბობდეს, რომ „თავი დავახსნევინეო“[3].

ამ შეღავათების დაწესებით კანონმდებელი უადვილებდა გლეხს (სხვა საკითხია რა მოსაზრებით) თავისუფლების მოპოვებას, მის შენარჩუნებას.

---

[1] ვ ა ხ ტ ა ნ გ მეფის სამართლის წიგნი, მუხ. 260.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.

იმავე მიმართულებით მოქმედებდა ერეკლე II-ის 1765 წლის კანონი ტყვეობიდან დაბრუნებულთა თაობაზე, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნშიც, რომელიც XVIII საუკუნის საქართველოს სინამდვილეს ასახავს, არის არაერთი მუხლი, რომელიც ასე თუ ისე ხელს უწყობდა სოფლის მშრომელი მოსახლეობის დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსვლას. ასეთია, კერძოდ, 38-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: „უკეთუ კაცმან ნასყიდი კაცი ანუ ტყვე ანდერძითა ანუ უანდერძოთ გაანთავისუფლოს, მაშინ ნურა რომელი შვილთაგანი, გინა მონათესავეთაგანი იკადრებს დაპატრონებად მისა, მით რომე ყოველთა აქუს ნებაი მოპოვებულისა ეგრეთ ყოფად, ვითარცა ნებავს თვით"[4].

დასახელებული და მათი მსგავსი მუხლები, რომელთა შეტანა სამართლის წიგნებში ცხოვრების მოთხოვნით იყო ნაკარნახევი[5], ხელს უწყობდა ბატონყმური ურთიერთობიდან გლეხთა განთავისუფლებას, ამ პროცესის წარმატება-გაღრმავებას[6]. სოფლის მშრომელი მოსახლეობა იყენებდა ამ კანონს და ხშირად დიდი მსხვერპლის გაღებით აღწევდა მიზანს. მსხვერპლის გაღებითო, ვამბობთ იმიტომ, რომ თავისუფლების მოპოვება, როგორც წესი[7], ხდებოდა სა-

---

[4] „სამართალი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს ა", თბ., 1964, გვ. 28, მუხ. 38, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფ ო რ ც ე ლ ა ძ ე მ.

[5] ბატონყმობიდან გლეხთა განთავისუფლების მიზეზების შესახებ გ. ნათაძე წერს: «Кажется, я не ошибусь если скажу, что в это время (ე. ი. XVIII ს. მეორე ნახევარში—ი. ა.) были поиски свободных рабочих рук, и на почве требования на них происходили случаи освобождения крепостных крестьян». (Г. Н а т а д з е, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, ИКБЗ, გვ. 141. ხაზი ჩემია — ი. ა.). და კიდევ: «Вообще частичных случаев освобождения мы встречаем довольно много и не только на почве нужды и разорения..., но и на почве потребности в свободных рабочих руках, очевидно, вследствие рационализации хозяйства и влияния рынка на его устройство» (ი ბ ე ე, გვ. 142).

[6] ზემოთქმულის შუქზე ვფიქრობთ, სწორი არ უნდა იყოს ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, როდესაც წერს: „XVIII საუკუნეში არც საკანონმდებლო და არც სხვა ხასიათის ძეგლებს თავისუფალი გლეხი აღარ წარმოუდგენიათ" (იხ. მ ი ს ი „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან", თბ., 1963, გვ. 128).

[7] ზოგჯერ განთავისუფლება, საბუთების თანახმად, ხდებოდა მებატონის ან მისი ოჯახის წევრების სულის შესანდობად (სმახი, Hd, საბ. 3710; Ad, საბ 1386), მათი საქმის გამარჯვება-წარმატებისათვის, ერთგულება-დამსახურებისათვის (სსცია, ფონდი 1449, საბ. 4692) და ა. შ.

თანადოდ დაწესებული ფასის ფულადი თუ ნატურალური ანაზღაურებით. თავდახსნილობის საბუთებში პირდაპირაა მითითებული, რომ მემამულემ ყმის განთავისუფლებაში აიღო სათანადო ფასი და ამით თავისი გული შეიჯერა[8]. ფასის გადახდა ფულითაც ხდებოდა და ნატურითაც. ხშირად გლეხი მამულზე იღებდა ხელს და ამ ფასად აღწევდა თავისუფლებას[9].

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ძველი საბუთების სამ ფონდში (1448, 1449 და 1450), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხ ფონდში (Hd, Ad, Sd, Qd)[10], ნ. ბერძენიშვილის, ექ. თაყაიშვილის, დ. ფურცელაძისა და ს. კაკაბაძის პუბლიკაციებში[11] ჩვენ აღვნუსხეთ (XVIII საუკუნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში) სულ გლეხთა განთავისუფლება — გათარხნება-გააზატების 350 საბუთი. აქედან 250 შემთხვევაში ლაპარაკია სოფლის მშრომელი მოსახლეობის სრულ განთავისუფლებაზე ფეო-

---

[8] სმახი, Hd, საბ. 2981; Ad, საბ. 31ᵃ და სხვა; სსცია, ფ. 1448, საბ. 3282, 4415; ფ. 1450, დავთ. 5, საბ. 76; დავთ. 12, საბ. 54; დავთ. 14, საბ. 117, 118; დავთ. 23, საბ. 28 და სხვ. აგრეთვე ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს „დოკუმენტებში“ და ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს „საქართველოს სიძველენში“ მოთავსებული ასეთივე ხასიათის საბუთები.

[9] „რადგან შენ, — ვკითხულობთ კირილე მთავარეპისკოპოსის პეტრე შალიკაშვილისათვის მიცემულ სიგელში (1758 წ.) — შენის ნასყიდისა და უსყიდის მამულისაგან ხელი აიღე და ჩვენი გული შეიჯერე, ჩვენც შენგან ხელი ავიღევით და თავი დაგახსნევინეთ“ (სსცია, ფ. 1450, დავთ. 6, საბ. 65), შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები I, გვ. 365.

[10] Qd ფონდის მასალები ჩვენ შევისწავლეთ მხოლოდ 1782 წლამდე, მომდევნო წლების (1782—1800) მასალების გამოცნობა კი, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო.

[11] მხედველობაშია: ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ (ორი ტომი), ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს „საქართველოს სიძველენი“ (სამი ტომი), და ფ ურ ცე ლ ა ძ ი ს “Грузинские крестьянские грамоты», მ ი ს ი ვ ე «Грузинские церковные гуджары (грамоты) და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს „იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ“, სმ. V, თბ., 1950.

დალურ-ბატონყმური ურთიერთობიდან[12], ხოლო 100 შემთხვევაში[13] დადასტურებულია გლეხების გათარხნება-გააზატების, მათი სოციალ-ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობის საკრძნობი გაუმჯობესებისა და მათ მიერ არასრული თავისუფლების მოპოვების ფაქტი[14].

განთავისუფლებულთა რიცხვს უნდა დაემატოს ის 200 კომლი გლეხი, რომლებიც გაათავისუფლა ერეკლე მეორემ 1755 წლის ყვარლის ბრძოლაში გმირული მონაწილეობისათვის[15]. „ალყის გარღვევაში მონაწილე გლეხთაგან ყველამ (მათ შორის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებმა)... თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა უფლებები მიიღო“[16].

---

[12] ამაში შეტანილია გლეხთა გათარხნება-გააზატების 76 შემთხვევა (აქედან 28 აღებულია ს. კაკაბაძის პუბლიკაციიდან), სადაც გათარხნება-გააზატება სრულ თავისუფლებას უღრის. ასეთია, მაგალითად, აზატობა-სითარხნის შემდეგი სიგელები: 1756 წლის („ახლა ღმერთმან გიშველოს, ვისთანაც გინდა წადი, მე შენთან ჯღის იქით საქმე აღარა მაქვს“—სსცია, ფ.1450 დავთ. 33, საბ. 252), 1766 წლის („გამიაზატებიხართ და გამითავისუფლებიხართ ყოველიფრითა... თქვენთან არა კაცს ხელი არა ჰქონდესთ, არც მე და არც ჩემს ნათესავსა“ — სმახი, Sd, საბ. 194), 1767 წლის („ამ წერილით განგათავისუფლე და გაგააზატე... რომ დღეის იქით შენთან და შენს ჩამამავლობასთან საბატონყმოთ არც მე მქონდეს საფაო, არც ჩემს შვილებს და არც მათ ჩამამავლობას“ — სსცია, ფ. 1450, დავთ. 51, საბ. 197), 1771 წლის („მოხვედი და ჩემი ყმობა არ ინდომე და ცოტა რათმე ჩემი გული შეიჯერე და მეც გაგააზატე, ასე რომ შენთან არა კაცს ხელი არა ჰქონდეს, არა ჩემის სახლის კაცს და არც მეფეს და არც თავადიშვილს“ (სმახი, Ad, საბ. 31[3]). 1788 წლისა („მეც აზატათ და თავისუფლად გაგიშვი, ასე რომ სიყვარულის მეტი შენთან საქმე არა მქონდეს არცა მე და არცა შვილთა ჩემთა და სახლისა მომავალთა ჩემთა (სსცია, ფ. 1450, დავთ. 23, საბ. 76), 1791 წლის („ვისთანაც გინდოდესთ იმასთან მიღით, აზატი ხართ ჩემგან, თქვენთან საბატონყმოთ საქმე არავის აქვს“. იქვე, დავთ. 24, საბ. 133) და მრავალი სხვა.

[13] აქედან 38 დადასტურებულია ს. კაკაბაძის დასახ. პუბლიკაციაში.

[14] გლეხების სოციალ-ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათ მიერ არასრული თავისუფლების მოპოვებას გულისხმობენ აზატობა-სითარხნის შემდეგი სიგელები: 1715 წლის („გიყაეთ წყალობა: არაფერი ჩვენი სათხოვარი... (არ გეთხოვებოდეს) იმის მეტი, რომ ყურთხეელის მამის ჩემისათვინ ყოველს შაბათს, წელიწადში აღაპს გარდაიხდიდე; ორ ცხვარს დაუკლავდე“ (სმახი, Sd, საბ. 91[3]), 1725 წლის („ჩვენც ეს წყალობა გვიქნია გაგვითარხნებიხარ, არა გეთხოვებოდეს არა გამოსაღები... ერთის მსახურობის მეტი“ (სსცია, ფ. 1450, დავთ. 49, საბ. 179), 1752 წლის („გათარხნე, არა ბეგარა, არ კულუხი, არა გამოსაღები არა გეთხოვებოდეს, მსახურის მეტი“ (სსცია, ფ. 1448, საბ. 5410), 1796 წლის („ასე გათარხნეთ, რომ არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს... ერთის მსახურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი“ (სმახი, Hd, საბ. 5294) და მრავალი სხვ.

[15] მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის..., კბის.

[16] იქვე, გვ. 393.

ყველა მონაცემის გათვალისწინებით მივიღეთ, რომ XVIII საუკუნის საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისათვის მთლიანად თავი დაუღწევია 450, ნაწილობრივ — 100, სულ —550 კომლს. ეს რაოდენობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად. უნდა ვიფიქროთ, რომ სრული თუ ნაწილობრივი თავისუფლება ჩვენთვის საინტერესო ხანაში მოპოვებული ჰქონდა გლეხთა გაცილებით მეტ რაოდენობას, მაგრამ მათი ზუსტად აღრიცხვა შეუძლებელია, უმთავრესად, სათანადო საბუთების დაკარგვა-განადგურების გამო[17]. ამიტომ არ შევცდებით თუ ძათ რიცხვს სულ ცოტა ორჯერ მაინც გავადიდებთ და შესაბამისად 900 და 1100 კომლს გავუთანაბრებთ.

სპეციალისტებს ადრეც ჰქონდათ აღნიშნული, რომ განთავისუფლებული და აზატქმნილი გლეხის მდგომარეობა არ იყო მყარი და საიმედო, რადგან მის პირად თავისუფლებას მუდმივად საფრთხე ემუქრებოდა[18]. მაგრამ არ იქნება სწორი საერთოდ გამოვრიცხოთ განთავისუფლებულ გლეხთა მიერ თავისუფლების შენარჩუნების შესაძლებლობა. ამ მხრივ, ჩვენი შეხედულებით, გადაჭარბებული უნდა იყოს ო. სოსელიას აზრი, რომ „აზატობას და თავდახსნას აღებული ხანის (ე. ი. XVI—XIX ს. 20-იანი წლები — ი. ა.) დასავლეთ საქართველოში ეკონომიური საფუძველი არ ჰქონდა (და რომ) ის უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ დროებითი იყო"[19]. ვფიქრობთ, ამის ასე კატეგორიულად თქმა, თვით დასავლეთ საქართველოს მიმართაც კი, არ შეიძლება. მიუხედავად ერთობ არახელსაყრელი პირობებისა, ბატონყმური ურთიერთობიდან განთავისუფლებულ გლეხთა ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი მაინც ახერხებდა მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებას[20]. მით უმეტეს ახერხებდა ამას მიწით

---

[17] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ვერც დაკარგვა-განადგურებას გადარჩენილი სიგელები აღვრიცხეთ სრულად. ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ მათი ნაწილი ჩვენი ყურადღების გარეშე დარჩა.

[18] ო. ს ო ს ე ლ ი ა, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში (XIX ს. 20-იან წლებამდე). მსკი, ნაკვ. 33, გვ. 195; მ. დ უ მ ბ ა ძ ე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში, კხის, გვ. 389.

[19] ო. ს ო ს ე ლ ი ა, აზატ-გლეხთა კატეგორია, გვ. 195.

[20] ადრე ასეთი აზრი გამოთქვა მ. დუმბაძემ. ჯერ კიდევ 1966 წელს იგი სამართლიანად წერდა, რომ დაყმავების არასახარბიელო ბედს იზიარებდა „უმიწოდ თავდახსნილ-გააზატებულ გლეხთა მხოლოდ ერთი ნაწილი", ხოლო მეორე „ახერხებდა პირადი თავისუფლებისა და მოჯარეობის თუ „ნომინალური ყმობის" შენარჩუნებას (მ. დ უ მ ბ ა ძ ე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის, კხის, გვ. 389—399); ვ. გ უ ჩ უ ა ს აზრით, თავდახსნილ გლეხთა ნაწილი თავისუფლებას ხიზნის მდგო-

განთავისუფლებული გლეხი, რომლის არსებობა იმდროინდელ საქართველოში დადასტურებულია სამეცნიერო ლიტერატურაში[21].

ჩვენი მასალებიდანაც ნათლად ჩანს, რომ თავდახსნილ-გააზატებული გლეხის მომავალი ცხოვრება არც ისე უპერსპექტივო იყო, როგორც ეს აქამდე ეგონათ. საკმარისია ითქვას, რომ სრული განთავისუფლების იმ 450 შემთხვევაზე, რომელთაც, ჩვენი აღრიცხვით, XVIII საუკუნეში ჰქონდა ადგილი, დაყმავების 125 შემთხვევა მოდიოდა[22], რაც განთავისუფლებულთა საერთო რაოდენობის 27,7%-ს შეადგენს. თუ ამ დასკვნას გავავრცელებთ იმ 450 კომლზედაც, რომლებმაც ჩვენი დაშვებით, ასევე დაიხსნეს თავი ბატონყმობისაგან (თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთები, ვიმეორებთ ისევ, დაკარგულ-განადგურებული ან დღემდე მიუკვლეველია), მაშინ გამოვა, რომ XVIII საუკუნეში თავდახსნის 900 შემთხვევაზე დაყმავების 250 შემთხვევა მოდიოდა; სხვანაირად რომ ვთქვათ, თავდახსნის პროცესი 3,5-ჯერ უფრო სწრაფად და ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვიდრე დაყმავების. ეს კი საკმაოდ დიდი პროცენტია და კარგად მეტყველებს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური-განვითარების ხასიათზე, ამ განვითარების მიმართულებაზე. იგი იმის მკაფიო მოწმობაა, რომ XVIII საუკუნეში, უპირატესად მის მეორე ნახევარში[23],

---

მარეობაში გადასვლით ინარჩუნებდა. „თავდახსნილ გლეხთა ის ნაწილი, რომელიც პირად თავისუფლებას ინარჩუნებდა, მაგრამ საკუთარი, პარცელარული მიურნეობის მოწყობას ვერ ახერხებდა, ხიზანთა კატეგორიას ეუსებდა“ (იხ. მ ი ს ი „ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის“, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 64).

[21] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის, კხის, გვ. 389—391.

[22] ყმობაში შესულ გლეხთა რაოდენობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 268 კომლს უდრიდა. მაგრამ მასალის გულდასმით შესწავლამ ცხადყო, რომ ამ რაოდენობიდან თავისუფლება მხოლოდ 125 კომლმა დაკარგა, დანარჩენები კი (143 კომლი), საბუთების თანახმად, ყმები იყვნენ და ყმებად დარჩნენ, მათ მხოლოდ ბატონი გამოიცვალეს ან იმავე ბატონს ყმობის უფრო დაბალ ფორმაზე შეუთანხმდნენ. „სხვა ილაჯი არა მამიცა რამე. მაინც თქვენ გამსაბურებდით,აგდექ ჩემი თავი ნასყიდობით მოგართვი.“ (სმახი, საბ. 2558, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. I, გვ. 227).

[23] რომ ეს პროცესი უფრო ინტენსიურად სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა, დასტურდება შემდეგი მონაცემებით. იმ 550 თავდახსნილობა-თარხნობის შემთხვევიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნეში, მხოლოდ 68 ან საერთო რაოდენობით 12,5% მოდის ამ საუკუნის პირველ ნახევარზე, ხოლო 481 ან 87,5% — მის მეორე ნახევარზე. რაც შეეხება დაყმავების პროცესს, იქ რამდენადმე სხვაგვარი ვითარება იყო. ყმობის საბუთების 40,3% XVIII საუკუნის პირველი ნახევრითაა დათარიღებული, ხოლო 59,7% — მეორე ნახევრით.

მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი[24].

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

1. ქართველი გლეხი დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა სრულ თავისუფლებაზე, ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობიდან თავის დახსნაზე. ამის მიღწევის ყველაზე კანონიერ და მშვიდობიან გზას გამოსყიდვა წარმოადგენდა[25], მაგრამ ის სოფლის მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ მცირე პროცენტისთვის იყო ხელმისაწვდომი და მისი დიდი უმრავლესობა სხვა გზასა და საშუალებას მიმართავდა. მთავრობაში საჩივრების შეტანით, მოწმეთა დასახელებით, ხშირად არარსებული არგუმენტებისა და საეჭვო ფაქტების მომარჯვებით ცდილობდა იგი დაემტკიცებინა მებატონეთა პრეტენზიების უსაფუძვლობა. იმავე მიზნის მიღწევას ფიქრობდა გლეხი ურჩობა-გაქცევითა და დაკისრებულ ვალდებულებათა სისტემატური შეუსრულებლობით. ამ მოვლენებსაც განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი სწორედ იმავე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიეცა.

2. თავისუფლების მოსაპოვებლად ყველაზე საიმედო გზას, ვიმეორებთ ისევ, გლეხის მიერ თავის დახსნა-გამოსყიდვა წარმოადგენდა. გვიანფეოდალური ხანის სამართალი და სამართებლივი აზროვნება, რომელიც თავისი არსით ფეოდალურ-ბატონყმური იყო, ერთგვარად ხელსაც კი უწყობდა ამ პროცესის გაშლა-გაფართოებას. ამით სარგებლობდა ქართველი გლეხი და ხშირად დიდი მსხვერპლის გაღებით აღწევდა კიდეც მიზანს. ჩვენს ხელთ არსებული მასალების თანახმად, XVIII საუკუნეში ბატონყმური ურთიერთობისაგან თავი დაუღწევია და სრული თავისუფლება მიუღია 450 კომლს. თუ დღემდე მიუკვლეველ მრავალ საბუთსაც გავითვალისწინებთ, ეს რაოდენობა სულ მცირე ორჯერ მაინც გადიდდება. 900 კომლი, რა თქმა უნდა, არ არის ძალიან ბევრი, მაგრამ თვით ფაქტი ფრიად საყურადღებოა და სათანადო შეფასებას მოითხოვს.

3. თავდახსნილი გლეხობის ნაწილი თავისუფლებას ინარჩუნებდა, ნაწილი კი ჰკარგავდა. მათი ხვედრითი წონა, ჩვენი მიახლოებითი გამოანგარიშებით, შესაბამისად 72,8 და 27,2 პროცენტს უდრიდა, რაც საკმაოდ დიდია და კარგად მეტყველებს ქვეყნის სო-

---

[24] ვ. გ ო ჩ ო ა, ხიზან გლეხთა ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, მსკი, ნაკ. 34, 1962, გვ. 64.

[25] მებატონე ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზით „უსასყიდლოდაც“ ათავისუფლებდა გლეხს.

ციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათზე, მისი განვითარების მიმართულებაზე. იგი იმის მკაფიო მოწმობაა, რომ XVIII საუკუნეში, უპირატესად მის მეორე ნახევარში, მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად სარგძნობი პროცესი[26].

---

[26] ეს დასკვნა ძალაში დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუკი თავისუფლება შენარჩუნებულ გლეხთა ხვედრით წონას 50%-ით განვსაზღვრავთ.

თ ა ვ ი V

საბატონო ფულადი რენტა-გადასახადები XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში

ფულადი რენტა, როგორც ცნობილია, ფეოდალური რენტის უმაღლესი სახეობაა. იგი „გარდაქმნილი ფორმაა" პროდუქტადი რენტისა. მისი გაჩენა და მეტ-ნაკლებად საგრძნობი მასშტაბით დამკვიდრება გულისხმობს ვაჭრობისა და მრეწველობის, სასაქონლო წარმოებისა და ფულადი ურთიერთობის განვითარებას[1]. მაგრამ ფულადი რენტა, წარმოშობილი აღნიშნული მოვლენების შედეგად, თავის მხრივ ხელს უწყობს მათ შემდგომ დაწინაურებას, ქვეყნის ეკონომიურ პროგრესს, ძველი სისტემის დაშლას და ახალის გაბატონებას. პროდუქტადი რენტისგან განსხვავებით, რომლის დამკვიდრებას შრომითი რენტის მაგივრად თან არ ხდევს პრინციპული ხასიათის ცვლილებები ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, ფულადი რენტა აქტიურად მოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიურ სტრუქტურაზე, წარმოების წესზე, იგი ინტენსიურად ცვლის ამ უკანასკნელის ხასიათს[2]. ნათქვამიდან ცხადია, რომ რენტის ფორმების შესწავლას, კერძოდ ფულადი რენტის როლისა და ადგილის გამოკვეთას, დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონისა და ხასიათის გარკვევისათვის, ფეოდალური ურთიერთობის პერიოდიზაციის, მისი აღრინდელი, განვითარებული და გვიანდელი ხანის სწორად დადგენისათვის.

არ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი საერთოდ დარჩა სპეციალისტების ყურადღების გარეშე. მას არაერთი მკვლევარი შეეხო, ზოგმა მათგანმა წარმატებითაც იმუშავა, საინტერესო და ანგარიშგასაწევი მასალა წარმოადგინა, თუმცა სირთულის გამო,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწილი მეორე, თბ., 1934 წ., გვ. 316.

[2] ი ქ ვ ე.

პრობლემა საბოლოოდ ვერ გადაჭრა და მისი მრავალი საკითხი ღიად დატოვა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ის, რაც შესწავლილი და დადგენილია, ხშირად სათანადოდ არ არის დასაბუთებული და, მაშასადამე დამაჯერებლობას მოკლებულია. ასეთია, მაგალითად, ს. ავალიანის განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს რეფორმამდელი ხანის მთელი ამიერკავკასია ცხოვრობდა „ნატურალური მეურნეობის ტიპიური ფორმების ფარგლებში"[3]. აქედან გამომდინარე გადაჭარბებულია მისი დასკვნა ფულადი რენტის ძალზე მცირე როლის შესახებ XVIII—XIX საუკუნეების ქართველი გლეხის საგადასახადო სისტემაში[4].

1912 წელს ფეოდალური ხანის საქართველოს საგლეხო გადასახადების შესახებ სპეციალური ნარკვევი გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ. ნაშრომში ავტორმა სათანადო მასალების მოტანით დაადასტურა რა პროდუქტადი და შრომითი რენტის არსებობა, კერძოდ კი პირველი მათგანის უპირატესობა შუა საუკუნეების მიწურულის საქართველოში (ასეთად XV საუკუნეს თვლის), აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებში, რომლებიც ეკონომიურად უფრო დაწინაურებული იყო, სოფლის მშრომელი მოსახლეობა ფულადი გადასახადებითაც იბეგრებოდა[5]. საილუსტრაციოდ იმერეთი დაასახელა და მიუთითა, რომ იქ გლეხები ყოველწლიურად, სხვა გადასახადებთან ერთად, 11-დან 40-მდე თეთრს[6] იხდიდნენ[7]. მაგრამ ს. კაკაბაძის ნაშრომი, როგორც უკვე ვთქვით, უფრო ადრეულ ხანას ეხება, ვიდრე ჩვენ გვაინტერესებს. ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ადგილი ეჭირა ფულად რენტას მაშინდელი საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, როგორი ხასიათი ჰქონდა რენტის ამ ფორმას —მუდმივი თუ შემთხვევითი. მართალია, ძალიან ძნელია ფულადი რენტის ხვედრითი წონის თუნდაც მიახლოებითი განსაზღვრაც კი, მაგრამ, ჩვენი აზრით, სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნარკვევში, საჭირო იყო ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობის ჩატარება.

---

[3] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912, г., стр. 179.

[4] «Повинности грузинскими крестьянами повсеместно отбывались натурой» — წერს ს. ავალიანი (იხ. მისი „Крестьянский вопрос", т. I, 82).

[5] С. Н. Какабадзе, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков. Тифлис, 1912, стр. 14.

[6] თეთრი, ავტორის გაანგარიშებით, დაახლოებით 2 კაპიკს უდრიდა.

[7] ს. კაკაბაძე, Черты..., გვ. 14.

ს. კაკაბაძეს არც მერე შეუწყვეტია კვლევა-ძიება რენტის ფორმების შესასწავლად. მაგალითად, 1930 წელს მან გამოაქვეყნა საინტერესო წერილი „Крестьянский вопрос и крестьянское движение в Восточной Грузии в XVIII веке[8]", სადაც დამაჯერებლად, სათანადო ფაქტობრივი მასალის მოშველიებით ნაჩვენებია საგლეხო გადასახადების ზრდისა და ამის შედეგად (სხვა მომენტებთან ერთად) მწარმოებელი კლასის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება. სამწუხაროდ, არც ამ კარგად შესრულებულ ნაშრომშია გაცემული პასუხი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე—არსებითად არაფერია ნათქვამი ფულადი რენტის როლისა და ადგილის შესახებ იმჟამინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საკვლევ თემაზე საინტერესო დაკვირვება აქვს ჩატარებული დ. გვრიტიშვილს. 1955 წელს გამოვიდა მისი სადოქტორო დისერტაცია „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან", რომელშიც მდიდარი მასალის გამოყენებით დაწვრილებითაა განხილული ქართლის სათავადოებში დაწესებული გადასახადები. ავტორმა შენიშნა და ხაზი გაუსვა ფულადი გადასახადების ზრდის ფაქტს გვიანფეოდალური ხანის, უფრო ზუსტად XVIII ს. და XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში. „აღებული პერიოდისათვის (ე. ი. მე-17 საუკუნისათვის — ი. ა.),— წერს განსვენებული ისტორიკოსი, — ძირითადი არის ნატურალური რენტა, თუმცა შრომითი რენტაც საკმაოდ ძლიერი ჩანს. რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა ფ უ ლ ა დ რ ე ნ ტ ა ს ს, ე ს უ ფ რ ო შ ე ს ა მ ჩ ნ ე ვ ი ხ დ ე ბ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ი დ ა ნ"[9] (ხაზგასმა დ. გვრიტიშვილისაა — ი. ა.).

1955 წელსვე დაისტამბა ნ. ქანთარიას საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი სათაურით „Хозяйство грузинского помещика в XVIII веке", რომელშიც მოცემულია რენტის ცალკეული ფორმების როლისა და ადგილის განსაზღვრის ცდა. «Таким образом, —ასკვნის ავტორი, — крестьянские подати в Грузии XVIII века носили, в основном, натуральный характер, но в то же время

---

[8] დაბეჭდილია კრებულში «История классовой борьбы в Закавказье», Тифлис, 1930, стр. 153—194.

[9] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 220. ხაზგასმა, თუკი მისი ავტორი საგანგებოდ არაა მითითებული, გვეკუთვნის ჩვენ.

крестьянин отбывал в известной степени и денежные повинности» (იხ. დასახ. ავტორეფერატი, თბ., 1955, გვ. 15).

ძნელია დაბეჯითებით თქვას კაცმა, თუ რა აზრია ჩაქსოვილი თითქმის ყველა შემთხვევაში გამოსადეგ სიტყვებში „в известной степени", მაგრამ ავტორის მსჯელობიდან ჩანს, რომ მასში ფულადი რენტის საკმაოდ განვითარებული, ანგარიშგასაწევი დონე და მასშტაბი იგულისხმება.

1957 წელს რენტის პრობლემას დაწვრილებით შეეხო ა. ფანცხავა თავის მონოგრაფიაში „К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии". აღტორის დაკვირვებით, რეფორმამდელი ხანის აღმოსავლეთ საქართველოში რენტის გაბატონებულ ფორმას პროდუქტადი რენტა წარმოადგენდა. ეხება რა, გასული საუკუნის დასაწყისის ვითარებას, ა. ფანცხავა წერს: «Из анализа материалов, относящихся к первому десятилетию XIX века, приходим... к выводам (что) преобладающей формой ренты была еще продуктовая рента. По приблизительным подсчетам... натуральный оброк (хлеб, вино, скот, воск и ладан и др.) составляли свыше половины всех повинностей. Самостоятельно повинности в виде работы и денег встречались сравнительно реже»[10].

მართალია, ა. ფანცხავას წიგნის ქრონოლოგიურ ფარგლებში XVIII საუკუნე არ იგულისხმება, მაგრამ მოტანილი ადგილიდან და საერთოდ ავტორის მსჯელობიდან ჩანს, რომ პროდუქტად რენტას თვლის იგი წამყვანად არა მარტო XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, არამედ ჩვენთვის საინტერესო XVIII საუკუნეშიც. იგივე აზრია განმეორებული მის შეორე, უფრო მოგვიანებით გამოსულ, ნაშრომში „Очерки аграрной истории феодальной Картли-Кахети конца XVIII века". ამ გამოკვლევაში, რომელიც დროის მიხედვით ზუსტად ჩვენი თემის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ემთხვევა, პირდაპირაა მითითებული, რომ იმჟამინდელ აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია, სახეზე იყო რენტის სამივე ფორმა, მაგრამ წამყვანი და განმსაზღვრელი იყო პროდუქტადი რენტა[11]. ავტორს, სამწუხაროდ,

---

[10] А. Я. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии», М., 1957, стр. 218. შდრ. გვ. 272. 274; იხ. აგრეთვე, მ ი ს ი, Очерки аграрной истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси 1973,

[11] მ ი ს ი ვ ე, «Очерки аграрной истории феодальной Картли — Кахети конца XVIII века, Тбилиси, 1965, გვ. 129, 143.

არ მოაქვს ამ დებულების დამადასტურებელი სათანადო კონკრეტული მასალა, მაგრამ მისი მსჯელობა მაინც დამაჯერებლად გამოიყურება. დასანანია, რომ ავტორი სრულიად არ ეცადა მიახლოებით მაინც განესაზღვრა ფულადი საგლეხო გადასახადების, კერძოდ ფულადი რენტის როლი და ადგილი XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

1959 წელს ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო მ. როჟკოვა. იგი რეფორმამიდელი ხანის საქართველოში (ცხადია, XVIII საუკუნესაც გულისხმობს) რენტის წამყვან ფორმად, სავსებით სამართლიანად, მის პროდუქტად სახეობას თვლის, მაგრამ არც ფულადი რენტის არსებობას გამორიცხავს. მიუთითებს, რომ სწორედ XIX საუკუნის პირველ ნახევარში „მიმდინარეობდა ფულად რენტაზე გადასვლის პროცესი, რაც ნატურალური მეურნეობის დაშლის წინამძღვარს წარმოადგენდა"[12]. ავტორის დასკვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანია, მაგრამ ამის დასადასტურებლად არც ერთი მაგალითი არ არის მოტანილი. სამწუხაროდ, მ. როჟკოვა არც იმაზე მიუთითებს, თუ რა დროიდან დაიწყო ქართველი გლეხის გადასახადების კომუტაცია, როდის და რა მასშტაბით მიმდინარეობდა იგი.

1959 წელსვე გამოვიდა მ. დუმბაძის მონოგრაფია „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში". ავტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იკვლევს XVIII საუკუნის ვითარებას, მაგრამ მომდევნო საუკუნის დასაწყისის იმერეთის შესახებ პირდაპირ წერს, რომ იქ დომინირებდა პროდუქტადი რენტა და ფულად რენტას სულ უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა, მისი აზრით, მხოლოდ 4%-მდე აღწევდა[13]. სამწუხაროდ, ნაშრომიდან ნათლად არ ჩანს, რაზეა ავტორის ეს ვარაუდი დამყარებული, და ამიტომ ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, ვფიქრობთ, ფულადი რენტის როლი შემცირებულადაა წარმოდგენილი.

განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ედ. ხოშტარიას საქმის ცოდნით დაწერილი გამოკვლევა „გლეხობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII—

---

[12] М. К. Рожкова, Сельское хозяйство и положение крстьянства, в книге «Очерки экономической истории России в первой половине XIX века», М. 1959, გვ. 56.

[13] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1959, 139

XVIII საუკუნეების ქართლში"[14] (1960 წ.). ავტორი მეტ-ნაკლებად დაწვრილებით წერს სოფლის მშრომელი მოსახლეობის სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო გადასახადებზე, ამ გადასახადების შრომით პროდუქტად და ფულად ფორმებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ადგილი ექირა თითოეულ მათგანს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ნაშრომი არ იძლევა პასუხს კერძოდ იმაზე, თუ რა მასშტაბით იყო გავრცელებული საქართველოში ფულადი რენტა და ჰქონდა თუ არა მას საზოგადოებრივ პროგრესზე მუდმივად მოქმედი ფაქტორის მნიშვნელობა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო ფინანსისტ-ეკონომისტი ნ. ქოიავა თავის წიგნში „ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში" (1963 წ.). ავტორი ასკვნის, რომ აღნიშნული პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო გადასახადებში აბსოლუტურად დომინირებდა ფულადი გადასახადები, ხოლო საბატონო გადასახადებში — პირიქით — მისი პროდუქტადი ფორმა[15]. ავტორი საგანგებოდ გახაზავს ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში XVIII საუკუნის განმავლობაში, მაგრამ საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ „ფული ფართოდ იყო შეპრილი" განსახილველი ხანის საქართველოს საგადასახადო სისტემაში[16].

არაერთგზის შეხებია რენტის საკითხს ივ. სურგულაძე. XVIII საუკუნის საქართველოში რენტის გაბატონებული ფორმის შესახებ მას განსხვავებული აზრი არა აქვს. სხვა მკვლევართა მსგავსად, მიაჩნია, რომ მაშინ ფეოდალური ექსპლოატაციის ძირითადი ფორმა ნატურალური გადასახადები იყო[17]. მან ფულადი რენტის როლის განსაზღვრაც სცადა და მისი ხვედრითი წონა XVIII საუკუნის აღ-

---

[14] დაბეჭდილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში, ტ. I, ნაკვ. II, თბ, 1960.

[15] ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963, გვ. 153.

„როგორც ჩანს, — წერს ნ. ქოიავა,—ნორმალურ პირობებში კომლის გადასახადებში ფულადი გადასახადები დაახლოებით 8-ჯერ მეტს შეადგენდა, ვიდრე ნატურალური გადასახდელები" (გვ. 153).

[16] ი ქ ვ ე, გვ. 154, შდრ. გვ. 224.

[17] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 246, 259.

მოსავლეთ საქართველოში 7—8 პროცენტს გაუთანაბრა[18]. ეს აზრი მკვლევარმა 1963 წელს გამოთქვა. 1970 წელს კი მან პროდუქტად რენტას 80% დაუთმო, ხოლო შრომამიგებით და ფულად რენტას— 20 პროცენტი[19]. აქ, როგორც ვხედავთ, შრომამიგებითი და ფულადი რენტის ხვედრითი წონა ცალ-ცალკე არაა ნაჩვენები, მაგრამ საფიქრებელია, რომ ავტორი მეორეს წინანდებურად 7—8%-ით განსაზღვრავს, ხოლო პირველს — 12—13%-ით.

სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა რენტის საკითხს გ. აკოფაშვილმა. მან 1964 წელს გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ფულადი საბატონო გადასახადები XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში“. ამ წერილში, რომელიც მანუჩარ თუმანიშვილის მასალების მიხედვითაა შედგენილი, ავტორმა განსაზილველ საკითხზე ასეთი დასკვნა გააკეთა: „ნატურალური გადასახადი კვლავ რენტის გაბატონებულ სახეს წარმოადგენს. ფულადი გადასახადი ა რ ს ებ ი თ ა დ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ს პ ო რ ა დ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი ა“[20]. რომ XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში პროდუქტადი რენტა წამყვანი და გაბატონებული იყო, ეს თავისთავად ცხადია და გ. აკოფაშვილიც სხვებთან ერთად ამაზე სამართლიანად მიუთითებს. მაგრამ იმ დროს ფულადი რენტის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ და ს პ ო რ ა დ უ ლ მოვლენად გამოცხადება, ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ შეეფერება. ვფიქრობთ, ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას არც ის, შედარებით მცირე, უპირატესად მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობასთან დაკავშირებული, მასალა იძლევა, რომლის საფუძველზეც დაწერილია გ. აკოფაშვილის ნარკვევი. მკვლევარის მიერ მოტანილი მასალიდან სრულიად არ ჩანს ფულადი გადასახადების შემთხვევითობა და სპორადულობა. პირიქით, დადასტურებულია ფულადი რენტის საკმაოდ მყარად არსებობისა და მისი თანდათანობითი განვითარების ფაქტი, პროდუქტადი გადასახადების

---

[18] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 234.

[19] იხ. მ ი ს ი წერილი „დასტურლამალი“ გამოცემაში „ქართული სამართლის ძეგლები“, თბ., 1970, გვ. 736.

[20] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ფულადი საბატონო გადასახადები XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში. იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964, გვ. 103. (შემდეგში ამ წერილის დასახელებისას გვერდები მითითებული იქნება შრომების ამ კრებულის მიხედვით).

ფულადით შეცვლის ფაქტი. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ რა ხვედრითი წონა ჰქონდა ფულად რენტას, მაგრამ არც იმის განსაზღვრაა მნიშვნელობას მოკლებული, რომ განვითარების პროცესი და ტენდენცია სწორედ რენტის ამ ფორმის სასარგებლოდ მიმდინარეობდა.

გ. აკოფაშვილმა რენტის ფორმების საკითხი განიხილა თავის მეორე ნაშრომშიც—„გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველი ნახევრის აღმ. საქართველოში", რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს გლეხობის ისტორიიდან"[21]. ავტორი აქ პრინციპულად იმეორებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ფულადი რენტის უმნიშვნელო ადგილის შესახებ XVIII საუკუნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, თუმცა ამჯერად უფრო მორიდებულად. ყოველ შემთხვევაში ამ წერილში უკვე არ არის ლაპარაკი ფულადი რენტის შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ს ა დ ა ს პ ო რ ა დ უ ლ ხასიათზე. მკვლევარი ამ გამოთქმებს ცვლის ფორმულირებებით, რომლებიც თავისთავად კამათს არ იწვევენ და ყველა შემთხვევაში სწორია. მაგალითად, „ფულადი გამოსაღები შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ც ი რ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა ი ყ ო, მაგრამ, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წ ი ნ ა პ ე რ ი ო დ თ ა ნ შ ე დ ა რ ე ბ ი თ ფულადი გადასახადების მნიშვნელობა და ადგილი XVIII ს. მეორე ნახევრიდან რამდენადმე ფართოვდება"[22]. იგივე ითქმის დასახელებული წერილის მეორე ადგილის შესახებაც, სადაც ნათქვამია: „საერთო ჯამში ფულად გადასახადებს საგლეხო ბეგარა-ვალდებულებებს შორის XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX ს. დამდეგსაც ჯერ კიდევ მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი, შედარებით უმნიშვნელო ადგილი უკავიათ"[23].

რა თქმა უნდა, არავის მოუვა აზრად ეჭვის ქვეშ დააყენოს, გ. აკოფაშვილის განცხადება ფულადი რენტის მ ე ო რ ე ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი და შ ე დ ა რ ე ბ ი თ მ ც ი რ ე როლის შესახებ განსახილველი ხანის საქართველოში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საგლეხო გადასახადების ეს ფორმა შემთხვევითი და სპორადული ხასიათის მატარებელი იყო.

---

[21] ამ კრებულში (შემდეგში მას მოკლედ ასე მოვიხსენიებთ — ნფსგი), რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა, შესულია დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ი ს, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ ა ო. ს ო ს ე ლ ი ა ს წერილები.

[22] ნფსგი, ნაწ. I, თბ., 1967, გვ. 143.

[23] ნფსგი, გვ. 147.

რენტის ფორმების, კერძოდ კი ფულადი რენტის შესწავლას დიდი ყურადღება დაუთმო ო. სოსელიამ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი მონოგრაფია „ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“ (1966 წ.). ავტორი სამართლიანად წერს, რომ „დასავლეთ საქართველოს სათავადოებში, მათი არსებობის მთელი ხანის განმავლობაში (ამაში შედის XIX ს. პირველი ნახევარიც — ი. ა.) პროდუქტებით ვალდებულება წარმოადგენს ფეოდალური რენტის ძირითად, გაბატონებულ ფორმას“[24]. ო. სოსელიას ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, სწორია ,მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მის მსჯელობაზე ფულადი რენტის შესახებ. ამ უკანასკნელის ხვედრითი წონა მასაც, მ. დუმბაძის მსგავსად, დაახლოებით 4%-ით აქვს განსაზღვრული. „ყველაფერი ის, წერს იგი, რაც ითქვა ფულადი გამოსაღების შესახებ დასავლეთ საქართველოში, გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ სწორია მ. დუმბაძე, როცა აღნიშნავს: „XIX ს. დამდეგს იმერეთის ცალკეული კომლების ვალდებულებათა შესახებ ცნობების მიხედვით ფულადი რენტა მიწის ფეოდალური რენტის საერთო მოცულობიდან დაახლოებით 4%-მდე აღწევდაო“[25]. ო. სოსელიას ეს დასკვნა ჩვენთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. ვფიქრობთ, არც მონოგრაფიაში მოტანილი მასალა[26] იძლევა იმის საფუძველს, რომ ფულადი რენტის ხვედრითი წონა იმერეთში ასე შემცირებულად წარმოვიდგინოთ.

ამ მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვიდან (მას სისრულის პრეტენზია არა აქვს) ჩანს, რომ მხოლოდ მკვლევართა მცირე ნაწილმა სცადა ფულადი რენტის როლისა და ადგილის მიახლოებითი განსაზღვრა, მათ შორის მ. დუმბაძემ, ო. სოსელიამ და ივ. სურგულაძემ. პირველმა ორმა ხსენებული რენტის ხვედრითი წონა იმერეთში 4%-ს გაუთანაბრა, ხოლო უკანასკნელმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიულ ფარგლებში — 7—8 პროცენტს. სათანადო მასალების უქონლობის გამო, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ფულადი რენტის ხვედრითი წონის სასურველი სიზუსტით დადგენა, მაგრამ ის მასალა, რომელიც ჩვენ ხელთ არის, საფუძველს გვაძ-

---

[24] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 129; შდრ. მისი „დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე“. ნფსგი, გვ. 215.

[25] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 139—140; შდრ. ნფსგი, გვ. 225.

[26] იქვე, გვ. 135—140; ნფსგი, გვ. 221—225.

ლევს მ. დუმბაძის, ო. სოსელიას და ივ. სურგულაძის პროცენტული გამოანგარიშება რამდენადმე შემცირებულად მივიჩნიოთ. ეს ითქმის როგორც XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე, ისე, განსაკუთრებით, XIX საუკუნის დამდეგზე, როდესაც მიმდინარეობდა პროდუქტადი გადასახადების ინტენსიური კომუტაცია.

2. საბატონო ფულადი რენტა-გადასახადების საკითხისათვის XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში

რენტის ფორმების შესახებ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში) საყურადღებო ცნობებს შეიცავს „დასტურლამალი". ეს ძეგლი, რომელიც შედგენილია 1707—1709 წლებში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დროს, როგორც ცნობილია, მოქმედებდა მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამდე[1]. მართალია, ამ ძეგლს იურიდიული ძალა მხოლოდ ქართლის სამეფოში ჰქონდა,[2] მაგრამ არც კახეთის სამეფოში იყო გამორიცხული მასში მოცემული წესების მიხედვით საგადასახადო სისტემის მოწყობა, განსაკუთრებით 1762 წლიდან, როდესაც ორივე სამეფო ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად გაერთიანდა და მას სათავეში ერეკლე II ჩაუდგა[3].

---

[1] „ვახტანგის „დასტურლამალზე". — წერს ივ. სურგულაძე, — ხშირად უთითებენ XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლეს შემდეგაც. იგი მოქმედებდა გიორგი XII-ის დროსაც. „დასტურლამალის" მოქმედების დასასრულად ჩაითვლება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და მისი რუსეთთან შეერთება. ცნობილია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ ვახტანგის „სამართლის წიგნი" ნაწილობრივ განაგრძობს მოქმედებას, მაგრამ „დასტურლამალი" კი არა. ეს გასაგებიცაა: „დასტურლამალი", ძირითადად, სასახლის განაწესსა და მეფის მამულების გარიგებას წარმოადგენს. რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის სასახლე გაუქმდა, სამეფო სოფლები რუსეთის მმართველობაში გადავიდა, ხოლო ქართველ მეფეთა მოხელეებმა თავიანთი სამოხელეო რწმენათა საბუთები ახალ ხელისუფალთ წარუდგინეს პენსიების მისაღებად. ამგვარად, „დასტურლამალის" მოქმედება 1801 წელს შეწყდა" („დასტურლამალი", ივ. სურგულაძის შესავალი წერილი, გვ. 226).

[2] „ცხადია, — წერს იგივე მკვლევარი, — ქართლის სამეფოსათვის შედგენილ „დასტურლამალს" ქართლის მეფე ვერ მიანიჭებდა მოქმედების ძალას კახეთსა, იმერეთსა, სამეგრელოსა ან გურიაში" („დასტურლამალი", ივ. სურგულაძის შესავალი წერილი, გვ. 226).

[3] „1762 წლიდან ქართლი და კახეთი გაერთიანებულია. „დასტურლამალი" კი მარტო ქართლის სამეფოსათვის იყო გათვალისწინებული. ცნობილია ის გარემოებაც, რომ ვახტანგის „სამართლის წიგნი" ქართლისათვის იყო შედგენილი, მაგრამ იგი მთელს საქართველოში მოქმედებდა" („დასტურლამალი", ივ. სურგულაძის შესავალი წერილი, გვ. 226).

„დასტურლამალი“ ისე, როგორც ბევრი სხვა ხასიათის წყარო, ადასტურებს XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლში შრომითი, პროდუქტადი და ფულადი გადასახადების არსებობას. ამ ფორმით იხდიდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა როგორც სახელმწიფო, სამოხელეო, ისე საბატონო გადასახადებს. ამ უკანასკნელზე მეტ-ნაკლებად სრულ წარმოდგენას გვაძლევს „დასტურლამალი“, მიუხედავად იმისა, რომ ის არ არის განაწესი კერძო მებატონეთა მეურნეობებისა და საგადასახადო სისტემის შესახებ. ასე ვამბობთ იმიტომ, რომ სამეფო „დასტურლამალში“ დაწვრილებითაა ლაპარაკი არამარტო იმ გადასახადებზე, რომლებსაც უხდიდა გლეხობა მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, არამედ როგორც კერძო მებატონეს, ფეოდალს, მიწა-მამულების მფლობელსა და მესაკუთრეს. იგივე, ოღონდ უფრო მეტი მასშტაბითა და საფუძვლიანობით, ითქმის „სადედოფლო დასტურლამალზე“, რადგანაც დედოფალი პირველ რიგში იყო მსხვილი ფეოდალი — მემამულე, დიდძალი ყმა-მამულების პატრონი, მათი უზენაესი განმკარგულებელი კერძო საკუთრების უფლებით. და რაკი მეფე — ფეოდალი და დედოფალი მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის ფორმების მხრივ ა რ ს ე ბ ი თ ა დ, პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ არ განსხვავდებოდნენ კერძო მებატონეებისაგან, ამიტომ ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ დაწესებული საგადასახადო სისტემის დასახასიათებლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება „დასტურლამალის“ მონაცემებს.

„დასტურლამალის“ მიხედვით ქართლის მშრომელი მოსახლეობა მეფისა და დედოფლის, როგორც ფეოდალების სასარგებლოდ, შემდეგ ძირითად გადასახადებს იხდიდა: ღალას[4], კულუხს[5], საშობაოს[6], საადგომოს[7], სასვიანოს[8], საყველიეროს[9], გასამყრელოს[10],

---

[4] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი“, გვ. გვ. 579, 592, 595, 596, 599, 601, 602, 605, 708, 709, 710, 711, 718.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 579, 585, 592, 595, 710, 713, 715.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 586, 590, 592, 593, 595, 599, 601, 605, 606, 708, 709, 711, 712, 715.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 583, 586, 590, 592, 595, 599, 601, 602, 605, 606, 619, 708, 709, 710, 712, 715.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 708, 709, 711, 713, 714, 715.

[9] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი“, გვ. 709, 710, 711 712.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 587, 591, 593, 597, 699, 600, 611, 619, 620; 709, 710, 712, 713, 714, 715.

საქვრივოს[11], საჩექმეს[12], თავის გასამტეხლოს[13], საახალწლოს[14], სამარხოს[15], საწყალკურთხეოს[16], სამასპინძლოს[17], საბაზიეროს [18] და მრავალ სხვა წვრილმან გადასახადს[19].

ამ პროდუქტადი და ფულადი გადასახადების გარდა „დასტურლამალი" ადასტურებს შრომითი რენტის საკმაოდ გავრცელების ფაქტსაც. ძეგლის მიხედვით, გლეხები ასრულებენ ბატონის მეურნეობასა და ოჯახის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სამუშაოს. დიდმელ სახასო (ე. ი. მეფის საკუთარი) გლეხების მოვალეობას შეადგენდა „ბატონის ზვრის მუშაობა"[20]. „სამს დღეს ყარაიზედ ხვნა, მისი მომკა, შეტანა, გალეწვა"[21], ბატონის აყრაზედ ურმის და ცხენის თხოვება"[22]. „ქვის ზიდვა"[23], „ბარგის ზიდვა"[24] და სხვ. კავთისხევის 23 კომლი სახასო გლეხის შრომითი რენტა ძეგლში ასეა დასახელებული: „გუთანზედ სამი დღე ხვნა და მისი სულ მომუშავება და პურის ქალაქს ჩამოტანა"[25], „ნათესის მორწყვა"[26], „ზიდვაზედ თითო ურემი კომლად"[27], „ზვრის მუშაო-

---

[11] „დ ა ს ტ ურ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 583, 591, 593, 601, 614, 620, 709, 710, 711, 712. 713, 714.

[12] ი ქ ვ ე, გვ. 587, 590, 593, 611, 616, 619, 620, 712, 713.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 587, 591, 599, 607, 611, 620, 709, 715.

[14] ი ქ ვ ე, გვ. 600, 619, 714.

[15] ი ქ ვ ე, გვ. 593, 714, 715.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 713.

[17] ი ქ ვ ე, გვ. 577, 587. 595, 599, 619, 645.

[18] ი ქ ვ ე, გვ. 596.

[19] მათ შესახებ იხ. Д. П у р ц е л а д з е, газ. «Кавказ», № 86, 1864; С. А в а л и а н и, Крестьянск. вопрос, I, 64—51, განსაკუთრებით კი გვ. 74—81; С. Н. К а к а б а д з е, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Восточной Грузии в XVIII веке, კრებულში „История классовой борьбы в Закавказье", Тифлис, 1930, გვ. 162—163; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 216—223; ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 186—220.

[20] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 595.

[21] ი ქ ვ ე.

[22] ი ქ ვ ე.

[23] ი ქ ვ ე, 596.

[24] ი ქ ვ ე.

[25] ი ქ ვ ე, გვ. 598.

[26] ი ქ ვ ე.

[27] ი ქ ვ ე.

ბა"[28], „სამ დღეს ლეწვა თვითო ხარით""[29], სამი დღე ბარვა"[30] და სხვ.

მაგრამ ჩვენი კვლევის მიზანია, ვიმეორებთ ისევ, არა შრომითი, პროდუქტადი და ფულადი საბატონო გადასახადების არსებობის ფაქტის დადგენა (ეს კარგა ხანია დადგენილია), არამედ უკანასკნელი მათგანის როლისა და ადგილის განსაზღვრა XVIII საუკუნისა (უპირატესად მისი მეორე ნახევრის) და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში. „დასტურლამალის" მიხედვით, დასახელებული არაშრომითი გადასახადებიდან: ღალა, კულუხი, საყველიერო, სამარხო, საბაზიერო, საწყალკურთხეო, სამასპინძლო—პროდუქტადი გადასახადებია; საშობაო, სააღდგომო, საახალწლო, როგორც წესი, იმავე ჯგუფის გადასახადებს განეკუთვნებიან, თუმცა გარკვეული გამონაკლისებით; საქვრივოს, თავის გასამტეხელოს და გასამყრელოს მწარმოებელი კლასი ნატურითაც იხდიდა და ფულითაც, თანაც თითქოს თანაბარი მასშტაბით. სასვიანო, საჩექმე და მალი მხოლოდ ფულადი გადასახადები იყო.

როგორც ვხედავთ, საგლეხო გამოსაღებების დიდი უმეტესობა, „დასტურლამალის" მიხედვით, უპირატესად პროდუქტიული სახით გვევლინება, მაგრამ ძეგლი იმავე გადასახადების ფულადი ეკვივალენტით შეცვლის არაერთ შემთხვევასაც ასახელებს. ისეთი ყველაზე ტიპიური პროდუქტადი გამოსაღებიც კი, როგორიცაა ღალა, ზოგ შემთხვევაში ფულით იცვლებოდა. ეს ხდებოდა არა მარტო XVIII საუკუნის ბოლოსა და გასული საუკუნის დამდეგს, არამედ უფრო ადრეც. მაგალითად, ღალა „დასტურლამალში", ვიმეორებთ ისევ, თითქმის ყველგან[31] პროდუქტადი გადასახადია, მაგრამ ერთ შემთხვევაში ფულადი გადასახადებითაა შეცვლილი. ძეგლში პირდაპირაა მითითებული—„ღალის პური ჩარექზედ შაური ერთი"[32] გადაიხადოს გლეხმაო. საშობაო და საადგომო ძღვენიც უპირატესად პროდუქტებით[33] მიჰქონდა გლეხს თავის ბატონთან, მაგრამ „დასტურლამალში" მისი ფულადი ეკვივალენტით შეცვლის შემთხვევებიცაა დადასტურებული. „საადგომო აბაზი ერთი, საშო-

---

[28] „დ ა ს ტ ურ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 598.

[29] ი ქ ვ ე.

[30] ი ქ ვ ე. 599.

[31] ი ქ ვ ე. გვ. 579, 585, 595, 596, 599, 601, 602, 605, 708, 709, 710, 711, 718.

[32] ი ქ ვ ე, გვ. 709

[33] ი ქ ვ ე, გვ. 708, 709, 710, 711, 712, 715.

ბაოც—ერთი"[34], ნათქვამია სადედოფლო „დასტურლამალში". იმავე ძეგლის მეორე ადგილას კი აღნიშნულია: „სუფრაჯს, ეშიკაღასს, ხოჯებს, მესტუმრეს — საშობაოდ ა ბ ა ზ ი თვითოს, საალდგომოთაც — ა ბ ა ზ ი და ბ ი ს ტ ი ხუთი"[35]. იგივე ითქმის საახალწლო გადასახადზეც. მას სოფლის მშრომელი მოსახლეობა სხვადასხვა პროდუქტით იხდიდა[36], მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ფულითაც იცვლებოდა. გლეხმაო, ნათქვამია „დასტურლამალში", „საახალწლო აბაზი"[37] გადაიხადოსო.

საქვრივოს გლეხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნატურითაც[38] იხდიდა და ფულითაც. „დასტურლამალის" მიხედვით ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი ფორმა დომინირებდა. ყოველ შემთხვევაში, ძეგლში არაერთხელაა დასახელებული საქვრივოს ფულით გადახდის შემთხვევა. „საქვრივოზედ — მარჩილი"[39] გლეხმა მოურავს გადაუხადოსო, ნათქვამია ძეგლში. იქვე აღნიშნულია, რომ ქვრივის ცოლად წამყვანს მამასახლისისთვის „საქვრივო აბაზი"[40] უნდა მიერთმია. ივ. სურგულაძე მიუთითებს, რომ „XVIII ს. მეორე ნახევარში და XIX საუკუნეში... ეს გადასახადი ფულად ხასიათს იღებს და მისი რაოდენობა მერყეობს 5-დან 50 მანეთამდე"[41]. მკვლევარის ეს დაკვირვება სწორია, მაგრამ ერთი მცირე კორექტივით: საქვრივოს ფულით გადახდა, როგორც ეს „დასტურლამალის" ზემოთ დასახელებული და დაუსახელებელი ადგილებიდან ჩანს, უფრო ადრეც, ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის დამდეგსაც ხდებოდა. მოგვიანებით, უფრო ზუსტად აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრიდან და გასული საუკუნის რეფორმამდელ ხანაში კი ფულადმა ფორმამ აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა.

თავის გასამტეხელო გადასახადსაც სოფლის მშრომელი მოსახლეობა ორივე — ნატურალური[42] და ფულადი — სახით იხდიდა.

---

[34] „დ ა ს ტ ურ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 709, შდრ. გვ. 593, 619.
[35] ი ქ ვ ე, გვ. 711.
[36] ი ქ ვ ე, 600, 619.
[37] ი ქ ვ ე, გვ. 714.
[38] ი ქ ვ ე, გვ. 709, 710, 712, 713, 714; შდრ. გვ. 583, 591, 523, 601, 614.
[39] ი ქ ვ ე, გვ. 709.
[40] ი ქ ვ ე, გვ. 711 (ამ გვერდზე დასახელებულია საქვრივოს ფულადი გადასახადის არაერთი შემთხვევა), შდრ. გვ. 614, 620, 712, 714 და სხვ.
[41] ივ. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, შემთხვევებთან დაკავშირებული (ექსტრა-ორდინალური) გადასახადები გვიანფეოდალურ საქართველოში, სმაეიშ, ტ. VI, 1953.
[42] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 587, 591, 599, 607, 619, 709, 715.

„დასტურლამალის“ მიხედვით ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი ნათგანი იყო წამყვანი. ზოგადი შთაბეჭდილება კი რჩება ისეთი, რომ მაშინ ორივეს თანაბარი ძალა და გავრცელება ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, თავის გასამტეხლოს ფულადი სახით გადახდის არაერთი შემთხვევაა „დასტურლამალში“ დასახელებული. „თავის გასამტეხლო ხუთი აბაზი“[43], „კბილის ჩაგდებინებისათვის — ოცდაათი შაური“[44], ნათქვამია სამეფო „დასტურლამალში“. ამასვე ადასტურებს სადედოფლო „დასტურლამალი“. იქ ერთგან მითითებულია, რომ გლეხმა თავის გასამტეხლო ერთი მარჩილის რაოდენობით უნდა გადაიხადოსო[45], ხოლო მეორეგან ეს თანხა (ნაცვლის სასადგებლოდ განკუთვნილი) ერთი აბაზითაა განსაზღვრული[45ა].

გასამყრელო-შესამყრელოც გლეხების საბატონო გამოსაღებები იყო, რომლებსაც უხდიდნენ ისინი თავიანთ მფლობელებს კომლების გაყრა-შეყრის შემთხვევაში[45ბ]. იგი, ვიმეორებთ ისევ, შერეული ტიპის გადასახადი იყო, მწარმოებელი კლასი მას თავის ბატონს ნატურითაც უხდიდა და ფულითაც. ივ. სურგულაძე, არ განმარტავს, თუ რომელ მათგანს ჰქონდა მეტი გავრცელება[45გ], გ. აკოფაშვილს კი მიაჩნია, რომ დასახელებული ორი ფორმიდან, ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ფულადი ფორმა დომინირებდა[45დ]. დასტურლამაში, მართლაც, გასამყრელოს გადახდის ორივე სახეობაა დადასტურებული, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხსენებულ ძეგლში გასამყრელოს ფულადი სახე უფრო ხშირადაა დასახელებული[45ე], ვიდრე პროდუქტი[45ვ].

---

43 „დ ა ს ტ ო რ ლ ა მ ა ლ ი“ გვ. 611, შდრ. გვ. 616, 620 და სხვ.

44 ი ქ ვ ე.

45 ი ქ ვ ე, გვ. 713, რომ თავის გასამტეხლო ფეოდალური (საბატონო) გადასახადია. იხ. ე. ხოშტარიას დასახ. ნაშრ., გვ. 95.

45ა ი ქ ვ ე, გვ. 715.

45ბ ე ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 95; ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, გვ. 211; გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, გლეხის ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. პირველი ნახევრის აღმ. საქართველოში , ნფსგი, ნაწ. 1, გვ. 146.

45გ ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, გვ. 211.

45დ „XVIII ს. მეორე ნახევარში გასამყრელო, ჩვეულებრივ, ფულით აიღებოდა“ (გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა..., ნფსგი, I, 146).

45ე „დასტურლამალი“, გვ. 587, 588, 593, 597, 600, 611, 616, 620, 709, 711, 712, 714, 715.

45ვ ი ქ ვ ე, გვ. 591, 593, 594, 599, 611, 619, 630, 714, 715.

მაშინ უფრო გავრცელებულად და მეტი მნიშვნელობის მქონედ თვით XVIII საუკუნის დამდეგსაც კი გასამყრელოს ფულადი ფორმა შ ე ი ძ ლ ე ბ ა მივიჩნიოთ.

სამბატონო გადასახადებს—სასვიანოს, საჩექმესა და მალს ყმური მოსახლეობა მხოლოდ ფულადი სახით იხდიდა. „სასვიანოს გლეხი იხდიდა ფეოდალის სასარგებლოდ, როცა ამ უკანასკნელს ქორწილი ჰქონდა"[46]. მისი არსებობა სწორედ ფულადი სახით XVIII საუკუნის დამდეგს დადასტურებულია „დასტურლამალში". „სასვიანო მარჩილი შვიდი"[47], „სასვიანო მარჩილი ხუთი"[48], ვკითხულობთ დასახელებულ ძეგლში. ს ა ჩ ე ქ მ ე ს იხდიდა ყმა გლეხი ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში. გ. აკოფაშვილის აზრით, ამ გადასახადს ძ ი რ ი თ ა დ ად პროდუქტადი ფორმა ჰქონდა და მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უშვებს მისი ფულადი სახეობის არსებობას[49]. სინამდვილეში კი საჩექმე მხოლოდ ფულადი გადასახადი იყო და თანაც არა მარტო XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან, არამედ ადრეც. ყოველ შემთხვევაში „დასტურლამალი" მთლიანად გამორიცხავს სხვაგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. აქ საჩექმე დასახელებულია სულ 11-ჯერ, აქედან 10 შემთხვევაში[50]—ფულად გადასახადად, ხოლო 1 შემთხვევაში გადასახადის ფორმა საერთოდ არაა მითითებული[51].

მ ა ლ ი ფულადი გადასახადი იყო, რომელსაც იხდიდა ახალ-ცოლმოყვანილი გლეხი სახელმწიფოს (ხაზინის) სასარგებლოდ. მაგრამ, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, ზოგ შემთხვევაში მ ა ლ ი თ კერძო მებატონეთა გლეხებიც იბეგრებოდნენ. სწორედ ამის თქმა სურს დ. გვრიტიშვილს, როდესაც წერს, რომ მალი უ მ თ ა ვ რ ე ს ად სახელმწიფო გამოსაღები

---

[46] ი. ს ო ს ა ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, გვ. 211.

[47] „დ ა ს ტ ო რ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 708.

[48] ი ქ ვ ე, გვ. 710, 713, 714.

[49] „ქალიშვილის გათხოვების შემთხვევაში, — წერს იგი, — გლეხი უხდიდა ბატონს საჩექმეს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საჩექმე, საფიქრებელია, ფულადი სახისაც იყო ხოლმე" (იხ. მ ი ს ი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა... ნუსგი, 1, გვ. 145).

[50] „დ ა ს ტ ო რ ლ ა მ ა ლ ი", იხ. გვ. 587, 590, 591, 593, 611, 619, 620, 712, 713.

[51] ატენის მოსახლეობას სძღვ „გასამყრელო, თავის გასამტეხლო, საჩექმე" („დ ა ს ტ ო რ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 603).

იყო[52]. ედ. ხოშტარიასაც მიაჩნია, რომ მალი გლეხთა საბატონო ვალდებულებებშიც შედიოდა[53].

დასახელებულ მკვლევართა ეს მოსაზრება წყაროების ჩვენებას ემყარება. სადედოფლო „დასტურლამალში", მაგალითად, მალი იკრიბება როგორც კერძო საფეოდალო გადასახადი. წინწყაროელთა „გარიგებაში" ნათქვამია: „ცოლიანს მალი მინალთუნი და ორი შაური. აქედან ხუთი აბაზი ბატონს და უზალთუნი მემალეს"[54]. ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „ბატონის" ქვეშ იგულისხმება არა მეფე, არამედ დედოფალი — წინწყაროელ გლეხთა უშუალო პატრონი. იგივეა სავარაუდებელი მალის გადახდის იმ შემთხვევებში, რომელთა შესახებაც ლაპარაკია სოფლების შუა ბოლნისის[55], ოფრეთის[56] და ალის[57] „გარიგებაში".

დიდი მოურავის ჩამომავლის, ბეჟანის, მისი ძმების დემეტრესა და ლუარსაბის და შვილის ოთარის მიერ ახალქალაქელ ტერ ასატურა ტერ მარქარაშვილისადმი 1700 წელს მიცემულ სითარხნის წიგნში ნათქვამია: „კურთხეული ბატონის მამის ჩვენისაგანაც გათარხნებული იყავით, ახლა ჩვენც ასე გაგათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არ გეთხოვებოდეს რა — არა მ ა ლ ი, არა ულაყი..., გარდა ერთი ამის მეტი: ბატონის მამის ჩვენის და ბატონის დედის-ჩემის სასაფლაოზე და ყოველს ენების კვირაში ნახევარ ლიტრას სანთელსა და ერთს სტილს საკმელს მიიტანდე და ჩვენს დეკანოზს მიაბარებდეთ"[58]. ამ კონტექსტში მალი, ცხადია, საბატონო გადასახადია და არა სახელმწიფო, წინაალმდეგ შემთხვევაში სითარხნის წიგნის მიმცემს დიდი მოურავის შთამომავალს ბეჟანს, მის ძმებსა და შვილს უფლება არ ექნებოდათ ამოეკვეთათ იგი ხელქვეით გლეხთა ვალდებულებებიდან.

---

[52] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 219.

[53] „უნდა აღინიშნოს (ისიც) — წერს იგი, — რომ გლეხის საბატონო „გამოსაღებში", ზოგ შემთხვევაში ფულადი გადასახადიც შედიოდა — „მალი" (ედ. ხოშტარია, დასახ. ნაშრ., გვ. 95).

[54] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი", გვ. 708.

[55] ი ქ ვ ე, გვ. 709.

[56] ი ქ ვ ე, გვ. 710.

[57] ი ქ ვ ე, გვ. 714.

[58] დსსი, 1, გვ. 108.

ჩვენ „დასტურლამალის“ მიხედვით მიმოვიხილეთ ძირითადი საბატონო გადასახადები და ვნახეთ, რომ ბევრი მათგანი, რომელიც დღემდე პროდუქტად გამოსაღებად იყო მიჩნეული, სინამდვილეში მხოლოდ ასეთი არ ყოფილა. თვით „სამასპინძლოც“ კი, რომლის პროდუქტად-ნატურალური ხასიათი თითქოს არავითარ ეჭვს არ იწვევს[59], ზოგ შემთხვევაში ფულად ფორმას ღებულობდა. „დასტურლამალში“, მაგალითად, ერთგან პირდაპირაა მითითებული, რომ გლეხმა სამასპინძლოდ ერთი აბაზი ან აბაზის ღირებული პროდუქტი გაიღოსო[60]. ამიტომ სწორია ივ. სურგულაძე, როდესაც წერს, რომ სამასპინძლოს ზოგჯერ „ფულადი ხასიათი ჰქონდაო“[61]. საერთოდ დასახელებულ ძეგლს აშკარად ეტყობა პროდუქტადი გადასახადების ფულადით შეცვლის ტენდენცია. უფრო მეტიც, მსგავსი ტენდენცია იგრძნობა თვით იმ ვალდებულებათა მიმართაც, რომელთა შესრულება, როგორც წესი, შრომამიგებით ხდებოდა. შულავერისა და თეთრი სოფლის გლეხთა გარიგებაში, მაგალითად, ნათქვამია: „ბატონი რომ აიყაროს, ათი ცხენი უნდა მოიყვანონ, ან მისი ქირა —შურავერელთა... სამი ცხენი —თეთრმა სოფელმა, ან მისი ქირა“[62]. ლურნუკელებს კი ბატონის აყრის შემთხვევაში ექვსი ცხენი უნდა გამოეყვანათ ან შესაბამისი ფულადი ეკვივალენტი გაეღოთ[63]. იგივე ითქმის ღალის პურის შესახებაც, რომელიც ზოგჯერ ფულით იცვლებოდა[64].

როგორც ნათქვამიდან ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისის აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლში), საბატონო გადასახადების მხოლოდ ერთი ნაწილი (კულუხი, საყველიერო, სამარხი, საბაზიერო, სამასპინძლო) იყო პროდუქტადი, მეორე ნაწილი (ღალა, საშობაო, საალდგომო, საახალწლო) — ასევე პროდუქტადი, სათანადო გამონაკლისებით (ე. ი. ზოგჯერ ფულითაც აიღებოდა), მესამე ნაწილი (საქვრივო, თავის გასამტეხლო, გასამყრელო) — შერეული სახისა, სადაც ნატურალურ და ფულად ფორმას, თითქოს, თანაბარი ძალა

---

[59] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი“, გვ. 518, 526, 528, 578, 587, 595, 599, 619, 644, 645, 718.

[60] ი ქ ვ ე, გვ. 577.

[61] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი“, გვ. 821, შდრ. მისი „ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან“, გვ. 195.

[62] „დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი“, გვ. 581.

[63] ი ქ ვ ე, გვ. 593.

[64] ი ქ ვ ე, გვ. 709.

და გავრცელება ჰქონდა და, დასასრულ, მეოთხე ნაწილს (სასვიანო, საჩექვე და მალი)—მარტო ფულადი სახით იცნობენ წყაროები.

* * *

„დასტურლამალის“ მონაცემებს ადასტურებენ ჩვენამდე მოღწეული სიგელ-გუჯრებიც. ისინი ადასტურებენ არა მარტო ფულადი რენტის არსებობას XVIII საუკუნის დამდეგის საქართველოში, არამედ მისი შეუნელებელი განვითარების ფაქტს დასახელებული საუკუნის მთელს მანძილზე. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არ არის საკვლევ თემასთან დაკავშირებული საიმედო სტატისტიკური მასალა, რომელსაც, თუნდაც მიახლოებით, შეეძლოს საგადასახადო სისტემის მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის შექმნა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ართულებს მკვლევარის მდგომარეობას, ხელს უშლის მას აბსოლუტურად სანდო დასკვნები გააკეთოს, მაგრამ ასეთი ვითარება, ბუნებრივია, ოდნავადაც არ გამორიცხავს სათანადო მუშაობის ჩატარების საჭიროება-შესაძლებლობას ამ მიმართულებით. ამის საშუალებას, ვიმეორებთ ისევ, იძლევა სხვადასხვა ხასიათის წყაროები და პირველ რიგში კი—სიგელ-გუჯრები. მასალა, რომელსაც ქვემოთ მოვიტანთ, ამტკიცებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ საქართველოშიც, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ფულადი რენტა, რ ო გ ო რ ც წ ე ს ი, გვხვდება არა დამოუკიდებლად, არამედ რენტის სხვა ფორმებთან ერთად. ჩვენ ვამბობთ, როგორც წესიო, იმიტომ, რომ წყაროები ზოგ შემთხვევაში ისეთ მაგალითებსაც ასახელებენ, როდესაც საბატონო გადასახადის გადახდა მხოლოდ ფულადი სახით ხდებოდა.

მოგვაქვს კონკრეტული მასალა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

1708 წლით დათარიღებული ერთი საბუთის თანახმად, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის გლეხები ბატონის სასარგებლოდ პროდუქტად რენტასთან ერთად იხდიდნენ ფულად გადასახადებსაც: კომლი — თითო აბაზს და, ამას გარდა, თავის გასამტეხლოს — ხარსა და ერთ მარჩილ ფულს[65]. მანგლელი ეპისკოპოსის ყმების ვალდებულებათა საბუთში მითითებულია (1712 წ.), რომ ისინი ასრულებდნენ შრომით ბეგარას, იხდიდნენ გადასახადს ხორბლით, ქერით, ქათმით, კარაქით, აგრეთვე ფულით — 60 კაპიკის რაოდენობით[66]. თარხნიშვილის ყმების გამოსავლის ერთ-ერთ ნუსხაში, რომე-

[65] ГЦГ, გვ. 80.
[66] ГЦГ გვ. 10.

ლიც ნ. ბერძენიშვილის მიერ 1741 — 1747 წლებითაა დათარიღებული, სულ 28 კაცია შეტანილი, აქედან: მარტო ფულადი გადასახადით დაბეგრილი ჩანს ორი კომლი, მარტო პროდუქტადით — 6 კომლი, ხოლო ფულადითა და პროდუქტადით — 21 კომლი[66ა], ე. ი. მათი ხვედრითი წონა შესაბამისად უდრიდა: 7,1%, 21,4% და 71,5%-ს. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საბუთში ბევრგან, სადაც ფულადი და ნატურალური გადასახადი ერთადაა მოცემული, პირველს დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგალითად, ბატკუაშვილ ივანეს განაყოფს თარხნიშვილისათვის უნდა მიეცა ხუთი კოდი პური და ხუთი აბაზი ფული[67], ოთარ ქვლივიძეს—7 კოდი პური და 5 აბაზი ფული[68]. ვინმე კოციაშვილს—4 კოდი პური და 5 აბაზი ფული[69] და ა. შ. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და ორმოციანის დამდეგს კოდი პური საშუალოდ 25 კაპიკი ღირდა[70], მაშინ გამოვა, რომ დასახელებული ყმების გადასახადებში ფულადი რენტის ხვედრითი წონა შესაბამისად უდრიდა: 44,4%, 36,3% და 50%-ს.

1739 წლის ერთ საბუთში, რომელიც ზემო ქართლის სოფლის ახალი სალიანის გლეხთა პურის გამოსაღების ნუსხას წარმოადგენს, აღნიშნულია, რომ გლეხებს პურის გარკვეული ნაწილი ფულადი სახით გადაუხდიათ. „ახალის სალიანისა ზემო ქართლიდამ გამოსულა პური და თ ე თ რ ი...“[71], ასე იწყება დასახელებული საბუთი. ერეკლე II-ის ბოდბის წმინდა ნინოს მონასტრისადმი შეწირულების წიგნში (1758 წ.) ვკითხულობთ: „როგორც ქიზიყელს კაცს კახის ბატონისათვის უმსახურებია, აგრეთვე [72] ბოდბელის ყმამ ბოდბელს უნდა მსახუროს. საური წმინდის ნინოს შეწირული იყო ძველთანაგან და ჩვენც შეგვიწირავს კოდის პურის ულუფა, ბოდბელის ყმის ჯურუმი — რიგის ძროხა, გასამყრელო, თავისგასამტეხლო ხა-

---

66ა დსსი, I, გვ. 301, 302.

67 დსსი, 1, გვ. 302.

68 ი ქ ვ ე.

69 ი ქ ვ ე.

70 მსეი, 1, გვ. 5.

71 სსცია, ფ. 1448, საბ. 1687. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შეენიშნოთ შემდეგი: გლეხებმა რომ ფული გადაიხადეს, ეს მხოლოდ საბუთის დასაწყისიდან ჩანს და თვით გადამხდელთა და გადახდილის სახეობათა ჩამოთვლაში ის (ფული) დასახელებული არაა.

72 საბუთში წერია „აგრეთვე“, ალბათ, შეცდომით (ი. ა.).

რი და მარჩილი"[73]. როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, ბოდბელის ყმათა გამოსაღების ერთი ნაწილი ფულადი სახისა იყო. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა საური, თავის გასამტეხლო, რომელიც, ტექსტის მიხედვით, ნაწილობრივ ფულადაც აიღებოდა და შესაძლებელია გასამყრელოც, რომელსაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწარმოებელი კლასი ფულადაც იხდიდა და ნატურითაც.

გოგლიძე ნასყიდა, გააზატებული მისი ბატონის გიორგი თარხნის მიერ 1760 წელს, თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან. მხოლოდ წელიწადში ერთხელ აბაზს უხდის მღვდელს გამათავისუფლებლის მამის სულის მოსახსენებელი წირვისათვის[74].

ქალაქ თბილისის მცხოვრებ ბაღდასარა ყალუაშვილს, რომელსაც სოფელ კრწანისში ბაღ-ვენახები ჰქონია, სვეტიცხოვლის ბეგარად კულუხი სდებია. ყმის თხოვნითა და ერეკლე II-ის შუამდგომლობით, კათალიკოსმა ანტონ II-მ მას 1766 წელს ცულუხი ამოუკვეთა და მის მაგივრად ოთხი ლიტრა სანთლის, ნახევარი ლიტრა საკმევლისა და ერთი აბაზი ფულის გადახდა დააკისრა[75].

ადრე ბატონყმობიდან თავდახსნილი გლეხი, ვინმე ბეჟუაშვილი, 1773 წელს თავის „ნება-სურვილით" ეყმო თბილისის სიონის ეკლესიას, რომელმაც იგი დაავალდებულა მიერთმია ეკლესიისათვის ყოველწლიურად თითო ჩარექი სანთელი, ნახევარი ჩარექი „ლადონი", სააღდგომო ძღვენი და 6 აბაზი ვერცხლის ფული[76].

ჩვენს ხელთ არის 1781 წლის საბუთი — უცნობი პირის ყმების გამოსაღებთა ნუსხა[77], რომლის მიხედვითაც სოფლის მშრომელი მოსახლეობა გადასახადს იხდის პროდუქტადი და ფულადი რენტის სახით. ეს საბუთი იმითაცაა საყურადღებო, რომ მასში დადასტურებულია ადრინდელი პროდუქტადი რენტის (მისი შემადგენელი ზოგი ნაწილის) ფულადი რენტით შეცვლის ფაქტი.

საკმარისია ითქვას, რომ ნუსხაში შეტანილი 47 გადამხდელიდან საკლავის გადასახადი ფულადი სახით 31 კაცმა[78] ან საერთო რაოდენობის 66%-მა გაისტუმრა, ხოლო ნატურით—10 კაცმა[79] ან 21,3%-

---

[73] სსცია, ფ. 1448, საბ. 1405.

[74] დსსი, 11, გვ. 56.

[75] სმახი, ფ. Qd, საბ. 668. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[76] ГЦГ, გვ. 65.

[77] მსეი, III, 185—186.

[78] ი ქ ვ ე.

[79] ი ქ ვ ე. თუ რით გადაიხადა გადასახადი დანარჩენმა ექვსმა კაცმა, არ ჩანს.

მა. აბრეშუმი კი ფულადი ეკვივალენტით 6 კაცმა[80], ან საერთო რაოდენობის 12,7%-მა გადაიხადა, ხოლო ნატურით—39 კაცმა[81] ან 83%-მა.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს შეიცავს ყმა-გლეხების — ბიჭიკაშვილების საჩივარი, მირთმეული ერეკლე მეორისადმი 1782 წელს. საჩივარი მიმართულია ხოვლელი მებატონის ზაალ ჯავახიშვილის წინააღმდეგ, რომელმაც, როგორც ჩანს, ძალიან დაამძიმა ბიჭიკაშვილების საგადასახადო ტვირთი და ანგარიშის გასწორებაც ფულადი სახით მოითხოვა. „აქა-იქ, — მოახსნებდნენ ისინი მეფეს, — თ უ მ ნ ო ბ ი თ, ო რ თ უ მ ნ ო ბ ი თ ვ ა ლ ი ა უ ღ ი ა დ ა ი ს ი ც ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს შ ე მ ო უ პ ი რ ე ბ ი ა დ ა ჩ ვ ე ნ ც მ ი გ ვ ი ც ი ა... ახლა ბეცია თარხნიშვილისათვის ბარათი მიუცია, ამისი ხუთი თუმანი მართებს და თქვენ მიეცითო“[82]. ეტყობა, გადასახადის ფულით გასტუმრება უჩვეულო არ იყო ბიჭიკაშვილებისათვის, რადგან ისინი ილაშქრებენ არა გადასახადის ფულადი ფორმის წინააღმდეგ, არამედ საგადასახადო ტვირთის ზომაზე მეტად დამძიმების წინააღმდეგ.

1789 წ. მარლის ყმები (სამი კომლი) შესჩიოდნენ ერეკლე მეორეს; „სამი მინალთუნი საკლავის ფასად თქვენმა შვილებმა გამოგვართვეს, ახლა კი შემოგიწერიათ ერთი ძროხა, ერთი ცხვარი (და) ქათამი“[83].

არაგვის ბარის სოფლის მოსახლეობის 1789 წლის ერთ ნუსხაშიც დადასტურებულია შერეული სახის — პროდუქტადი და ფულადი რენტის არსებობის ფაქტი. წამყვანი პირველი მათგანი ჩანს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში გადასახადის გადახდა ფულით ხდება. „ამირანის ყმების ორს კომლს გამორთმევია თეთრი“[84], „ამან ბატონი ჩაიყენა და ფასი შოართვა“[85]. „აქავ დანიელაშვილს.... ცხენის ქირა გამოერთვა““[86] — ნათქვამია იქ. ამაზე ორი წლით ადრე, ე. ი. 1787 წელს, ყმას, ვინმე ნინიას, თავის ბატონისათვის სამასპინძლო პური მიუცია, ხოლო კულუხის მაგივრად ფული გაუღია[87].

---

[80] ი ქ ვ ე.
[81] ორ გადაბხდელს არაფერი გაუღია, ეპატია.
[82] სსცია, ფონდი 1448, საბ. 5398.
[83] ი ქ ვ ე, საბ. 447.
[84] ი ქ ვ ე, საბ. 3463.
[85] ი ქ ვ ე.
[86] ი ქ ვ ე.
[87] ს ს ც ი ა, საბ. 1603.

კათალიკოს ანტონ II-ის 1790 წლის განჩინებაში კალაურელების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი ვალდებული არიან გაიღონ კომლზე თითო კოდი პური, ორი ჩაფი ტკბილი, აიაზმის(?) სახდელად თითო შაური, ორი შაური საწირავისა და შაური პანაშვიდისა მღვდლის სასარგებლოდ[88].

„გადასახადის ნახევრის ფულადი გადახდის პირობა მისცა 1791 წ. თავის ბატონს წერაქველმა გლეხმა აკოფამ. „ესე წიგნი მოგე მე, — ნათქვამია საბუთში, — წერაქველმა თქვენმა ყმამ აკოფამ თქვენ, ჩემს ბატონს, გოსტაშაბისშვილს ერასტის... ასე რომ... გაველარიბდი და ბატონის ხარჯს ვეღარ გაუძელ. მოველ და ასე მოგახსენე, რომ ჩემს ცოლ-შვილს წავასხამ ქიზიყს და იქ ვიცხოვრებო და იქიდამ გემსახურები თქვენო. როდესაც თქვენი ნება აღარ იქნება, ჩემი იქ ყოფნა, ისევ ავიყაროო... და თქვენთან მოვიდე. სანამდი იქ ვიყო, წ ე ლ ი წ ა დ ში ე რ თ ი თ უ მ ა ნ ი მ ო გ ა რ თ ო ნ ა ხ ე ვ ა რ ი ვ ე ჯ ი[89] და ნ ა ხ ე ვ ა რ ი ნ ა ღ დ ი[90].

ნაფარეულელი გლეხები შესჩიოდნენ რა ერეკლე მეორეს გადასახადის სიმძიმეზე, წერდნენ (1793 წ.): „ოთხი საპალნე ღვინო და რვა თუნგი არაყი (შემოგვაწერეს). ნახევარ კაცს ერთი ვაზი არ დაურგავს და კიდევ სამი ოქრო ნახევარი შემოუწერიათ“[91].

წილკნელის სამწყსოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხებს, საბუთის თანახმად, ფულიც და პურიც სდებიათ. „ანანურს ქვემოთ მემკვიდრეებს (!),—ვკითხულობთ 1797 წლის საბუთში, — აძესთ დრამა კომლზე, ერთი პინა პური და ერთი ლიტრა ქერი“[92]. ამას გარდა მათვე უნდა ეხადათ საწირავი ფული „ან ორი მინალთუნი, ან სამი, ან ოთხი“[93]. დავით ბატონიშვილის 1797 წლის 22 თებერვლის წერილში ასისთავისადმი ნათქვამია, რომ ყმას, ვინმე მოსიას სამი-ოთხი წლის განმავლობაში თავი აურიდებია ბატონის, დათუა გოსტაშაბიშვილის სამსახურისათვის, რაც, ბატონიშვილის აზრით, დაუშვებელი იყო და ამიტომ მტკიცე შითითება მისცა ადრესატს ორი თუმანი გამოართვი ურჩ გლეხს და დათუას მიეცით[94].

---

[88] ქ ს ძ, III, გვ. 1003, საბ. 440.

[89] ვ ე ჯ ი — ავეჯი, ხაბაკ - ხუბაკი.

[90] ს ს, ტომი I, გვ. 160—161, საბ. 172; შდრ. დსსი, I, გვ. 160, საბ. 225.

[91] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 3029.

[92] ს მ ა ხ ი, ფ. Qd, საბ. 1616.

[93] ი ქ ე ე.

[94] ს ს, ტომი I, გვ. 162—163, საბ. 177.

პროდუქტადი და ფულადი რენტის ერთდროული და პარალელური არსებობა დადასტურებულია დარეჯან დედოფლის მეურნეობაშიც. ჩვენს ხელთ არსებული საბუთი ამის შესახებ დათარიღებულია 1801 წლის აპრილით, მაგრამ გამოხატავს უფრო ადრეული ხანის, კერძოდ, XVIII საუკუნის მიწურულის ვითარებას. კახეთში, მის ორ სოფელში — გავაზსა და ჭიკაანში, 150 კომლი გლეხი სახლებულა. ისინი ბატონს ყოველწლიურად აძლევდნენ 600 კოდ პურს, 30 საპალნე ღვინოს, 12 ლიტრა აბრეშუმსა და 60 მ ა ნ ე თ (6 თ უ მ ა ნ ს) ფ უ ლ ს[95]. სოფ. კუჭატნის 50 კომლ გლეხს ევალებოდა 200 კოდი პურისა და 2 თუმნის ფულად გაღება[96]. სოფელ სანავარდოს გლეხთა (60 კომლი) ყოველწლიური გადასახადი იყო: 240 კოდი პური, 90 მანეთი (9 თუმანი) და 3 აბაზი ფული[97]. პროდუქტად რენტასთან ერთად ფულად რენტას იხდიდნენ აგრეთვე დარეჯან დედოფლის ყმები, მცხოვრებნი ველისციხესა[98] და ზემო ხიდაშენში[99], ქალაქ თბილისსა[100] და ქოლაგირში[101], ქოშაქლისსა[102] და ჰასანხოჯალში[103]. ზოგან ფულადი რენტის როლი დიდი იყო, ზოგან — ნაკლები, მაგრამ უმნიშვნელო არსად ყოფილა. მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა არა მარტო თბილისში მცხოვრებ ყმათა გადასახადებში, არამედ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ვალდებულებებშიც. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ ფულადი რენტის ხვედრითი წონა სოფელ სანავარდოს გლეხთა გადასახადების საერთო მოცულობაში 33,3%-ს უდრიდა[104]. სხვა სოფლებში

---

[95] ი ქ ვ ე, III, გვ. 295, საბ. 311.

[96] ი ქ ვ ე: „რადგან, — ნათქვამია საბუთში, — ახალ მონაშენი იყვნენ, არც კულუხი გამოგვირთმეია და არც აბრეშუმი“ (იქვე, გვ. 295).

[97] ი ქ ვ ე, გვ. 296. „ესენიც ახალ მოშენე ვენახების პატრონები იყვნენ და ამათთვის არც კულუხი გამოგვირთმეია და არც აბრეშუმი“ (იქვე).

[98] ი ქ ვ ე.

[99] ი ქ ვ ე, გვ. 296 —297.

[100] ი ქ ვ ე, გვ. 298.

[101] ი ქ ვ ე, გვ. 299.

[102] ი ქ ვ ე, გვ. 300.

[103] ი ქ ვ ე.

[104] სოფელ სანავარდოს 60 კომლი გლეხი დარეჯან დედოფალს 240 კოდ პურსა და 480 აბაზს (ანუ 9 თუმანსა და 3 აბაზს) უხდიდა. ფულზე გადატანით 240 კოდი პური მოგვცემს 960 აბაზს (კოდი პურის საბაზრო ფასი მაშინ იყო 4 აბაზი). სულ მაშასადამე, ხსენებული სოფლის გლეხების გადასახადების საერთო ჯამი ფულზე გაანგარიშებით 1440 აბაზი იქნება. აქედან: 33,3% (480 აბაზი:—1440 აბაზზე)—ფულადი რენტა, ხოლო 66,7% (960 აბაზი: 1440 აბაზზე) პროდუქტადი რენტა იქნება.

ფულადი რენტა ასე გავრცელებული არ იყო, მაგრამ მას ყველგან, დარეჯან დედოფლის ყველა სოფელში, ქართლსა თუ კახეთში, ანგარიშგასაწევი ადგილი ეკავა.

კიდევ უფრო დიდია ფულადი რენტის როლი მირიან ბატონიშვილის მეურნეობაში. ამ უკანასკნელში, როგორც ჩანს, პროდუქტად და შრომით რენტას იმდენად მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, რომ თითქმის არც იხსენიება. თითქმის მეთქი, ვამბობთ, იმიტომ, რომ საბუთში მხოლოდ ერთგანაა ღალაზე ლაპარაკი და ისიც მისი გადახდის ფორმაზე მიუთითებლად. მაგრამ რაკი ღალა ჩვეულებრივ ნატურალურ გადასახადს წარმოადგენდა, ჩვენც ის ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასეთად ჩავთვალეთ. ეს საბუთი, რომელიც მთლიანად მოგვაქვს, 1802 წელსაა შედგენილი, მაგრამ ცხადია, უფრო ადრინდელ ვითარებას, კერძოდ, XVIII საუკუნის ბოლო წლებს გვიხატავს (ამის შესახებ თვით ტექსტშიცაა ნათქვამი). საბუთი—სიგელი დაწერილია მირიან ბატონიშვილის დედის, დარეჯან დედოფლის ბრძანებით, ეხება მირიანის ყმებს — ყაფანაქჩელებს (კახეთშია). „რადგან თქვენ ჩემის შვილის მირიანის ყმანი ხართ, ჩემი შვილი მირიან ახლა რომ... რუსეთის ხელმწიფის კარზედ წავიდა, იმ ჟამად თავისი ყმა და მამული და აგრეთვე თქვენი ელი ჩვენ მოგვაბარა. თქვენ რომ ჩემის შვილის მირიანისავ ბრძანებით ქრონიკონს უპთ (1801 წ.), ენკენისთვის კ(20)—ამ თარიღის უწინ სამს წელიწადს ტალავერში მდგარხართ, იმ ალაგის ქირის საქმე თქვენთან გადაუწყვეტელი დარჩომილიყო; ჩემის შვილის მირიანის ოქმები ასე გიცხადებდათ, რომ მახტის გარდა სხვა არასფერი არა გეთხოვებათ რაო. ახლა ჩემს შვილს მირიანს წასვლის დროს მილახვარის იოსებ ყორღანოვისათვის ოქმი ებოძებინა თქვენზედ, ასე რომ რამდენსაც ხანს ტალავერში მდგომარიყვნეთ, იმ ალაგის ქირა წლისა და წლისა, რაც არღუთაშვილი გარიგებოდეს, თქვენც ისე უნდა მოსცეთ მილახვარსო. ახლა, რადგან იმ ალაგის საქმე ჩემს შვილს თავის ოქმებით[105] თქვენთვის არ გამოუცხადებია და გაურჩეველად იყო, ჩვენ ასე გავარიგეთ... წ ა რ ს უ ლ ი ს ს ა მ ი ს წ ლ ი ს ა ზ ე მ ო თ ა რ ი ღ ა მ დ ი ნ (ე. ი. 1797 წლიდან 1801 წლამდე—ი. ა.) წ ე ლ ი წ ა დ შ ი 22 თ უ მ ა ნ ი დ ა 8 მ ი ლ ა ნ თ უ ნ ი რ ო მ ი ქ ნ ე ბ ა, ს ა მ ი წ ლ ი ს ა 68 თ უ მ ა ნ ი დ ა 4 მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი. ა მ ი ს 45 თ უ მ ა ნ ი ზ ე მ ო თ ა რ ი ღ შ ი თ ქ ვ ე ნ

[105] საბუთში წერია „ოქმებში“ (ი. ა.).

მიგაცემინეთ მილახვრის იოსებისათვის თავის მამულის ალაგის ქირათ და დანარჩენი ჩვენი იქნება 23 თუმანი და 4 მინალთუნი. ეს თქვენის მახტიდამ მოგაცემინეთ. თქვენ რომ მახტა გაძევს წელიწადში 100 თუმანი, იმაში გიანგარიშეთ. იმ წარსულის სამის წლის ტალავერის ღალაც იქვენგაპატიებთ და ამ ზემო თარიღისაქეთ რა სდენსაც ხანს თქვენ ტალავერში იდგებით. იმ ალაგის ქირა წელიწადში 22 თუმანი და 8 მინალთუნი თქვენის ასის თუმნის მახტიდამ უნდა აძლიოთ მილახვარს იოსებს და ამის იქით რაც ტალავრის ღალა იქნება, ეამზე ყოველთვის ჩვენ დავაწერინებთ და სამართლიანათ ჩემის შვილის მირიანისათვის ავაღებინებთ. ესეცასეგაგვირჩევია: თქვენი წლის მახტა ასის თუმნიდან ტალავრის მამულის ქირა 22 თუმანი და 8 მინალთუნი რომ გამოვიდეთ, დარჩება თქვენი მახტის თეთრისა, რომ ჩემი შვილის მირიანისათვის აიღება, 77 თუმანი და 2 მინალთუნი"[106].

ამ საბუთის მიხედვით, XVIII ს. ბოლოს, ვიმეორებთ ისევ, მირიან ბატონიშვილის ყაფანაქჩელი ყმების გადასახადების აბსოლუტური უმეტესობა სწორედ ფულად გადასახადებს წარმოადგენდა. ხოლო, თუ ტექსტში მოხსენებული ღალაც, რომლის გადაუხდელობა გლეხებს აპატიეს, ფულადი სახით სრულდებოდა, მაშინ აქ განხილული მეურნეობა შეიძლება იმ მეურნეობათა რიცხვს მივაკუთვნოთ, რომლებშიც საგლეხო გადასახადების სრული კომუტაცია უკვე განხორციელებული იყო. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მაინც თავს ვიკავებთ ასე შორს მიმავალი დასკვნის გაკეთებისაგან (რადგან საბუთში ღალის გადახდის ფორმა არაა კონკრეტულად მითითებული) და დავკმაყოფილდებით ხსენებულ ეკონომიაში ფულადი რენტის წამყვანი როლის აღნიშვნით.

---

[106] ს ს, ტომი III, გვ. 287—288, საბ. 301.

* * *

ჩვენ დავასახელეთ ჩვენს განკარგულებაში მყოფი იმ მასალის მხოლოდ ნაწილი[107], რომელიც ადასტურებს პროდუქტადი და ფულადი რენტის ერთდროულ და პარალელურ არსებობას XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სინამდვილეში. ახლა კი განვიხილავთ საბუთებს, რომლებშიც გლეხთა საბატონო გადასახადები მხოლოდ ფულადი სახითაა წარმოდგენილი. მართალია, ასეთი შემთხვევა არაა ძალიან ბევრი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონისა და ხასიათის გარკვევა-დადგენისას.

ფულადი რენტა ძალიან გავრცელებული ჩანს განსახილველი ხანის ქსნის საერისთავოში. გ. აკოფაშვილმა გამოავლინა და სამეცნიერო ბრუნვაში შეიტანა ხსენებული საერისთავოს გლეხთა გადასახადების რამდენიმე ნუსხა, რომელთა მიხედვით სოფლის მშრომელი მოსახლეობა მხოლოდ ფულადი რენტის გადამხდელი ჩანს. აღნიშნული ნუსხები გ. აკოფაშვილის მიერ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედითაა დათარიღებული. ერთ-ერთ ასეთ ნუსხაში შეტანილია 20 გადამხდელის გვარი[107ა]. ყველა ისინი მარტო ფულადი გადასახადებით არიან დაბეგრილი. აქედან ზოგს შეწერილი აქვს მეტი, ზოგს — ნაკლები. საერთოდ გადასახადის სიდიდე ორსა და თხუთმეტ აბაზს შორის მერყეობს. 15 აბაზს იხდიდნენ, მაგალითად, გოგინაშვილი მამუკა, კიკოსშვილი მახარებელა და ნიაური გიორგი[108]. მათ შემდეგ მიდიოდნენ: გიგაური ბესო (11 აბაზი), ცუცუნა ბაშარული (10 აბაზი), იორამისშვილი გოგია, ნიაური ფოცხვერა (7 აბაზი)[109] და სხვ. დაბალი ნორმით, ე. ი. 2 აბაზით, დაბეგრილები იყვნენ ხუციშვილი პეტრე, გვრიტიშვილი იესე და ჩუტკარაშვილი ივანე[110].

კიდევ უფრო საინტერესოა ქსნის საერისთავოს მეორე ნუსხა[111], რომელშიც 127 გადამხდელია დასახელებული. აქედან, როგორც

---

[107] მსგავსი საბუთები იხ. ს მ ა ხ ი, Qd—7127, 7189, 7190, 7198; Ad—1300, 1300,Sd—1248; Hd—3111, 4798; სსცია, ფონდი 1448, საბ. 1453, 4897, 5647, 9207, 9202; ქსძ, 111, გვ. 1034—1035; ГКГ, გვ. 72; მსეი, III, გვ. 371—372.

[107ა] ს ე ა ხ ი, Qd საბ. 6971, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, საბატონო ფულადი გადასახადები, გვ. 94.

[108] ი ქ ვ ე.

[109] ი ქ ვ ე.

[110] ი ქ ვ ე.

[111] ი ქ ვ ე, საბ. 6998. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

ჩანს, 30 კომლი დავით ერისთავის ყმებია, ხოლო 97—გიორგი ერისთავისა. ეს ნუსხა იმითაცაა საყურადღებო, რომ აქ მერყეობა გადასახადების სიდიდეში ძალიან დიდია, რაც აღნიშნული რაიონის სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური უთანაბრობის მკაფიო მაჩვენებელი და დამადასტურებელია. ეს განსაკუთრებით დავით ერისთავის ყმების საგადასახადო ნუსხაში იგრძნობა. აქ ჩვენ 3 აბაზით დაბეგრილი გლეხების გვერდით ვხვდებით ისეთებსაც, რომელთაც შეწერილი აქვთ ერთი, ორი, სამი, თორმეტი, ცამეტი და ორმოცდაათი თუმანიც კი. თუმნის გადამხდელებს შორის იყვნენ: მერაყიანთ ზურაბა, ოყუაშვილი გოგია[112] და სხვა. ორი თუმანი ჰქონდა შეწერილი შიხინაშვილ შიხუას[113], სამი თუმანი — კორინთელ ოტიას[114], თორმეტი თუმანი — ვახვახიშვილ ავთანდილს[115], ცამეტი თუმანი — ფირდისაშვილს (?) ასატურასა და მიქელას[116]. 50 თუმნის გადამხდელად ნუსხაში მხოლოდ ერთი კაცია დასახელებული — ვინმე შიხინაშვილი[117]. ამ ბობოლა გადამხდელების გვერდით, საბუთში, როგორც უკვე ვთქვით, შედარებით მსუბუქად დაბეგრილებიც არიან: მეარაყისშვილი ავთანდილის ობოლი (3 აბაზი), კარვას (?) ობოლი (3 აბაზი), ქოჩორის ობოლი (3 აბაზი), ელჩუაშვილი ავთანდილა (5 აბაზი), ვინმე მებაღე (5 აბაზი)[118] და სხვა.

არც გიორგი ერისთავის ყმები იყვნენ ერთნაირად დაბეგრილი, თუმცა მათ შორის არ იგრძნობოდა ისეთი განსხვავება, როგორც დავით ერისთავის ხელქვეითებში. აქ ყველაზე მეტი თანხის გამომღები პავლეშვილი ელი და შატაკოშვილი აბრამი იყვნენ. თითოეულ მათგანს, საბუთის თანახმად, შეწერილი ჰქონდა თითო თუმანი[119]. ყველაზე შეღავათიანად დაბეგრილებს განეკუთვნებოდნენ — დათვიაშვილი დათუნა (2 აბაზი), ნიპტაური ელო (3 აბაზი), ობგაძე გრიგოლ (3 აბაზი), კობაური დათუნა (3 აბაზი), ოსიაშვილი გიორგი (3 აბაზი), დათვიშვილი ბერუკა (3 აბაზი), ცო-

---

112 ი ქ ვ ე.

113 ი ქ ვ ე. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, საბატონო ფეოდალი გადასახადები.

114 ი ქ ვ ე.

115 ი ქ ვ ე.

116 ი ქ ვ ე.

117 ი ქ ვ ე. საფიქრებელია, რომ იგი ისე, როგორც ერთი, ორი, სამი, თორმეტი და ცამეტი თუმნის გადამხდელები ვაჭრები იყვნენ.

118 ი ქ ვ ე.

119 ი ქ ვ ე.

ცოშვილი (4 აბაზი), ვინმე ჯოჯალი (4 აბაზი), შუღლიაშვილი სეხნია (5 აბაზი), ონიქაშვილი გიგილა (6 აბაზი), ხოვრიშვილი ბასილა (6 აბაზი), ნავროზაშვილი (7 აბაზი), ქაწოშვილი გამიხარდი (7 აბაზი)[120] და ა. შ.

XVIII საუკუნეს განეკუთვნება აგრეთვე ქსნის საერისთავოს გლეხთა გადასახადების მესამე ნუსხა[121]. იქ სულ 11 გვარია დასახელებული. აქედან 10 ფულით უსწორდება თავის ბატონს, ხოლო ერთი, ვინმე შუღლაშვილი — ნატურით; მას ბატონისათვის ძროხის ვირთმევა ჰქონდა დაკისრებული[122]. გადასახადის მხოლოდ ფულადი სახეობაა დადასტურებული აგრეთვე იმავე რაიონის მეოთხე [123], მეხუთე[124], მეექვსე [125] და მეშვიდე[126] ნუსხებში, რომლებშიც გადამხდელთა რაოდენობად შესაბამისად 9, 10, 34 და 38 კომლია ნაჩვენები.

ქსნის საერისთავო, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მარტო ფულადი გადასახადების გადახდის არაერთი შემთხვევაა დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც. ჩვენს ხელთაა, მაგალითად, XVIII საუკუნის[127] ერთი საგადასახადო ნუსხა[128], რომელიც ეხება კახეთის სოფლებს, მათ შორის პატარძეულსა და ბერთუბანს. ნუსხაში შეტანილია 73 გადამხდელის გვარი. 73-ვე კომლი დაბეგრილია მხოლოდ ფულადი გადასახადით, ზოგი მეტი, ზოგი ნაკლები რაოდენობით. ყველაზე მაღალი ნორმით — ერთი თუმნით—დაბეგრილი ჩანან: კორბოლაშვილი რამაზა, ეთიბერაშვილი გიორგი, ეთიბერაშვილი პეტრე, გელაშვილი ფოცხვერა, გაფრინდაშვილი რამაზა, მკერვალი გიორგი და სხვ[129]. ამათ გვერდით ნუსხაში დასახელებულია ისეთი კომლებიც, რომლებიც ყოველწლიურად აბაზიდან სამ აბაზამდე გადასახადს უხდიდნენ თავი-

---

[120] ი ქ ვ ე.

[121] ქსნის საერისთავოს საგადასახადო ნუსხების ნომერაცია ჩვენ მიერაა პირობით გაკეთებული.

[122] ს მ ა ხ ი, Qd, საბ. 7001. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, საბატონო ფულადი გადასახადები, 94.

[123] ი ქ ვ ე, საბ. 7002, გ. აკოფაშვილი, იქვე.

[124] ი ქ ვ ე, საბ. 7004, გ. აკოფაშვილი, იქვე.

[125] ი ქ ვ ე, საბ. 7182, გ. აკოფაშვილი, იქვე.

[126] ი ქ ვ ე, საბ. 7183, გ. აკოფაშვილი, იქვე.

[127] ნუსხა უთარიღოა, მაგრამ ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდის კატალოგის შემდგენელი მას, სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, XVIII საუკუნეს მიაკუთვნებს.

[128] ს მ ა ხ ი, Ad, საბ. 127.

[129] ი ქ ვ ე.

ანთ მფლობელებს[130]. ასეთების რიცხვს განეკუთვნებოდნენ: მარტიაშვილი, მზიაშვილი, ჭოკუიაშვილი, ზურაბასშვილი, გუთნიაშვილი, მთვარაშვილი და სხვები.

მსგავს ვითარებას წარმოგვიდგენს 1786 წლის, საბუთში დაუსახელებელი ეკლესიის, საგადასახადო ნუსხა, რომელიც გვარების მიხედვით, საფიქრებელია, ტერიტორიულად აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა. ნუსხაში სულ 23 კომლია შეტანილი. ყველა უკლებლივ ფულადი გადასახადითაა დაბეგრილი[131]. იგივე ითქმის ბეგლარ ორბელიანის ყმების გადასახადებზე (XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნა). მან ხელქვეით გლეხებს ფულადი გადასახადები დააკისრა[132]. ნუსხაში შესული 12 კომლიდან 10 ფულად რენტაზე იყო გადაყვანილი, ხოლო ორი წინანდებურად პროდუქტად რენტას იხდიდა[133].

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა გლეხთა საბატონო გადასახადების კომუტაციის ადრე დაწყებული და ჩვენ მიერ ზემოთ „დასტურლამალისა" და ზოგი სხვა წყაროს მონაცემებით დადასტურებული პროცესი. ეს ითქმის ისეთი ტრადიციული ნატურალური გადასახადების შესახებაც კი, როგორიცაა, მაგალითად, ღალა და კულუხი. ჩვენს ხელთაა მანუჩარ თუმანიშვილის (?) ხიზნების გამოსაღების ნუსხა, დათარიღებული საბუთის გამომცემლის, ნ. ბერძენიშვილის, მიერ XVIII ს. მეორე ნახევრით. აქ უკვე გლეხთა ყველა გადასახადი (მათ შორის, ვფიქრობთ, კულუხიც, რადგანაც გადამხდელების ნაწილი კახეთის სოფლებიდან არის) ფულად ეკვივალენტზეა გადაყვანილი. მაგალითად, კისისხევის ხიზნებს 9 მინალთუნი გადაუხდიათ[134], ჟინვალელ ხიზნებს 1 თუმანი[135], დუშეთელ ხიზნებს — 6 თუმანი და 4 მინალთუნი[136] და ა. შ. საბუთში გადასახადის ნატურით გადახდის არც ერთი შემთხვევა არ არის დასახელებული.

იმავე დროის, ე. ი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, მეორე საბუთში, რომელიც შეიცავს ცნობებს გორჯასპი თუმანიშვილის ზე-

---

130 ი ქ ვ ე.
131 ი ქ ვ ე, საბ. 907.
132 ი ქ ვ ე, Hd, საბ. 13862.
133 ი ქ ვ ე.
134 მ ს ე ი, III, გვ. 311.
135 იქვე.
136 იქვე.

ᲛᲝ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲦᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ (ᲔᲒ. ᲘᲒ. ᲦᲐᲚᲘᲡ) ᲞᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲤᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ. ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲡᲣᲚ 30 ᲮᲘᲖᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ Უ Ⲕ Ⲗ Ⲉ Ⲑ Ⲗ Ⲓ Ⲃ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲔᲙᲕᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲣᲦᲘᲐ[137]. 1787 ᲬᲚᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲜᲣᲡᲮᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲚᲔᲮᲗᲛᲐ, ᲕᲘᲜᲛᲔ ᲜᲘᲜᲘᲐᲛ, ᲡᲐᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝ ᲞᲣᲠᲘᲗ ᲒᲐᲘᲡᲢᲣᲛᲠᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲙᲣᲚᲣᲮᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲤᲣᲚᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲡ[138]. ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲔᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲜ (1780 Ⲑ.) ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ: „С тех, которые должны были давать...скромную пищу, в з ы с к а т ь д е н г а м и.[139]“ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ 1799 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲘᲒᲔᲚᲨᲘ. „ᲩᲕᲔᲜ, — ᲕᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ ᲘᲥ, — ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲛᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲛ ᲓᲐ ᲑᲘᲫᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲧᲛᲘᲡ ᲧᲣᲚᲐᲠᲔᲚᲗ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲕᲐᲠᲘᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲩᲘᲔᲗ: ᲧᲐᲤᲘ-ᲐᲮᲩᲐ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲒᲐᲜᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲘᲡ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ(Თ) ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲓᲐ... Ყ ᲐᲤᲘ-ᲐᲮᲩᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ“ ᲓᲐᲕᲐᲬᲔᲡᲔᲗᲝ[140].

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲐᲓᲘ ᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲣᲚᲐᲓᲘᲗ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘ ᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲣᲠᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ-ᲣᲬᲧᲘᲡᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ, ᲓᲐᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1803 ᲬᲚᲘᲗ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲛᲐᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲘᲡᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 1804 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲡ ᲒᲐᲜᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, 1801 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲪᲐᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑ-

---

[137] ᲘᲥᲕᲔ, ᲒᲕ. 157—168.

[138] ᲡᲡᲪᲘᲐ, ᲤᲝᲜᲓᲘ, 1448, ᲡᲐᲑ. 1603.

[139] ᲒᲙᲒ, ᲒᲕ. 35.

[140] Ⲥ Ⲙ Ⲁ Ⲑ Ⲓ, Qd, ᲡᲐᲑ. 692. (Ⲓ. Ⲁ Ⲕ Ⲟ Ⲫ Ⲁ Ⲩ Ⲓ Ⲗ Ⲓ, ᲒᲕ. 99).

ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲝᲒᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲖᲛᲝᲗ, ᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲡ, ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲥ ᲛᲐᲗᲖᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲩᲔᲠᲓᲔᲑᲘᲗ.

დნენ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. მართალია, შემოსავლის გადიდებული სახით ჩვენებით დაინტერესებული ბატონიშვილების მიერ წარდგენილი უწყისები სრულ ნდობას ვერ იმსახურებენ, მაგრამ ამას ჩვენი კვლევისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან გადიდება, თუკი მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ერთნაირად შეეხებოდა როგორც პროდუქტად, ისე ფულად შემოსავალს. მოგვაქვს ჩვენ მიერ დაჯამებული და ცხრილის სახით გაკეთებული ეს მონაცემები[141].

ცხრილი 3

№№ რიგ.	სამეფო გვარეულობის წევრთა დასახელება	შემოსავალი ფულად (ძანეთობით)	შემოს. ნატურ. (მანეთობით)	ორივე სახის შემოსავალი (მანეთობით)	ფულადი შემოსავ. ხვედრ. წონა (%%-ობით)	ნატურალური შემოსავლის ხვედრ. წონა (%%-ობით)
1	დედოფალი დარია[142]	4014	3145	7159	56,0	44,0
2	დედოფალი მარიამ გიორგის ასული[143]	7540	8967	16507	45,7	54,3
3	ბატონიშვილი დავით გიორგის ძე[144]	7100	6482	13582	52,5	47,5
4	ბატონიშვილი ვახტანგ ირაკლის ძე[145]	2583	2669	5252	49,2	50,8
5	ბატონიშვილი იოანე გიორგის ძე[146]	350	1221	1571	22,3	77,7
6	ბატონიშვილი მირიან ირაკლის ძე[147]	12370[148]	5572	17942	68,8	31,2
		33957	28056	62013	54,8	45,2

როგორც ვხედავთ, სამეფო საგვარეულოს წევრთა მამულებში ფულად შემოსავალს ძალიან დიდი ადგილი სჭერია. საკმარისია ითქვას, რომ მისი ხვედრითი წონა 54,8% ყოფილა. იგი ყველაზე მეტი მირიან ბატონიშვილთან ჩანს — 68,8%. მას მისდევდნენ დარე-

141 ს ს ც ი ა, ფონდი 2, ანაწერი I, საქმე 28, ფურც. 173—174.

142 ი ქ ვ ე.

143 ი ქ ვ ე, შდრ. საქმე 36, ფურც. 136—137.

144 ი ქ ვ ე.

145 ი ქ ვ ე, ფურც. 175—178.

146 ი ქ ვ ე.

147 ი ქ ვ ე, საქმე 105, ფურც. 522—523.

148 ამ თანხიდან 12090 მანეთი, ანუ ყველა სახის ფულადი შემოსავლის 97,7% მარტო ფულად რენტაზე მოდიოდა.

ჯან დედოფლის (56,0%), ბატონიშვილ დავითის (52,5%), ბატონიშვილ ვახტანგის (49,2%), მარიამ გიორგის ასულისა (45,7%) და ბატონიშვილ იოანეს (22,3%) მამულები. ცხრილთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ფულადი შემოსავლის ქვეშ იგულისხმება არა მარტო ყმა-გლეხებისაგან მიღებული რენტა-გადასახადი, არამედ ყველა სახის ფულადი წყარო საერთოდ. მაგრამ საინტერესო და საყურადღებო ისაა, რომ ექვსივე მეურნეობის ფულად შემოსავალში წამყვანი ადგილი სწორედ სოფლის მშრომელი მოსახლეობისაგან აღებულ რენტას ეჭირა. მაგალითად, მირიან ბატონიშვილის მარეულში მთელი ფულადი შემოსავლის (12370 მანეთი) 97,7%-ს მარტო ფულადი რენტა (12 090 მანეთი) შეადგენდა[149]. ბატონიშვილ იოანეს მამულში კი უშუალოდ ფულადი სახით მიღებულ შემოსავალს (350 მანეთი) მთლიანად ფულადი ფეოდალური რენტა ფარავდა[150]. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის აბსოლუტურად დომინირებდა, 100%-ს უდრიდა. ფულადი რენტის ხვედრითი წონა ყველა ბატონიშვილის მეურნეობაში, ცხადია, ასე დიდი არ იყო, მაგრამ უმნიშვნელო იგი არც ერთ მათგანში არ ყოფილა[151]. ბატონიშვილების მეურნეობებში ფულადი რენტის შედარებით ასეთი დიდი ხვედრითი წონა იმითაცაა შეპირობებული, რომ ჩვენ ამ საკითხზე მსჯელობისას სრულიად გამოვრიცხეთ მონაცემები შრომითი რენტის შესახებ. და ეს გავაკეთეთ არა განგებ, არამედ იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ბატონიშვილების მამულების შესახებ მასალებში რენტის ამ ფორმაზე არაფერია ნათქვამი. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, მათ მეურნეობებში შრომითი რენტის არარ-

---

149 ს ს ც ი ა, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე 105, ფურც. 522—523.

ფულადი გადასახადის გადამხდელები იყვნენ: 400 კომლი ყაზახში მომთაბარე სომხები (კომლზე—20 მანეთი, სულ—8000 მანეთი), 70 კომლი სოფ. კამარის თათრები (კომლზე —20 მანეთი, სულ — 1400 მანეთი), 90 კომლი ქაფანახჩელი თათრები (კომლზე — 20 მანეთი, სულ — 1800 მანეთი), «выморочное имение Дралова» (50 მანეთი) და 24 კომლი თელავში მცხოვრები ყმები (კომლზე — 10 მანეთი, სულ — 240 მანეთი).

150 ს ს ც ი ა, ფ. 2, ანაწერი 1, საქმე 28, ფურც. 2.

151 უშუალოდ ფულადი სახით მიღებულ შემოსავალში ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზუსტად განსაზღვრა სამეფო საგვარეულოს სხვა წევრთა მეურნეობებში ვერ ხერხდება, რადგანაც ზოგ შემთხვევაში ფულადი და პროდუქტადი შემოსავალი ფულზეა გადატანილი და ორივე ჯამი ერთადაა ნაჩვენები.

სებობა კი არ იყო, არამედ რაღაც სხვა, დღემდე ჩვენთვის დაუდგენელი გარემოება. თუ გავითვალისწინებთ ამას, ცხადია, სამეფო საგვარეულოს წევრთა ეკონომიებში დაიწევს ფულადი რენტის ხვედრითი წონა, თუმცა უკანასკნელ ადგილზე მაინც არ აღმოჩნდება. ჩვენ ვერ ვიტყვით ზუსტად, თუ რამდენი პროცენტი მოდიოდა რენტის ამა თუ იმ ფორმაზე, მაგრამ მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, მაინც გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ განხილული ექვსი მეურნეობიდან ხუთში — დედოფალ დარიას, დედოფალ მარიამის, ბატონიშვილების დავითის, ვახტანგისა და იოანეს მეურნეობებში — წამყვანი და გაბატონებული იყო პროდუქტადი რენტა. მეორე ადგილი ფულად რენტას ეჭირა, ხოლო მესამე და უკანასკნელი — შრომით რენტას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ადგილზე მყოფი ფულადი რენტის ხვედრითი წონა ბევრად ნაკლები არ იყო პირველ ადგილზე გასულ პროდუქტადი რენტის ხვედრით წონაზე. რაც შეეხება ბატონიშვილ მირიანის მეურნეობას, იქ ფულადი რენტა დომინირებდა — 67,4%-ს უდრიდა[152].

ვფიქრობთ, დიდ შეცდომას არ დავუშვებთ, თუ ამ დასკვნას საერთოდ გავავრცელებთ აღმოსავლეთ საქართველოს კერძო მებატონეთა მეურნეობებზე. იქაც, ჩვენი დაკვირვებით, ფულადი რენტა თავისი ეკონომიური მნიშვნელობით მეორე ადგილზე უნდა ყოფილიყო. ეს, ცხადია, მეტი გაბედულებით ითქმის XVIII საუკუნის ბოლო ხანაზე, როდესაც შედარებით უფრო საგრძნობი გახდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა ფულადი რენტა, აქ, კერძო მფლობელთა მამულებში, ისე როგორც ზემოთ დასახელებულ ხუთ მეურნეობაში, მეორე ადგილზე ჩანს, მაგრამ მისი ხვედრითი წონა, ჩვენი აზრით, უკანასკნელში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პირველში.

---

[152] ეს პროცენტი მიღებულია შემდეგი გზით: 12090 მანეთი, რაც ფულადი რენტის სახით შედიოდა ბატონიშვილ მირიანის სახლში, გაყოფილია 17942 მანეთზე, ე. ი. მეურნობის მთელი შემოსავლის თანხაზე (ფულზე გადატანით). ამ უკანასკნელში, გარდა ფულადი რენტისა, შედის პროდუქტადი რენტა და, აგრეთვე, ბაეებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი, რომელიც რენტას არ განეკუთვნება.

3. საბატონო ფულადი რენტა-გადასახადების საკითხისათვის XIX საუკუნის დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოში

ფეოდალური რენტის უკანასკნელი და უმაღლესი ფორმის გავრცელება-განვითარება, როგორც მოსალოდნელი იყო, არც XIX ს. დამდეგს შენელებულა. აი, ამის დამადასტურებელი ზოგი მასალა.

1801 წლის 21 დეკემბრის წერილში „მეფის რძალი" სალომე მითითებას აძლევს იოსებ მიშკარბაშს: ბაიდარში რაც ჩემი ყმები არიან, „ყველას თავის შეძლებით... თეთრი უნდა გამოართო და გამომიგზავნო"[1]. 1804 წლის ერთი საბუთის თანახმად, მანუჩარ თუმანიშვილის ახალდაბელ ზოგ ყმას (მაგალითად, ვინმე ბაგრატას და ბამულაშვილს) კულუხის გადასახადი ფულადი სახით გაუსტუმრებია[2]. იმავე მანუჩარ თუმანიშვილის ყმები ფულადი ეკვივალენტით იხდიან რა მარტო კულუხს, არამედ ღალას, ურმის ბეგარას და სხვა. ხსენებული მებატონისადმი მამასახლისის მიერ მიწერილ წერილში (1807 წ.) ნათქვამია: „...ვიზედაც პური არის მოსაცემი, ისინი ფულს იძლევიან, კ ო ლ ზ ე ო თ ხ ა ბ ა ზ ს და რას ბრძანებთ — ნება თქვენია. გარეჯრულს ჩახრუკიზედ ჩვენი ღალა არის და ექვსი ურმისას ფ უ ლ ს ი ძ ლ ე ვ ა... და თუ ინებებთ ფ უ ლ ს გ ა მ ო ვ ა რ თ მ ე ვ და თუ გნებავთ პურს... ვარიანს ოქროპირიძეზედ ჩვენი ღალა არის... ი ს ი ც ფ უ ლ ს ი ძ ლ ე ვ ე ბ ა ო თ ხ-ო თ ხ ა ბ ა ზ ს და თუ ინებებთ, ფულს გამოვართმევ"[3]. იგივე მებატონე, იმავე 1807 წელს მითითებას აძლევდა მამასახლის ნინიას, რომ ყმებისგან ღალის აღებას ბეჯითად მოკიდებოდა, აუღებლობის შემთხვევა არ დაეშვა და კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე ან პური აეღო, ან მისი ფასი[4].

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის დამდეგს მიმდინარეობდა ურმის ბეგრის კომუტაციაც. გ. აკოფაშვილს დასახელებული აქვს ამის რამდენიმე მაგალითი. ერთი მათგანი წარმოადგენს 1813 წლის ნუსხას, რომელშიც 17 კომლია შეტანილი. ყველა ამათ ურმის ბეგარა ფულადი ეკვივალენტით აქვთ შეცვლილი. „ამ ნუსხით, — ნათქვამია საბუთის ბოლოს, — ჩვენს კაცთ ქალაქს ჩამოტანის პურის ჭირა შევაწერეთ, რომ ამ ნუსხის ჯამი არის ცხრა თუმანი, შვიდი

---

[1] საქართველოს სიძველენი, III, გვ. 88—89.

[2] გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ფულადი საბატონო გადასახადები, გვ. 102.

[3] ს ა ბ ა ხ ი, Sd, საბ. 3389, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ი ქ ვ ე, გვ. 10.

[4] ი ქ ვ ე, საბ. 3579. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 100.

მინალთუნი და ორი აბაზი"[5]. ურმის ბეგრის კომუტაციის ფაქტია დადასტურებული გ. აკოფაშვილის მიერ მიკვლეულ მეორე, 1816 წლით დათარიღებულ, ნუსხაში. აქაც მანუჩარ თუმანიშვილის ყმები (13 კომლი) ურმის გადასახადს ფულადი სახით იხდიან[6].

XIX საუკუნის დამდეგის სხვა ხასიათის საბუთებიც დამაჯერებლად ადასტურებენ პროდუქტადი რენტის ფულადი რენტით შეცვლის მასობრივ ხასიათს, რენტის უკანასკნელი ფორმის ინტენსიური განვითარების ფაქტს. 1811 წლის ერთ უწყისში, რომელიც, ცხადია, წინარე ხანის ვითარებასაც გამოხატავს, დაწვრილებითაა ლაპარაკი სახელმწიფო გლეხების პროდუქტად და ფულად გადასახადებზე. ამ უწყისის თანახმად, თბილისის გუბერნიის 15413 კომლი სახელმწიფო გლეხი იხდიდა 32826 კოდ პურს, 7821 კოდ ქერსა და 36983 მანეთს[7]. თუ პურსა და ქერს ფულზე გადავიყვანთ[8], მაშინ მათი ჯამი მოგვცემს 31517 მანეთს. სულ კი, მაშასადამე, თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა გადასახადების საერთო რაოდენობა ფულზე გადაყვანით 68500 მანეთს გაუთანაბრდება, რომლიდანაც მარტო ფულად სახეობაზე 54,8% მოვა.

ჩვენს ხელთ არის 1813 წლის თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების გადასახადების ნუსხა. ეს არის დიდი მოცულობის ფრიად საინტერესო უწყისი, რომელშიც მოცემულია ცნობები აღნიშნული კატეგორიის გლეხების რაოდენობის შესახებ სოფლების, მაზრებისა და გუბერნიის მასშტაბით, მათი საქმიანობისა და იმ გადასახადების შესახებ, რომლებსაც უხდიდნენ ხაზინას. ამ გადასახადებში ნაწილი წმინდა სახელმწიფო გამოსაღებია, ხოლო ნაწილი—მკაფიოდ გამოხატული ფეოდალური ვალდებულება, რომელსაც ასრულებს გლეხი არა როგორც სახელმწიფო ქვეშევრდომი, არამედ როგორც ხაზინაზე ფეოდალურად დამოკიდებული. პირველი ჯგუფის გადასახადებს განეკუთვნება კოდის პური და სურსათი, ხოლო მეორეს — ღალა, კულუხი, სააღდგომო, საშობაო, საჩუქარი და სხვ. ორივე ჯგუფის გადასახადები 1801 წლის შემდეგაც ისევე შედიოდა ხაზინაში, როგორც მანამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ფეოდალური გადასახადების კომუტაციის პროცესი. ისეთი გადასახადები,

---

[5] ი ქ ვ ე, საბ. 4355. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 97.

[6] ი ქ ვ ე, საბ. 4363, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

[7] ц г в и а м, ф. ВУА, д. 18495, л. 85.

[8] პურის იმდროინდელი ფასი იყო 80 კაპიკი, ხოლო ქერის — 50 კაპიკი.

როგორიცაა კულუხი, საალდგომო, საშობაო, საქვრივო. საჩექმე და სხვა. 1813 წლის უწყისით მთლიანად ფულადია, ხოლო კოდის პური, სურსათი და ზოგი სხვა პროდუქტადი სახისაა[9]. ასე, მაგალითად, საალდგომო და საშობაო გადასახადებს მხოლოდ ფულად იხდიდნენ ნავთლუღელი, კუკიელი, სოღანლუღელი, ხატისთელეთელი და თბილისის მაზრის სხვა სოფლის გლეხები. ხორხის, ჯანგლიანკარის, სათურთკარის, კუმის ციხის, გუდას, ზემომლეთის, ქვემომლეთის, ციხიათკარის, შარუმიანთკარის, ზაქართკარის, ბენიანთკარის, ბაზალეთისა და საერთოდ 1813 წლის უწყისში შეტანილი ანანურის მაზრის 105 სოფლის სახელმწიფო გლეხები ყველა გადასახადს (გარდა კოდის პურისა და ყალანისა) ფულადი სახით ისტუმრებდნენ. აი, ამის საილუსტრაციო მასალა: სოფ. ხორხის 30 კომლი სახაზინო გლეხი ვალდებული ყოფილა გადაეხადა 24 მანეთი დი, გარდა ამისა, საქვრივო 10 მანეთის რაოდენობით ან ერთი ხარი[10]. დუშეთში მცხოვრები 143 კომლი გლეხი, რომელთა შესახებ უწყისში ნათქვამია, რომ ისინი ვაჭრობითა და სამუშაო ძალის გაქირავებით ირჩენდნენ თავს, დაბეგრილი ყოფილა მარტო ფულადი გადასახადით 331 მანეთისა და 20 კაპიკის რაოდენობით[11]. 4 კომლ ტონჩელ გლეხზე განსახილველ უწყისში აღნიშნულია, რომ იხდიდნენ 4 მანეთს საალდგომოს, 2 მანეთს საბალახოს, 10 მანეთს საქვრივოს (ან ერთ ხარს), 80 კოდ ხორბალს და 39 კოდ ჭერს[12]. მსგავსი მდგომარეობა იყო ანანურის ბაზრის ყველა 105 სოფელში, რაც ზედმიწევნით ადასტურებს ფეოდალური გადასახადების (საალდგომო, საშობაო, საქვრივო და სხვ.) კომუტაციის შეუნელებელ პროცესს საქართველოს ამ რაიონში.

კომუტაცია ხდებოდა არა მარტო ზემოთ დასახელებული გადასახადებისა, არამედ ისეთი ტრადიციული ნატურალური გამოსაღებისაც, როგორიც იყო, ვთქვათ, კულუხი. ეს განსაკუთრებით ითქმის კახეთის სახელმწიფო გლეხთა შესახებ. ასე, მაგალითად, ზემოხდაშნელი 30 კომლი გლეხის შესახებ უწყისში წერია: „Вместо Кулухи за 10 сапалне вина платят деньгами 100 рублей"[13]. თიანეთელი გლეხების შეხახებ (120 კომლი) იმავე საბუთში ვკითხუ-

---

[9] ЦГВИАМ, ф. ВУА, 18480, *лл.* 41—77, 88—89.
[10] იქვე.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] იქვე.

ლობთ: „Вместо винной кулухи платят деньгами 326 рублей"[14]. იგივე ითქმის მაღრანის, ფშაველის, ენისელის, შილდას, ტურისციხის, ტოღნიანის, შალაურის, ქვემოხოდაშნის, კალაურის, სოშიანის, ურიათუბნისა და უწყისში შეტანილი თელავის მაზრის სხვა სოფლის სახელმწიფო გლეხთა შესახებ[15]. ყველა ისინი კულუხს ფულადი სახით იხდიდნენ. გამონაკლისს შეადგენდა ოთხად ოთხი სოფელი — გიორგიწმიდა, საგარეჯო, ბერთუბანი და პატარძეული[16], რომლებიც კულუხის გადასახადს ხაზინას პროდუქტადი ფორმით, ე. ი. ღვინით აძლევდნენ.

სულ თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხები 1813 წლის უწყისით პროდუქტადი და ფულადი სახით იხდიდნენ 66777 მანეთს, აქედან პირველზე მოდიოდა 28615 მანეთი[17], ან საერთო რაოდენობის 43%. ხოლო მეორეზე—38062 მანეთი ან 57%.

როგორც ვხედავთ, გლეხთა საერთო გადასახადების ნახევარზე მეტს ფულადი გამოსაღებები შეადგენდნენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კომუტაცია მთლიანად ან თითქმის მთლიანად შეეხო სწორედ ფეოდალურ და არა სახელმწიფო გადასახადებს[18], რომლებსაც სოფლის მშრომელი მოსახლეობა იხდიდა არა როგორც ხაზინისაგან ფეოდალურად დამოკიდებული წოდება, არამედ როგორც სახელმწიფოს ქვეშევრდომი. ასეთებს განეკუთვნებოდნენ კოდის პური, სურსათი და ყალანი, რომელთა კომუტაციას მთავრობა არ ჩქარობდა და დატოვა კიდეც ძველებური სახით გასული საუკუნის 40-იან წლებამდე.

---

[14] ЦГВИАМ, ф. ВУА, 18480, лл. 41—77, 88—89.

[15] ი ქ ვ ე.

[16] ი ქ ვ ე.

[17] ამაში შედის: 87 საპალნე ღვინის საფასური 2410 მან. (საპალნე—30 მანეთი), 60 თუნგი ღვინის საფასური — 30 მანეთი (თუნგი — 50 კაპ.), 23031 კოდი პურის საფასური— 23031 მანეთი (კოდი — 1 მანეთი), 5377 კოდი ქერის საფასური — 2673 მან. (კოდი — 50 კაპ.), 27 ხარის საფასური — 108 მან. (ხარი — 4 მან.) და 133 ცხერის საფასური — 133 მან. (ცხვარი — 1 მან.).

[18] ნუსხის თანახმად, ძირითადად, სახელმწიფო გადასახადებს (მაგალითად, კოდის პურს, სურსათს, ყალანს და ა. შ.) ხაზინა ნატურით იღებდა, თუმცა გამონაკლისის დაშვებით. ასეთი გამონაკლისი იყო დაშვებული, კერძოდ, თელავში მცხოვრები გლეხების მიმართ. მათ შესახებ განსახილველ ნუსხაში ნათქვამია: «Платят в год вместо пшеницы 200 код и 100 код ячменя деньгами по справочным ценам (ЦГВИАМ. ф. ВУА, д. 18480, лл. 41—77).

როდესაც ვლაპარაკობთ XIX საუკუნის დამდეგის თბილისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხების გადასახადებზე, მათ ფორმებზე, ვადგენთ მათ ხვედრით წონას, აუცილებელია (ისე როგორც სხვა შემთხვევაში გავაკეთეთ) გავითვალისწინოთ, რომ 1811 და 1813 წლების უწყისში არაა შეტანილი ცნობები არც შრომითი რენტის შესახებ, რომელსაც ისინი ასრულებდნენ სახაზინო მეურნეობებში, როგორც ხაზინისაგან ფეოდალურად დამოკიდებული წოდება და არც ნატურალური ბეგარის შესახებ (შარაგზების გაყვანა-შეკეთება, სატრანსპორტო საშუალებათა გამოყვანა და მრავალი სხვა), რაც დაკისრებული ჰქონდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას, როგორც იმპერიის ქვეშევრდომს და ართმევდა მას დიდ დროსა და ენერგიას. თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, მაშინ, ცხადია, ფულადი გადასახადების (მათ შორის ფულადი რენტის) ხვედრითი წონა საგრძნობლად შემცირდება, მაგრამ მეორე ადგილზე მაინც დარჩება[19].

4. საბატონო ფულადი რენტა-გადასახადების საკითხისათვის XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოზე მასალები, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა და ამიტომ მის შესახებ კიდევ უფრო ნაკლები სიზუსტით შეიძლება ლაპარაკი. საერთოდ, იქ განსახილველ ხანაში, სასაქონლო ფულადი ურთიერთობა შედარებით უფრო სუსტად ჩანს განვითარებული, ვიდრე ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. აკად. გიულდენშტედტის მოწმობით, XVIII საუკუნის 70-იანი წლების იმერეთს, გურიასა და სამეგრელოს საკუთარი, ე. ი. ადგილზე მოჭრი-

---

[19] ფულადი რენტა- გადასახადების მნიშვნელოვან როლს XIX საუკუნის დამდეგის აღმოსავლეთ საქართველოში მკაფიოდ ადასტურებს ალავერდის ეპარქიის შემოსავალ-გასავლის ნუსხა, დათარიღებული 1813 წლით. აღნიშნულ წელს ეპარქიას პროდუქტადი სახით მიეღია: 102 კოდი ქერი და ფქვილი, 44 ცხვარი და 24 ქათამი, ხოლო ფულადად—553 მან. და 83 კაპ. (მათ შორის: 40 მანეთი — სამღებროს იჯარა, 250 მან. — მეღანის თათრების მახთა, საალდგომო. საშობო და 103 მანეთი—დრამის ფული). სულ კი ფულზე გადატანით (102 კოდი ქერი და ფქვილი — მაქსიმუმი 100 მანეთი, 44 ცხვარი — 44 მანეთი და 24 ქათამი—4 მან. და 80 კაპ.) — 704 მან. და 60 კაპ., სადაც ფულადი შემოსავლის ხვედრითი წონა 78,6% უდრის (ს მ ა ხ ი, ფონდი H, საბ. 2397, ფურც. 1).

ლი, ფული არა ჰქონია[1]. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დასახელებული რაიონების მოსახლეობა ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის პირობებში ცხოვრობდა. იგი სარგებლობდა უპირატესად თურქული, სპარსული და ქართლ-კახეთში გავრცელებული მონეტებით[2]. გიულდენშტედტის ამ ცნობას მხარი დაუჭირეს ივ. ჯავახიშვილმა[3] და დ. კაპანაძემ[4], რომლებმაც სპეციალურად შეისწავლეს ეს საკითხი. მაგრამ უკანასკნელი, განსხვავებით პირველისგან, დასავლეთ საქართველოში არც ადგილობრივი ფულის ტრიალის ფაქტს გამორიცხავს მთლიანად. ამის საფუძველს მას აძლევს მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა[5].

რაკი იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში, როგორც ვნახეთ, სასაქონლო ფულადი ურთიერთობა არსებულა, ცხადია, იგი გავლე-

---

[1] „გაულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში", ტ. I, გვ. 283.

[2] იქვე.

[3] „დასავლეთ საქართველოს, როგორც ვიცით,—წერს ივ. ჯავახიშვილი,—საკუთარი ფული არ ჰქონია და აკად. გიულდენშტედტის სიტყვით 1772 წ. უმთავრესად ოსმალური ფული ყოფილა გავრცელებული, ტრიალებდა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს და სპარსული ფულიც, ყირიმსა და იშვიათად რუსულიც" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 30).

[4] „Подпав под господство турецких правителей,—წერს დ. კაპანაძე,—население Западной Грузии вынуждено было довольствоваться теми монетами, которые ей навязывались завоевателями" (Д. Г. К а п а н а д з е, Грузинская нумизматика, Москва, 1955, стр. 116).

[5] Описанные выше... монеты,—ვკითხულობთ დასახელებული მეცნიერის ნაშრომში,—с именем Георгия II имеретинского, найденные вместе с турецкими ахче, дают пример с о в м е с т н о г о о б р а щ е н и я в в о з н ы х т у р е ц к и х а х ч е и г р у з и н с к о й н а ц и о н а л ь н о й м о н е т ы. Но, кроме этих двух указанных типов, клады этого периода содержат еще одну обширную группу монет, н е с о м н е н н о м е с т н о г о п р о и с х о ж д е н и я, но изготовлявшихся по образцу турецких ахче... Их грузинское происхождение можно было подозревать и раньше, но данными, которые с полной достоверностью подтверждали бы это предположение... вплоть до последнего времени наука не располагала... Особенно показательным оказался клад монет, найденных в октябре 1945 г. в сел. Лихаури..., состав которого дает полное основание называть эти монеты западногрузинскими. Клад содержал около сотни турецких ахче XVII века и примерно тысячу еще более мелких подражаний им, чеканных самыми разнообразными штампами одинаково искажающими мусульманские надписи... Ясно, мастер изготовивший эти подражения, был местный житель—» (Д. Г. К а п а н а д з е, Грузинская нумизматика, М., 1955, стр. 116—117).

ნას მოახდენდა საგადასახადო სისტემაზე და ხელს შეუწყობდა საგლეხო გამოსაღებთა გარკვეული ნაწილის კომუტაციას. და, მართლაც, დასავლეთ საქართველოს სოფლის მშრომელი მოსახლეობა არა მარტო XVIII საუკუნეში, არამედ უფრო ადრეც, XVI—XVII საუკუნეებშიც, ფეოდალური თუ სახელმწიფო გადასახადების ერთ ნაწილს ფულადი სახით იხდიდა[6]. ფულადი რენტა აქაც, ისე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, რენტის სხვა ფორმებთან არის გადახლართული და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გვხვდება დამოუკიდებლად.

გადავდივართ კონკრეტული მასალის განხილვაზე.

1719 წელს იმერეთის ერთ-ერთი ეკლესიისადმი შეწირულ გლეხთა შორის იყო ებრაელი, რომელიც მხოლოდ ფულად რენტას იხდიდა 25 მარჩილის რაოდენობით[7]. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში მარჩილი ერთ მანეთს უდრიდა[8], ხოლო მანეთად და კიდევ უფრო ნაკლებად ცხვრის ყიდვა შეიძლებოდა, მაშინ ნათელი გახდება ებრაელი ყმა-გლეხისთვის შეწერილი გადასახადის სიდიდე.

1730 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ გელათის მონასტერს ყმა-შამულები შესწირა. შეწირულების საბუთიდან ჩანს, რომ ყმების უმრავლესობა პროდუქტად რენტას (ღომი, ღვინო, ქათამი, სანთელი და სხვ.) იხდიდა, მაგრამ ნაწილს რენტის ხსენებულ ფორმასთან ერთად ფულადი გადასახადიც ეკისრა. შეწირულების წიგნში შეტანილი 13 კომლიდან ასეთი იყო 5 კომლი, ან კომლთა საერთო რაოდენობის 38,4 პროცენტი[9]. 1760 წელს დავით წულუკიძემ

---

[6] ხოფელი ეპისკოპოსის საგადასახადო ნუსხაში (XVI ს. შუა წლები) შეტანილ 46 კომლი გლეხიდან, 45 კომლი ან საერთო რაოდენობის 97,8%, მარტო ფულით იყო დაბეგრილი და მხოლოდ ერთი ვინმე ანდრიათვალი, ვალდებული ყოფილა გადაეხადა „ასის ნაღდისა სანთელი“ (დსსს, 1, გვ. 13—14). იმავე საუკუნის ხონის საყდრის დავთარში დასახელებული 61 კომლი გლეხიდან მესამედს შრომით და პროდუქტად გადასახადებთან ერთად ფულადი გადასახადიც ჰქონია დაკისრებული (ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 136). XVII საუკუნის პირველი მეოთხედის აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების 400-ზე მეტი კომლიდან 126, ან კომლთა საერთო რაოდენობის 31%-ს, შრომითი და პროდუქტადი რენტის გარდა, ფულადი რენტის ტვირთიც სდებია (იხ. „აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი“, ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1914 წელი).

[7] Г Ц Г, გვ. 128.

[8] გ ი ო ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, I, გვ. 285.

[9] დ ს ს ს, I, გვ. 121—122.

სხვავის ნათლისმცემლის მონასტრისადმი შეწირულ გლეხს[10] დააკისრა 8 კასრი ღვინის, ხუთი ნაოთხალი პურის, ორი ყვერულისა და 60 კაპიკი ფულის გადახდა ყოველწლიურად[11]. 1761 წელს იგივე გაეკეთა აზნაურმა მერაბ ჯაფარიძემ. მან იმავე მონასტრისადმი ბოძებულ ერთადერთ გლეხს ორი კოდი პურის, ერთი ღორის, ორი კოკა ღვინის, ორი ქათმის, რკინისა და 20 კაპიკის გაღება დაავალა[12]. აქ, როგორც ვხედავთ, ფულის ხვედრითი წონა ერთობ მცირეა, მაგრამ ის მაინც არის. ბიქვინთის ეკლესიის გლეხთა 1763 წლის საგადასახადო ნუსხაში, რომლის სრული ტექსტი, სამწუხაროდ, არ გამოაქვეყნა მისმა აღმომჩენმა დ. ფურცელაძემ, ნათქვამია, რომ ნუსხაში შეტანილი ყველა გლეხი დაბეგრილი იყო ფულადი რენტით 20—60 თეთრის რაოდენობით[13]. საირმის უდაბნოს, კაცია დადიანის 1766 წლის განკარგულებით, უნდა მირთმეოდა ლეჩხუმში მოყვანილი პურ-ღვინის, ცერცვ-ღომისა და სიმინდის წლის მოსავლის „ათისთავი", 40 გორო ღვინო (ვაყვიშიდან), ხუთი ხარი და ძროხა, ცხენი, ათი შამახური სანთელი, სამი მარჩილის თაფლი, 30 ქილა მარალი, სამოცი ფარგა, ათი ძროხის ტყავი და 100 მარჩილი ფულად[14]. ესენი „ყოველ წელიწადს მიერთმევოდეს ამ უდაბნოს და კრებულს სამოსლად და საზრდოდ"[15]— ნათქვამია დასახელებულ საბუთში.

შერეული რენტის თანაარსებობაა დადასტურებული მაქსიმე კათალიკოსის 1778 წლის გელათის წმინდა გიორგისადმი შეწირულების წიგნში. მასში სულ 18 კომლი გლეხია შეტანილი, რომელთაგან 6 კომლი, ან კომლთა საერთო რაოდენობის 33,3%, პროდუქტად რენტასთან ერთად ფულადი რენტითაც იყო დაბეგრილი[16]. ასე, მაგალითად, სოფელ ოხომირას მცხოვრებ ვინმე ხუცია ვირსალაძეს კათალიკოსმა დაავალა ეკლესიის სასარგებლოდ ეხადა ყოველწლიურად შვიდი თორმეტიანი ღვინო, ერთი კოდი ღომი, შობის ძღვენი, ერთი ჩარექი ყველი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო და ორი აბაზი თეთრი[17].

---

[10] მან მხოლოდ ერთადერთი გლეხი შესწირა.
[11] Г Ц Г, გვ. 129—130.
[12] ი ქ ვ ე, გვ. 130.
[13] ი ქ ვ ე. გვ. 150.
[14] დ ს ს ს, 11, გვ. 32; შდრ. გვ. 35.
[15] ი ქ ვ ე.
[16] ქ ს ძ, III, გვ: 923—925.
[17] ქ ს ძ, III, გვ. 923—925.

სოფელ ნაბოსლევის კოზოლაძისეულ პარტახს შემწირველმა 8 თორმეტიანი ღვინისა და ერთი მარჩილი თეთრის გადახდა დააკისრა[18], ხოლო ჭუჭულა ფურცხვანიძეს—6 თორმეტიანი ღვინის, ერთი კოდი ღომის და ერთი მარჩილი თეთრისა[19]. იმერეთის მეფის ძის, ალექსანდრეს, განკარგულებით 1779 წ. საბუთში დაუსახელებელ მონასტერს ყოველწლიურად 100 მარჩილი უნდა მიეღო[20]. 1782 წელს „კახეთის მეფის (ე. ი. ერეკლე მეორის — ი. ა.) რძალმა" წულუკიძემ გოგენის მონასტერს ქუთაისში მცხოვრები ერთი ებრაელი უბოძა და მას მხოლოდ ფულადი გადასახადის გადახდა დაავალა 12 მარჩილის რაოდენობით წელიწადში[21]. ასევე მარტო ფულადი გადასახადის გადამხდელები ჩანან გელათის წმინდა ნიკოლოზის საყდრისადმი 1787 წელს მაქსიმე კათალიკოსის მიერ შეწირული ებრაელები. „მოვიყვანეთ ონიდამ, — ნათქვამია საბუთში, — და დაგისახლეთ ქუთათის ურია ისრაელაშვილი აბრამა, მისი შვილი დავითა, მისი ძმისწული მარდანა, მისი ძმა ისაკა, მისი ბიძაშვილი მოშა, მისი ძმა დავითა, ხანანია, სულიელა და კიდევ ჯანაშვილი იაკობ... ამათგან მოგრთმეოდეს ბეგარა წლითი წლად სანთლისა და საკმეველის ფარად ხუთი მარჩილი, მარჩილი ძველი და წინამძღუარსა ჩუენსა თხუთმეტი მარჩილი"[22].

ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ 1787 წლის ქრისტეს საფლავის გლეხთა საგადასახადო ნუსხაში სულ დაახლოებით 81 კომლია შეტანილი. აქედან ერთი კომლის გადასახდელი საბუთში საერთოდ არაა დასახელებული, 4 კომლს ლაშქრობა-ნადირობის მოვალეობა აქვს დაკისრებული, ხოლო დანარჩენებს — შრომითი, პროდუქტადი და ფულადი რენტის გადახდა[23]. ფულადი რენტის გადამხდელთა რაოდენობა (რენტის სხვა ფორმებთან ერთად) 29 კომლს ან კომლთა საერთო რაოდენობის 38,8%-ს უდრის[24]. 1789 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ გელათის მონასტერს 4 კომლი გლეხი შესწირა. მათ ეკლესიისათვის ყოველწლიურად 20 მარჩილი

---

[18] ი ქ ვ ე.
[19] ი ქ ვ ე.
[20] Г Ц Г, გვ. 84.
[21] ი ქ ვ ე, გვ. 128.
[22] დ ს ს ს, II, გვ. 87.
[23] ი ქ ვ ე, გვ. 92—93.
[24] ი ქ ვ ე.

(ე. ი. 20 მანეთი) და 1,5 ლიტრა სანთელი უნდა მიეცათ[25]. აქ, როგორც ვხედავთ, ფულადი რენტის ხვედრითი წონა ძალიან დიდია. იგივე ითქმის ზემოთ უკვე დასახელებული გულქან დედოფლის მიერ 1797 წელს ქუთაისის ღვთისმშობლის ხატისადმი შეწირული გლეხის, ვინმე ივანიძის, გადასახადების შესახებაც. მას, საბუთის თანახმად, ყოველწლიურად ხატის სასარგებლოდ „ერთი მარჩილი თეთრი ან მარჩილის სახორცე უნდა გაეღო[26]. სოლომონ II-ის ერთ, 1800 წლით დათარიღებულ და წმინდა გიორგის ეკლესიისადმი ბოძებულ, წიგნში ვკითხულობთ: „შემოგწირე და მიგიძღვანე ჩვენის გამოსაეალის საურისაგან ასი (100) მარჩილი თეთრი და სხვა შენის პატივისცემისათვის შენის ეკლესიის კაცს სადაც არ არის ყოველთავე ამოუკვეთე, ესეთ რომელ არცა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან აროდეს არ ეთხოვებოდს (არაფერი), თვინიერ ამა შეწირულისა და ესასი (100) მარჩილი ყოველ წელს შენის ეკლესიის კაცისაგან დეკანოზს მიებაროს და დეკანოზისაგან ეკლესიას მოხმარდეს“[27]. ამრიგად, სოლომონ II-ის გლეხებს, რომლებიც 100 მარჩილს იხდიდნენ მეფის სასარგებლოდ საურის ანგარიშში, ამიერიდან ეს თანხა ეკლესიისათვის უნდა ეძლიათ.

ჩვენს ხელთ არის XVIII საუკუნის ერთი თავ-ბოლონაკლული საბუთი. მასში ჩამოთვლილია სულ 144 გადამხდელი. სამწუხაროდ, საბუთის დაზიანების გამო არ ჩანს, თუ რა გადასახადთან გვაქვს საქმე და ვის სასარგებლოდაა იგი დაწესებული. მაგრამ ჩვენი ყურადღება იმან მიიქცია, რომ ყველა გადამხდელი დაბეგრილია მხოლოდ ფულადი გადასახადით (სმახი, ფონდი Hd, საბ. 1641).

საინტერესოა XIX საუკუნის დამდეგის საბუთები, რომლებიც XVIII საუკუნის ვითარებასაც გამოხატავენ. ასეთია, მაგალითად, საქუთათელო და საკათალიკოსო ყმათა საგადასახადო ნუსხა. აქ დაბეგრილი სოფლების რაოდენობა 124-ს უდრის. აქედან 65 სოფელი, ანუ 52,4%, რენტის სხვა ფორმებთან ერთად ფულადი რენტის გადამხდელი იყო[28]. 1802 წელს, რომელიღაც აბაშიძის ქვრივის მიერ შედგენილ საჩივრის წიგნში, დასახელებულია ის ფულადი თანხა, მის მაზლებს, სვიმონ და გიორგი აბაშიძეებს რომ აუკრეფიათ ხელ-

---

[25] Г Ц Г, გვ. 135.
[26] დსსს, II გვ. 112.
[27] ი ქ ვ ე, 119.
[28] „საისტორიო კრებული“, I, 1928, გვ. 69—94.

ქვეითი გლეხებიდან. მათ, საბუთის თანახმად, სოფელ ყელქცეულის მშრომელი მოსახლეობიდან 8 თუმანი აუღიათ, ღონღაძის ქვრივისთვის საქვრივოს ანგარიშში, 2 თუმანი გამოურთმევიათ, სამხარაძისა ღამბაშიძეების ქვრივებისათვის იმდენივე, ონიაშვილის ქვრივისათვის — 3 თუმანი, ბუზალაძის ქვრივისათვის — 15 მინალთუნი და ვინმე გოცირიძისათვის გასამყრელო — 8 მინალთუნი[29].

არანაკლებ საინტერესოა ჯრუჭის მონასტრის ყმათა 1809 წლის საგადასახადო ნუსხა. ნუსხაში სულ 105 კომლია დასახელებული. აქედან 56 კომლი, ან კომლთა საერთო რაოდენობის 54,3%, შრომით და პროდუქტად რენტა-გამოსაღებებთან ერთად, ფულად გადასახადსაც იხდიდა[30] საურის სახით[31].

ჩვენ დავასახელეთ მხოლოდ ნაწილი[32] ჩვენთვის ცნობილი იმ საბუთებისა, რომელშიც ფულადი საბატონო გადასახადების, კერძოდ ფულადი რენტის, არსებობის ფაქტია დადასტურებული XVIII ს. და XIX ს. დამდეგის დასავლეთ საქართველოში. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ჩვენ საგანგებოდ ისეთი დოკუმენტები განვიხილეთ, რომლებშიც ფულად რენტა-გადასახადებზეა ლაპარაკი და უყურადღებოდ დავტოვეთ მრავალი სიგელ-გუჯარი და წყალობის წიგნი, რომელშიც მარტო შრომითი და პროდუქტადი რენტაა აღწერილი. ასე მოვიქეცით იმიტომ, რომ ყველა მათი აღრიცხვა, შრომითი და პროდუქტადი რენტა-გადასახადების ღირებულებისა და ხვედრითი წონის განსაზღვრა, მისი ფულად სახეობასთან შედარება და ზუსტი დასკვნის გამოტანა საქართველოს, ამ შემთხვევაში კი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, ჯერჯერობით არამცთუ ძნელია, არამედ შეუძლებელიც. აქედან გამომდინარე იძულებული ვართ უპირატესად ზოგად შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკოთ. ზოგადი შთაბეჭდილება კი, რომელიც რჩება მკითხველს მოტანილი მასალიდან, ვერ უთავსდება ცალკეულ მკვლევართა შეხედულებებს ფულადი რენტის სრულიად უმნიშვნელო როლის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოში. ჩვენ არ ვიცით. თუ როგორი იყო მისი ხვედრითი წონა. მაგრამ, უეჭველია, ის გაცილე-

---

29 სმახი, ფონდი Hd, საბ. 3856; მსეი, III, გვ. 371—372.

30 „საისტორიო კრებული", I, გვ. 42—56.

31 მას თითო კომლი 2 მარჩილის რაოდენობით იხდიდა.

32 მსგავსი საბუთები იხ. აგრეთვე: ქსძ, III, გვ. 968, 970—971; ГЦГ, გვ. 85, 115—120; დსსს, II, 125—138 და სხვ.

ბ ი თ მეტი იყო, ვიდრე 4 პროცენტი, როგორც ფიქრობენ მ. დუმ-ბაძე[33] და ო. სოსელია[34].

5. დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

1. ფულადი რენტა (გადასახადები), რომელიც, რ ო გ ო რ ც წ ე ს ი, რენტის სხვა ფორმებთან იყო გადახლართული, საკმაოდ გავრცელებული ჩანს XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში და გაცილებით მეტ როლს თამაშობს ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, ვიდრე ეს დღემდე ეგონათ.

2. ფულადი რენტა (გადასახადები) უფრო გავრცელებული იყო აღმოსავლეთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. პირველ მათგანში მისი ეკონომიური მნიშვნელობა უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე მეორეში, თუმცა არც მეორეში ყოფილა იგი ძალიან მცირე მასშტაბის მქონე.

3. მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში (დროის ზოგიერთი მონაკვეთის გამოკლებით) მკაფიოდ შეიმჩნევა პროდუქტადი რენტის შეცვლის შეუნელებელი ტენდენცია, რაც ხშირ შემთხვევაში არა მარტო მებატონეთა, არამედ მწარმოებელი კლასის ინტერესებსაც ემთხვევა, მათ სურვილსაც გამოხატავს.

4. ფულადი რენტის (გადასახადების) განვითარების აღნიშნულმა ტენდენციამ თავის უმაღლეს წერტილს XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს მიაღწია. მან, ჩვენი დაკვირვებით, საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში მტკიცედ დაიკავა მეორე ადგილი. პირველი და მესამე ადგილები კი შესაბამისად პროდუქტად და შრომით რენტას ეჭირა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარების ტენდენცია ფულადი რენტის სასარგებლოდ იყო, რაც საბოლოო ჯამში საგრძნობლად ზრდიდა მის ხვედრით წონას.

5. სათანადო მასალების უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ ფულადი რენტა-გადასახადების ხვედრითი

---

[33] მ. დ უ მ ბ ა ძ ე ს, რომელიც სწორედ ამ პროცენტს ასახელებს, სამწუხაროდ, არ მოჰყავს სათანადო ფაქტობრივი მასალა და ამიტომ არ ჩანს, რაზეა მისი დასკვნა დამყარებული (იხ. მისი „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 93).

[34] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 139.

წონა, მაგრამ, ვ ფ ი ქ რ ო ბ თ, ის XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე 15—20 პროცენტზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ეს პროცენტი ბევრად უფრო გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფო გადასახადებს, რომელშიც, როგორც ცნობილია[35], ფულადი სახეობა დომინირებდა.

---

[35] ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 153.

თავი VI

გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია. კლასობრივი დიფერენციაციის საწყისები (XVIII ს. მეორე ნახევარი, XIX ს. დამდეგი)

გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია, რომელსაც ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით საგრძნობი გვიან საშუალო საუკუნეებში გახდა. მრავალი დოკუმენტური თუ სხვა ხასიათის მასალა დაბეჯითებით ლაპარაკობს სხვადასხვა ეკონომიური მდგომარეობისა და შეძლების მქონე გლეხთა ჯგუფების არსებობაზე განსახილველი ხანის საქართველოში. XVII საუკუნის ერთ ძეგლში, რომელსაც „საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარი“ ჰქვია სახელად, სწორედ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს ჯგუფებია ჩამოთვლილი. პირველში მოქცეული არიან „მთელი საკომლოს“ მფლობელნი[1], მეორეში — „ნახევარი საკომლოს“[2] და მესამეში — „ამათგან უმცროსის“[3]. იმავე წყაროს თანახმად, ზოგ სოფელში აღნიშნულ ჯგუფებს რამდენადმე სხვაგვარი სახელწოდება ჰქონიათ — „კაი გლეხი“[4], „შვაოანა გლეხი“[5], და „ამათგან უმცროსი გლეხი“[3]. ან კიდევ: „კაი კომლი“[7], „ამისგან დაბალი“ კომლი[8] და „ამათაგან უმცროსი“ კომლი[9].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 58, 59, 60, 61.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 62; შდრ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მუხ. 103.

[5] ი ქ ვ ე, შდრ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მუხ. 103.

[6] ი ქ ვ ე.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 63.

[8] ი ქ ვ ე.

[9] ი ქ ვ ე.

როგორც ვხედავთ, გლეხები ერთიმეორისაგან განსხვავდებოდნენ მიწის მფლობელობის მასშტაბით: ზოგს ჰქონდა სრული საკომლო, ზოგს — ნახევარი, ზოგს —ნახევარზე ნაკლები. ამის მიხედვით ზოგი იმსახურებდა „კაი კომლის" სახელს, ზოგი — ამაზე დაბალისას და ზოგიც — ამათზე უმცროსისას. მათი გადასახადებიც განსხვავებული იყო. ყველაზე მეტად პირველი ჯგუფის ყმები იყვნენ დაბეგრილნი, ყველაზე ნაკლებად კი — მესამე ჯგუფის[10].

სრული, ნახევარი და მეოთხედი საკომლოს მფლობელი გლეხების გვერდით, მათთან ერთად და იმათ პარალელურად წყაროები ასახელებენ საერთოდ უმამულო, არაფრის მქონე ყმებს. ვინმე რამაზა ნალეკარი, რომელიც ეკონომიურმა გაჭირვებამ აიძულა ხახულის ეკლესიას ყმად მისულოდა, ნიკოლოზ მოძღვრისადმი მირთმეულ თხოვნაში წერდა (1774 წ.): „უბინაო და უმამულო ვიყავ... თქვენ მამული გვიბოძეთ შოშიაშვილის ნაქონი"[11]. იმერელი ბეჟან სუღლაძეც, 1788 წელს თავის „ნებით" რომ ეყმო ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიას, „უმამულო და უსახლკაროს" უწოდებს თავის თავს[12]. „შეუძლებელი, ღარიბი, უმამულო კაცი"[13] იყო აგრეთვე ვინმე ოთარ ებიტაშვილი, მოხსენებული ბატონიშვილ გიორგის 1793 წლის ოქმში. „ტირძნისს რომ დგას ჯავახი გოგია ფეიქარი, ამას არც მამული აქვს, არც ადგილი"[14] — ნათქვამია ერეკლე II-ის 1796 წლის ერთ ბრძანებაში. უკიდურესად ღარიბი, უმამულო, არაფრის მქონე გლეხების არსებობაა დადასტურებული XVIII საუკუნის ბევრ სხვა საბუთშიც[15]. განსაკუთრებით უხვად არიან ისინი დასახელებული 1804 წლის თელავისა და კახეთის მაზრების კამერა-

---

[10] დაწვრილებით გლეხთა ამ ჯგუფების შესახებ იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბ., 1930, გვ. 52—55; გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, გლეხების ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, „მაცნე", 1963, № 5, გვ. 125—127; დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII—XVIII სს. ქართლის მასალების მიხედვით, „მაცნე", 1965, № 5.

[11] ს ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ.

[12] ი ქ ვ ე, საბ. 2602.

[13] ი ქ ვ ე, ფონდი 1448, საბ. 4298.

[14] ი ქ ვ ე, ფონდი 1450, დავთ. 14, საბ. 115.

[15] ს მ ა ხ ი, ფონდი Qd, საბ. 2171, 7031, 8571, 8941, 9037 კდ.; სსცია, ფონდი 1450, დავთ. 28, საბ. 227; სს. I, საბ. 191, გვ. 184.

ლური აღწერის მასალებში[15ა], რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVIII საუკუნის მიწურულის ვითარებასაც გამოხატავენ.

ღარიბ-ღატაკი ხალხის გვერდით დოკუმენტები ადასტურებენ არა მარტო სრული საკომლო ნაკვეთის მქონე გლეხების არსებობას, რამედ ლაპარაკობენ ეკონომიურად აღზევებული, საწარმოო საშუალებებით ჭარბად უზრუნველყოფილი, დიდი მატერიალური შესაძლებლობით გამორჩეული ბირთვის ფორმირებაზე ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს სოფელში. ის გამოირჩეოდა მიწებისა და პირუტყვის რაოდენობით, სამეურნეო ოპერაციების მასშტაბით და ხასიათით, მიზნებითა და ამოცანებით. სამწუხაროდ, მასალები ყოველთვის ვერაა სრული და ამიტომ ჩვენი მსჯელობაც ზოგ შემთხვევაში არაპირდაპირ მონაცემებზეა დაფუძნებული. ეს, რა თქმა უნდა, არ არის საუკეთესო გზა, მაგრამ უკეთესის უქონლობა განაპირობებს მისი გამოყენების აუცილებლობას.

მდიდარი გლეხი ჩანს წოდორელი მღვდელი შიო მარკოზაშვილი. იგი, საბუთების თანახმად, 1710 წლიდან მოყოლებული 1712, 1717, 1718, 1719, 1720, 1724, 1727, 1728, 1732, 1734 და 1737 წლებში სისტემატურად ყიდულობდა მიწებს[15ბ], სამწუხაროდ, ნასყიდობის სიგელებში, როგორც წესი, გაყიდულ-შესყიდული ნაკვეთების ზომა არაა ნაჩვენები, მაგრამ ზოგჯერ მაინც აღნიშნულია, რაც დასმულ საკითხზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს. მაგ., 1727 წელს, მარკოზაშვილს ნასყიდობის ორი ოპერაცია ჩაუტარებია, ერთით ნახევარი დღიური[16], ხოლო მეორეთი — ორი დღიური[17] მიწა შეუძენია. 1732 წელს მას ლისელ ბერუა ჭილასშვილისაგან ერთი დღის მიწა უყიდია[18]. ამ მონაცემებით შესყიდული ნაკვეთები მცირე მასშტაბისა ჩანან. მაგრამ ამ ფაქტს მაინც ჰქონდა განსაკუთრე-

---

15ა სსცია, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 52, ფურც 17 უკ. გვ., 18, 26, 35 უკ. გვ., 37 უკ. გვ., 39 უკ. გვ., 41, 45, 46 უკ. გვ., 47, უკ. გვ., 49, 50, 51, 52 და სხვ. საქმე 75, ფურც. 47, უკ. გვ., 51, 77, 85, უკ. გვ., 87 უკ. გვ., 99 უკ. გვ., 116, 136, 137, 143, 144, უკ. გვ., 152, 152 უკ. გვ., 153, 153 უკ. გვ., 154 უკ. გვ., 155 და სხვ.

15ბ სსცია, ფონდი 1448, საბ. 8769 (1710 წ.), სმახი, Qd, საბ. 9037 რივ (1712 წ.), Sd, საბ. 102 (1717 წ.), საბ. 93 (1718 წ.), საბ. 104 (1720 წ.), საბ. 115 (1724 წ.), საბ. 118 (1724 წ.), საბ. 120 (1727 წ.), საბ. 125 (1727 წ.), საბ. 121 (1728 წ.), საბ. 253 (1732 წ.), საბ. 251 (1734 წ.), საბ. 247 (1737 წ.).

16 ს მ ა ხ ი, ფონდი Sd, საბ. 120.

17 ი ქ ვ ე, საბ. 125.

18 ი ქ ვ ე, საბ. 245.

ბული მნიშვნელობა იმიტომ, რომ გლეხი ამ გზით, ე. ი. მცირე ზომის ნაკვეთების შეძენით, თავს აღწევდა ძირითადი საწარმოო საშუალებით — მიწით მომარაგება-უზრუნველყოფის ფეოდალურ-ბატონყმურ ფორმებსა და მეთოდებს. ამას გარდა, პატარა ზომის ნაკვეთების შეძენით, შემძენი ხშირ შემთხვევაში თავის მამულების დამრგვალება-გაფართოებას ისახავდა მიზნად. ჩანს, ეს მიზანი არც შიო მღვდლისთვის იყო უცხო. ნასყიდობის სიგელში, რომელიც ვარამ ძულიაშვილმა მისცა მას 1717 წელს, ნათქვამია: „შენ შიოს მღვდელს... მოგყიდე შენის ვენახის იქით თავში ბილიკის იქითა მიწა“[19]. 1727 წლის საბუთში კი ვკითხულობთ: „ჩვენ ანანიაშვილმა დათუნამა, შვილმა ჩემმა ივანემა, შენ შიოს მღვდელსა და შვილსა შენსა ოსესა და გიორგისა... მოგყიდეთ(თ) ჩვენი სამკვიდრო მამული შენს ვენახთან ნახევარი დღის მიწა“[20].

არ ვიცით, როგორ იყენებდა ამ მიწებს მისი პატრონი, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მას ფართო მასშტაბის მეურნეობა ჰქონდა და საბაზრო პროდუქციას ამზადებდა. არც ისაა გამორიცხული, რომ შიო მარკოზაშვილი იჯარით გასცემდა ხოლმე მიწების ნაწილს და ამ გზით აძლიერებდა თავის ეკონომიურ შესაძლებლობას.

მდიდარ გლეხთა ჯგუფს განეკუთვნებოდნენ ძმები შერმაზან და იოთამ ხაშარაძეები. ისინი ჯერ თვითონ, ხოლო უფრო მოგვიანებით ძმისწულებთან ერთად, ინტენსიურად ეწეოდნენ მიწების შესყიდვას. მათ, როგორც ჩანს[21], ეს საქმიანობა ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს დაუწყიათ და მომდევნო საუკუნეშიც გაუგრძელებიათ. იოთამისა და მისი ძმისწულების მიერ მიწების შეძენას, საბუთების თანახმად, ადგილი ჰქონია 1710, 1713, 1717, 1724, 1727 წლებში[22] და XVIII საუკუნის ზოგ სხვა, წყაროში კონკრეტულად დაუსახელებელ, წლებში[23]. აქაც, ყველა შემთხვევაში, საქმე გვაქვს წვრილ-წვრილი ნაკვეთების შესყიდვასთან. ხაშარაძეებისათვის მიცემულ ნასყიდობის სიგელებში დადასტურებული არაა ორ დღიურზე მეტი მიწის ფართობის გაყიდვა-შესყიდვის ფაქტი. და მაინც საერთო ჯამი

---

[19] სმახი, ფონდი Sd, საბ. 102.

[20] იქვე, საბ. 120.

[21] გ. აკოფაშვილი, გლეხების ეკონომიური მდგომარეობა XVIII ს. მეორე ნახევრის აღმ. საქართველოში. „მაცნე“. 1963, № 5, გვ. 128.

[22] სსცია, ფონდი 1448, საბ. 8777 (1710 წ.), საბ. 8764 (1713 წ.), საბ. 8778 (1717 წ.), საბ. 8781 (1717 წ.), საბ. 8773 (1724 წ.), საბ. 8768 (1727 წ.); ფონდი 1449, საბ. 997 (1717 წ.).

[23] იქვე, ფონდი 1448, საბ. 8780.

შესყიდული მიწებისა, ვფიქრობთ, საგრძნობი ოდენობის უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ამ ჯამის დადგენა შეუძლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყველა ნასყიდობის სიგელი ჩვენამდე არაა მოღწეული და, მეორეც, ბევრ მათგანში გაყიდული ნაკვეთების ზომა კონკრეტულად არაა მითითებული.

სისტემატურად ყიდულობდნენ მიწებს დათუნა, თამაზა, ელიზბარ და სხვა კოშაძეები. XVIII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ საბუთებში, როგორც წესი, კონკრეტული წლების მითითების გარეშეა, ჩამოთვლილია დასახელებული გლეხების მიერ მიწის შეძენის შემთხვევები. სხვადასხვა პირები, მათ სახელზე გაფორმებულ ნასყიდობის სიგელებში, წერენ: „მოგყიდეთ ერთი დღის მიწა"[24], „მოგყიდე ნასახლარი და ნაფუზარი"[25], „მოგყიდე ჯვრის ნაფუძარი"[26], „მოგყიდეთ ივანაშენს გოგნიასშვილის და ბერუკას ნაქონი ვენახი"[27], „მოგყიდეთ სამი დღის მიწა ნიჩაბაშია"[28], „მოგყიდეთ კოკუასშვილისეული მიწა"[29], „მოგყიდეთ ორი დღის მიწა ნაფუზარი"[30], „მოგყიდეთ ნასახლკარი და ნაფუზარი მისის გზითა და სამძღვრითა"[31], „მოგეცით... მიწა ელიაზე დღე ნახევრისა"[32], „მოგყიდეთ ივანაშენს ჩემი ნასყიდი ბაგა"[33], „მოგყიდეთ მიწა ერდოს"[34] და ა. შ. შემორჩენილია რამდენიმე დათარიღებული სიგელი. „დამეჭირა და მოგყიდე ფიცეს... მიწა"[35] (1729 წ.), „მოგყიდეთ ჩუენი მკვიდრი საჭირნახულო მიწა"[36] (1734 წ.), „დაგვეჭირა და მოგყიდეთ „ჩვენი სამკვიდრო ჭალა"[37] (1735 წ.), „მოგყიდე მძულიასეული მიწა ნახევარ დღისა"[38] (1737 წ.).

---

24 ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 5371.
25 ი ქ ვ ე, საბ. 5370.
26 ი ქ ვ ე, საბ. 5373.
27 ი ქ ვ ე, საბ. 5378.
28 ი ქ ვ ე, საბ. 5380.
29 ი ქ ვ ე, საბ. 5383.
30 ი ქ ვ ე, საბ. 5386.
31 ი ქ ვ ე, საბ. 638.
32 ი ქ ვ ე; საბ. 651.
33 ი ქ ვ ე, საბ. 641.
34 ი ქ ვ ე, საბ. 657.
35 ი ქ ვ ე, საბ. 637.
36 ი ქ ვ ე, საბ. 658.
37 ი ქ ვ ე, საბ. 644.
38 ი ქ ვ ე, საბ. 649.

აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია კოშაძეთა მიერ შესყიდული მიწების საერთო რაოდენობის დადგენა, რადგან გაყიდული ნაკვეთის ზომა მითითებული არაა.

ქართელი ზაქარია, გიორგი, ივანე და ბერუკა ბიჭიკაშვილები ეკონომიურად ძლიერი გლეხები არიან. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ ბეშამული ჯავახიშვილები, რომლებიც უჩივიან ბიჭიკაშვილებს გადასახადების გადაუხდელობას, თავის არიდებას. თვითონ დასახელებული გლეხებიც არ უარყოფენ დიდ მატერიალურ შეძლებას და ბატონთან ანგარიშის გაუსწორებლობას ხსნიან არა გაჭირვებით, არამედ მათზე დაკისრებულ ვალდებულებათა განუწყვეტელი ზრდითა და ამით გამოწვეული უკმაყოფილებით. „მართალია შემძლებელი გლეხი ქართლსა და კახეთში ბევრი გხლებიათ", მაგრამ ყველა ისინი თავიანთ ბატონებს სათანადოდ უმსახურებიათ და უკიდურესობამდე არ მიუყვანიათო, მოახსენებდნენ ბიჭიკაშვილები ერეკლე II-ს 1782 წელს[39].

ჩვენს ხელთ არსებული საბუთების თანახმად, ბიჭიკაშვილებს მიწების შესყიდვა XVIII საუკუნის 30-იან წლებში დაუწყიათ, რაც იმავე საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე გაგრძელებულა. მაგალითად „მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ბარათში გამოყოლილი მამული ხოვლეს"[40] (1734 წ.), „მოგყიდე ჩემი ალალი მამული, ზვრის ნაჭერი და ნაზვრევი"[41] (1746 წ.), „მოგყიდე ჩემი მკვიდრი კვირიკა წმინდის თავს ნაწისქვილარი თავისის შესავალ-გასავლითა"[42] (1762 წ.), „მოგყიდეთ ჩემი მკვიდრი მამული"[43]. (1772 წ.), „მოგყიდე ვენახი"[44] (1774 წ.). „ჩემი ბარათის კაცის ჭიღრიკისა და ყაზარას მიწა შვიდი დღისა მოგყიდე"[45] (1780 წ.), „ნავენახობები მოგეცით იმ ნაზვრევის გარდა"[46] (1784 წ.). არის კიდევ რამდენიმე დაუთარიღებელი, მაგრამ XVIII საუკუნის საბუთი, სადაც ასევე დადასტურებულია ბიჭიკაშვილების მომხვეჭელობითი საქმიანობა; „დაგვეჭირა და მოგიყიდეთ ჩვენი მამულის მიწა"[47], „მოგყიდე მი-

---

[39] სსცია, ფონდი 1448, საბ. 5398.
[40] ი ქ ვ ე, საბ. 5400.
[41] ი ქ ვ ე, საბ. 5408; ფონდი 1449, საბ. 675.
[42] ი ქ ვ ე, ფონდი 1449, საბ. 666.
[43] ი ქ ვ ე, ფონდი 1448, საბ. 5399.
[44] ი ქ ვ ე, საბ. 5401.
[45] ი ქ ვ ე, საბ. 5407, ფონდი 1449, საბ. 674.
[46] ი ქ ვ ე, საბ. 5405.
[47] ი ქ ვ ე, საბ. 5402.

წა"[48], „მოგყიდეთ ოთხის დღის მიწა[49], „მოგყიდეთ ოთხის დღის მიწა... ამას გარდა სამის დღის მიწა"[50], „მოგყიდეთ მიწა"[51] და ა. შ.

რამდენიმე სიტყვა კაკა, ბასილა და დემეტრე ხატიაშვილებზე. ესენიც ენერგიულად იძენენ მიწა-მამულებს, მაგრამ ზემოთ დასახელებულთაგან განსხვავებით, იძენენ როგორც მცირე, ისე შედარებით მსხვილ ნაკვეთებს. მაგალითად, 1760 წელს მათ ორი ნასყიდობა გააფორმეს: ერთი — გივი გურამიშვილთან, ხოლო მეორე — ზაალ იორამისშვილთან. პირველისგანაც 26 დღიური მიწა იყიდეს და მეორისგანაც, კახეთის ერთ-ერთ სოფელში[52]. რაც შეეხება პატარა ნაკვეთების შესყიდვას, ამის შესახებ საბუთებში ასეთი ცნობებია დაცული: „მოგყიდე ჩემი სამკვიდრო სახნავი მიწა"[53] (1761 წ.), „სამი დღის მიწა მოგყიდე არხს ქვემო და აღმა-დაღმა"[54] (1761 წ.), „მოგყიდე ორი დღის მიწა არხის პირთან"[55] (1762 წ.), „დამეჭირა და მოგყიდეთ სახნავი მიწა"[56] (1770 წ.) და სხვ.

XVIII საუკუნის სხვა არაერთ საბუთში დაცულია მსგავსი ხასიათის ცნობები. მაგალითად, გლეხ ავთანდილაანთ ტერ-ხაზარას 15 დღიური მიწა გაუყიდია (1746 წ.)[57]. ომარაშვილ ხიზანას — 10 დღიური (1780 წ.)[58]. ლელაშვილ გაბრიელს — 26,5 დღიური[59] (1789 წ.), ულუაშვილ რამაზას — 49 დღიური[60] (XVIII ს.) და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩამოთვლილ გლეხებს არ გაუყიდიათ უკანასკნელი დღიური და რომ მათ ამ ოპერაციების მერეც დარჩათ საკმაო რაოდენობის მიწის ფართობი. არც იმის დაშვებაა საფუძველს მოკლებული, რომ დათუა ჯობაძე, რომელმაც 1800 წელს 60 დღიური მიწა იყიდა[61], არც მანამდე იყო უმამულო. ამით მან მხოლოდ გაიძლიერა თავისი ეკონომიური მდგომარეობა. იგივე უნდა

---

48 ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 5404.
49 ი ქ ვ ე, საბ. 5406.
50 ი ქ ვ ე, საბ. 673.
51 ი ქ ვ ე, საბ. 671.
52 ი ქ ვ ე, ფონდი 1449, საბ. 346; ფონდი 1448, საბ. 692.
53 ი ქ ვ ე, საბ. 728.
54 ი ქ ვ ე, საბ. 724.
55 ი ქ ვ ე, საბ. 727; ფონდი 1448, საბ. 5479.
56 ი ქ ვ ე, საბ. 723.
57 ი ქ ვ ე, ფონდი 1450, დავთ. 2, საბ. 99.
58 ი ქ ვ ე, დავთ. 12, საბ. 75.
59 ს მ ა ხ ი, ფონდი Qd, საბ. 9037-ით დამატება.
60 ს ს ც ი ა, ფონდი 1450, დავთ 2, საბ. 106.
61 ს მ ა ხ ი, ფონდი Qd, საბ. 2463.

ითქვას ქართლელ გლეხ გიორგი გონგლიაშვილზე, რომელმაც 1768 წლის ახლოს 40 დღიური მიწა შეიძინა[62] და 100 დღიური მიწის შემსყიდველ ავთანდილ მარტიროზაშვილზე[63] (XVIII ს.).

როდესაც ვლაპარაკობთ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციაზე, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ყაფლანიშვილის ყმა აქულაშვილი ქვემო ქართლიდან. რომლის ეკონომიური შესაძლებლობა, ალექსანდრე ორბელიანის მოწმობით, ყოველგვარ საზღვარს გასცილებია. საკმარისია ითქვას, რომ იგი გამასპინძლებია თეიმურაზ II-სა და მის რამდენიმეათასიან ჯარს. აქულაშვილს დიდებული, მრავალი დარბაზისაგან შემდგარი მშვენიერი ორხუებითა და ქეჩებით მოფენილი სახლი ჰქონია. მეფის მხლებელი ყველა თავადი და აზნაური ოთახამსახურეებით სახლში „თავისუფლად“ მოუთავსებია, ხოლო „ჯარისკაცნი სულ სოფელში ჩამოუხდენია თავის ხარჯზედ“[64]. ღამე საწოლი ყველასათვის ცალ-ცალკე მოუმზადებია, „ზოგი ზარიანი ფარჩისა და ზოგი ყალანქარისა“[65]. მუთაქები და დორები სულ ხაევრდისა ყოფილა[66]. მეფის, მისი ამალისა და ჯარის სტუმრობა სამი დღე-ღამე გაგრძელებულა. მასპინძელს გაცილებაც ზღაპრული მოუწყვია. ოქულაშვილის განკარგულებით, მარნებში ქვევრებისათვის თავები შეუხსნიათ და ღვინო ორღობეებში მიუშვიათ. ძვირფასი სითხე ნიაღვარივით წასულა და თეიმურაზს, მის მხლებლებსა და ჯარს წამოსწევია. ამით გაკვირვებულ მეფეს უკითხავს: „რა ამბავია, შიგ რომ ღვინოში მივდივართ?[67]. „აქულაშვილი ღვინით“ გაცილებთო[68] — მოუხსენებიათ ყაფლანიშვილებს.

ალექსანდრე ორბელიანის ეს მოწმობა, რომელიც, ალბათ, მის ოჯახში დაცულ ცნობებზეა დამყარებული, ცხადია, გადაჭარბებუ-

---

[62] ს ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ. 344.

[63] საბუთის გამცემი მიქელა და გიორგი ყანჯირაშვილები წერენ: „ასი დღის მიწა შოგეცით... და თუ მოგქცე ათასი თანგა — ჩვენი მიწა ჩვენვე მოგვეცი და თუ ვერ მოგცეთ... თქვენი იყოს მიწა და იხმარეთ“. (ს ს ც ი ა, ფონდი 1450, დავთ. I, საბ. 138).

[64] ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში, ჟურნ. „ცისკარი“, 1859 წ., ნოემბრის ნომერი; იხ. აგრეთვე ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს თხზულებათა სრული კრებულის III ტომი (დასაბეჭდად მოამზადა ლ. მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ მ ა).

[65] ი ქ ვ ე.

[66] ი ქ ვ ე.

[67] ი ქ ვ ე.

[68] ი ქ ვ ე.

ლია. გადაჭარბება-გაზვიადების მიზანი კი ის იყო, რომ დამტკიცებულიყო გლეხის გამდიდრების სრული შესაძლებლობა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის პირობებში. ეს უკანასკნელი, ასკვნის, თითქოს, ამ მაგალითის მომტანი, არავის არ უშლის ხელს ეკონომიური აღზევების გზაზედ, თუ კი ის მშრომელი, გამრჯე და მონდომებული კაცია. მიუხედავად ასეთი ტენდენციურობისა, ალექსანდრე ორბელიანის მიერ აღწერილი შემთხვევა მაინც ძალიან საინტერესო და ბევრის შეტყველია. მის მოწმობას გაზვიადების ყველა ელემენტი რომ ჩამოვაშოროთ, რეალური მდგომარეობის ამსახველი სურათი დაგვრჩება. რეალური მდგომარეობა კი ნამდვილად იცნობდა აქულაშვილის მსგავს დიდი ეკონომიური შეძლების გლეხებს.

ასევე ძალიან მდიდარი გლეხები ყოფილან ძმები თევდორე და შიო ხახანაშვილები (XVIII ს. მეორე ნახევარი). მათ, გარდა წისქვილისა და ვენახებისა, 50 დღიურზე მეტი ნასყიდი მიწები ჰქონიათ[69]. ეკონომიურად იმდენად გამოირჩეოდნენ სხვებისგან, რომ ხალხში ხმა დარხეულა: „ხახანაანთ სახლში ოქროს აკვანი უდგათ და იმ აკვანში ზრდიან თავიანთ შვილებსო"[70].

ზემოთ დავასახელეთ მიწით მდიდარი გლეხები. გამორიცხული არ არის, რომ მათ შინაური საქონელიც ბევრი ჰყავდათ, მაგრამ კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო ამაზე ვერაფერს ვამბობთ. მიწების სიუხვით ცნობილი გლეხების გვერდით განსახილველი ხანის საქართველოში, იყვნენ პირუტყვმრავალი ყმებიც. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად ვინმე ჩალაუბნელი გუჯაშვილი (XVIII ს.), რომელსაც, საბუთის მოწმობით, 25 ხარ-კამეჩი და 10 ძროხა, სულ 35 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყოლია[71]. მეორე საბუთის თანახმად კი, XVIII ს. მეორე ნახევრის ერთი ქართველი გლეხის ოჯახში 14 სული მსხვილფეხა რქოსანი ყოფილა თავმოყრილი[72]. ეტყობა, ძალიან ბევრი ცხვრის პატრონი იყო ფშაველი გლეხი ბოდალი, რომელმაც მარტო 1800 წელს საბალახო იჯარაში 600 სული ცხვარი გადაიხადა[73].

---

69 ალ. სარაჯიშვილი, ერთი გლეხკაცის ოჯახის ბედი მეთერამეტე საუკუნეში, ძველი საქართველო, ტ. IV, თბ., 1914 წ., გვ. 31.

70 იქვე, გვ. 32.

71 დ. მეგრელაძე, გლეხთა ეკონომიური მდგომარეობისათვის XVII—XVIII საუკუნეების ქართლის მასალების მიხედვით, „მაცნე", 1965, № 5, გვ. 195.

72 იქვე.

73 Д. Пурцеладзе, ГКГ, 1882, стр. 75—76.

გლეხთა ეკონომიური დიფერენციაცია მკაფიოდ ჩანს საგადასახადო ნუსხებშიც. სამაგალითოდ შეიძლება დავასახელოთ ქსნის საერისთავოს საგადასახადო ნუსხა, დათარიღებული გ. აკოფაშვილის მიერ XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით. იქ, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ სხვა საკითხთან დაკავშირებით, ისეთი გლეხების გვერდით, რომლებიც მხოლოდ 3 აბაზით იყვნენ დაბეგრილნი, გვხვდებიან ძალიან დიდი თანხის — თუმნის, 2 თუმნის, 3 თუმნის, 12 თუმნის, 13 თუმნისა და თვით 50 თუმნის გადამხდელებიც. მაგალითად, ელო წიპტაურს, დათუნა კობაურს, ბერი კობაურსა და კაცია კობაურს სამ-სამი აბაზი ჰქონდათ შეწერილი[74], ხოლო გოგია ოყაშვილს, ზიხუა შიხინაშვილს, ფირდაშვილსა და ზაალ შიხინაშვილს — I თუმანი, 2 თუმანი, 13 თუმანი და 50 თუმანი[75]. ამ მშრალი ციფრებიდან არ ჩანს, თუ რა ქონების პატრონები იყვნენ ესოდენ დიდი თანხის გადამხდელები, მაგრამ, ცხადია, რომ მათ დიდი მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდათ. სხვაგვარად ვერ ვიტყვით, მაგალითად, ფარდაშვილსა და ზაალ შიხინაშვილზე, რომელთა წლიური გადასახადი 130 და 500 სული ცხვრის ფასის თანაბარი იყო. მართალია, მწარმოებელი კლასის დაბეგვრისას, მატერიალურ შესაძლებლობას ყოველთვის არ იღებდნენ მხედველობაში მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი ს ი ზ უ ს ტ ი თ, მაგრამ მისი გათვალისწინება მაინც აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული. ამას მოითხოვდა თვით მებატონის ინტერესები.

ქონებრივი დიფერენციაციის ასევე საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს კახელ გლეხთა საგადასახადო ნუსხაც[76] (XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედი). მართალია, აქ გადამხდელებს შორის არ ჩანს ისეთი მკვეთრი კონტრასტი, როგორც ქსნის საერისთავოში, მაგრამ საკმაო განსხვავება მაინც იგრძნობა. ნუსხის მიხედვით, მცირე შეძლების გლეხები — გიგაური, გობროსშვილი, ბიჟიკაშვილი, სიმონიშვილი, მენდიშვილი, ასპანაშვილი, ქეშიტაშვილი და სხვა[77] თითო მარჩილით იყვნენ დაბეგრილები. გაცილებით უფრო ძლიერები ჩანან გიორგი ეთიბერაშვილი, პეტრე ეთიბერაშვილი, ფოცხვერა გელაშვილი, რამაზ გაფრინდაშვილი, გიორგი მკერვალი და ფოცხვერა ჰანველაშვილი. თითოეული მათგანის წლიური გადასახადი 1

---

[74] ს მ ა ხ ი, ფონდი Qd, საბ. 6998. გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ფულადი გადასახადები... გვ. 15.

[75] ი ქ ვ ე.

[76] ს მ ა ხ ი, ფონდი Ad, საბ. 127.

[77] ი ქ ვ ე.

თუმანს უდრიდა[78], ესე იგი 16—17-ჯერ მეტი გადასახადი ჰქონდათ შეწერილი[79], ვიდრე ზემოთ დასახელებულ მცირე შეძლების გლეხებს. და კიდევ, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, მიწის მუშის თუშნით დაბეგვრა, თავისთავად, მისი შეძლებული ეკონომიური მდგომარეობის მაჩვენებელია.

მთელი XVIII საუკუნის მანძილზე და უფრო ადრეც, მიმდინარე გლეხთა ქონებრივ-ეკონომიური დიფერენციაციის შედეგები განსაკუთრებით საგრძნობი ამ საუკუნის ბოლოსა და მომდევნო საუკუნის დამდეგისათვის გახდა, რასაც ადასტურებს 1804 წლის თელავისა და სიღნაღის მაზრების კამერალური აღწერის მასალები. თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს ამ წყაროდან ამოკრეფილი ცნობები შეძლებულ კახელ გლეხთა შესახებ.

ცხრილი 4

სიღნაღის მაზრის გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ (1804 წ.)[80]

გლეხების გვარი და სახელი	სოფლების დასახელება	ჰქონდათ მიწა (დღიურებში)	კიდევ რა ჰქონდათ
1	2	3	4
ჩერჩელაშვილი იოსებ	მაჩხაანი	20	ვენახი, იღებდა 81 ვედრო ღვინოს
ვარამაშვილი ბეჟან	ანაგა	40	ვენახი, იღებდა 189 ვედრო ღვინოს
მართაშვილი გიორგი	„	42	ვენახი, იღებდა 312 ვედრო ღვინოს
სულიკაშვილი ზურაბ	„	15	ვენახი, იღებს 157 ვედრო ღვინოს, წყლის წისქვილი ერთ ქვაზე. მისდევს მეაბრეშუმეობას მცირე ზომით
ბენაშვილი იუბი	„	25	ვენახი, იღებს 405 ვედრო ღვინოს, წყლის წისქვილი. მისდევს მეაბრეშუმეობას მცირე ზომით
თანდილაშვილი ბეჟან	„	30	ვენახი, იღებს 189 ვედრო ღვინოს, წყლის წისქვილი ერთ ქვაზე

[78] ს მ ა ხ ი. ფონდი Ad, საბ. 127.

[79] მარჩილი 3 აბაზს უდრიდა, ხოლო თუმანი — 50 აბაზს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი; ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 23—24; ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 29).

[80] შედგენილია 1804 წლის სიღნაღის მაზრის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით. სსცია, ფონდი 254, ანაწერი I, საქმე 75, ფურც. 56, 138, 139, 142, 144, 150, 152, 198, 199, 201, 203, 217, 220, 221, 236, 238, 240, 241.

1	2	3	4
ვარამაშვილი ბიძინა	ანაკა	20	ვენახი, იღებს 162 ვედრო ღვინოს
ჰედლიშვილი ტარიელ	„	20	ვენახი, იღებს 270 ვედრო ღვინოს, წყლის წისქვილი ერთ ქვაზე
ჰედლიშვილი რამაზ	„	20	ვენახი, იღებს 135 ვედრო ღვინოს, მისდევს მეაბრეშუმეობას მცირე მასშტაბით
დარჩიაშვილი სტეფანე	„	80	ვენახი, იღებს 486 ვედრო ღვინოს
დოდალაშვილი ზაზა	„	30	ვენახი, იღებს 81 ვედრო ღვინოს
ბიჟიაშვილი თამაზა	„	50	ვენახი, იღებს 450 ვედრო ღვინოს
დულალიშვილი დიმიტრი	კარდანახი	20	ვენახი, იღებს 540 ვედრო ღვინოს, მისდევს მეაბრეშუმეობას მცირე ზომით
კალკოტაშვილი ბექან	„	20	ვენახი, იღებს 270 ვედრო ღვინოს
ფრიდუნეიშვილი სესია	„	15	ვენახი, იღებს 405 ვედრო ღვინოს
შამულაშვილი დათო	„	15	ვენახი, იღებს 270 ვედრო ღვინოს
სიყმაშვილი ივანე	„	20	ვენახი, იღებს 216 ვედრო ღვინოს
ცამაძე დოდია	„	15	ვენახი, იღებს 216 ვედრო ღვინოს
გელიაშვილი ივანე	„	16	ვენახი, იღებს 370 ვედრო ღვინოს
თათრიშვილი ესტატე	„	15	ვენახი, იღებს 270 ვედრო ღვინოს
ბექაშვილი ბექან	„	25	ვენახი, იღებს 594 ვედრო ღვინოს
მინდორაშვილი იასე	კოლადი	15	ვენახი, იღებდა 224 ვედრო ღვინოს
მინდორაშვილი კინო	„	20	ვენახი, იღებს 405 ვედრო ღვინოს
ბერინაშვილი გიო	„	15	ვენახი, იღებს 324 ვედრო ღვინოს
მინდორაშვილი ჭიკო	„	15	ვენახი, იღებს 405 ვედრო ღვინოს
ხატიაშვილი გიორგი	„	20	ვენახი, იღებს 270 ვედრო ღვინოს
მათიაშვილი იოსებ	„	20	ვენახი, იღებდა 261 ვედრო ღვინოს
მეისრიშვილი გოგია	„	20	ვენახი, იღებდა 261 ვედრო ღვინოს
ქიტიაშვილი გოგია	„	20	ვენახი იღებდა 235 ვედრო ღვინოს
ქათამაშვილი ივანე	„	20	ვენახი, იღებდა 289 ვედრო ღვინოს

თვალის ერთი გადავლებიდანაც ჩანს, რომ აქ მოტანილი მასალა არ იძლევა სათანადო ცნობებს მწარმოებელი კლასის ეკონომიური მდგომარეობის განმსაზღვრელი ყველა კომპონენტის შესახებ. ცხრილიდან და, მაშასადამე, თვით კამერალური აღწერიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ ჩამოთვლილ გლეხებს არ ჰყავდათ არც ცხვარი, არც თხა, არც ძროხა, არც ხარი, არც ცხენი. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. აღწერის მასალებში, სამწუხაროდ, ბევრი სხვა მონაცემიც არაა შესული, მაგრამ მასში დაცულ ცნობებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის სწორად გაშუქებისათვის. ჩვენ ცხრილში შეტანილი ყველა გლეხი შეძლებულად ჩავთვალეთ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი შედარებით მცირეფართობიან ნაკვეთებს (15-დან 20 დღიურამდე) ფლობდა. ასეთებია მაგ., სესია ფრიდუნეიშვილი, იასე, ჭიკო, კინო მინდორაშვილები, იოსებ მათიაშვილი და სხვები.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა განაპირობა იმან, რომ დასახელებული გლეხები ცხოვრობდნენ მევენახეობა-მეღვინეობით განთქმულ კარდანახსა და გურჯაანში, სადაც მიწა გაცილებით უფრო ნაყოფიერი იყო და ძვირადაც ფასობდა სხვა რაიონებთან შედარებით.

ზემოთ ჩამოთვლილ გლეხებს, გარდა სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებული ნაკვეთებისა, ჰქონდათ საკმაო რაოდენობის ღვინის მომცემი ვენახები. თხუთმეტი დღიური მიწის მფლობელ სესია ფრიდუნეიშვილს, მისი ვენახი ყოველწლიურად, საშუალოდ, 400—430 ვედრო ღვინოს აძლევდა, ჭიკო მინდორაშვილს[81] — ამდენსავეს, გიო ბერინაშვილს[82]—300—330 ვედროს და ა. შ.

ამათ გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო შეძლებულები, სიმდიდრით აღზევებულნიც იყვნენ; დიმიტრი დულალიშვილი, ბეჟან ბეჟაშვილი, იუბი ბენაშვილი, ბეჟან თანდილაშვილი, ბეჟან ვარამაშვილი, გიორგი მართაშვილი, თამაზა ბიჭიკაშვილი და სტეფანე დარჩიაშვილი. აქ ჩამოთვლილ გლეხებს, ამ მიწებს გარდა, ჰქონდათ აგრეთვე ვენახები, რომლებიდანაც ყოველწლიურად საშუალოდ იღებდნენ (იმავე თანმიმდევრობით): 540, 405, 594, 405, 189, 189, 312, 450 და 486 ვედრო ღვინოს. მათი ეკონომიური მდგომარეობის გაძლიერებას, უნდა ვიფიქროთ, ხელს უწყობდა შინაური საქონლის სიმრავლეც, რომლის შესახებ ცნობები, სამწუხა-

---

[81] ვენახის გარდა მასაც 15 დღიური მიწა ჰქონდა.

[82] ესეც 15 დღიურის მფლობელი იყო, ვენახის გარდა.

როდ. საერთოდ არ არის სიღნაღის მაზრის კამერალურ აღწერაში. გლეხთა ქონებრივი მოღონიერების ფაქტორს წარმოადგენდა ხელოსნობა-მესაქონეობასთან დაკავშირებული საქმიანობაც, რომელსაც სოფლის მშრომელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეტანებოდა.

არანაკლებ საინტერესო ცნობებია დაცული იმავე 1804 წლის თელავის მაზრის კამერალური აღწერის მასალებში. თუმცა ეს ცნობები შეეხება არა ცალკეულ კომლს, არამედ გლეხთა კოლექტივებს, მაინც საინტერესოა მრავალი თვალსაზრისით. ქვემოთ მოტანილ ცხრილში (№5) ჩვენ ისეთი მასალა შევიტანეთ, რომელიც მკაფიოდ ადასტურებს მდიდარ გლეხთა ბირთვის არსებობას XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის კახეთში.

მართალია, ამ ცხრილში ცალკეულ კომლთა მიწათმფლობელობა არაა ნაჩვენები, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა მაინც შეიძლება. საყურადღებოა, რომ განსახილველ მასალებში მითითებულია ამა თუ მებატონის გლეხებიდან რამდენი კომლი იყო უმიწოდ დატოვებული. დანარჩენების მიწის ფართობი კი შეჯამებული სახითაა მოცემული და ამიტომაცაა ჩვენ მიერ საშუალო საკომლო მაჩვენებელი გამოყვანილი. გამონაკლისს შეადგენს ერთი ალავერდელი გლეხი, რომლის შესახებ აღწერის მასალებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ის 60 დღიური მიწის მფლობელი იყო. აღწერის ჩამტარებლებს იგივე შეეძლოთ გაეკეთებინათ სხვების მიმართაც, რადგან გლეხებს სახნავ-სათესი მიწები არა საერთო, არამედ ინდივიდუალურ მფლობელობაში ჰქონდათ. აღმწერლებმა ამ გზას რატომღაც გვერდი აუარეს და ამით საქმეს გარკვეული ზიანი მიაყენეს.

საშუალო ციფრი, როგორც ცნობილია, ვერ იძლევა რეალური მდგომარეობის ზუსტ ასახვას. იგი ჩქმალავს ეკონომიურ უთანაბრობას და საერთო კეთილდღეობის წარმოდგენას ქმნის. ცხადია, ტახტის სოფელში, 13-ვე კომლს როდი ექნებოდა 77 დღიური მიწა. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგი გაცილებით მეტის მფლობელი იყო, ზოგი ნაკლების. იგივე ითქმის ყველა დანარჩენი სოფლის შესახებაც. საერთოდ, ცხრილში შეტანილ გლეხთა კომლებში, ჩანს, ბევრი იყო დიდი შეძლების მქონე. ქონებრივად აღზევებული ჩანს 2 კომლი გლეხი, რომელთაც 200 დღიური მიწა, ვენახები და „საკმაო რაოდენობით“ ტყის მასივი ჰქონდათ თავის განკარგულებაში. ამავე ჯგუფში უნდა მოვაქციოთ 60 დღიური მიწის, ვენახისა და წისქვი-

ცხრილი 5

თელავის მაზრის გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის ამსახველი (1804 წ.)[83]

სოფლების დასახელება	გლეხთა მფლობელების დასახელება	კომლთა რაოდენობა	ჰქონდათ მიწები (დღიურებში)	მიწა კომლზე საშუალოდ (დღიურებში)	კიდევ რა ჰქონდათ
კურდღელაური	დავით ყორჩიბაშევი	17	11 კომლს—350;6 კომლი—უმიწო	31,8	ვენახები, გარდა უმიწო გლეხებისა. ერთ კომლს—წისქილი
„	გლახა ყორჩიბაშევი	15	9 კომლს—200;6—უმიწო	22,2	9 კომლს—ვენახი, უმიწო 6 1კომლს—არაფერი
„	დათუა ყორჩიბაშევი	17	11 კომლს—200;6—უმიწო	18,1	1 კომლს—ვენახი, 2 2კომლს—წისქვილი
„	�orgi და სხვ. ეახვახიშვილები	16	13 კომლს—300;3 კომლი—უმიწო	23,1	ენახები (ყველას, გარდა უმიწო გლეხების), ერთი წისქვილი
პატარძეული	—	89	1740	19,5	60 კომლს—ვენახი, ტყე უხვად
ყარაბულახი	—	23	560	24,3	ვენახები და ტყე
ნორიო	ბარამ გურგენიძე	2	200	100,0	ვენახები და ტყე „საკმარისი რაოდენობით“
ბულაჩაური	გოგია და სხვ. ტუსიშვილები	22	500	22,7	ტყე „საკმარისი რაოდენობით“
ობოლიძე	ალავერდის მონასტერი	6	140	23,3	ვენახები
ალავერდი		1	60	60,0	ვენახი, ერთი წისქვილი
ბაიხო	„აზნაური დორამოვები“	9	5 კომლის—100	20,0	ვენახები (ყველას, გარდა უმიწო 4 კომლისა)
ახათელი	დავით მგალობლიშვილი	12	4 კომლის—100	25,0	ვენახები და საერთო მფლობელობაში მყოფი ტყე
მერე	—	6	150	25,0	ვენახები და საერთო მფლობელობაში ტყე საკმაო რაოდენობით
ტახტის სოფელი	—	13	1000	77,0	ვენახები (ყველას), ტყე ჭარბად და ერთ კომლს—წისქვილი

[83] შედგენილია 1804 წლის თელავის მაზრის კამერალური აღწერის მასალებისმ იხედვით. ს ს ს ი ა, ფონდი 254, ანაწერი I, საქმე 52, ფურც. 17, 18, 31, 37, 38, 46, 47, 48, 57, 59, 79.

ლის პატრონი ალავერდის მონასტრის ყმა, რომლის შესახებ ცნობები აღწერის მასალებში ცალკეა მოცემული. საერთოდ, არ შევცდებით თუ ვიტყვით. რომ გლეხებში, სადაც ყველაზე მცირე საშუალო საკომლო ნაგელი 19,5 დღიურს უდრიდა, ხოლო ყველაზე დიდი—100 დღიურს, არაერთი ოჯახი იყო მიწით ჭარბად უზრუნველყოფილი და თავისი ეკონომიური შესაძლებლობით სხვებისაგან მკვეთრად განსხვავებული. თუ ნათქვამს დავუმატებთ იმასაც, რომ გლეხებს, ალბათ, საკმაო რაოდენობით ჰყავდათ შინაური საქონელი და ხელოსნობა-მესარეწეობასაც ეტანებოდნენ[84], მაშინ მათი ეკონომიური ძლიერების სურათი კიდევ უფრო ნათელი გახდება.

ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის პროცესის დამახასიათებელი ფაქტობრივი მასალა. მაგრამ ეს პროცესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეც მიმდინარეობდა და გვიანფეოდალურ ხანაში იგი სიახლეს არ წარმოადგენდა. სიახლის მაჩვენებელი და მაუწყებელი იყო მეორე მოვლენა — გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის საწყისების გაჩენა. ეს კი მომავალი ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის — ელემენტების, ექსპლოატაციის ახალი ფორმის ჩასახვას ნიშნავდა[85]. კლასობრივი დიფერენციაციის საფუძველი, მისი ამოსავალი ქონებრივ-ეკონომიური დიფერენციაციაა, პირველი მეორის გარეშე არ არსებობს, არ წარმოიშობა. მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია ყველა ვითარებაში ვერ წარმოშობს კლასობრივ დიფერენციაციას. ამისათვის საჭიროა გარკვეული ობი-

---

[84] ს ს ც ი ა, ფონდი 254, ანაწერი I, საქმე 52, ფურც. 18.

[85] «Классовое расслоение крестьянства, — წერენ საბჭოთა ისტორიკოსები ე. ი ნ დ ო ვ ა, ა. პ რ ე ო ბ რ ა ჟ ე ნ ს კ ი, დ ი. ტ ი ხ ო ნ ო ვ ი, — означает формирование в среде основного трудящегося класса — сословия феодальной формации, двух классовых групп, слоев будущего капиталистического общества—предпролетариата и нарождающейся буржуазии. Этот процесс происходил (в России) в определенный исторический период в эпоху генезиса капитализма (XVII — первая половина XIX века). (იხ. მ ა თ ი წერილი „Проблема классового расслоения крестьянства периода феодализма в свете трудов В. И. Ленина» კრებულში «Ежегодник аграрной истории Восточной Европы», რიგა, 1963, გვ. 12—13), და კიდევ: «Под классовым расслоением в буржуазном направлении имеется в виду длительный процесс формирования из рядов крестьянства основных классов будущего капиталистического общества» (ი ქ ე ე, გვ. 12); ასევე ესმის კლასობრივი დიფერენციაციის არსი ისტორიკოს ი. ბ უ ლ ი გ ი ნ ს ა ც (ჟურნ. «История СССР», 1964, № 4, გვ. 79).

ექტური პირობები, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა განვითარებაა[86]. ლენინი გლეხთა კლასობრივ დიფერენციაციას, გლეხების დაშლის პირველ ეტაპს, ფეოდალურ-ბატონყმურ ხანაში აქცევდა. იგი ამ პროცესის დასაწყისს შრომამიგებითი რენტიდან პროდუქტად რენტაზე გადასვლას უკავშირებდა, ხოლო მის განვითარებას— ფულადი რენტის გავრცელებას. „ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს (ე. ი. ფეოდალიზმის ხანაში — ი. ა.), — წერს ვ. ი. ლენინი, — დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფართოებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები. მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდგომი ფორმისას, ფ უ ლ ა დ ი რ ე ნ ტ ი ს დროს (ე. ი. იმავე ფეოდალურ ხანაში, უფრო ზუსტად, მის ბოლო ეტაპზე — ი. ა.), რომელიც ნატურალური რენტის ფორმის უბრალო შეცვლას წარმოადგენს“[87].

ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში, ცხადია, არ შეიძლება ლაპარაკი გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის შორს წასულ პროცესზე, მაგრამ არც მისი საწყისების გამორიცხვაა შესაძლებელი. დასტურდება, კერძოდ, ის, რომ XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის მდიდარი გლეხები აწყობდნენ მსხვილ მეურნეობებს, რომელთა მიზანი იყო არა მარტო სამომხმარებლო, არამედ საცვლელი ღირებულების წარმოებაც. საბაზრო პროდუქციის დიდი რაოდენობით დამზადებას მდიდარი გლეხები აღწევდნენ როგორც ოჯახის წევრების დასაქმებით, ისე დაქირავებული შრომის გამოყენებით. წყაროების თანახმად, განსახილველი ხანის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ეს მოვლენა. სამუშაო ძალის მყიდველიც ბევრი ყოფილა და გამყიდველიც.

ზემოთ დასახელებულ, ეკონომიურად გამორჩეულ, გლეხთა აბსოლუტური უმრავლესობა, ჩვენი აზრით, დაქირავებულ შრომას იყენებდა. ზოგი მათგანის მიმართ ამ აზრის სისწორეს პირდაპირი ცნობები ადასტურებს, ხოლო ზოგის მიმართ — არაპირდაპირი მონაცემები. ყაფლანიანთ ყმის აქულაშვილის შესახებ, მაგალითად, ალექსანდრე ორბელიანის მოგონებებში ნათქვამია, რომ მის მეურნეობას, ოჯახის წევრების გარდა, ემსახურებოდა ბევრი მოჯამაგირე[88]

---

[86] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. I, გვ. 216.

[87] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 189.

[88] ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში, „ცისკარი“, 1859 წ., ნოემბერი.

ან დაქირავებული გარეშე კაცი. დაქირავებული შრომის გარეშე, უნდა ვიფიქროთ, ვერ გავიდოდა ფონს ვერც ფშაველი გლეხი ბოდალი, რომელსაც, როგორც ჩანს, რამდენიმე ათასი სული ცხვარი ჰყავდა[89]. იგივე ითქმის გოგია ოყაშვილზე, შიხუა შიხინაშვილზე, ფირდაშვილზე, ზაალ შიხინაშვილზე, ავთანდილ მარტიროზაშვილზე, თევდორე ხახანაშვილზე, სტეფანე დარჩიაშვილზე, თამაზა ბიჭიაშვილზე, 200 დღიური მიწის მქონე ორ კომლ ნორიოელ გლეხზე, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. ისინი გამოირჩეოდნენ მიწისა და პირუტყვის დიდი რაოდენობით, რაც მათ, ბუნებრივია, აყენებდა დაქირავებული შრომის გამოყენების აუცილებლობის წინაშე. სწორედ მათ ამარაგებდნენ (მემამულე-რაციონალიზატორებს გარდა) სამუშაო ძალით იმდროინდელ საქართველოში საკმაო რაოდენობით მცხოვრები უმამულო გლეხები. რაჭიდან კახეთს ჩასული ივანე და გიორგი მესხები, მაგალითად, საბუთის სიტყვით, კონდოლს დასახლებულან მოჯამაგირობის გზით მიღებული სახსრებით (1776 წ.)[90]. „დღიურათ ვრჩებით, მწარეთ უილაჯონი და გლახები", — ნათქვამია მეტეხელ გლეხთა 1789 წლის არზაში ერეკლე II-სადმი[91]. „ეგ კაცი, — ვკითხულობთ ვინმე ტერ-პეტრუზას ქვრივის 1807 წლის 21 მაისის წერილში, — თოთხმეტი წელიწადი (1793 წლიდან) ჩემი პირუტყვის შემნახავი და მენახირე ყოფილა. ამ თოთხმეტ წელიწადში თავისი სამუშაო და გასამრჯელო თვე და თვე უკლებლივ მიმიცია და ჩვენი საქონელიც ზაფხულ და ზამთარ მაგათ ხელში ყოფილა"[92].

1804 წლის თელავისა და სიღნაღის მაზრების კამერალური აღწერის მასალები ადასტურებენ სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის არაიშვიათად გამოყენების ფაქტს. დავით ყორჩიბაშევის კუთვნილი ექვსი კომლი კურდღელაურელი უმამულო გლეხის შესახებ დასახელებულ წყაროში ნათქვამია, რომ ისინი „სხვებთან შრომით" ცხოვრობენო[93]. ასევე „სხვებთან შრომით" ირჩენდნენ თურმე თავს ქაიხოსრო,[94] გლახა,[95] გიორგი[96], დიმიტრი[97], და-

---

[89] Д. Пурцеладзе, ГКГ, стр. 75—76.
[90] ს ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ. 2607.
[91] ს ს, ტ. III, გვ. 50, საბ. 65.
[92] მ ს ე ი, ტ. II, გვ. 182, საბ. 262.
[93] ს ს ც ი ა, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 52, ფურც. 17 უკ. გვ. 15.
[94] ი ქ ვ ე.
[95] ი ქ ვ ე.
[96] ი ქ ვ ე.
[97] ი ქ ვ ე.

თუა[98] ყორჩიბაშევების, რევაზ ვახვახოვისა[99] და სოფელ კურდღელაურის სხვა მებატონეთა ყმები. თელავის კარის ეკლესიის ათი უმიწაწყლო ყვარელი გლეხის შესახებ წყაროში მითითებულია, რომ ისინი „прокормление достают от ремесла и заработков“[100]. იმავე სოფლის, გარსევან ჭავჭავაძის ხელქვეით, ისე როგორც სოფლების შილდას, საბუესა და მაღრანის გლეხთა შესახებ აღნიშნულია (შესაბამისად): «безземельные пропитание снискивают... от зарабатывания»[101], «безземельные питаются от зарабатывания»[102], «безземельные зарабатыванием прокормление достают»[103], «безземельные пропитание снискивают зарабатыванием»[104]. რაც შეეხება დიმიტრი ჩოლოყაშვილის 40 კომლს, მათი სამეურნეო საქმიანობა ასეა დახასიათებული: მხოლოდ ათი კომლია მამულიანი და პურით ჭარბად უზრუნველყოფილი, «а прочие — безземельные, кои пропитание зарабатыванием дастают у имущих“.[105] აქ გამოთქმა „имущи“-ს ქვეშ იგულისხმებიან როგორც ეკონომიურად აღზევებული გლეხები, ისე ოსეფა ყორღანაშვილის, ბანუჩარ თუმანიშვილისა და სხვა მათი მსგავსი ახალი ტიპის მემამულეები,რომლებიც თავიანთ მეურნეობებში შედარებით ფართოდ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას.

ზოგი დიდი ეკონომიური შეძლების გლეხი, დაქირავებული შრომის გვერდით, ოჯახის წევრების შრომასაც იყენებდა. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იყო საგრძნობი და ანგარიშგასაწევი, როდესაც ოჯახი მრავალრიცხოვანი ან შედარებით მრავალრიცხოვანი იყო[106]. მსგავსი მოვლენა, როგორც ცნობილია, ძველის განმტკიცება-კონსერვაციას კი არ უწყობდა ხელს, არამედ პირიქით, მის დაშლასა და ახალის განვითარებას. „როცა კომლებს შეძლებულობის

---

98 ს ს ც ი ა. ფონდი 254. ანაწ. I. საქმე 52. ფურც. 18.

99 ი ქ ვ ე.

100 ს ს ც ი ა, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 52, ფურც. 66.

101 ი ქ ვ ე, ფურც. 66 უკ. გვ.

102 ი ქ ვ ე, ფურც. 67 უკ. გვ.

103 ი ქ ვ ე, ფურც. 73.

104 ი ქ ვ ე, ფურც. 81.

105 ი ქ ვ ე, ფურც. 86, უკ. გვ. 18.

106 1804 წლის თელავისა და სიღნაღის მაზრების კამერალური აღწერის მასალებ - ში ასეთი დიდი ოჯახები საერთოდ არ ჩანან. აქ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ზაზა დოდაშვილის, დიმიტრი დულალიშვილისა და ბექან ბექაშვილის ოჯახები, რომელთა წევრთა რაოდენობა შესაბამისად ორივე სქესის 17, 18 და 23 სულს უდრიდა (ს ს ც ი ა ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 75, ფურც. 152, 198 უკ. გვ., 217).

ან მეურნეობის ოდენობის მიხედვით ვაკვალიფიცირებთ, — წერს ვ. ი. ლენინი, — ჩვენ ყოველთვის ვიღებთ გლეხობის შეძლებულ ფენებში ოჯახის უფრო დიდ შემადგენლობას. ეს მოვლენა მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხური ბურჟუაზია დაკავშირებულია მრავალრიცხოვან ოჯახებთან, რომელნიც უფრო მეტ ნადელებს იღებენ; — რამდენადმე პირიქითაც: ეს მოწმობს, რომ შეძლებულ გლეხობაში გაყოფის მისწრაფება უფრო სუსტია"[107]. ავითარებს რა იმავე აზრს, ვ. ი. ლენინი სხვა ადგილას აღნიშნავს: „წელმაგარი გლეხური მეურნეობანი, რომლებიც გამოირჩევიან ოჯახის წევრ მუშათა განსაკუთრებით დიდი რიცხვით, იქცევიან კაპიტალისტურ მეურნეობებად, სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იყენებენ რა დაქირავებულ შრომას"[108]. და კიდევ: „ოჯახური კოოპერაცია", რომლის შესახებაც ასე უყვართ ლაპარაკი ჩვენს ნაროდნიკებს, კაპიტალისტური კოოპერაციის ბაზისია"[109].

მართალია, ასე შორს მიმავალ დასკვნებს ჩვენ ვერ გავაკეთებთ XVIII საუკუნის საქართველოს დიდი ოჯახების შესახებ, მაგრამ ისინიც, გარკვეული აზრით, ქვეყნის პროგრესის საქმეს ემსახურებოდნენ და გვიანფეოდალურ ხანაში ხელს უწყობდნენ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საწყისების გამრავლება-განვითარებას[110].

ვერ ვიტყვით, რომ მიწით ჭარბად უზრუნველყოფილი ყველა გლეხი დიდი მასშტაბის მეურნეობას აწყობდა, დაქირავებულ შრომას იყენებდა და საბაზრო პროდუქციას აწარმოებდა. ნაწილი, როგორც ჩანს, ზედმეტ მიწებს საღალოდ გასცემდა და ამ გზით იმაგრებდა თავის ეკონომიურ მდგომარეობას. ნათქვამის დასადასტურებლად ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს გორის მაზრის საეკლესიო გლეხების 1818 წლის კამერალური აღწერის მასალებიდან. ამ მასალებიდან ირკვევა კერძოდ, რომ სვინეთელი გლეხი ელიზბარ ბერუაშვილი, პატრონი 40 დღიური ნასყიდი მიწისა, საკუთრივ თავისთვის ხნავდა მხოლოდ 15 დღიურს[111], ზაზა ბურნაძე (სოფ. ქორდო) — 80 დღიურიდან 30 დღიურს[112], მათე გენჯა-

---

[107] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 92, შენიშვნა.

[108] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 16, გვ. 548—549.

[109] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 92, შენიშვნა.

[110] Р. Х а р а д з е, Грузинская семейная община, II, Тб., 1961, стр. 72; ი. ჭ ო ნ ი ა, სახლიშვილობის სოციალური ბუნებისათვის, „მაცნე", 1974, №3, გვ. 159—161).

[111] ს ს ი ა, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 544.

[112] ი ქ ვ ე, 80 დღიურიდან 20 დღიური იყო ნასყიდი.

ძე (სოფ. მეღვრეკისი)—45 დღიურიდან 15 დღიურს[113], დიმიტრი ცერონელი (სოფ. არაშენდა) — 32 დღიურიდან 15 დღიურს[114], არუთენი ღებრიშვილი—(სოფ. რუისი) 20 დღიურიდან 5 დღიურს[115], შიო გუნიაშვილი (სოფ. რუისი) — 30 დღიურიდან 15 დღიურს[116], ანდრია გუნიაშვილი (სოფ. რუისი) — 40 დღიურიდან 18 დღიურს[117]. აფრასიონ ბერძნიშვილი (დირბი)—100 დღიურიდან 15 დღიურს[118], ანტონ მაისურაძე (თედორეთი)—200 დღიურიდან 25 დღიურს[119] და ა. შ. სამწუხაროდ, წყაროში ყველა შემთხვევაში არაა მითითებული, თუ როგორ იყენებდნენ დანარჩენ მიწებს მათი პატრონები, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ისინი მათ საღალოდ გასცემდნენ. ასეთი დაშვების საფუძველს, გარდა ზოგადი მოსაზრებებისა, გვაძლევს კამერალური აღწერის მასალა ზოგ ზემოთ დასახელებულ გლეხზე. ზაზა ბურნაძის განკარგულებაში, მაგალითად, ამ ცნობის თანახმად, სულ 80 დღიური მიწა ყოფილა. აქედან იგი, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ 30 დღიურს ხნავდა, რაც მას, წყაროს მიხედვით „ღ ა ლ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ“ 120 კოდ პურს აძლევდა წელიწადში[120].

ერთი გლეხის მიერ მიწის საღალოდ გაცემისა და მეორის მიერ მისი აღების დროს იქმნებოდა ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იყო არა გარე ეკონომიურ იძულებაზე, არამედ ეკონომიურ იძულებაზე. ეს კი, როგორც ცნობილია, ტიპიურია არა ფეოდალიზმისათვის, არამედ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე გარდამავალი ხანისათვის[121]. მიწის საღალოდ გაცემის სისტემას ისეთი ნიშნები გააჩნდა, რომელთა ერთი ნაწილი მას სიძველესთან აკავშირებდა, ხოლო მეორე — სიახლესთან[122]. ვითარცა გლეხის სა-

---

113 ი ქ ვ ე, 45 დღიურიდან 13 დღიური იყო ნასყიდი.

114 ი ქ ვ ე, 32 დღიურიდან 12 დღიური იყო ნასყიდი.

115 ი ქ ვ ე, ყველა 20 დღიური ნასყიდი იყო.

116 ი ქ ვ ე. ყველა 30 დღიური ნასყიდი იყო.

117 ი ქ ვ ე, ყველა 40 დღიური ნასყიდი იყო.

118 ი ქ ვ ე, ყველა 100 დღიური ეკლესიის მიწა იყო.

119 ი ქ ვ ე, ყველა 200 დღიური ნასყიდი იყო.

120 ს ს ც ი ა, ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 544, გვ. 104.

121 ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, იჯარა XVIII ს. საქართველოში. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სმმ), ტ. XIX-A და XXI-B, თბ., 1957, გვ. 67, 68.

122 ჩამოთვლის რა საღალო სისტემის ფეოდალურ ნიშნებს, მკვლევარი ნ. ქ ა ნ თ ა რ ი ა გახაზავს მის სხვა ნიშნებსაც და წერს: „ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მეღალე-იჯარადარსა და ყმა-გლეხს შორის არსებითი განსხვავება არის, რაც გამოი-

მეურნეო საქმიანობის გარკვეული ფორმა, იგი გვიანფეოდალურ ხანაში მეტ-ნაკლებად ბიძგს აძლევდა მიწის გამცემის ეკონომიურ აღზევებას, მის ხელში დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაგროვებას, ბაზართან კავშირის გაძლიერებას. ყოველივე ეს კი. საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის საწყისების გაჩენას.

რომ დავასრულოთ საუბარი გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის საწყისების შესახებ ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში, საჭიროა ხაზი გაესვას ამ პროცესის ხელშემწყობ კიდევ ორ გარემოებას: პირველი—ვაჭრობა-მესარეწეობის განვითარებას და სამუშაო ძალის გაყიდვის ფაქტების მოხშირებას XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის დამდეგის საქართველოში და მეორე — ნასყიდი მიწების შედარებით დიდ ხვედრით წონას საერთოდ და გვიანფეოდალურ ხანაში — კერძოდ. 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, მაგალითად, გორის მაზრის 741 კომლი საეკლესიო გლეხიდან მარტო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას 114 კომლი ან 15,4% ეტანებოდა, მარტო ვაჭრობა-მესარეწეობას — 56 კომლი ან 7,5%, ხოლო სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობა-მესარეწეობას — 571 კომლი ან გლეხთა საერთო რაოდენობის 77%[123]. იმავე მონაცემების თანახმად, საეკლესიო ყმების დასახელებული რაოდენობიდან დაახლოებით მეათედი (სულ მცირე) საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებს სამუშაო ძალის გაყიდვით ინახავდა[124]. დასასრულ, იმავე გლეხების 17—18 პროცენტს[125] სა-

---

ხატება იმაში, რომ ყმა-გლეხი ბატონის მიმართ პირად დამოკიდებულებაში იმყოფება და მიწაზე არის მიჯაჭული. მეღალე კი მიწის გამცემის მიმართ პირად დამოკიდებულებაში არ იმყოფება. მიწის გამცემს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში საღალო მიწა დამმუშავებელს გამოართვას და სხვას მისცეს. ამავე დროს იჯარადარს, მიწის „საღალოდ“ ამღებს შეუძლია ეს მიწა მიატოვოს, ის არ არის მიჯაჭვული მიწაზე“ (ი ქ ვ ე, გვ. 74).

[123] ს ს ც ი ა , ფონდი 254, ანაწ. I, საქმე 544, პროცენტები ჩვენი გაანგარიშებულია.

ვაჭრობა-მესარეწეობა საქართველოს არც სხვა ნაწილში იყო მცირე მნიშვნელობის, საკმარისია ითქვას, რომ მას, ერთი 1813 წლის უწყისის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან ერთად მისდევდა: ანანურის მაზრის სახელმწიფო გლეხებით დასახლებული სოფლების 48,8%, სიღნაღის მაზრის — 84,3% და თელავის მაზრის—86,3% (ЦГВИАМ, ф. ВУА, 18480. პროცენტები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ).

[124] ი ქ ვ ე. პროცენტები ჩვენი გაანგარიშებულია.

[125] ი ქ ვ ე. პროცენტები ჩვენი გაანგარიშებულია.

კუთარი ნასყიდი მიწები ჰქონდა და თანაც საკმაოდ დიდი რაოდენობით[126]. მესარეწე და მესაკუთრე გლეხებში კი, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული ლიტერატურაში[127], კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი შედარებით ადრე იწყება და უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

დასკვნები

ნათქვამი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

1. გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია, რომელსაც ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით საგრძნობი გვიან საშუალო საუკუნეებში გახდა. საკითხთან დაკავშირებული მრავალი დოკუმენტური თუ სხვა ხასიათის მასალა დაბეჯითებით ლაპარაკობს სხვადასხვა ეკონომიური მდგომარეობის და შეძლების მქონე გლეხთა ჯგუფების არსებობაზე განსახილველი ხანის საქართველოში. უმამულო, არაფრის მქონე ან მცირემამულიანი გლეხების გვერდით წყაროები ასახელებენ ეკონომიურად აღზევებულ, საწარმოო საშუალებებით ჭარბად უზრუნველყოფილ დიდი მატერიალური შესაძლებლობით გამორჩეულ ყმებს. ზოგი მათგანის სიმდიდრეს კი, გადმოცემით, თვით მეფეებიც მოჰყავდა თურმე განცვიფრებაში.

2. მაგრამ ქონებრივი დიფერენციაცია, როგორც ცნობილია, ყველა ვითარებაში ვერ წარმოშობს კლასობრივს. ამისთვის საჭიროა გარკვეული ობიექტური პირობები, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა განვითარებაა. ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოში, ცხადია, არ შეიძლება ლაპარაკი გლეხთა კლასობრივი. დიფერენციაციის შორს წასულ პროცესზე, მაგრამ არც მისი საწყისების გამორიცხვაა შესაძლებელი. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის მდიდარ გლეხთა ერთი ნაწილი (ამაზე ზემოთ იყო საუბარი) აწყობდა მსხვილ მეურნეობებს, რომელთა მიზანი იყო არა მარტო სამომხმარებლო, არამედ საცვლელი ღირებულების

---

[126] მათი რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ, 10, 15, 20, 30, 40, 80 და 200 დღიურს უდრიდა.

[127] И. Д. Кавальченко, О характере и формах расслоения помещичьих крестьян России в первой половине XIX века. Исторические записки, т. 78, 1975.

წარმოებაც. დიდი რაოდენობით საბაზრო პროდუქციის დამზადებას მდიდარი გლეხები აღწევდნენ როგორც ოჯახის წევრების დასაქმებით, ისე დაქირავებული შრომის გამოყენებით. წყაროების მოწმობით, განსახილველი ხანის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ჩანს ეს მოვლენა. სამუშაო ძალის მყიდველიც ბევრი ყოფილა და გამყიდველიც. ეს კი უკვე ქონებრივი დიფერენციაციის კლასობრივში გადაზრდის მაჩვენებელია, ამ მოვლენის საწყისი პროცესების დამადასტურებელია.

თ ა ვ ი VII

გლეხთა კლასობრივი ბრძოლა და მისი როლი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლების შერყევის საქმეში. ახალი მოვლენები კლასობრივ ბრძოლაში

გლეხის ბრძოლა მჩაგვრელ-ექსპლუატატორთა წინააღმდეგ ფეოდალურ ხანაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ჩვეულებრივი იყო ის საქართველოშიც. საქართველოს სოფლის მშრომელ მოსახლეობას ეს ბრძოლა არ შეუწყვეტია ფეოდალური ფორმაციის არც ერთ ეტაპზე, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსიურობით იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. აქვე თავი IV), XVIII საუკუნიდან, უპირატესად ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან წარიმართა. რთული საშინაო და საგარეო პირობები, ერთი მხრივ, და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება (შედარებით) მეორე მხრივ—განაპირობებდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის ნორმის გაძლიერებას განსახილველი ხანის საქართველოში. აგრესორთა მიერ მიყენებული დანაკლისის ანაზღაურებას, ისე როგორც სასაქონლო წარმოების დაწინაურების შედეგად გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, პრივილეგირებული წოდება მწარმოებელ კლასს აკისრებდა, უდებს ადებდა და ამით კიდევ უფრო აუარესებდა მის ისედაც არასახარბიელო მდგომარეობას[1]. ეს კი უკანასკნე-

---

[1] „ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის შეფერხება, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — სამეფო-სამთავროებს შორის ბოლომოუღებელი მიხდომ-მოხდომა, ურთიერთის აოხრებანი, უცხოელი მოძალადეების აურაცხელი შემოსევანი, მოსახლეობის გაწყვეტა-დატყვევება, აყრა-გადასახლება, ქვეყნის დაპყრობა, ხარკი, მოუსავლობა-შიმშილობა, — ყველაფერი ეს გლეხობის სოციალურ მდგომარეობას აუარესებდა, მის ეკონომიურ კეთილდღეობას ძირს უთხრიდა. უდროობის ჟამს „ბატონყმობის რიგი და წესი“ იშლებოდა, „სამართლის“ ადგილს სრული გაუკითხაობა იჭერდა და ბატონიც, გასაგებია, შესაფერისი ტაროსის კლასობრივად გამოყენებას არ დააყოვნებდა. „გახელწიფებული“ თავადი სულ უფრო და უფრო მძიმედ ეღლავდა მის ანაბარად მიტოვებულ გლეხს, უკანასკნელ უფლებებს ართმევდა და მის მონად გადაქცევას ლამობდა... გლეხობა უზომოდ იყო დაბეგრილი, ხოლო მის სოციალურს დაშონებას არაერთი საბატონყმო წესი მოასწავებდა“. (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973, გვ. 400).

ლის ენერგიულ პროტესტს იწვევდა, კლასობრივ ბრძოლას ამწვავებდა. ნებით და სიამტკბილობით იგი ბატონს არაფერს უთმობდა; მეფესთან ჩიოდა და მფარველობას ითხოვდა, სახაზინო (სამეფო) უწყებაში გადასვლას ცდილობდა. უმართებულო დაბეგვრის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა, კლასობრივ მტერს მატერიალურ ზიანს აყენებდა, თავგასულ მებატონეს ჰკლავდა, მისგან გარბოდა, „იკარგებოდა", „აზახობდა", შრომისა და ცხოვრების შედარებით უკეთეს პირობებს ეძებდა[2]. ხშირად ის საერთოდ უარს ამბობდა ყმობაზე და თავისუფლების მოპოვებას ლამობდა.

აქ ჩამოთვლილი ბრძოლის ფორმებიდან ყველაზე გავრცელებული აურა-გაქცევა იყო[3]. ბრძოლისა და თავდაცვის ამ „მკვეთრ საშუალებას" (ნ. ბერძენიშვილი) სოფლის მშრომელი მოსახლეობა, ცხადია, ადრეც მიმართავდა, მაგრამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მან სწორედ XVIII საუკუნეში მიიღო. აურა-გაქცევა ბატონისთვისაც საშიში იყო და გლეხისთვისაც, რადგან ის ეკონომიური განადგურებით ემუქრებოდა ერთსაც და მეორესაც[4], მაგრამ მჩაგვრელთა მძლავრობა-გაუკითხაობით შეწუხებული უშუალო მწარმოებელი ამ გზას მაინც მიმართავდა და ხშირად საკმაო წარმატებასაც აღწევდა. ამ მოძრაობას მეტ-ნაკლებად მთელს საქართველოში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ყველგან ერთი ზომითა და მასშტაბით არ მიმდინარეობდა. ის უფრო საქართველოს იმ ნაწილში იყო გავრცელებული, სადაც საბატონყმო პირობები მეტი სიმძიმით გამოირჩეოდა. ამ მხრივ პირველ ადგილზე დასავლეთი საქართველო იყო, მეორეზე — ქართლი და მესამეზე — კახეთი[5]. „იმიტომაც იყო, რომ აურილ-გაქცეულნი დასავლეთ საქართველოდან ქართლ-კახეთში მოედინებოდნენ და არა პირუკუ. ქართლიდან კიდევ კახეთში გარბოდნენ. პირუკუ პროცესი იშვიათი იყო"[6].

ჩვენ, ცხადია, არა გვაქვს ამ პროცესის საჭირო სისრულით ამსახველი სათანადო სტატისტიკური მონაცემები და ამიტომ იძულებული ვართ საბუთებში დამოწმებული აურა-გაქცევის ცალკეული შემთხვევების დასახელებით დავკმაყოფილდეთ. ამ გზით მიღებული

---

[2] იქვე, გვ. 400—401.
[3] იქვე, გვ. 400.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 400—401.
[6] იქვე, გვ. 401.

სურათი, რა თქმა უნდა, სრული ვერ იქნება, მაგრამ ის მაინც შეგვიქმნის ერთგვარ წარმოდგენას კლასობრივი ბრძოლის ხსენებული ფორმის მასშტაბის, მისი გავრცელების შესახებ. შემონახული საბუთებიდან მკაფიოდ ჩანს, სოფლის მშრომელი მოსახლეობის ძლიერი ამოძრავება განსახილველი ხანის საქართველოში. ბატონის მიერ შეწუხებული უშუალო მწარმოებელი გარბის ათვისებული ადგილიდან, გარბის ერთჯერ, ორჯერ, მეტჯერ; მას არ აშინებს დაბრკოლებათა გადალახვის სირთულე; მას არც აწყობილი მეურნეობის მოშლა-განადგურების მძიმე პერსპექტივა აკავებს და გაბედულად იბრძვის სრული თავისუფლებისათვის ან, უარეს შემთხვევაში, შრომისა და ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობების მოპოვებისათვის. აყრა-გაქცევის სიხშირით შეშფოთებული ფეოდალური კლასი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკუთარი ძალებით თუ ხელისუფლების დახმარებით ყველაფერს აკეთებს ამ მოძრაობის შესაჩერებლად, მაგრამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ აღწევს, რადგანაც ყმური მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას მაინც ვერ ახერხებს. სწორედ ამან განაპირობა მებატონეთა განუწყვეტელი ჩივილი მეფესთან გლეხების „უწესო“ საქციელის შესახებ და მეფის ენერგიული ჩარევა კონფლიქტში რთული შედეგების თავიდან ასაცილებლად.

აყრა-გაქცევა თავისი მასშტაბით ერთნაირი არ იყო. გაცილებით უფრო ხშირად გლეხები ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე გარბოდნენ. ერთი — ორი ოჯახის აყრა ბევრად უფრო გახშირებული იყო, ვიდრე კოლექტიური. ერთპიროვნული გაქცევის ფაქტები დამოწმებულია, მაგალითად, 1709, 1710, 1703—1722, 1728, 1736, 1732—1745, 1746, 1749, 1750, 1752, 1753. 1754, 1768, 1771, 1773, 1780, 1781, 1790, 1794, 1795, 1796, 1799 და სხვა წლების საბუთებში[7]. არ ვჩერდებით რა კონკრეტულად

---

[7] მასალები 1707, 1709, 1710, 1703—1722, 1728, 1736 წლების შესახებ. იხ. ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები“, ტ. I, საბუთები (შესაბამისად) 183, 192, 533, 526, 320, 663; 1732 — 1745, 1746, 1749, 1750, 1752, 1771, 1780, 1781, 1790 წლების—ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II. საბუთები 25, 463, 481, 64, 121, 169, 185; 289; 1732—1748 წლების—ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დას. საქართველოში, საბუთი 4; 1753, 1754, 1768 წლების-სმახი. ფონდი Qd. საბ. 9027. Hd, ს. 513, საბ. 10661. 1790, 1794 წლების—Д. Пурцеладзе, ГЦГ, გვ. 45; 1773, 1799 წლების—სსცია, ფონდი 1449, საბ. 1433, ფონდი 1450, დავთარი 15, საბ. 105, 1795 წლის; ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძვ., III, საბ. 376.

ერთპიროვნული გაქცევის ცალკეულ შემთხვევებზე, აღვნიშნავთ, რომ აყრილი გლეხები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მათი უკან დაბრუნების ყოველგვარ ცდას. ამ წინააღმდეგობის ილუსტრაციას წარმოადგენს, კერძოდ, ყმების ბერი გელდიაშვილის (1707 წ.), ივანე გიორგაძის შვილის (1768 წ.), თამაზ აბულაძისა (1768 წ.) და გოგია ეკლესიურის (1799 წ.) მოქმედება. პირველი მათგანი, როგორც საბუთიდან ჩანს[8], სოფ. მოხისს სახლებულა. მისი განცხადების თანახმად, ბატონი არ ჰყოლია, მაგრამ ვიღაცეებს ეროუნდომებიათ მისი დაყმავება. გელდიაშვილს თავი არ დაუდვია, აყრილა, რუისს ჩასულა და მემამულე იასე კლიმიაშვილის მეზვრედ დამდგარა. გაქცეულის ადგილ-სამყოფელი დაუდგენია არდაშელ ზუმბულიძეს, რომელიც, ჩანს, თავის საკუთრებად თვლიდა მას. მისი თხოვნით საქმეში მეფე ვახტანგ VI და კათალიკოსი დომენტი ჩარეულან, გლეხის აყრა და პრეტენდენტისთვის დაბრუნება უბრძანებიათ. გელდიაშვილი უსიტყვოდ არც ამ ხელისუფალთა განკარგულებას დამორჩილებია: ხლებია ზუმბულიძეს, ნუ „ამყრიო“ უთხოვია, „ბატონყმობის რიგის“ მიხედვით სამსახურს შეჰპირებია და ამის თავდებად იასე კლიმიაშვილი დაუყენებია. ზუმბულიძეს ეს პირობა მიუღია და კონფლიქტი ამით დამთავრებულა. ამრიგად, გელდიაშვილი უკან არ დაბრუნებულა, ახალ ადგილას დარჩენილა, თუმცა ამისთვის საკმაო მსხვერპლის გაღება დასჭირვებია.

ნაკლები სიმტკიცე არც თამაზ აბულაძეს გამოუჩენია (1768 წ.)[9]. იგი ჯავახეთიდან გამოქცეულა და ზაზა თარხნიშვილს მისვლია. უცანასკნელის ყმობაში რამდენიმე წელი გაუტარებია. მოგვიანებით, აყრილ გლეხს ვინმე მირონტაძე წამოსდავებია, „ჩემი სახლის კაცი არისო“ — უთქვამს. მიმტაცებელს თავისი გაუტანია, აბულაძე დაუსაკუთრებია და ს. ქვენატკოცას დაუსახლებია. რამდენიმე წლის შემდეგ აბულაძე ისევ გაქცეულა და ბეჟან ბადრიაშვილს მიჰყედლებია. საბოლოოდ იგი და მისი შთამომავლობა სამართალს თარხნიშვილის კუთვნილებად უცნია და მისთვის დაუბრუნებია. ამ მაგალითში, როგორც ვხედავთ, გლეხის ორჯერ გაქცევის ფაქტია დადასტურებული, რაც თავისთავად ბრძოლის სიმწვავის მაჩვენებელია.

---

[8] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. I, გვ. 133, საბ. 183.

ფრჩხილებში ნაჩვენებია იმ საბუთების შედგენის წლები, რომელთა მიხედვით გადმოცემულია დასახელებული მოვლენების დეტალები.

[9] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 70, საბ. 106.

იგივე ითქმის ივანე გორგაძის შვილის (სახელი არ ჩანს) შესახებაც[10]. იგი მშობლებთან ერთად ჯავახეთიდან გამოქცეულა თავის ბატონს და სოფ. მეტეხში დასახლებულა. ცოტა ხნის შემდეგ მას მემამულე ჯავახიშვილი წამოსჭიდებია, „ჩემი ყმა ხარო“ — განუცხადებია. გიორგაძეს წინააღმდეგობა გაუწევია, აყრილა და მუხრანს გადაკარგულა. მერე, საბუთის თანახმად, ექვსი წელი ტყვეობაში გაუტარებია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სოფ. ჩალაუბანს დამკვიდრებულა. ჯავახიშვილს მისი კვალისთვის მიუგნია, ყმობა და უკან დაბრუნება მოუთხოვია. გამწარებულ გლეხს მტკიცე უარი უთქვამს, ერეკლე II-ისთვის მიუმართავს (1768 წ.) და სამართალი უთხოვია. საბუთიდან, სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ რით დამთავრდა ეს საქმე, მაგრამ ამას განსახილველი საკითხის გასარკვევად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

დასასრულ, იმავე ხასიათისაა ეპიზოდი, დამოწმებული გოგია და ანდრია ეკლესიურების წერილში (1799 წ.). იქ ნათქვამია, რომ ისინი „მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს“ გაექცნენ ვინმე დავით ელიოზიძის ყმობას, თუმცა წარუმატებლად, რადგან საბოლოოდ იძულებული გახდნენ დაეთმოთ[11].

გლეხები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გაურბოდნენ ფეოდალურ-ბატონყმურ ჩაგვრას არა მარტო ცალ-ცალკე, არამედ კოლექტიურადაც, ხშირად მთელი სოფელი იყრებოდა. სოფლის მშრომელი მოსახლეობის ერთობლივ ბრძოლას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა. ის ბევრად უფრო საშიში იყო მაშინ არსებული სოციალური ურთიერთობისათვის, ვიდრე ცალკეულ გლეხთა ოჯახების გახიზვნა. ამიტომ პრივილეგირებული წოდება და სახელმწიფო ხელისუფლება, ბუნებრივია, ენერგიულად იბრძოდნენ ამ მოვლენის წინააღმდეგ და ყველაფერს აკეთებდნენ მის ამოსაძირკვავად. მაგრამ, როგორც ეს ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ჩანს, მიზანი მიუღწეველი დარჩენილა — ექსპლოატირებული მასის კოლექტიური აყრა არ შეწყვეტილა მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში. აი ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი.

---

[10] ს ს ც ი ა. ფონდი 1448. საბ. 444.

[11] „ახლა, — ვკითხულობთ საბუთში, — ამ წერილის მორთმეეით ჩვენი თავი ისევ ასე მოგვიცია ყმათ, რომ დღეის იქით როგორც ბატონყმობის კანონი არის, იმ რიგად თავდადებით ერთგულათ... გვმსახურეთ შენცა (ე. ი. დავით ელიოზიძეს, ი. ა.), და შენსა შთამამავალ საცა“ (სსცია, ფონდი 1449, საბ. 2443).

ერთ საბუთში, რომელიც ისაყ-ფაშას ბრძანებას წარმოადგენს და ამიტომ მის გამოცემელს ექ. თაყაიშვილს 1732—1735 წლებით აქვს დათარიღებული, ლაპარაკია მამუკა მუხრან-ბატონის აზნაურის რატიშვილის კუთვნილი სოფლის ხანდაკის დაცარიელების, მისი მოსახლეობის აყრის შესახებ[12]. ეტყობა, ხანდაკი გამონაკლისი არ ყოფილა. საბუთში პირდაპირაა ნათქვამი რატისშვილის სხვა სოფლების მკვიდრთა დაფანტვა-გადაკარგვის შესახებ[13]. ამ გარეგნობებით შეშფოთებულმა ისაყ-ფაშამ უბრძანა დაზარალებულს: „მოაგროვე ყველა გაქცეული გლეხი და „სადაც შენ გინდოდეს, იქ დააყენე"[14].

მშვიდად არც ალია კორანოშაძის ყმები ყოფილან. ისინი, საბუთის სიტყვით, „დაფანტულან და სხვათა ადგილსა დასახლებულან"[15], ერეკლე მეორემ ბრძანა: „თვითეულად შეიკრიბოს" ყველა გაქცეული გლეხი და „მიეცეს დაუბრკოლებლივ ზემოხსენებულ ალიას"[16].

1758 წლის 6 ნოემბრით დათარიღებულ თეიმურაზ II-ის განჩინებაში ზაალ ყაფლანიშვილისა და დავით ამილახორიშვილის საქმეზე დადასტურებულია სოფლების ლორესა და დმანისის დაცარიელების, მათი გლეხური მოსახლეობის მთლიანად აყრა-გაქცევის ფაქტი[17]. ჩსგავსი ფაქტია დამოწმებული მდივანბეგების 1771 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებაში ბეჟან საიკაძის ობლისა და სარდალ-სახლთუხუცეს დავით ორბელიანის დავის გამო. იქ ლაპარაკია „ავი დროის მიზეზით" საკარისის დაცარიელებისა და „ამ სოფლის გლეხების" დაფანტვის შესახებ[18]. ანალოგიური მოვლენაა დადასტურებული ერეკლე II-ის 1784 წლის ერთ ბრძანებაში. ჩანს, მანგლისის ეკლესიის ყმებს დაუტოვებიათ თავიანთი ადგილ-სამყოფელი, გაქცეულან, ქართლში გადახვეწილან და იქ, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას, დასახლებულან[19]. მეფემ ამ გლეხების

---

[12] ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ს ს, ტომი III, საბ. 441.

[13] საბუთში ვკითხულობთ: „აზნაურშვილის რატისშვილის სოფელი ხანდაკი და, ს ხ ვ ა ს ო ფ ე ლ ი აყრილია" (ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III საბ. 441).

[14] ი ქ ვ ე.

[15] ი ქ ვ ე. საბ. 364.

[16] ი ქ ვ ე.

[17] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 55. საბ. 80 (საბუთში ნათქვამია: „დმანისი რომ აიყარა", „ლორელები რომ ბიძაჩემს მოუვიდნენ" და სხვ.).

[18] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. II, გვ. 75. საბ. .116.

[19] ГЦГ, გვ. 12.

სასწრაფოდ უკან დაბრუნება ბრძანა[20]. დასასრულ, ძალიან ამოძრავებული ჩანან ქვემო ქართლის გლეხები XVIII ს. მიწურულს „ჩემო ხელმწიფევ, მთელი სომხით — საბარათაშვილოს თავადისაც და აზნაურშვილისაც ყმა სულ დაფანტული გახლავსთ", — მოახსენებდა ამით შეშფოთებული დათუა გოსტაშაბიშვილი ერეკლე II-ს 1797 წლის 7 დეკემბერს და დახმარებას სთხოვდა[21].

ზემოთ მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, საკმარისია[22] იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ კლასობრივი ბრძოლის ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ფორმის მასშტაბი და ხასიათი. ამ მასალიდან ჩანს, რომ გლეხთა აყრა-გაქცევა, რომელიც მთელ ფეოდალურ ხანაში მიმდინარეობდა, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, ამ საუკუნის მეორე ნახევარში გახშირებულა.

ხელისუფლება, ცხადია, დამშვიდებული არ უყურებდა ამ საშიშ მოვლენას და სათანადო ზომებს ღებულობდა მის აღმოსაფხვრელად [23]. გარდა იმისა, რომ იგი აყრა-გაქცევის ყველა შემთხვევას ფიცხლად ეხმაურებოდა და საკითხს, როგორც წესი, მებატონეთა სასარგებლოდ წყვეტდა, პროფილაქტიკური ხასიათის საერთო ღონისძიებებსაც ახორციელებდა. ასეთების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად ერეკლე II-ის ბრძანება, რომელიც გლეხების გაქცევისათვის პასუხისმგებლობას ბატონს აკისრებდა. „თუ რომ თქვენი მამულიდან, — ნათქვამია იქ, — მემკვიდრე კაცი აიყარა და წავიდა სადმე, ერთი კაციც რომ აიყაროს, იცოდეთ, დიაღ ავად მოგეპყრობით და გარდაგახდევინებთ"[24].

ამ ბრძანებამ, რომელიც სოფლის მშრომელი მოსახლეობის მასობრივი აყრა-გაქცევის ფაქტის მკაფიო დამადასტურებელია, თუმცა საგონებელში ჩააგდო პრივილეგიური წოდება, ბოლო მაინც

---

[20] ГЦГ, გვ. 12.

[21] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 191, საბ. 310.

[22] გლეხთა კოლექტიური (ერთ კომლზე მეტი) გაქცევის შესახებ იხ. აგრეთვე ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 91, საბ. 142; სსცია, ფონდი 1448, საბ. 2996, ფონდი 1449, საბ. 2607, ფონდი 1450, დაეთარი 11, საბ. 23, და სხვ. გლეხთა აყრა-გაქცევის შესახებ საერთოდ იხ. აგრეთვე იესე ბარათაშვილის მოგონებები, გვ. 20.

[23] იქ: თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, III, საბ. 364, 441, 442; ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები", II, გვ. 129, საბ. 201, 202, ГЦГ, გვ. 45, 93; სმახი, ფონდი Hd, საბ. 513 და სხვ.

[24] ბრძანების ტექსტი მომაქვს ნ. ბერძენიშვილის წიგნიდან „საქართველოს ისტორიის საკითხები", VI, გვ. 408.

ვერ მოუღო გლეხთა მოძრაობას, რადგან მისი ძირითადი მიზეზი— სოციალური ჩაგვრა — უცვლელი რჩებოდა.

* * *

არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, თითქოს, ბატონისგან შეწუხებული ყველა გლეხი გარბოდა. ბევრი სხვადასხვა მიზეზით ადგილზე რჩებოდა და ისე განაგრძობდა ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ. უსამართლობა კი ყველაზე მეტად საგადასახადო საქმე ში იგრძნობოდა. საზღვარს გადასული პრივილეგიური წოდება, არც არსებული გადასახადების გადიდებას ერიდებოდა, არც უდების დადებას, არც ერთხელ აღებულის ხელმეორედ აღებას თაკილობდა და არც აზატის დაბეგვრას. ეს კი მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მწარმოებელ კლასს და იწვევდა მის ენერგიულ პროტესტს მემამულეთა თვითნებობის წინააღმდეგ. სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლას ამ მიმართულებით, ცხადია, ადრეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ის არასოდეს არ ყოფილა ისე მასობრივი, როგორც XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის მეორე ნახევარში. ჩვენ მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით შესწავლილი საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ხსენებული საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის.

გლეხების პროტესტი უსამართლო დაბეგვრის წინააღმდეგ ხან თხოვნა-მუდარაში იხატებოდა, ხან პირდაპირ უარში, მუქარაში, ზოგჯერ კი შიშველ ძალას მიმართავდნენ, მაგრამ მიზანი ყველა შემთხვევაში ერთი იყო — შეღავათის მიღება, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება.

ასეთი შეღავათის მიღება გადაუწყვეტიათ, მაგალითად, ბოლნისის ეკლესიის ყმებს; ჩანს, მათ უარი უთქვამთ დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაზე, რასაც კათალიკოს ანტონის 1749 წლის მკაცრი ბრძანება მოჰყოლია შედეგად. იგი ავალდებულებდა ხსენებული ეკლესიის ყველა გლეხს სისტემატურად და წესიერად ეხადა ბოლნელი არქიეპისკოპოსისთვის მისი კუთვნილი გადასახადები[25]. იგივე გაუკეთებიათ მოგვიანებით ლუარსაბ ონანაშვილის ყმებს, ამისულაშვილებს. „ჩემი ყმები ამისულაშვილები, — ნათქვამია მათ 1773 წლის არზაში ერეკლე II-ისადმი, — სამოყალნეოს საქმეში აღარას დამდევენ და ღალასაც არ მაძლევენ, არც

[25] Пурцеладзе, ГЦГ, გვ. 35.

მიხვნენ, არც მილეწენ, არც კომდის პურს მაძლევენ, არც კულუხს. თუ ვთხოვ რასმე — ასე მეტყვიან: არა გვაძევს[26] რაო, ოღიანიშვილმა გაგვაზატაო"[27].

ასეთივე უარი უთქვამთ გადასახადის გადახდაზე ალავერდის ეკლესიის გლეხებს — ვარდისუბნელებს (1774 წ.)[28], ურბნისის ეკლესიის ყმებს (1776 წ.)[29], მაყაშვილის ყმებს — გიორგიწმინდელებს (1790 წ.)[30], ყარანგოზაშვილის ყმებს (1791 წ.)[31], როსტომ ჟურულის ყმებს (1791 წ.),[32] მანუჩარ თუმანიშვილის ყმებს — ვინმე თევდორეს ქვრივსა და მის ობლებს (1795 წ.)[33] და ა. შ.

უფრო ხშირად სოფლის მშრომელი მოსახლეობა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას ან მისგან სრულ განთავისუფლებას თხოვნა-საჩივრების გზით ცდილობდა. ამ ტიპის საბუთებში, მათ უმრავლესობაში, ლაპარაკია მრავალ უსამართლობაზე საგადასახადო საქმეში, მემამულეთა და მოხელეების თვითნებობა-გაუკითხაობაზე, გლეხების მატერიალური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობაზე, მათ უკიდურეს ეკონომიურ მდგომარეობაზე და ა. შ.

თხოვნა-საჩივრის შეტანის გზით უცდიათ შეღავათების მიღება, მაგალითად, ვინმე ლაზარე თედოსესშვილს (1771 წელი)[34], ჯა-

---

[26] ტექსტში შეცდომით სწერია „მაძევს" (ი. ა.).

[27] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 1145.

[28] ი ქ ვ ე, საბ. 599ბ—600.

[29] Д. П у р ц е л а д з е, ГЦГ, გვ. 27.

[30] ს ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ. 1038.

[31] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 161, საბ. 257.

[32] „მერმე, — ნათქვამია როსტომ ჟურულის 1791 წლის 1 ივლისის თხოვნაში იოანე ბატონიშვილისადმი, — ამას მოგახსენებენ ჩემო ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ, რომ ისროლის ხეზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა-პაპის მემკვიდრე, ის ჩემი კაცი აიყარა და წავიდა... იმისის მამულის წყალობა დამემართა თქვენგანა და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, ამას მიაბარეთ ის მამული და უბძანეთ, რომ რაც რომ ერგებოდეს თავისის მამულისა, ამ ჟურულს როსტომ ემსახურეო. ს ა მ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ა რ ი ს, რ ო მ ი ს მ ა მ უ ლ ი მ ე მ ე ბ ო ძ ა დ ა ი ს კ ა ც ი ს ჯ ა მ ს დ ა ჩ ე მ თ ვ ი ს ე რ თ ი ს ფ ე ლ ი ს ა ა რ ა მ ო უ ც ი ა რ ა" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „დოკუმენტები", II, გვ. 188, საბ. 305).

[33] თუ გადასახადს არ მოგვიხსნი, „შვილებსაც დაგიკარგავ და ჩემს თავსაცა" — სწერდნენ ისინი მანუჩარ თუმანიშვილს (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი", დოკუმენტები", II, გვ. 176, საბ. 287).

[34] ს ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ. 681 („მე ხომ ბატონიშვილის მოაღაპე ვარ... ამ აღაპის მეტი არც თქვენი ხარჯი გვდებია და არც... ციციშვილებისა. რაც ხელმწიფისგან წყალობა დაგვემართება, ის უნდა გაგვიწესო" — სწერდა ის ერეკლე II-ს).

ვახიშვილის ყმებს (1774 წ.)[35], წმინდა ესტატეს ყმას ერთაწმინდელ ივანე ხახანაშვილის ქვრივს (1778 წ.)[36], ზაალ ჯავახიშვილის ყმებს — ბიჭიკაშვილებს (1782)[37], წმინდა ესტატეს ყმას თედორე ხახანაშვილს (1784)[38], ყორჩიშვილის ნაყმევს პეტრე კოკოზაშვილს (1788)[39], მეტეხელ გლეხებს (1789)[40], მარლის ყმებს (1789)[41], ვარიანელ ყმებს (1789)[42], ველისციხელ ყმას ვინმე ნიკოლოზს (1789)[43], გორისჯვრის ყმებს ლომაშვილებს (1790)[44], ნაფარეულელ ყმებს (1793)[45]. ქიზიყელ გლეხს პაატა ცისკარაშვილს (1796)[46], დავით აბაშიძის ყმას ქოჩიაშვილს (1798 წ.)[47], ძეგველ გლეხებს (1800 წ.)[48] და სხვებს.

---

[35] ს მ ა ხ ი ფონდი Hd. საბ. 14789.

[36] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. II, გვ. 103, საბ. 161.

[37] ს ც ი ა, ფონდი 1449, საბ. 580.

[38] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. II, გვ. 132, საბ. 207 („შეძლებით დამაწერონო" — თსოვდა ხახანაშვილი ერეკლე მეფეს).

[39] ი ქ ვ ე, გვ. 141, საბ. 225.

[40] „მოკეხსენებათ ჩუენი ცხოვრება — სწერდნენ ისინი ერეკლეს 1789 წლის 26 აპრილს — თუ არ დიდი დაქირება... აქ მართებული კაცი ვინ დადგება... ქოხებში ვყრივართ, დღიურათ ვრჩებით... ახლა ოქმი გიბრძანებია, რომ მეტეხის ციხის კარს ზეით კედელია გადაქცეული, მეტეხელებმა უნდა ააგონო. ჩვენო ხელმწიფე (ტექსტში წერია „ჩემო" — ი. ა.) იმას ორმოც — სამოცი თუმანი ვერ ააგებს და ჩუენც სულ დავიყიდნენთ, ორმოც თუმანს არავინ მოგვცემს, წყალში თუ ჩავცვინდებით, თორემ ამის შეძლება ვისა გვაქუს" (ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III. გვ. 50, საბ. 65).

[41] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 447.

[42] ი ქ ვ ე, საბ. 3022.

[43] ი ქ ვ ე, საბ. 3027, („მაგრამ ახლა სიღარიბემ ასე შემაწუხა, რომ დარჩენაც გამჭირვებია" — სწერდა იგი ერეკლეს).

[44] ი ქ ვ ე, საბ. 3003 („ჩვენ ორნივ უძლურთ ბერიკაცნი ვართ... არაფერი გვაბადია... გეევდრებით თქვენი მლოცველი გვამყოფეთ და ეს სურსათი გვაპატიეთ" — მოახსენებდნენ ისინი ერეკლე II-ს 1790 წელს).

[45] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 3029.

[46] „ქიზიყის მოურავის ყმა გახლავართ — ნათქვამია მის 1796 წლის არზაში ერეკლე II-სადმი,—და იმ ჩემის ბატონიდგან აზატობის წიგნი მაქვს, რომ მე არაფერ ხარჯში არ... გამრიონ. კურთხეული მამა თქვენის, მეფე თეიმურაზის, წყალობის წიგნიცა მაქვს... ახლა არც თქვენგან მაქვს შეღავათი და არც ჩემის ბატონისაგან. წყალობას ვითხოვ, რომ რაც ამ წიგნებით წყალობა მოგიღიათ... დაგვამტკიცოთ და არა გამოგვართოს რა თქვენ სადღეგრძელოთ" (ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 450, საბ. 488).

[47] Д. П у р ц е л а д з е, ГКГ, გვ. 107.

[48] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, II, გვ. 206, საბ. 334.

თხოვნა-საჩივრებში, რომლებსაც ისინი უპირატესად უმაღლეს ხელისუფლებას უდგენდნენ, ყურადღებას ამახვილებდნენ თავიანთ ძძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე და არწმუნებდნენ ადრესატს, რომ საბატონო-სახელმწიფო გადასახადები, მათი სიმრავლე და ამ საქმეში დამკვიდრებული თვითნებობა-გაუკითხაობა სრული განადგურებით ემუქრება მათ მეურნეობას, დიდ საფრთხეს უქმნის მათ ისედაც არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობას. „ღმერთმან, — ნათქვამია ჯავახიშვილის ყმების არზაში ერეკლე II-ისადმი (1774 წ.) — ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობ საჯავახიანოს კაცთ ჯავახიშვილის ყმებს... თუ ხელმწიფე არას გვიშველის ეს არის დაკარგვის გზაზედა ვდგევართ. ღმერთმან განგაძლიეროსთ, ხელმწიფე ბრძანდებით, რაც თქვენს ყმას თქვენი სამსახური აძევსთ, მეტობით არ იმსახურებთ, ისრე კიდევ რაც თავადისშვილს და აზნაურშვილს ყმა ჰყავს რაც ძველთაგან არ აძევს სამსახური მ ე ტ ო ბ ი თ ვ ე რ ი მ ს ა ხ ურ ე ბ ე ნ. მაგრამ ჩვენ ჩვენის ბატონისაგან შეწუხება რომელი ერთი მოგახსენოთ. წ ლ ი ს წ ლ ა მ დ ი ნ მ უ დ ა მ დ ღ ე ი ს ი ნ ი გვიმსახურებენ ხარით და კაცით... თვე (ისე) გაივლის, რომ ჩვენ ერთს დღეს ჩვენთვის ვერ ვმუშაობთ. ახლა თითო ძმანი აქ მორიგეთ[49] გახლავართ და ჩვენს ძმას იქ ისინი იმსახურებენ. ამ გზით ან თქვენი სამსახური რით შევძლოთ, ან (ოჯახი როგორ ვარჩინოთ)... ერთი თქვენს წინ გვალაპარაკეთ და ჩვენი შეწუხება“ მოისმინეთ[50].

კიდევ უფრო დამაფიქრებელი და საგანგაშო საჩივრით მიმართეს მეფეს ზაალ ჯავახიშვილის ყმებმა ბიჭიკაშვილებმა (1782 წ.). „ზაალს, — ვკითხულობთ იქ, —რაც ყმა და მამული ჰქონდა, უფროსი ერთი გაყიდა (?) და ჩვენ ეს ერთი კომლი დავრჩომილვართ და აქამდისინი იმ გაყიდულისა... ხარჯსა და ბეგარას ჩვენ გვაწევინებდა... ჯავახიშვილებისაგან მოიკითხეთ... როგორ გვიმსახურნია... აქა იქა თუმნობით, ასთუმნობით ვალი აუღია და ისიც ჩვენთვის შემოუპირებია და ჩვენ მიგვიცია. ამისთანა გამოსაყენებელი ყმანი ვყოფილვართ. ახლა ბეცია თარხნიშვილისათვის ბარათი მიუცია, ამისი ხუთი თუმანი მართებს და თქვენ მიეცითო. ამას გარდა მოგვიხდა, მარნის კარი დაგვიმტვრია, ღვინო ამოგვისხა, ორმოც მოგვიხადა და პური ამოგვიყარა... მოციქულის პირით ამასაც გვითვ-

---

[49] იგულისხმება მორიგე ჯარში სამსახური.
[50] ს მ ა ხ ი, ფონდი Hd, საბ. 14789.

ლის[51], რომ თქვენი აქ ყოფნა და დადგომა არ იქნებაო, გამეცალენითო, სამკვიდრო და ნასყიდი მამული რაც გიჭირავთ, სულ დამიგდეთო... ამისთანა უსამართლო ქართლსა და კახეთში გლეხს კაცს არ დამართვია... სად შეიძლება ერთის გლეხის კაცისაგან, რომ... ...თავადისშვილს... რაც ხარჯი უნდოდეს და ვალი ჰქონდეს..., იმან გადაუხადოს, იმან შეინახოს და ქვეყანასაც, მებატონესაც ემსახუროს... ეს ზემოხსენებები კაის თავადისშვილისაგანაც არ შეიძლება და ჩუენ როგორ შევიძლებთ? ოთხი ძმანი აქ გახლავართ, თუ ერთი გზა არ მოგვეცა, ჩუენ ისე მისვლა (ალბათ ბატონთან — ი. ა.) არ შეგვიძლია. ასე რიგად ატეხილა, რომ ღვთისა და თქვენს საწყენოს... მოგვაყენებს. რომ აყრას გვიპირებს[52]... რა დანაშაული გვაქვს და (ეს) რა (ჩვენი) სამსახურის წყალობა არის? სისხლი დაგვიღვრია, შიგ დავხოცილვართ, რა შაწუხებით თითო ოროლა შაური ჩვენის ცხოვრებისათვის მოგვიკლია, მამული გვიყიდნია (და ახლა გვეუბნება[53]) ნასყიდიც მე დამიგდევითო. ეს არავის დამართებია. ამ წყალობას ვითხოვთ, თუ არ გაგვიჭირებს, როგორც ბატონყმობის რიგია და შეგვიძლიან ვემსახურებით, თუ... ჩვენი თავი აღარ უნდა, (ჩვენ) მამულის ყმა გახლავართ, იმან თავისი სამკვიდრო მამულზედ აღვაგებინოს ხელი და ნასყიდ მამულზედ დავრჩებით[54], ქვეყანასა და თქვენს სიმაღლეს ვემსახურებით და საქრისტიანოდგან არ დავიკარგებით... რასაც თქვენი სიმაღლე ინებებს და შაგვაძლებინებს წელიწადში გარდაკვეთით — იმას ვემსახურებით. სხვა რიგათ უსამართლოდ (ნუ) გვაფუჭებს, დაგვეხსნას... წყალობას ვითხოვთ, რომ სამართლიანი საქმით ამ კაცისაგან გამოგვიხსნათ"[55].

პრივილეგიური წოდება, ცხადია, ვერ ურიგდებოდა ხელქვეითების მხრივ ყმური სამსახურისათვის თავის არიდების ვერც ერთ შემთხვევას და ყველაფერს აკეთებდა მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად. იგი ურჩ გლეხებს სცემდა[56], იჭერდა, ბორკი-

---

[51] ტექსტში ეს არ იკითხება, აზრით უნდა იყოს „გვითვლის".

[52] ტექსტში თითქოს წერია „გვაკეთინებს". აზრით უნდა იყოს „გვიპირებს".

[53] ამ სიტყვების მაგივრად ტექსტში წერია: „იმასაც გვაკეთინებს, რომ".

[54] ტექსტში წერია „გახდებით", აზრით უნდა იყოს „დავრჩებით".

[55] ს ს ს ი ა, ფონდი 1449, საბ. 665.

[56] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. II, გვ. 53, საბ. 77; გვ. 89, საბ. 138; გვ. 128, საბ. 199.

ლებს უყრიდა"[57], მოძრავ და უძრავ ქონებას ართმევდა[58], მათ ცოლებსა და ქალიშვილებს ნამუს ხდიდა[59], არაიშვიათად ფიზიკურადაც სპობდა[60] და ა. შ. მაგალითად, 1774 წლის 24 ნოემბერს ყმა ბერძენა ჭოჭყიანშვილი ერეკლე მეფეს მოახსენებდა: იოსებ გლურჯიძემ „ბევრი უსამართლობა მოიღო და ცოლიც გამილახა. მიველ იმის სახლშია და შევჩივლე, რას დანაშაულზე გამილახე ცოლიო. იმის მიზეზით, რომ სახლში შემამიხელო, სულ ამიკლო, თოფი და იარაღი, ხარი და კანბეჩი, პური და ღვინო და ბზე კარში გამომიგდო, სულ წამართვა; ჩემის აშენებულის სახლიდამც კარში გამიყარა ცოლი და შვილი, სანამ მივეპატრონებოდე, ან სიცივე დამიხოცს, ან ლეკები წამისხამენ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის სამართალი მაღირსეთ"[61].

ასეთივე საჩივრით მიმართა მეფეს გიორგი პანპალაშვილმა 1776 წლის 4 მარტს. „მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენ მოწყალეს ხელმწიფეს, რომე ამისთანა უსამართლობა არა კაცს დამართებია, რომე ჩვენ დაგვემართა. ამით სამჯერ აკლებული ვართ, ერთხელ დავით ერისთავმა ამიკლო და ახლა როტსომ ამიკლო; თუ ეული ვართ, თქვენი ყმა უნდა ვიყოთ და თუ ბატონი გვყავს, რომელს კაცს დამართებია ეს უსამართლობა? ცხრამეტი სული ხიზანი გახლავართ... უღელი ხარი და ერთი ძროხა გვყავდა, უღელი ხარიც და ის ძროხა (წაგვართვეს). ქორწილი მქონდა და იასაულები შემომიცვინდნენ, ნეფე-დედოფალი ძირს ჩამოყარეს, ერთი თოფი..., ორი ხანჯალი, ერთი სახნისი, რაც სახლის ავეჯულობა იყო, სულ წმინდათ წამოიღეს... ჩემო ხელმწიფე სამართალი გვაღირსეთ"[62].

ხაგანგაშო იყო ყმა თამაზ ქურცაძის ერეკლე მეფისთვის მირთმეული თხოვნა-საჩივარიც (1779 წ.). „შინდიშს თავყელიშვილის კედლად ხიზნად გახლავარ, — ვკითხულობთ იქ, — რაც შეძლება მაქვს ბატონს ჩემსაც ვემსახურები და თავყელისშვილსაც. ახლა თავყელიშვილი სახლში შემომესია, გამლახა, ერთი ხარი და ერთი

---

[57] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 53, საბ. 77.

[58] იქვე, გვ. 53, საბ. 77; გვ. 89, საბ. 138; გვ. 93, საბ. 144, გვ. 128, საბ. 199, გვ. 141, საბ. 224.

[59] Д. Пурцеладзе, ГКГ, გვ. 38—39 (Абел Андроникашвили «взял (у меня) двух дочерей моих к себе в служанки; одна из них обесчещена и беременна» — სწერდა 1782 წელს გლეხი სპ. პეტრიაშვილი ერეკლე II-ს).

[60] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, Iტ. I, გვ. 233, საბ. 320.

[61] იქვე, II, გვ. 89, საბ. 138.

[62] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 93, საბ. 144.

ხბოიანი ფური წამართო, არ ვიცი რა დანაშაული მაქვს. ვგონებ ეს განიზრახა: ეს ხომ თავის ალაგს ფრცაა წაკაო და მე აღარას შემსახურებაო და ამისთუის ამიკლო"[63].

ხელისუფლება (კერძოდ ერეკლე II) ფხიზლად იდგა ფეოდალური კლასის ინტერესების სადარაჯოზე და გლეხთა ურჩობისა და გადასახადებისათვის თავის არიდების არც ერთ შემთხვევას დასჯა-გაფრთხილების გარეშე არ ტოვებდა. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ არჩილის (იგივე აბდულა-ბეგის) ბრძანება თარხნის აზნაურიშვილებისა და გლეხებისადმი (1736—1737 წწ.), რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი ბრძანება არის: ვინცავინ თარხნის აზნაურიშვილი..., მსახური..., გლეხი კაცი..., ხართ, მერმე თქვენი თავი თარხნიშვილს დავითისათვის და იორამისათვის გვიბოძებია და ყველანი ამათ ამოუდექით და მსახურეთ. რაც ჩვენი საბსახური მოვიდოდეს, ყველას ამათ გაუგონებდეთ. რაც კაცი არ მოუდგებით და არ მსახურებთ, იცოდეთ დიდად გიწყენთ და გარდაგახდევინებთ"[64].

გლეხთა ურჩობის შემთხვევებისადმი სრულ შეურიგებლობას იჩენდა ერეკლე მეორეც. მაგალითად, მან 1775 წელს პორტაიტის მონასტრისათვის გადასახადის გადახდაზე უარის მთქმელი გლეხების შესახებ ქიზიყის მოურავს დაავალა: «Принять на себя лично обязанность есаула в отношении ослушников, и по указанию монаха, высечь тех из них, кого он желаст, чтобы были арестованы; надень кандалы на тех, на кого он хочет, чтобы они были надеты: разори того, кого он хочет, чтобы был разорен; отними скот и имущество у того, у кого он хочет, чтобы все это было отнято. Очень строго поступай с ослушаниками и приведи их в полное послушание и покорность»[65].

გლეხთა ურჩობისადმი ასეთივე შეურიგებლობის სულითაა გაჟღენთილი ერეკლე II-ის სხვა არაერთი ბრძანება, განკარგულება, წერილი. მაგალითისათვის მოგვაქვს 1791 წლის წერილი ნეკრესელი ეპისკოპოსისადმი, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ რუსულ ენაზე. «Жители Ахмети не повинуются енисельским моуравианам (Джорджадзе), не работают на них и вообще не служат им. Когда получите сие наше письмо, пригласите к себе жителей Ахмети и моуравиани и примирите их. Как

---

[63] ი ქ ვ ე, გვ. 107, სბ. 167.
[64] ი ქ ვ ე, გვ. 28, სბ. 40.
[65] Д. Пурцеладзе, ГКГ, გვ. 27.

нами приказано, так заставьте жителей повиноваться и служить своим господам; если не послушают вас, то побраните и заставьте их исполнить наше приказание»[66].

პრივილეგიური წოდებისა და ხელისუფლების ასეთი სიმკაცრის მიუხედავად, გლეხობა ბრძოლას მაინც არ სწყვეტდა და ზოგჯერ სრულ ან ნაწილობრივ წარმატებასაც აღწევდა. კლასობრივი ბრძოლის მოსალოდნელი გამწვავება, სახელმწიფოს ფინანსური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აიძულებდნენ ქვეყნის მესვეურებს „დაეცვათ“ გლეხი გადასახადებით გადატვირთვისაგან და საერთოდ მებატონეთა თვითნებობა-გაუკითხაობისაგან. ასეთი „დაცვის“ ტენდენცია და მის შედეგად გლეხების გამარჯვება ჩანს, მაგალითად, თეიმურაზ II-ის 1750 წლის 13 აგვისტოს ბრძანებაში ჯავახიშვილების ყმათა გამოსაღებების შესახებ. „ჩვენი ბრძანება არის, — ნათქვამია იქ, — ვინც დღეის იქით ჩვენის კარიდამე საჯავახიანოს ჩვენი მოსაქმე მოხვიდეთ, მერმე როგორც ჩვენს სახლთ-უხუცეს კონსტანტინეს და მდივანბეგს იოვანეს გაერიგებინოს ჯავახიშვილების ყმების გამოსაღები, როგორც ამათს განაჩენში ეწეროს, ისე გამოართმევდე, მეტ-ნაკლები არ გამოართვათ, თორემ მწვავედ გიწყენთ იცოდეთ“[67].

წარმატებით დასრულებულა სარჩელი გლეხ პეტრე კოკაზაშვილისა, რომელიც 1788 წლის 14 იანვარს ერეკლე II-ისადმი მირთმეულ თხოვნა-საჩივარში სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას ითხოვდა. მოტივად უმამულობას ასახელებდა[68]. მეფემ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. „ჩვენი ბრძანება არის, — სწერდა ის იასაულს, — ამ კაცსა ნურასა სთხოვ, დაეხსენ. უმამულოდ გასყიდულა და უცოლშვილო ტლუ კაცია, ამის ხარჯში (გარევა) და მორიგეში გამოყენა არ იქნება. ამის მაგიერი ხარჯი ვისაც ამის მამული დარჩომია[69], იმას უნდა გამოერთოს“[70].

---

[66] იქვე, გვ. 53.

[67] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. I, გვ. 423, სად. 594.

[68] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, გვ. 141, სად. 225.

[69] „ჩემი მამული ბატონს ჩემს ყორჩიშვილს დარჩა და მე ვინც მიყიდა იმას ვმსახურებ“ — წერს კოკოზაშვილი (ნ. ბერძენიშვილი „დოკუმენტები“, II, გვ. 141, სად. 225.

[70] იქვე, გვ. 141—142, სად. 225.

ასევე წარმატებით დამთავრებულა შეჯვრისხეველ თამაზას თხოვნა, რომელსაც ბატონიშვილ იულონისათვის შეუჩივლია, რომ ნასყიდ მიწაზე უკანონოდ ღალა და კულუხი შეაწერეს[71]. იულონმა თხოვნა შეიწყნარა და სათანადო განკარგულება გასცა. „ამ არზის პატრონი, — ბრძანა მან, — რომ ასე ჩივის, რაც დავთარში არ ედვის, იმის მეტს ნურას გამოართმევთ; რაც მამული უპირავს, რაც დებულება ჰქონია, ის უნდა გამოართვათ. რაც დავთარში არ ეწეროს, იმას ნუ მოსთხოვთ“[72].

გამარჯვებისთვის მიულწევიათ ძეგველ გლეხებსაც, რომელთაც 1800 წლის 2 მაისს კათალიკოს ანტონ II-ისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება უთხოვიათ უკიდურესი სიღარიბის გამო. ეი თხოვნის მიმღების ფრიად საინტერესო მითითებაც: „ვინცა ვინ და ყოველნი მოსაქმენი მოხვიდეთ, ამ ძეგველებს ნურაზე შეაწუხებთ ხოლმე და ყოვლითურთ ხელაღებულნი უნდა იყვნენ ამათზედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგანან, შუა შარაზედ, და ესენი შცველნი არიან და არც ამათი ჯარში წასვლა იქნება, მისთვის რომ სოფელი უკაცურად დარჩება, ერთი, განსაცდელი შე(ე)მთხვევათ, ეკლესიასაც დააკლდება და ქვეყანასაც. ნურცავინ გამლელ-გამომვლელი შეაწუხებთ... თუ დაიჯერებთ ამ წერილისა, კარგი და პატიოსანი, თუ არა ღმერთსაც თქვენ გაეცით პასუხი და ეკლესიასაც“[73].

აღნიშნული მიზეზებისათვის დათმობაზე მიდიოდნენ ზოგჯერ არა მარტო ცენტრალური ხელისუფლება და სამეფო გვარეულობის წევრები, არამედ თვით კერძო მებატონეებიც. მაგალითად, მებატონე დავით აბაშიძეს 1798 წელს გადასახადებისაგან გაუთავისუფლებია გლეხი ქოჩაშვილი[74].

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს[75], რომ სოფლის მშრომელი

---

[71] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 644.

[72] ი ქ ვ ე.

[73] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ: 206, საბ. 334.

[74] «Ты просил нас, — ვკითხულობთ დავით აბაშიძის მიერ კოჩაშვილისათვის 1798 წელს მიცემულ სიგელში, — освободить тебя (от податей), мы уважили твою просьбу. И прежде ты никаких оброков нам не платил, и впредь ни я, ни наследники мои, не будут требовать от тебя никаких податей и повинностей, а также не будем делать тебе никаких неправд и беззаконий» (Д. П у р ц е л а д з е, ГКГ, გვ. 107).

[75] მსგავსი მაგალითები იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტომი II, საბ. 138. გვ. 286, საბ. 448. ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 447, 1362, 1829, 3022, 3027, 3029; ს მ ა ხ ი, ფონდი Hd, საბ. 658, 2102; Д. П у р ц е л а д з е, ГКГ, გვ. 38—39.

მოსახლეობის ბრძოლა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის ყოველთვის როდი იყო უპერსპექტივო და განწირული. გლეხები ზ ო გ ჯ ე რ სრულ ან ნაწილობრივ წარმატებას აღწევდნენ და ამით შრომისა და ცხოვრების შედარებით უკეთეს პირობებს იქმნიდნენ. ეს კი საბოლოო ჯამში პროგრესის საქმეს ემსახურებოდა, ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ მოღონიერებას, მის წინსვლა-განვითარებას უწყობდა ხელს.

* * *

სოფლის მშრომელი მოსახლეობა თავის კლასობრივ მტერს მატერიალური ზიანის მიყენებითაც ებრძოდა — ართმევდა მიწებს, იტაცებდა მის პირუტყვს, უნადგურებდა ყანებს, ვენახებს, ბოსტნებს. ასე, მაგალითად, 1728 წელს სოფელ კრწანისის გლეხებს მიუტაცებიათ გივი ამილახვრის კუთვნილი მიწები ქვედა თელეთში და მოუხნავთ[76]. ზუსტად 30 წლის შემდეგ, ე. ი. 1758 წელს, იგივე გაუკეთებიათ საბუელ და გრმელელ გლეხებს. მათ მოუნდომებიათ თავად გურამიშვილების მიწების მისაკუთრება[77]. 1770 წლის ერთი სიბუთის თანახმად, მემამულე ვაჩნაძეებს, ხელქვეითი ყმების მოქმედების შედეგად, არც მთა შერჩენიათ და არც ბარი[78]. მიწების მიტაცების ფაქტია დადასტურებული, აგრეთვე, დარეჯან დედოფლის 1790 წლის 16 იანვრის ბრძანებაში გიორგი სახლთუხუცესისა და ველისციხის მოურავისადმი „მერე ჩვენ ასე გვესმის, — ნათქვამია იქ, — რომ ველისციხის მამულზედ მოსახლე კაცნი ზოგი ვინმე თავის გამიჯნულს მამულზედ სხვას ადგილს უმატებს და ჩვენს შეუტყობლად და უოქმოდ და თქვენს დაუკითხავად სავენახეს ღობენ სადმე და უმატებენ თავიანთ მამულებსა და კალო-საბძელს აკეთებენ“[79].

გლეხები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იტაცებდნენ მემამულეთა პირუტყვს, რაც კარგად ჩანს ვაჩნაძიანთა 1770 წლის 10 იანვრის და ჩოლოყაშვილების 1773 წლის 29 იანვრის თხოვნებში ერეკლე II-ისადმი[80]. რომ ანადგურებდნენ მემამულეთა ყანა-

---

[76] Д. П у р ц е л а д з е, ГКГ, გვ. 113.

[77] ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 349, სად. 364.

[78] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 73, სად. 112.

[79] ი ქ ვ ე, გვ. 269, სად. 421.

[80] „შოვიდნენ ნუკრიანელნი და ჰოტორელნი... ჩალაუბანს სოფლის პირში, — ნათქვამია პირველ მათგანში, — მეღორეც დაიჭირეს ტყვის მგზავსათ, მეღორეც წაი-

ენახებსა და ბოსტნებს, ამაზე მეტყველებს ერეკლე II-ის 1790 წლის ბრძანება სახლთუხუცეს დავით ანდრონიკაშვილისადმი (1790 წ.), რომელშიც ნათქვამია: „ბარნაბისშვილებს ყოვლად სამღვდელოს ბოდბელ მიტროპოლიტის დავითის ბოსტანი წაუხდენიათ და გადაუხვეტიათ"[81].

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და პრივილეგირებული წოდება ენერგიულად ილაშქრებდნენ გლეხების ასეთი მოქმედების წინააღმდეგ[82], ისინი მაინც ხელს არ იღებდნენ ბრძოლის ამ ფორმაზე და არაიშვიათად იყენებდნენ მას. მატერიალური ზიანის მიყენებით სოფლის მშრომელი მოსახლეობა ცდილობდა აეძულებინა ბატონი დათმობაზე წასულიყო და ერთგვარი შეღავათი მიეცა შისთვის.

ყვანეს და ღორიც წაასხეს. მიასხეს სოფელში და ათი ღორი გამოარჩიეს, დახოცეს (ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები", ტ. II, გვ. 73, საბ. 112), მეორე მათგანში კი აღნიშნულია, რომ ფშაველები რამდენიმეჯერ დასხმიან თავს ჩოლოყაშვილების სამფლობელოს, რომლის დროსაც მოუტაცნიათ 300 ხარი, 1200 ცხვარი და 600—900 ფუთი ხორბალი (С. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянское движение..., ИКБЗ, გვ. 185—186).

[81] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 130.

[82] ბოდბელის ბოსტნის აოხრებასთან დაკავშირებით ღარეჯან დედოფალმა შემდეგი განკარგულება მისცა სახლთუხუცეს ენდრონიკაშვილს (1790 წ.): „ახლავ შენ უნდა ბოდბელთან ჩახვიდე, ასისთავი პატარაკაც... დაისწრა, რომელნიც სამღვდელონი ამ საქმეში რეულან, ბოდბელმა თავის გულისმკვრეტელობით.... გარდაახდეციონს... ერისკაცების გარდახდე

* * *

სოფლის მშრომელი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების მიღწევა კი მხოლოდ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობიდან მისი განთავისუფლებით შეიძლებოდა. მიუხედავად დიდი და ძრავალმხრივი დაბრკოლებისა, რომელთანაც დაკავშირებული იყო ამ ურთიერთობიდან თავის დაღწევა, ყმური მოსახლეობის მცირე ნაწილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მაინც ახერხებდა ამას. ვისთვისაც ეს შეუძლებელი იყო, უმთავრესად მატერიალური უსახსრობის გამო, ცდილობდა რაღაც ნაბიჯი მაინც გადაედგა თავისუფლების მოსაპოვებლად. ასეთ ნაბიჯად კი ქართველ გლეხს სახელმწიფო (სამეფო, სახაზინო) უწყებაში გადასვლა ესახებოდა. მართალია, ამ უწყებაში გადასვლა რადიკალურად ვერ სცვლიდა მის მდგომარეობას[83], მაგრამ რამდენადმე მაინც აუმჯობესებდა მას. სახელმწიფო (სამეფო) უწყების კაცს, როგორც წესი, შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდა და უკეთესი მატერიალური უზრუნველყოფაც, სწორედ ამით იყო შეპირობებული XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის ქართველ გლეხთა მოძრაობა კერძო მებატონისაგან თავის დაღწევისა და სამეფოდ გადაქცევისათვის[84].

სათანადო მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნული მოძრაობა, რომელმაც მასობრივი ხასიათი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მიიღო, უფრო ადრეული ხანისთვისაც არ ყოფილა უცხო[85]. კერძოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ანგარიშგასაწევი მასშტაბი მიუღია[86]. ჩვენს ხელთ არსებული მასალები გახაზავენ არა მარტო კერძო მებატონეთა გაძლიერებული ექსპლოატაციით შეწუხებული გლეხების შეუნელებელ სწრაფვას სახელმწიფო

---

[83] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, т. XII, гр. 91.

[84] ივ. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1963, გვ. 125.

[85] ეს აზრი გამოთქვა ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1954 წელს თავის რეცენზიაში ჩვენს ნაშრომზე «Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века» (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, გვ. 315—316).

[86] იხ. მ. დუმბაძე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში, დაბეჭდილი კრებულში „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“ (ცხინ), თბ., 1966, გვ. 386; ო. სოსელია, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში (XIX ს.20-იან წლამდე), მსკი, გვ. 200, 201—202.

უწყებაში გადასასვლელად, არამედ ლაპარაკობენ იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლებსაც მიმართავდნენ ისინი დასახული მიზნის მისაღწევად. მშრომელი მოსახლეობა არც ცრუ მოწმეების დასახელებას ერიდებოდა და არც ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი არგუმენტის წამოყენებას, რათა გასცლოდა მებატონეს და ჩარიცხულიყო სახაზინო უწყებაში.

მაგალითად, 1765 წლის 15 აგვისტოს გიორგი იორამაშვილმა არზა მიართვა ერეკლე II-ს, რომელშიც თხოვდა დაეცვა მოძალადეებისავან და დაეშალა მისი, ვითარცა სამეფო კაცის, ყმად მითვისება. „მ ე წ ი ნ წ ყ ა რ ო ე ლ ი თ ქ ვ ე ნ ი ყ მ ა გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ,— ნათქვამია დასახელებულ არზაში. ავი დროის გულისათვის ქიზიყს ეახლავართ და ახლა ჩერქეზიშვილი შეეჭიდება, ჩემი ყმა ხარო... ბებურისშვილი თამაზ მომდგომია, ჩერქეზიშვილმან შენი თავი მამცაო, მე უნდა მემსახუროვო. ამას წინათაც სიღნა(ღ)ში არზა მოგართვით და მოწმეც გაახლეთ, რ ო მ მ ე თ ქ ვ ე ნ ი ყ მ ა... გ ა ხ ლ დ ი თ დ ა ა ხ ლ ა ა მ ა ს გ ე ხ ვ ე წ ე ბ ი თ ჩ ვ ე ნ ს მ ო წ ყ ა ლ ე ს ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს, რ ო მ მ ო კ ი თ ხ უ ლ ო ბ ა ქ ნ ა თ“[87].

იმავე 1765 წლის 7 ნოემბერს მსგავსი თხოვნით მიმართა მეფეს დიღმელმა გლეხმა პაპუნა ზაზიაშვილმა. „მუსხალაშვილი დათუნა, — შესჩივის იგი ერეკლე II-ს — მედავება ჩემი ყმა ხარო. მ ე მ ა გ ი ს ყ მ ო ბ ი ს ა ა რ ა ვ ი ც ი რ ა, მ ა მ ი ს ა გ ა ნ ა რ შ ე მ ი ტ ყ ვ ი ა, (ა რ ც) ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი ს გ ა ნ დ ა ა რ ც ს ო ფ ლ ი ს ა გ ა ნ (გ ა მ ი გ ი ა), რ ო მ ჩ ვ ე ნ მ ა გ ი ს ი ყ მ ა ვ ყ ო ფ ი ლ ვ ი ყ ო თ, რ ა თ ვ ა ლ ი გ ა მ ი ღ ი ა, მ ა მ ა ს ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა თ ვ ი ს უ მ ს ა უ რ ი ა დ ა დ ღ ე ს ა ქ ა მ დ ი ს მ ე ც ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი ვ ყ ო ფ ი ლ ვ ა რ დ ა ბ ი ძ ა ჩ ე მ ი ც ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ხ ა ბ ა ზ ი ყ ო ფ ი ლ ა. ახლა თქვენის... გასამარჯვებლად და ბატონისშვილების სადღეგრძელოდ ამდენი წყალობა იყოს: დიღრის მამასახლისი და სულ დიღმელები აქ გახლიან და მ ო კ ი თ ხ უ ლ ი ქ ნ ა თ დ ა უ ს ა მ ა რ თ ლ ო ა რ დ ა მ ე მ ა რ თ ო ს, ჩემო მოწყალეო“[88].

ფეოდალმა იოსებ გლურჯიძემ გლეხ ბერძენა ჭოჭყიაშვილს შავი დღე აწია, ერთიანად აიკლო (1774 წ.): ცოლი გაულახა, „თოფი და იარაღი, ხარი და კანბეჩი, პური და ღვინო“ წაართვა, ცოლშვილი სახლიდან გამოუყარა, ღია ცის ქვეშ დატოვა. ყველაფერი ეს

---

[87] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 60.

[88] ს ს ც ი ა, ფ. 1448, საბ. 403.

კი გლურჯიძემ იმიტომ გააკეთა, რომ დაზარალებულმა მისი მებატონური უფლებები არ სცნო და თავი სამეფო ყმად გამოაცხადა. „ჩემი დანაძაული ეს არის: ბიძაშვილებისაგან წიგნი მამივიდა, მეცა ვთქვი, რომ სახელმწიფო ვარ მეთქი“[89], — მოახსენებდა ერეკლეს დარბეული ჭოკუიაშვილი.

მეფის ბრძანებით ჯერ სოფელ ხიდისთავს (ქართლი) მცხოვრები, ხოლო მტრისაგან ამ ადგილის აოხრების შემდეგ, ქართლის სხვადასხვა ადგილას გადასახლებული ექვსი კომლი — ბარალეთელი გლეხი ღვინია, გოგია, გლახა, ბერია, ნასყიდა და ივანე სწერდნენ ერეკლეს (1774 წ.): „საცა ვდგევართ, ყველგან ძალას (გვატანენ)... უსამართლობას გვიშობიან“[90], ყმურ სამსახურს გვთხოვენო, „თქვენი ყმანი გახლავართ“, გვიხსენით მოძალადეებისაგანო[91].

სახელმწიფოს, სამეფო საგვარეულოს კუთვნილებად აცხადებდნენ თავს ის გლეხები, რომელთა თხოვნა, მირთმეული ლეონ ბატონიშვილისადმი 1776 წელს „დიდებაანთ არზის“ სახელწოდებითაა შემონახული. გლეხები კატეგორიულად, უარყოფდნენ კერძო მებატონეთა პრეტენზიებს. „მთა და ბარი, მოხელენი და აზნაურნი, — წერდნენ ისინი, — სულ აქ გახლავან. მ ო კ ი თ ხ უ ლ ი ჰ ქ ე ნ ი თ, თ უ ჩ ვ ე ნ ი მ ა მ ა-პ ა პ ა ნ ი მ ა გ ი ს[92] (კ ე რ ძ ო მ ე-ბ ა ტ ო ნ ი ს — ი. ა.) ყ მ ა ნ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ. მ კ ვ ი დ რ ი თ ქ ვ ე ნ ი ს ა ხ ა ს ო ნ ი გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ.. შენნი ყმანი ვართ... თუ ჩვენი თავი ბატონმა (ე. ი. მეფემ — ი. ა.) უბოძა, ბატონის წიგნი ექნება, თუ ნასყიდნი ვართ, ნასყიდობის წიგნი ექნება და ორივე მოგვართოსთ. თ უ ა რ ა, ჩ ვ ე ნ მ ა გ ი ს ი ყ მ ა ნ ი ა რ ვ ყ ო-ფ ი ლ ვ ა რ თ, თ ქ ვ ე ნ ი ყ მ ა ნ ი ვ ა რ თ ძ ვ ე ლ ა დ ვ ე. თორემ ყოველნი აქაურნი ძველნი კაცნი მოგახსენებენ. თ უ ა რ დ ა გ ვ კ ა რ გ ა ვ თ ხ ო მ კ ა რ გ ი, თ უ ა რ ა დ ა მ ა გ ი ს ი ყ მ ო-ბ ა ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა ნ დ ა ა რ ც ვ ე ყ მ ო ბ ი თ[93].

გლეხები — „როსტევანას-შვილი საკა, მეტიევ ზურაბას შვილი ბერუა, ხაბულაშვილი გოგია და სხვები“ ერეკლე IV-ის მებატონე „მირზა იბრეიმას შვილი გოგიასათვს უბოძებია“. მეფის ამ ღონისძიებას დასახელებული პირები ფრიად უსიამოვნოდ

---

[89] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 89.
[90] ს ს ც ი ა, ფ. 1448, სან. 144.
[91] ი ქ ვ ე.
[92] ტექსტში, ეფიქრობთ, შეცდომით წერია „მაგათი“.
[93] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 97.

შეხვედრიან, კერძო მემამულის ხელში გადასვლა არ მოუსურვებიათ. „ჩვენ, — ნათქვამია მათ მიერ ახალი პატრონისათვის 1782 წელს მიცემულ პირობის წიგნში, — ბატონის (ე. ი. მეფის — ი. ა.) სახასო ყმანი ვიყავით... ბატონმა ჩვენი თავი თქვენ გიბოძათ... ჩ ვ ე ნ(ი) ი ს ე ვ ჩ ვ ე ნ ი ბ ა ტ ო ნ ი ს ყ მ ო ბ ა გ ვ ი ნ დ ო დ ა“[94]. იმისათვის, რომ სამეფო უწყებაში დარჩენილიყვნენ, გლეხებმა „იბრეიმას-შვილს გოგიას“ რაღაც ცილი დასწამეს, ტყუილი მოუგონეს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს[95] და იძულებული გახდნენ თავი დამნაშავედ ეცნოთ და პატიება ეთხოვათ[96].

როგორც ერთი საბუთიდან ჩანს, ერეკლე II-ს ღალატისა და ორგულობის გამო დემეტრე ამილახორის შვილისათვის ყმა და მამული ჩამოურთმევია და სახასოდ დაუდვია. მეფის ამ ნაბიჯს მოღალატე ფეოდალის გლეხები კმაყოფილებით შეხვედრიან და უთხოვიათ, რომ კონფისკაციაქმნილი ქონება კერძო მებატონეებისათვის არ ებოძებინა, სამუდამოდ სახაზინოდ (სამეფოდ) დაეტოვებინა. მეფემ დაკმაყოფილა მათი თხოვნა. წყალობის წიგნში, რომელიც მან 1762 წელს ამილახორის ყოფილ ყმებს მისცა, ნათქვამია: „მოგვადექით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მას დაგვეაჯენით, რომ ყ მ ა დ ა ღ ა რ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს მ ი გ ვ ე ც ე ნ ი თ დ ა ჩ ვ ე ნ ს ა ხ ა ს ო ყ მ ა დ დ ა გ ვ ე ჭ ი რ ე ნ ი თ. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ამ სახით ჩვენ სახასო ყმათ დაგდევით, რომ თუნდაც ვოხდეს დემეტრეს წილი ყმა და მამული გავსეცეთ, თქვენ მაინც[97] არავის მიგცეთ და ჩ ვ ე ნ ი ს ს ა ხ ა ს ო ყ მ ა დ გ ა მ ყ ო ფ ო თ“[98].

ასევე საინტერესოა ბეინვალელი გლეხების მიერ 1789[99] წელს აღძრული საქმე. როგორც საბუთიდან ჩანს, მემამულე ორჯონიკიძეს მათი მითვისება მოუნდომებია. გლეხებს პროტესტი განუც-

---

[94] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II. გვ. 125.

[95] ი ქ ვ ე.

[96] ი ქ ვ ე.

[97] იგულისხმებიან ბორელი საკანთ მანუჩარაშვილი იოანე, ძმები მისი სტეფანე და ფარსადანა, შვილები მანუჩარი და დავითი, რომლებმაც არზა მიართვეს მეფეს სამუდამოდ თავის სახასო ყმებად დატოვების შესახებ.

[98] ქიმ. ხელნაწერ მასალათა ფონდი, საბ. 92.

[99] საბუთი მის ბეჭმოცემელს დ. ფურცელაძეს 1799 წლით აქვთ დათარიღებული, რაც, ჩვენი აზრით, არაა სწორი. საბუთში ნათქვამია, რომ ჩვენ, გლეხებმა, თხოვნით მივმართეთ თქვენს შვილს იულონსო. იულონი კი, როგორც ცნობილია, ერეკლე II-ის შვილი იყო. მაშასადამე, დ. ფურცელაძის მიერ გამოცემული არზის მიმღები იყო ერეკლე II. და რაკი იგი გარდაიცვალა 1798 წელს, ამიტომ მისი დათარიღება 1799 წლით მცდარია, შესაძლებელია, ეს უბრალო ტექნიკური შედცომაა, დაშვებული ასოთამ-

ბადებიათ და საბუთად სამეფო უწყებისადმი კუთვნილება დაუსახლებიათ. ამას შედეგი არ მოჰყოლია. მაშინ დაზარებულებს მეფისთვის მიუმართავთ და ორჯონიკიძის პრეტენზიების თავიდან აცილება უთხოვიათ. «Мы и предки наши, — სწერდნენ ისინი ერეკლე II-ს, — были казенные крестьяне, и Бжинвали, где мы живем, было казенное имение. Между тем Папуа Орджоникидзе стал притеснять нас и требовать, чтобы мы сделались его крестьянами или же переселились на другое место. И мы с семействами нашими переселились в Сурам... Мы жаловались сыну вашему Юлону, он дал сурамскому моураву приказание, чтобы нам дозволено было зиму эту провести в Сураме и что жалоба наша будет разобрана вами. Несмотря на это, Папуа Орджоникидзе, 8 сентября, с 50 человеками пришел к нам и потребовал, что мы опять переселились к нему. Не отдавайте же, ваше высочество, крестьян ваших Орджоникидзе, между нами 18 мужчин, которые могут носить оружие и шашку, и если вы отдадите нас Орджоникидзе, то мы перебьем друг друга, а в Бжинвали не переселимся»[100].

იმისათვის, რომ კერძო მებატონეებისაგან თავი დაეღწიათ და სამეფოდ ქცეულიყვნენ, გლეხები ყველაფერთან ერთად ერეკლე მეორის 1765 წლის კანონსაც იყენებდნენ, რომლის ძალითაც მეშამულეები ტყვეობიდან საკუთარი საბსრებით დაბრუნებულ ყმებზე თავიანთ მფლობელურ უფლებებს კარგავდნენ. ანგვარად განთავისუფლებულ გლეხებს კი შეეძლოთ არავის ხელქვეითობაში არ შესულიყვნენ, ან იმას ყმობოდნენ, ვინც, მათი აზრით, სხვაზე უკეთესი პატრონი და ბფარველი იქნებოდა[101].

ეს კანონი გამოუყენებია ტყვეობიდან დაბრუნებულ ვინმე შიო ბუაჩიძეს, რომლის დაყმევება მის ძველ ბატონს თაქთაქიშვილს მო-

---

წყობის მიერ, საბუთის ზუსტი თარიღის გასაზღვრა ძნელია, მიახლოებით კი იგი შედგენილია XVIII ს. მეორე ნახევარში, ერეკლეს გარდაცვალებამდე, ე. ი. 1798 წლამდე.

[100] დ. ფურცელაძე, ГКГ, Тифлис, 1882, გვ. 74.

[101] ი ქ ვ ე, გვ. 17. ი. დოლიძე, ქ ს ძ, IV, 1972, გვ. 513.

სახაზინო უწყებაში გლეხების გადასვლას ხელს უწყობდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 201 მუხლიც. იქ ნათქვამია: „თუ აქიდამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაყოს და ისრე ხელმწიფეს მიუვიდეს, თუ უნდა, მისცემს ხელმწიფე და, თუ უნდა, არ მისცემს, ხელმწიფის გუნებაზე ჰკიდია, ეს ამიტომ დავწერეთ, რომე ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება“ (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 201).

უნდომებია. 1773 წლის 12 ნოემბერს მეფისათვის მირთმეულ არზაში იგი წერს: „თქვენგან მოწყალებას ვითხოვთ, რომ თაქთაქიშვილს ჩვენთან ხელი არა ქონდეს... სხვა ტყვესაც თქვენგან წყალობა აქვს, რომ (მასთან) თავისმებატონეს საქმე აღარა აქვს. ჩვენ მოწყალებას ვითხოვთ, რომ თქვენს სახასო ყმად ვიყვნეთ[101ა].

ეს კანონი გამოიყენა ტყვეობიდან დაბრუნებულმა გლეხმა შავდათუაშვილმაც. Я, — Вспоминал он 1800 წელს გიორგი XII-ს, — два раза попадал в плен в Персию и Дагестан, но... я бежал и пришел опять в Тифлис. Здешний моурав беспокоит меня и говорит, что я крестьянин его. Между тем, я всегда был казенным крестьянином и был в плену. Прошу приказать, чтобы никто не беспокоил меня и я остался казенным крестьянином[101ბ].

მოტანილი მასალა ჩვენს ხელთ არსებული საბუთების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს[101ბ], მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ დიდი იყო გლეხების სურვილი კერძო მებატონისაგან სამეფო უწყებაში გადასვლისა, რაც, მართალია, არ ათავისუფლებდა გლეხს ფეოდალური დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ერთგვარ შეღავათს მაინც აძლევდა და გარკვეულ ნაბიჯს წარმოადგენდა სრული თავისუფლების მოპოვების მიმართულებით. ამდენად სოფლის მშრომელი მოსახლეობის ეს მოძრაობა საბოლოო ჯამში ანტიფეოდალური ხასიათისა იყო და ძველი წყობილების დანგრევის პროგრესულ საქმეს უწყობდა ხელს[102]. მოძრაობის მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბი კი იმას მოწმობდა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმურ ურთიერთობას რამდენადმე წყალი ჰქონდა უკვე შემდგარი.

* * *

განსახილველი ხანის საქართველოს სოფლის მშრომელი მოსახლეობის კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში მეორე საყურად-

---

101ა ს ს ს ი ა, ფ. 1448, საბ. 406.

101ბ ГКГ, გვ. 76—77.

101ბ იხ. ს ს ს ი ა, ფ. 1448, საბ. 2396, 3624, 5733; ფ. 1449, საბ. 272, 580 და სხვა მრავალი. აქვე შევნიშნავთ, რომ ამგვარი ხასიათის საბუთების გარკვეული ნაწილი, ალბათ, შემონახული არაა. შემონახულიც, ცხადია, ჩვენ მთელი სისრულით ვერ აღვრიცხეთ.

102 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, 1955, გვ. 81; შ. დ უ მ ბ ა ძ ე, თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII ს. საქართველოში. ‹ ხ ი ს, გვ. 390.

ღებო სიახლეც შეინიშნება. ეს არის გლეხის ენერგიული ბრძოლა საერთოდ ბატონყმური ურთიერთობისაგან თავის დასაღწევად. ეს მ ო ძ რ ა ო ბ ა, როგორც ადრეც გვქონდა აღნიშნული[103], უცხო იყო წინა პერიოდისათვის. იგი შესამჩნევი ძალით მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაიშალა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილების უშუალო შედეგს წარმოადგენდა. ამ დროს მიმდინარეობს ფეოდალური წყობილების საფუძვლების შერყევა, გაბატონებულ კლასს უჭირს თავისი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო გლეხობას აშკარად არ უნდა ძველებურად ცხოვრება. ყმური მდგომარეობისათვის თავის დაღწევის აზრი, რ ო გ ო რ ც მ ე ტ-ნ ა კ ლ ე ბ ა დ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მ ო ვ ლ ე ნ ა, მხოლოდ ამ დროსა და ამ ვითარებაში შეიძლება წარმოიშვას.

ჩვენ აქ გლეხთა მოძრაობის ამ ახალი ფორმის მარტო იმ სახეობაზე შევჩერდებით, რომელიც გულისხმობს სოციალური თავისუფლების მოპოვებას არა გამოსყიდვის[104], არამედ სხვადასხვა მართალი თუ უმართებულო მოტივებით ყმობაზე უბრალოდ უარის თქმით, XVIII საუკუნიდან, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, სულ უფრო ხშირად და დაჟინებით გაისმის ამ მოძრაობით შეშინებულ მემამულეთა საჩივრები: „ყმები ძალით გვართმევენ თავს“, „აქამდე ყმურად მემსახურობდნენ, ახლა კი არა“, „გლეხები ბატონად არ გვაგდებენ და არაფერს გვიკეთებენ“ და ა. შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ და მათ მსგავს განცხადება-საჩივრებში ლაპარაკია არა ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ყმა ერთი ბატონისგან მეორესთან გარბოდა, არამედ ისეთებზე, როდესაც გლეხი საერთოდ ცდილობდა დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსვლას.

ქვემოთ ჩვენ მოვიტანთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული საბუთების ერთ ნაწილს. ჩვენს ხელთაა ბერი გელდიაშვილის მიერ 1707 წლის 20 აპრილს არდაშელ ზუმბულიძისადმი მიცემული პირობის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია: „მე თქვენი განაყოფის ყმა ვიყავ და მოხისს ვესახლე. პატრონი მართებული აღარ მყვანდა და სხვები[105] ხელს მდებდნენ. მე თ ა ვ ი ა რ დ ა უ დ ე,

---

103 იხ. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ცელილებები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში XVIII ს. საქ-ლოში, „მაცნე“, 1974 № 2.

104 ამაზე ჩვენ უკვე სხვაგან გვქონდა ლაპარაკი (იხ. ა ქ ვ ე, თავი IV; შდრ „მაცნე“, № 2, გვ. 57—61).

105 ტექსტში წერია „სხეა“.

ა ვ ი ყ ა რ ე და რუის ჩამოველ, კლიმიაშვილს იასეს მეზვრეთ დაუდექ. თქვენ შეგეტყოთ და მეფე ვახტანგის და ბატონ კათალიკოზის დომენტის იასაული გამოგეგზავნა ასაყრელად. მოველ და შემოგეხვეწე: „ნუ ამყრი მეთქი“, კლიმიაშვილი იასე თავდებათ მოგეც: რომელი ბატონყმობის რიგი (იყოს), ისე გემსახურო აქედამა მეთქი. თქვენც დავჯერდით ამ პირობას“[106]. როგორც ჩანს, ბატონისგან გაქცეული გელდიაშვილი მემამულე კლიმიაშვილს მისვლია, მაგრამ არა ყმად, არამედ, საფიქრებელია, მოჯამაგირედ და მეზვრის მოვალეობა უკისრია. ყოველ შემთხვევაში, საბუთის შინაარსი, ჩვენი აზრით, სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა. მართალია, ძალამ თავისი გაიტანა და გელდიაშვილმა „ბატონყმობის რიგით“ სამსახურის პირობა მისცა ზუმბულიძეს (რუისიდან აუყრელად), მაგრამ მთავარია არა დამარცხების ფაქტი, არამედ, მიზანი, რომელსაც გლეხი ესწრაფოდა.

XVIII საუკუნის დასაწყისში ზურაბაშვილები კახეთიდან ქართლში გადახვეწილან და ბიძინა სოლოღაშვილის კუთვნილ სოფელ ტაგნაგეთში დასახლებულან. იქ მათ სოლოღაშვილისათვის თავი არ დაუდვიათ და ისევ კახეთში დაბრუნებულან. მალე კიდეც გარდაცვლილან, ხოლო მათი მემკვიდრე ბაღდუა ზაალ ყორღანაშვილს წამოუყვანია და სოფელ ენაგეთს დაუმკვიდრებია. აქ მას 30 წელი გაუტარებია. ასეთი დიდი დროის გასვლის მიუხედავად, ზაზა სოლოღაშვილს[107] მისი უკან დაბრუნება მოუნდომებია. „ჩემი ყმის შვილი ხარ, იქ უნდა მიხვიდე, შენს სამკვიდროზედ დასახლდე-ო“, უთქვამს მას[108]. მაგრამ აქედან არაფერი გამოსულა. ეტყობა, ზურაბაშვილებს გამოუყენებიათ კანონი, რომლის მიხედვით 30 წლის განმავლობაში თავგადამალული ყმა ძველი პატრონისაგან განთავისუფლებულად ითვლებოდა[109], და მებატონის წინადადება უარუყვიათ. ისიც შეშვებია, მის ყმობაზე ხელი აუღია. „სამართალმა აღარ მომცა (შენი თავი), — ნათქვამია მის 1738 წლის 1 ივლისის სიგელში ბაღდუა ზურაბაშვილისადმი, — მეც ცოტა რამ გამოგართვი, რითაც ჩემი გული შემჯერდებოდა... არც მე და არც ჩემს სახლის მომავალს, მონათესავეს... შენთან საბატონყმოთ ხელი არა გვქონდეს, ღვთის მეტს“[110].

---

106 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. I, გვ. 133, საბ. 183.

107 ეს, ალბათ, ბიძინა სოლოღაშვილის მემკვიდრეა.

108 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. I, გვ. 280—281, საბ. 400.

109 ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, მუხ. 202.

110 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. I, გვ. 281, საბ. 400.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გლეხის წარმატებასთან, მან თავისუფლება მოიპოვა. სოლოღაშვილის ყმობიდან გავიდა, რაც შეეხება ზაალ ყორღანაშვილს, რომლის სოფელშიც იგი ბოლოს დასახლდა, არ ჩანს, რომ ზურაბაშვილი მას ყმად მისვლოდეს.

1749 წელს გლეხი ივანე ნასყიდაშვილი სჯულის გამოცვლით— გათათრებით დამუქრებია მებატონე ვარამ დიასამიძეს და ამ გზით პირადი თავისუფლება მოუპოვებია. „ეს აზატულობის წიგნი და პირი გიბოძე მე, ვარამ დიასამიძემ, შენ, ჩემს მემკვიდრეს ყმას საქაშენელს ნასყიდაშვილს ივანეს, ასე რომ ავის დროითი შენის ქვეყნიდამ წახველ... (მერე) მოხველ და შემომეხვეწე: ნუ დამკარგო, ჩემს ალაგას ვეღარ გავძლებო და ვერც მოვალო; თუ ამაზე აზატს არ მიზამო, გავთათრდებიო, სულ დავიკარგვიო. ახლა აღარც გაგათათრე, აღარც დაგკარვე, არც საქმე გაგიჭირვე. რადგან მოინდომე, მეც შეგიბრალე და აზატი გიყავი. დღეის იქით შენთან ხელი აღარა მაქს საბატონყმოთ არც მე, არც ჩემს შვილსა, არც ჩემს სახლის კაცსა... აზატი მიქნია, გამიშვიხარ შენს ნებათ, სადაც გინდა დადეგ. ჩემის სულის მეოხათ აზატი მიქნია“[111].

წარმატებით დამთავრებულა მჭედლიძეების ცდაც. ისინი როგორც 1750 წლით დათარიღებული საბუთიდან ჩანს[112], მებატონე ვარამ დიასამიძეს გაქცევიან, თბილისში ჩასულან და იქ დამკვიდრებულან. კარგა ხნის შემდეგ მემამულეს მათი ადგილსამყოფელი დაუდგენია და აყრა მოუნდომებია, მაგრამ გლეხები არ გაჰყოლიან, ქალაქი არ მიუტოვებიათ[113]. მაშინ მაძიებელი იძულებული გამხდარა გარკვეული საფასური აეღო და მჭედლიძეები ყმობიდან გაეთავისუფლებინა[114]. მართალია, შემდგომში მჭედლიძეებმა ვერ შეინარჩუნეს თავისუფალი მდგომარეობა[115], მაგრამ ეს არ ამცირებს აღწერილი ფაქტის მნიშვნელობას, რომელიც მკაფიოდ ადასტურებს

---

111 იქვე, გვ. 340, საბ. 480.

112 ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. I, გვ. 423, საბ. 594.

113 „წამოგვადგა ჩვენი ბატონი, — წერდნენ გლეხები, — და აყრა მოინდომა ჩვენი... ჩვენ არ გავყევით, ქალაქი არ გაუშვიათ“ [ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. I,გვ. 423, საბ. 594].

114 ბატონი „ადგა..., ჩვენის თავის სახსარი გამოგვართო და თავი დაგვახსნევინა... ცოლითა და შვილითა“ (იქვე).

115 საბუთიდან ჩანს, რომ მჭედლიძეებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეინარჩუნეს თავისუფლება და ისინი დოდოს მონასტრის წინამძღვარს მიუვიდნენ ყმად (იქვე).

ყმური მოსახლეობის შეუნელებელ სწრაფვას პირადი თავისუფლების მოპოვებისაკენ.

ბატონყმური ურთიერთობისაგან თავის დაღწევის ცდები, როგორც უკვე ვთქვით, გაცილებით უფრო ხშირია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მხოლოდ ნაწილს.

ჩვენს წინაა ვახტანგ ბატონიშვილის 1757 წლის წყალობის წიგნი, მიცემული აზნაურიშვილ ოთარ და ფარსადან ცვერცვაშვილებისადმი. მასში ნათქვამია: „ხულუზაური გიორგი.... ერისთავებისაგან წყალობათ გჩირვებოდათ და მასუკან თქვენთვის თავი აღარ დაედვა. ჯიმშერს ბატონის მამის ჩვენის (ე. ი. ერეკლეს — ი. ა.) ბრძანებით წიგნი ებოძებინა[116]; ახლაის კაცი თავს აღარ გიდებდა. ჩვენ მოგვახსენა იმათი ყმა არა ვყოფილვარო"[116ა]. როგორც ვხედავთ, გიორგი ხულუზაურს ყურადღება არ მიუქცევია მისი ყმობის დამადასტურებელი საბუთისათვის და მეორედ მოუნდომებია დამოუკიდებლობის მოპოვება, თუმცა უშედეგოდ — ვახტანგ ბატონიშვილმა გლეხი ცეცვაშვილების საკუთრებად სცნო[116ბ].

ტყვეობიდან დაბრუნებულ ივანე გიორგაძისშვილს 1768 წელს არზა მიურთმევია ერეკლე მეორისათვის და მემამულე ჯავახიშვილებისაგან დაცვა უთხოვია. „მამა ჩემი ჯავახეთიდამ გიახლათ და მეც პატარა თან მოვყევ... მამა თქვენის ჭირის სანაცვლო გამიხდა. მე იმჟამათ მეტეხს სხვის შვილად გახლდით. მოვიდნენ ჯავახიშვილები, შეშოშეჭიდნენ, ჩემი ყმა ხარო. იმათ გავექეცი, მუხრანის რუსხმულზედ დავიკარგე, ექვსი წელი ტყვედ გახლდით. კათალიკოზი რომ რუსეთიდამ მობრძანდა, მე მაშინ გიახელ და მას აქეთ ჩალაუბანს გახლავარ. ახლა ჯავახიშვილი ვახუშტი მეჭიდებაჩემი ყმა ხარო. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი გვაღირსეთ"[116ბ].

---

[116] ამ წიგნით დასტურდებოდა გიორგი ხუზულაურის ცვერცვაშვილისადმი ყმობის ფაქტი.

[116ა] ს ს ც ი ა, ფონდი, 1448, საბ. 41.

[116ბ] „ჩვენ მოკითხული ვქენით, — ეკითხულობთ ვახტანგის წყალობის წიგნში — და ასე მოგვახსენეს — ძველთაგან თქვენი ყოფილიყოს, ჯიმშერის წიგნიც ენახეთ და აღარ მოგიშალეთ... ამით გიბოძეთ ოქრუაშვილი ხულუზაური გიორგი თავის შვილით უმამულოთ. დღეს რისიც მქონებელი იყოს თქვენთვის და შვილითა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილობლად" (ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 41).

[116გ] ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 444.

ამავე კანონით სცადა თავისუფლების მიღება ტყეედ ნამყოფმა ქიტესა ჯიბიაშვილმაც. იგი 1772 წლის 10 იანვარს ერეკლეს მოახსენებდა: „13 წელიწადი დაღისტანში ტყვეთ გახლდით. თქვენი ბრძანება[116დ] რომ ქვეყანაზე განეფინა, ტყვისთვის აზადობა გებრძანათ... ჩემი მოსვლის ორ-სამ წელიწადს ტყვეობაში გვესმოდა: ბატონმა ტყვეთ მურახასობა უბრძანა, იმ თარიღის[116ე] აქეთ მოსული ტყვენი თავისუფალნი იქნებიანო. ახლა ‘ქვენის ბრძანებით დადებული წიგნი ყირიმელს გიორგი ფეიქარს აქვს, ის წიგნი აკითხვინეთ. თუ იმ წიგნის უკან არ ვიყო (ტყვეობიდან) მოსული და ტყუილს მოგახსენებდე, რა რიგათაც ღირსი ვიყო, გადამახდევინეთ“[117].

როგორც საბუთზე მიწერილი სიტყვებიდან ჩანს. სარჩელი მებატონის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. საფუძვლად ტყვეობიდან დაბრუნებული ჯიბიაშვილის გურამიშვილთან მისვლა და მასთან ერთ ხანს ყოფნა წამოუყენებიათ[118].

წარუმატებლად დამთავრებულა ვინმე მათოზა სარქისაშვილის თავის გამოხსნის ცდაც. იგი, ქართლელ მებატონეს რევაზბეგ სარდარს გაქცევია, კახეთს გადახვეწილა და იქ „ცოტა ხანს“ ხიზნად დამდგარა. უკან დაბრუნება აზრადაც არ ჰქონია. კარგა ხანს იმალებოდა, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, ცხოვრება გაუჭირდა, თავისუფლება ვერ შეინარჩუნა, და ძველს პატრონს დაუბრუნდა. „თქვენის

116დ მხედველობაშია 1765 წლის კანონი, რომლის თანახმად ტყვეობიდან საკუთარი სახსრებითა და ძალებით დაბრუნებული გლეხი თავისუფალი ხდებოდა.

116ე ე. ი. 1765 წლის.

117 ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სს. ტ. III, გვ. 501—502;

იმავე კანონს ჩასჭიდებია და მის საფუძველზე ამობიდან განთავისუფლება მოუნდომებია ვინმე ტერ-ყაზარას შვილს. მას მეფისათვის შეუჩივლია, რომ ჩემი ყოფილი ბატონი გურამიშვილი „ღმერთ მეტვიდებაო“, ბიუდხედავად იმისა. რომ მე, ვითარცა ტყვეობიდან დაბრუნებული, თავისუფალი ვარო. მაგრამ ეს არგუმენტი სუსტი აღმოჩნდა, რადგანაც მისი მომმარჯვებელი უფრო ადრე გამოდგა ტყვეობიდან გამობრუნებული, ვიდრე 1765 წლის ერეკლე II-ის სათანადო ბრძანება გამოვიდოდა. თავისუფლების მიღებით გატაცებულმა გლეხმა ყური არ ათხოვა ამ განმარტებას და გურამიშვილის ხელქვეითობა კატეგორიულად უარყო. „ახლა ეს ტერტერაშვილი — მოახსენებდა გურამიშვილი მეფეს 1779 წლის 2 მარტს,—კიდევ მიჩივის, ა რ ვ ე ყ ო ბ ი ო. თქვენგან ნაბოძები... ოქმი ხელში მიჭირავს (და) ამ კაცს მიბოძებთ, თუ გამამართმევთ, ნება თქვენია“ (ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 503).

118 „რადგან (ბატონთან) მისულა და მასთან ხანი დაყო, ველარ წაუვა“—ნათქვამია ერეკლე მეფის ბრძანებაში მსაჯულისადმი (ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 502).

ყმობისაგან სად დავიმალებოდი ან სად უნდა წაგესლოდი. მე ჩემის ნებით მოვედი, ისევ თქვენ შემოგეხვეწე და თქვენც თქვენის ღვთის გულისათვის შემიწყნარეთ და შემირიგეთ", — ნათქვამია ბატონისთვის მირთმეულ მის 1773 წლის სიგელში[119].

ხშირად სოფლის მშრომელი მოსახლეობა სათანადო მოტივირების გარეშეც ამბობდა ყმობაზე უარს. „ჩემს ყმას მიქელაშვილს, — სწერდა ზაალ გურამიშვილი მეფეს 1779 წლის 24 მარსს, — თქვენთვის არზა მიურთმევია: „ბატონმა ჩემმა ერთი ხარი წამართოო". ხარის წართმევის მიზეზი ეს არის: შემძლებელი კაცი არის, დავკარგე და არაფრით დამადგა. დედამომიკუდა, რიგი იყო... შემოეწია რამ... (მაგრამ) არაფერი შემომაწია, თუ აზნაურიშვილობს, მსახური უნდა მახლდეს ამისი, და თუ მოყალნეა, როგორც სხვა მოყალნე კაცი მემსახურება, რატომ ესეც არ მემსახურება, ბატონათ არ მაგდებს..., თუ ჩემი ყმა არ არის, ხელი ამაღებინეთ"[120].

ერეკლემ მკაცრად გააფრთხილა ურჩი ყმა და მორჩილებისაკენ მოუწოდა[121].

1782 წელს მემამულე შანშიაშვილისათვის მოტივის დაუსახელებლად გამოუცხადებიათ გლეხებს: „თქვენი ყმანი არა ვართო"[122]. იმავე წლის მეორე საბუთის თანახმად, დოროთაშვილის ყმობიდან გამოსვლა მოუნდომებია გლეხ არუთინაშვილს[123], მაგრამ უშედეგოდ[124]. წარუმატებელი გამომდგარა გოგია და ანდრია ეკლესიურების ცდაც. მათ, დავით ელიოძის ხელქვეითებს, ურჩობა დაუწყიათ და „ბატონყმობის სახით" სამსახურზე უარი განუცხადებიათ, მაგრამ ყმობიდან თავის დაღწევა ვერ მოუხერხებიათ. „მრავალს გზის" ვეცადეთ და მაინც „შენ ყმობიდამ ვერ წაგივე-

---

119 ს ს ც ი ა, ფონდი 1450, დავთ. 15, საბ. 105.

120 ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 503—504, საბ. 523.

121 „მიქელაშვილო,—ეკითხულობთ მეფის ოქმში,—ამ არზით ბატონი შენი რომ ასე გიჩივის, ამისი მოხსენებული თუ მართალი არის, ამას კაის გზით შეურიგდი, თორემ თუ სამართალში ლაპარაკი მოგიხდათ და სამართალში გაგიმტყუნა, ავათ მოგივა" (ექვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, III, გვ. 504, საბ. 523).

122 ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 580.

123 „მე გაგიჯავრე(თ) თქვენ და თქვენი ყმობიდამ გასვლა მოვინდომე" (ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 4325).

124 „მამაჩემის ნასყიდობის წიგნი ქონდათ, ვეღარ წაგიეელ, შენ ბატონი და მე ყმა, ბატონყმობის რიგზე უნდა გემსახურო" (ს ს ც ი ა, ფონდი 1448, საბ. 4325).

დ ი თ. ახლა ამ წერილის მირთმევით ჩვენი თავი ასე მოგვიცია ყმათ, რომ დღეის იქით როგორც ბატონყმობის კანონი არის იმ რიგად თავდადებით (და) ერთგულად უნდა გემსახუროთ შენცა და შენს შთამომავალსაცა"[125].

გამარჯვებით არც ღვთისავარ, გიორგი, ქავთარა, ჯიმშიტა და გოგოლა ჯიმშიტაშვილების საქმე დასრულებულა. „პირველადვე, — ნათქვამია მათ სიგელში ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისადმი (1783 წ.), — თქვენი მამა-პაპის სამკვიდრო ყმანი ვიყავით დღეანდლამდინ. დღეს ჩვენის ცოდვით... თ ქ ვ ე ნ ი ს ყ მ ო ბ ი დ ა მ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა მ ო ვ ა ნ დ ო მ ე თ... ბ ა ტ ო ნ თ ა ნ (ე. ი. მეფეესთან—ი. ა.) გ ი ჩ ი ვ ლ ე თ დ ა უ ნ ა შ ა ვ ე ბ ლ ა დ დ ა უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ. სხვა რიგათაც თქვენთან მრავალ ფერად დანაშაული გექონდა. ჩვენი შეცოდების პასუხად ბატონი გაგვიწყრა, დაგვიჭირა და ჯინჯილ-ხანაში ჩაგვყარა. მოვედით..., სამი კაცის პირით და თავდებით ჩვენის დანაშაულის მიტოვებასა და მეფესთან შუამდგომლობას გევედრენით. თქვენ დანაშაული ...გვაპატიეთ, დღეის იქით... როგორი-თაც ბატონყმობის რიგია... ისე გემსახუროთ"[126].

1784 წელს, ურჩობა დაუწყია იმავე ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ბლეხს დოიჯაშვილს. ბატონს გასცლია, თბილისში გაპარულა და ყმობიდან გასვლა მოუნდომებია, მაგრამ სამეფო ხელისუფლებას შისთვის მხარი არ დაუჭერია და დამარცხებულა[127]. ყმურ მდგომა-რეობაში ყოფნა არც ოჰანეზა და ვართან დოსტიაშვილებს ნდო-მიათ. უარუყვიათ სოლომონ თარხნიშვილის ყმობა[128], მაგრამ მიზ-ნისათვის ვერ მიულწევიათ[129]. 1787 წელს მთავარეპისკოპოსი

---

125 ს ს ც ი, ფონდი 1450, დაეთ. 23. საბ. 70, ფონდი 1449, საბ. 2443.

126 ს ა ხ ი, ფონდი Hd, საბ. 2834.

127 „პირველითგანვე, — ნათქვამია დოიჯაშვილის მიერ ჩოლოყაშვილისათვის მოცემულ წიგნში, — თქვენი მტკვიდრე ყმა ვიყავ, ურ ჩ ო ბ ი თ ქ ა ლ ა ქ ს ჩ ა-მ ო ვ ე დ ი, მ ი ს ს ი მ ა ღ ლ ე ს მ ე ფ ე ს თ ა ნ ვ ი ჩ ი ვ ლ ე ლ ა თ ქ ვ ე ნ ი ს ყ მ ო-ბ ი დ ა ნ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ლ ა გ ა ს ვ ლ ა მ ო ვ ი ნ დ ო მ ე. ეს თქვენ იწ-ყინეთ, არც მათმა სიმაღლემ მეფემ დაგიჭირათ ჩემი თავი. ამ ურჩობის მიზეზით დამიჭირეთ და ჯინჯილ ხანაში ჩამაგდეთ... ამაზედ თიანეთის მოურავს ქაიხოსროს შეეხვეწე და თავდებათ მოგართვი, რომ ამგვარი ურჩობა ჩემგან აღარც გაიბედოს, აღარ ვქნა და გულშიც (არ) გავიელო და რომელიც მტკვიდრის ბატონყმობის რიგი იყოს, ისე ერთგულობით გემსახურო" (სმახი, ფონდი Hd, საბ. 3485).

128 „ჩვენ შენ აღარ დაგიდეთ თავი" (ს ა ხ ი, ფონდი Hd, საბ. 2677; ნ. ბ ე რ-ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, II, გვ. 134).

129 „მისმა უმაღლესობამ ჩვენი თავი ისევ შენ გიბოძა" (ს ა ხ ი, ფონდი, Hd, საბ. 2677; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 134].

იოსები ერეკლე II-ს შესჩიოდა: ოთხი წელიწადია თქვენგან ეს თანამდებობა მებოძა და ამ ხნის განმავლობაში გორელი ტატინა-შვილები ჩემთან არც ერთხელ „არ მოსულან“ და თავი „ყმად არ გამოუცხადებიათ-ო“[130]. ცხინვალიდან კახეთში გადასახლებულ ვინმე სესიასა და ნინიას სოლომონ ბებურიშვილისათვის, რომელიც მათ დასაკუთრებას ლამობდა, მოკლედ უთქვამთმ: „შენი ყმანი არა ვართო“[131]. მცხეთის მოურავი ვინმე დავითი 1791 წელს მეფეს მოახსენებდა: ყმები „თავს ძალით გვართმევენო“[132]. ერთი წლის მოგვიანებით კი, ზაალ დავითაშვილი კიდევ უფრო საგანგაშო ფაქტს აცნობებდა ერეკლეს: „ოცი წელიწადია... თავს გაწყენ, ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი ჩ ე მ ი ყ მ ა ა რ ი ს დ ა მ ძ ლ ა ვ რ ო ბ ი თ თ ა ვ ს მ ა რ თ მ ე ვ ს მ ე თ ქ ი“[133].

თავისუფლების მოსაპოვებლად გლეხები თითქმის არაფერს ერიდებოდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტყუილსაც იგონებდნენ და ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელ ფაქტებსაც ასახელებდნენ. ტყუილი მოიგონა, მაგალითად, ვინმე ფაფაკარაშვილმა და ამ გზით მოინდომა გიორგი თარხნიშვილისაგან თავის დაღწევა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, დამარცხდა. 1794 წელს, დამარცხების შემდეგ, თარხნიშვილისადმი მიცემულ პირობის წიგნში, თავისუფლების მაძიებელი აღიარებს: „მე თქვენი შემკვიდრე ყმა ვარ და არც არავის ჩემთან შენს მეტს ხელი არავის აქვს... ბატონთანაც ბევრჯელ ვილაპარაკე და არა მეშველა. ბატონიშვილმა გიორგიმაც გამამტყუნა, ღვთის წინაშე, მეც ვ ტ ყ უ ო დ ი, მაგრამ ახლა ღვთის მგმობელი ვიყო და მეფე ერეკლეს შემცოდე... თუ დღეის იქით ან ვილაპარაკო ან გაგექეც სადმე“[134].

---

130 სსცია. ფონდი 1449, საბ. 284.

131 ი ქ ვ ე, საბ. 1210, 1793 წ.

132 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დსსი, ტ. II, გვ. 159.

133 ი ქ ვ ე, გვ. 167.

134 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დ ს ს ი, ტ. II, გვ. 172—173.

ჩანს, ტყუილი მოიგონეს გიორგი, ქავთარა, ჯიმშიტა და გოგოლა ჯიმშიტაშვილებმაც. 1783 წელს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისათვის მიცემული პირობის წიგნში ისინი წერენ: „პირველადვე თქვენი მამა-პაპის სამკვიდრო ყმანი ვიყავით დღევანდლომდინ. დღეს ჩვენის ცოდვით — თქვენის ყმობიდან განთავისუფლება მოვინდომეთ და ბატონთან (ე. ი. მეფესთან — ი. ა.) გიჩივლეთ დ ა უ ნ ა შ ა ვ ე ბ ლ ა დ დ ა უ ს ა მ ა რ თ ლ ო დ დ ა ს ხ ვ ა რ ი გ ი თ ა ც თ ქ ვ ე ნ თ ა ნ მ რ ა ვ ა ლ ფ ე ნ ა დ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი გ ვ ქ ო ნ დ ა... ჩ ვ ე ნ ი შ ე ც ო დ ე ბ ი ს პასუხად ბატონი ვაგეიწყრა და დაგვიპირა. მოვედით და რადგან ჩვენი მემკვიდრე ბატონი იყავით,

კიდევ უფრო „არასაკადრისი“ საქციელი ჩაიდინა ერასტი გოსტაშაბიშვილისაგან თავისუფლების მაძიებელმა კალატოზმა სტეფანემ. არ მოერიდა მშობლების შეურაცხყოფას და სასამართლოს განუცხადა, რომ იგი დედამისს შეეძინა არა კანონიერი მეუღლისაგან, არამედ საყვარლისაგან. 1790 წელს ამ საქმესთან დაკავშირებით მსაჯულთა მიერ შექმნილ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ერასტი (გოსტაშაბიშვილი) ასე ჩიოდა: ეს სტეფანე (კალატოზი) წერაქველი ჩემი ყმის შიხუაშვილის მარტირუზას შვილი არისო, აქამდინ ყმურად მემსახურებდაო, ახლა თავს მართმევსო, სამართალს ვითხოვო. სტეფანე ასე ჩიოდა: მართალია დედაჩემი. ამ მარტირუზასი სჯულიერი მეუღლე იყო, მარა... დედაჩემს მანდუაშვილი დასწოლოდა და იმ მანდუაშვილს შეეძენ“[135].

პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა იმ საბუთის აქ მოტანა, რომელიც აღძრულ საკითხს ეხება[136] და ამიტომ მოტანილით დავკმაყოფილდებით, მით უმეტეს, რომ სურათი, ვფიქრობთ, ნათელია. დასტურდება სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიერ მასობრივად თავისუფლების ძიების ფაქტი. მართალია, „ბატონყმობის რიგის“ მტკიცედ დამცველი ხელისუფლების სოციალური პოლიტი-

---

სამის კაცის პირით და თავდებით ჩვენის დანაშაულის მოტევებასა და მეფესთან შეამდგლობას გვეედრენით. თქვენ... ჩვენი დანაშაული... გვაპატიეთ. დღეის იქით... როგორითაც ბატონყმობის რიგია... ისე გვმსახეროთ“ (სმახი, ფ. Hd, საბ. 2834).

135 ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, 157. საქ. სიძველენი, I, გვ. 160—161.

აქვე შევნიშნავთ, რომ სამართალმა სტეფანე გაამტყუნა და იგი ერასტი გოსტაშაბიშვილის ყმად სცნო. მსაჯულთა დადგენილებაში ნათქვამია: „სამართლის ძალით ეს სტეფანე ერასტის დარჩა ყმად. პირველად ასე რომ ამ მარტირუზას მეუღლისაგან ყოფილა შობილი; მეორედ ასე რომ მამა ამისმა ცრემლით სამართალს მოახსენა, ეს ბიჭი ჩემგან არის შექმნილიო და ჩემის სჯულიერის მეუღლისაგან არის შობილიო; მესამედ... იოანე (ამქარბაშმა) თქვა: (ადრე) ვკითხე (სტეფანეს) ვისი ყმა ხარ, მითხრა ერასტის ყმა ვარო; მეოთხედ ასე რომ აქამდინ მდიანბეგს თეიმურაზს ეჭირა წერაქვი, ეს ბიჭიც... თეიმურაზს უმსახურია ყმურათ. მერე წერაქვი რომ ერასტიმ დაიჭირა, ეს სტეფანეც კახეთიდამ ერასტის მოსულია: რადგან წერაქვი შენ დაინებიო, მეც იქაური და შენი ყმა ვარო. ამ საბუთებით დარჩა ერასტის ყმად ეს სტეფანე“ (ნ. ბერძენიშვილი, დსსი, II, 157).

136 მსგავსი საბუთები იხ. ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. II, საბ. 110, 173, 216, 219, 226; ო. სოსელია, „მასალები“, გვ. 30, საბ. 25; ГКГ, გვ. 27; სმახი, ფონდი Hd, საბ. 513, 3321, 4838, 14. 285; სსცია, ფონდი 1448, საბ. 226, 1145, 4380; ფონდი 1450, დავ. 21, საბ. 36; დავთ. 23, საბ. 77; დავთ. 26, საბ. 1, 114, დავთ. 33, საბ. 260.

კისა და ქალაქური ცხოვრების შედარებით სუსტად განვითარების შედეგად ბრძოლა ბატონყმური ურთიერთობისაგან თავის დასაღწევად, როგორც წესი, წარმატებას მოკლებულია. ზოგჯერ მემამულისაგან დიდი ხნის გაქცეული და ფაქტიურად თავისუფალი გლეხი, თვით ყმობიდან კანონიერად განთავისუფლებულიც კი, ბევრი ხეტიალისა და წვალების შემდეგ, იძულებული ხდება ისევ ბატონს დაუბრუნდეს და ყმური სამსახური იკისროს[137], და მაინც ქართველ გლეხთა აღნიშნული მოძრაობა ფრიად საყურადღებოა და ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების მკაფიო დადასტურებაა. ყოველივე ეს იმის მოწმობაა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში გაბატონებულ კლასს ჩვეულებრივზე მეტად უჭირდა თავისი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო გლეხობას აშკარად არ სურდა ძველებურად ეცხოვრა. და თუმცა წინა საუკუნეებისათვის უცხო და ახალი ნიავის დაბერვით გამოწვეული ეს მისი განწყობილება ჯერჯერობით გარდაუვალი დაღუპვით არ ემუქრებოდა ძველ წყობილებას, მაგრამ იგი მაინც ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა მას და ნიადაგს ამზადებდა ახალი ურთიერთობის გასამარჯვებლად მომავალში.

* * *

ნაშრომის ამ ნაწილში ჩვენ მსჯელობა გვექნება კლასობრივი ბრძოლის უფრო მაღალ ფორმაზე, გლეხთა ისეთ მოძრაობებზე, რო-

---

[137] გლეხი სიმონ გოცირიძე, რომელმაც დასტოვა მემამულე სოლომონ თარხნიშვილი, დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ისევ მას დაუბრუნდა. „ხანსადარ ვიდექ, ხანსად,—ნათქვამია გოცირიძის მიერ გაცემულ პირობის წიგნში. — ამდენი წელიწადი ვიარე აქა იქ, (მაგრამ) ვერსად დე-(ე)ტია ჩემი გული, გამიჭირდა, თქვენ.... (მოგმართე(თ), ჩემი თავითა და ცოლშვილითა გეყმე“ (სსცია, ფ. 1450, დავ. 26, საბ. 118, XVIII საუკ. 80-იანი წლები);

ქოჩორაშვილი გოგია, რომელიც, ეტყობა, თავისუფალი იყო, ვალით შეწუხებული იოსებ და სტეფანე ყორღანაშვილებს ეყმო (1794 წ.), „ჩემი თავდები მოვიდა, — წერს იგი თავნასყიდობის წიგნში, —მე არსად ილაჯი არ მქონდა, რომ მიმეცა, მოველ და შემოვეხვეწე და შენც შენის ღთის გულისათვის ჩემი სახსარი თორმეტი თუმანი მიეცი და მეც ჩემი თავი ჩემის შვილებით ხეჩატურათი და ავეტიქათი თქვენ მოგყიდეთ“ (სსცია, ფ. 1450, დავ. 6, საბ. 83, 1794).

მიზანს, როგორც ჩანს, ვერც გოგია და ანდრია ეკლესიურებმა მიაღწიეს. „ურჩობაში ვიყავით და ბატონყმობის სახით თავს არ გიდებდით“, ბევრს ვეცადეთ, მაგრამ „ყმობიდამ ვერ წაგივედითო“, სწერდნენ ისინი თავიანთ ბატონს დავით ელიოზის ძეს 1799 წელს (სსცია, ფ. 1449, საბ. 2443).

მელთაც შედარებით მასობრივი და შეიარაღებული გამოსვლის ხასიათი ჰქონდათ. ასეთი გამოსვლები კოლექტივის ძალას ემყარებოდა, მეტ-ნაკლებად ფართო წრის მონაწილეობას გულისხმობდა, გარკვეული ორგანიზებულობით გამოირჩეოდა და ამდენად გაბატონებული კლასისთვის უფრო საშიშსა და საგანგაშო მოვლენას წარმოადგენდა. ზოგ მათგანზე ჩვენ აქ შევჩერდებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით.

განსახილველი პერიოდის პირველი მასობრივი მღელვარება დაიწყო კახეთში 1700 წელს და დაკავშირებულია ბოდბის მონასტრის გლეხების სახელთან. მოძრაობის საბაბად ხსენებული გლეხების „ძროხის რიგის“ გადასახადით დაბეგვრა გამხდარა, რაც ითვალისწინებდა ყოველწლიურად ძროხის გარკვეული რაოდენობის მირთმევას მონასტრისათვის. ამ ფაქტს ყმებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვია და მათ, დოკუმენტის სიტყვით, „ბუნტი უქმნიათ“[138]. მდგომარეობა ისე გართულებულა, რომ მონასტრის მესვეურებს უკან დახევა და „ძროხის რიგზე“ ხელის აღება გადუწყვეტიათ, მაგრამ საქმეში მეფე ნაზარ-ალი-ხანი[139] (იგივე ერეკლე I) ჩარეულა და ამ გადაწყვეტილების ბოლომდე მიყვანა ჩაუშლია, ურჩი გლეხების დაპატიმრება, მათი დაჯარიმება და გადასახადის უყოყმანოდ აკრეფა უბრძანებია[140]. უფრო მეტიც. კახეთის მმართველს საგანგებო სიგელის გაცემით დაუკანონებია მონასტრის ყმების „ძროხის რიგის“ გადასახადით დაბეგვრა მომავალშიც[141]. ძალას, როგორც ჩანს, თავისი გაუტანია და „ბუნტის“ მქნელნი დაუმორჩილებიათ, მაგრამ ეს დროებითი გამომდგარა. მღელვარება ისევ დაწყებულა კახეთის დროებითი მმართველის ნაზარ-ალი-ხანის უმცროსი შვილის — თეიმურაზის (მერე მეფე თეიმურაზ II-დ ცნობილი) დროს, რომელიც 1711—1716 წლებში მართავდა ქვეყანას[142]. ე. ი. გლეხთა მოძრაობის მეორე ტალღას შეიძლება გადაეცეს არა უადრეს 1711 და არაუგვიანეს 1716 წლებისა.

---

138 ნ. ბერძენიშვილი. დსსი, ტ. I, გვ. 384, საბ. 535.

139 ნაზირ-ალი-ხანი, ქართლის მმართველი, ამ დროისათვის შაჰმა კახეთის მმართველადაც დანიშნა.

140 С. Н. Какабадзе. Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке, ИКБЗ, стр. 168—169. ნ. ასათიანი, ფეოდალურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან.

141 იქვე, გვ. 169.

142 1703 წელს შაჰმა ნაზარ-ალი-ხანის თხოვნით, კახეთის მმართველად მისი უფროსი შვილი იმამ-კული-ხანი (იგივე დავითი) დანიშნა. 1711 წელს იგი ირანში გაიძახეს და იქ 5 წელი დატოვეს. სწორედ ამ დროს, ე. ი. 1711—1716 წლებში, მართავდა ქვეყანას მისი უმცროსი ძმა თეიმურაზი.

აჯანყებულებს მტკიცე უარი უთქვამთ გადასახადის გადახდაზე და წინააღმდეგობა გაუწევიათ ძროხების წამოსაყვანად მისული პირებისათვის. ეტყობა, ისე გამოუსტუმრებიათ მოსულები, რომ თვით მათ უშუამდგომლიათ ბოდბელის წინაშე გადასახადის აკრეფისაგან თავის შეკავების შესახებ. საგონებელში ჩავარდნილა თეიმურაზიც და ეპისკოპოსისათვის უბრძანებია: „ცოტა ხნობით დააცალოს გამორთმევა“[143]. ეპისკოპოსი დათანხმებულა და, როგორც პროფ. ს. კაკაბაძე ფიქრობს, საგარანტიო სიგელიც კი მიუცია გლეხებისათვის „ძროხის რიგისგან“ მათი განთავისუფლების შესახებ[144] ამ ნაბიჯმა აჯანყებულები დაამშვიდა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა მოწინააღმდეგე მხარე, რომელიც დათმობაზე წასვლას, როგორც დროებით მოვლენას ისე უყურებდა და საბოლოოდ თავის განზრახვაზე ხელის აღებას არ ფიქრობდა. ამას ადასტურებს თეიმურაზის სიგელი ბოდბელისადმი, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია: «Если бог даст и наш брат[145] вернется (из Персии), он все урегулирует и взыщет (с виновных крестьян), как это раньше сделал наш отец[146] а то через некоторое время мы сами взыщем (с них) и урегулируем это дело так, как это должно быть согласно гуджару (грамоте). Никто в этом не может препятствовать. Если кто-либо предъявит грамоту Бодбели (т. е. грамоту бодбийского епископа об отмене требования доставки коров — И. А.), то эта наша запись да аннулирует подобную грамоту»[147].

რა მოხდა მერე, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით საბუთების უქონლობის გამო. პროფ. ს. კაკაბაძის აზრით კი, გლეხებს მაინც თავისი გაუტანიათ, რადგანაც «даже много позже названная подать в пользу бодбийского епископа с них не взыскивалась»[148].

1735 წელს აჯანყებულან ალავერდის მიტროპოლიის ხელქვეითი გლეხები და აზნაურები სოფ. საყდრიონსა და მის ახლომახლო ადგილებში. მათ დაუტოვებიათ თავიანთი საცხოვრებელი და ტყეში გაქცეულან. კახეთის მეფეს მუქარით აღსავსე წერილით მიუმართავს მოძრაობის მონაწილეებისათვის და სრული მორჩილება

---

[143] ნ. ბერძენიშვილი, დსსი, ტ. I, გვ. 384, საბ. 535.

[144] ს. კაკაბაძის დასახელებული წერილი, ИКБЗ, გვ. 168.

[145] მხედველობაშია მისი ძმა იმამ-კული-ხანი (დავითი).

[146] ე. ი. ნაზირ-ალი-ხანი (ერეკლე I).

[147] მომაქვს ს. კაკაბაძის წერილიდან, ИКБЗ, გვ. 168.

[148] ს. კაკაბაძე, დასახ., წერილი, ИКБЗ, ე. 169.

მოუთხოვია.' „ეს ამდენი ხანია, — ნათქვამია იქ, — ჩვენს ქვეყანაში[149] ხან ლეკობა და ხან ურუმობა (იყო). არაოდეს თქვენ ეგ ჩვენი სასაფლაო არ დაგიგდიათ[150] და მანდაურობას არ გასცლიხართ[151]. აწე რა მღერთი გაგიწყართ, რომ ეგ ადგილი ასე წა(ა)ხდინეთ. სად უნდა წამსვლიყავით, ტყეში დამალვა[152] როგორ იქნება? ახლა საყდრიონის... საქმის გარიგება ბეჟან მგალობლიშვილისათვის გვიბოძებია და მანდა გამოვისტუმრეთ. ამას აქეთ[153] მანდაურს საქმეს და გარიგებას ამას ვკითხავთ. თუ... კარგად გაირჯებით და იმსახურებთ[154] კარგს წყალობას იშოვით, თუ არა და ხათრიჯამი[155] იყავით ცაში რომ ახვიდეთ, იქაც ვერ მოგვირჩებით, ღეითითა და ბედნიერის ხანის... ძალით ხელში ჩაგიყრით და... (მკაცრად) გარდაგახდევინებთ. უბრალოდ ტყეში, კლდეში ხეტიალი[156] თქვენ არას გამოგადგებათ, ისევ თქვენს ალაგს დაგროვდით და რაც სამსახური გებძანოთ... (შეასრულეთ). ფიქრი (ნუ გაქვთ), როდესაც გინდათ ჩამოდით, გვიახელით, გასარიგი საქმე გქონდესთა გაირიგეთ და ისევ წადით. რადგან თქვენი... უფროსობა ბეჟან მგალობლიშვილისათვის მიგვიცია — იმის რიგსა და სიტყვას ნუ გარდახვალთ"[157].

შემდეგი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მღელვარება ისევ კახეთში დაიწყო 1775 წელს. ის დაკავშირებულია პორტაიტის მონასტრის ყმების გამოსვლასთან[158], რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი სხვა საკითხის განხილვისას.

მომდევნო 1776 წელს მორჩილებიდან ისევ საეკლესიო გლეხები გამოსულან, მხოლოდ ამჯერად ქართლში — ურბნისის ეკლესიის ყმები. მათ უარი უთქვამთ გადასახადის გაღებაზე. ეპისკოპოს

---

149 „ჩვენს ქვეყანაში"-ს მაგივრად ტექსტში წერია სხვა სიტყვები, რომლებიც ჩვენ ვერ ამოვიკითხეთ.

150 ტექსტში წერია სიტყვა, რომელიც დაზიანების გამო არ იკითხება, აზრით კი უნდა იყოს „დაგიგდიათ".

151 საბუთში წერია „არ გაეცალეთ".

152 საბუთში წერია „დამალვით".

153 საბუთში წერია „აქათ".

154 ტექსტში წერია „იმსახურებით"

155 ხათრიჯამი — დარწმუნებული.

156 ტექსტში წერია სიტყვა, რომელიც „დავლა"-დ იკითხება.

157 ს ს ს ი ა, ფონდი 1448, საბ. 348; ეს საბუთი პირველად ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ გამოიყენა თავის წერილში «Крестьянский вопрос и крестьянские движения...» (1930.).

158 Д. П у р ц е л а д з е, ГКГ, გვ. 27.

ურბნელს დახმარება ერეკლესათვის უთხოვია, რომელსაც „წესრიგის“ აღდგენა ამილახვრისათვის დაუვალებია. საქართველოში არავის გაუგონია, რომ ვინმეს თავი აერიდებინოს საეკლესიო გადასახადებისათვისო — სწერდა მას მეფე[159].

საინტერესო მოძრაობას ჰქონდა ადგილი 1777 წელს ქსნის საერისთავოში (ქართლი). საბაბი გამხდარა გლეხებში გავრცელებული ხმები, თითქოს, ერეკლეს გადაეწყვიტოს ქსნის ერისთავებისათვის ადრე ჩამორთმეული და სახაზინოდ დადებული ყმა-მამულების დაბრუნება. ამას გლეხობაში დიდი შეშფოთება გამოუწვევია, რადგან მათთვის სამეფო უწყებაში ყოფნა უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე კერძო მებატონეთა ყმობა. ერისთავებს არაფრით არ დაევიმორჩილებითო, — განუცხადებიათ აჯანყებულებს. მეფეს მოწოდებით მიუმართავს მღელვარების მონაწილეთათვის: «Осетины и грузины! Ксанское и Лиахвское ущелья... мы положили в казенное ведомство. (Поэтому) никто другой до вас дела не имеет... Заверяем вас клятвой, что из ксанского и лиахвского ущелья ни один дым не будет отдан никому. В этом пусть все (жители названных ущелий) будут убеждены. Ни один (из этих жителей) пусть не беспокоится. От нас вы ждите только милость. Завтра мы прибудем в Ахалгори и вы тоже явитесь к нам по одному человеку с каждого дыма ... (и) если ... что имеете сказать, доложите ..... Приходите старшие и служилые люди, по пусту простой народ не беспокойте, пусть будет дома... Мы вас заверяем клятвой, что вы никому (в крепостные) не будете отданы»[160].

ეტყობა, ერეკლემ, რომელიც ოდნავადაც არ იყო ერისთავების გაძლიერებით დაინტერესებული, მართლაც არ დაუბრუნა მათ ყმა-მამულები და ამით აჯანყებულები დააშოშმინა[161].

დაახლოებით ასეთივე ხასიათისა იყო 1780 წლის მახლობლად ქართლში, მემამულე ჩხეიძეების სოფელ ფონაში მომხდარი მღელვარება. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჩხეიძეებს ყმა-მამულები ჩამორთმევიათ, მაგრამ მალე რაჭის ერისთავის შუამდგომლობით დაკარგულის უკან დაბრუნება მოუხერხებიათ. ამას მისი ხელქვეითი გლეხები — ნოზაძეები[162] უარყოფითად შეხვედრიან, რადგან

---

[159] Д. Пурцеладзе, ГЦГ, გვ. 27.

[160] ს. კაკაბაძე, დასახ. წერილი, გვ. 187.

[161] ერისთავებმა ერეკლეს მიერ კონფისკებული ყმა-მამულები დაიბრუნეს მხოლოდ 1803 წელს რუსული მმართველობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის (ს. კაკაბაძე, დასახ. წერილი, И К Б З, გვ. 187).

[162] მათი რაოდენობა 65 კომლს უდრიდა.

სახაზინო უწყება უფრო აწყობდათ, ვიდრე ზემოთ დასახელებული ტლანქი და უხეში მებატონე. ისინი აყრილან თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და გაქცეულან. უპირატესად იმერეთში გადახვეწილან. ჩხეიძეებს მოლაპარაკება გაუმართავთ მათთან, მაგრამ უშედეგოდ. 1788 წელს საქმეში ბატონიშვილი იულონი ჩარეულა, გლეხები თავისი ძმის ვახტანგის საკუთრებად უცვნია და სახლებში დაბრუნება მოუთხოვია. ამის შესახებ მათთვის სათანადო საბუთიც კი მიუცია. „ჩვენ ბატონიშვილმა იულონ, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ ფონელებს, ასე რომ ჩვენი ძმის ნეტარ ხსენებულის ბატონისშვილის ვახტანგის წიგნიცა გაქვსთ..., რომ ძველთაგან საბატონიშვილი ყოფილხართ, ახლა ეს ჩვენი წიგნი რომ ნახოთ., ვინც იმერეთს იყვნეთ, აიყარენით და სურამს გადმოდით და საცა თქვენი ნება იქნება იქ დაგაყენებთ... ხათრიჯამი იყავით, რომ თქვენ არც ჩხეიძეებს მიგცემთ და არც არავის თქვენთან საბატონყმოთ საქმე ექნება. ძველთაგან ჩვენი ყმანი ყოფილხართ და ახლაც ჩვენი ყმანი იქნებით“[163]. ეტყობა, გლეხები უნდობლად მოჰკიდებიან ბატონიშვილის ამ დაპირებას და რამდენიმე წელი კვლავ ტყეში უხეტიალიათ, ხოლო 1794 წელს ფონაში დარჩენილ ნოზაძეებს ერეკლე II-ისათვის შემდეგი თხოვნა-საჩივარი მიურთმევიათ: „ამას მოგახსენებთ, (რომ) ძველთაგან თქვენი სახასო ყმანი გახლავართ. ჩვენი გვარი კაცი სამოცდა ხუთი (65) კომლი გახლავართ, ათი კომლი სურამში და ქართლში..., სხვა იმერეთსა და ოსმალოში არიან დაფანტული. ჩვენი გვარის კაცი მეფე ვახტანგს ჩხეიძეებისათვის მიებარებია... დღეს ახლა ისე გაგვიჭირდა ჩხეიძეებისაგან, რომ დაკარგვის მეტი ღონე არა გვაქვს. მოგეხსენებათ სურამი, ხეფინისხევი და ფონა ერთი ბატონის ყმა ყოფილა (და) სახასოთ (ითვლებოდა). ახლა თუ ჩვენ ჩხეიძეების ხელისგან გვეშველება და ერთს და ერთს ბატონიშვილს მიგცემთ და ერთი ბინა მოგვეცემა, (პირობას ვიძლევით) რაც ჩვენი გვარის კაცი დაფანტული არის იმერეთსა და ოსმალოში სულ ჩვენ მოგართვათ სადაც თქვენი ნება იქნება. და თუ თქვენი საფარველი ჩვენ არ დაგვადგა, ჩვენც დაეიკარგებით. ნება თქვენი სიმაღლისა აღსრულდეს“[164].

---

163 ს ს ც ი ა, ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 65 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. წერილი, И К Б З, გვ. 188.

164 ი ქ ვ ე, საბ. 66.

ერეკლემ ნოზაძეები ხაზინის საკუთრებად აღიარა და ჩხეიძეების პრეტენზიები უსაფუძვლოდ ჩასთვალა. ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი გლეხები დაშოშმინდნენ და დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს. 1798 წელს, ჩხეიძეებმა ისევ დასვეს ეს საკითხი. სასამართლომ, რომელსაც ბატონიშვილი იოანე ხელმძღვანელობდა, სარჩელი მებატონეების სასარგებლოდ გადაწყვიტა[165]. სადაც არ უნდა იყვნენ ნოზაძეები, მონახეთ, დააბრუნეთ და ნინია ჩხეიძეს ჩააბარეთო, — ნათქვამია ხსენებული წლის 21 სექტემბრის სასამართლოს დადგენილებაში.

ასე დამთავრდა თითქმის ორ ათეულ წელს გაგრძელებული გლეხთა მღელვარება.

1786 წელს (ამ წლის მახლობლად) აჯანყებამ ისევ კახეთში იფეთქა. მას შედარებით მეტი ტერიტორიაც მოუცავს და უფრო ორგანიზებული ხასიათიც ჰქონია. მოძრაობის მონაწილე გლეხებს ფიცი დაუდვიათ ერთობლივი მოქმედებით საქმე ბოლომდე მიეყვანათ. ხალხის „დიდი მღელვარებით" შეშფოთებულ თავადაზნაურობას მეფისათვის სასწრაფო დახმარება და კახეთის სოფლებში ნორმალური მდგომარეობის აღდგენა უთხოვია[166]. მასალების უქონ-

---

[165] ს ს ც ი ა, ფ. 1450, დავ. 25, საბ. 6. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. წერილი, გვ. 189.

1799 წლის 2 აპრილს სასამართლოს ეს დადგენილება დაატმკიცა მეფე გიორგი XII-მ (ს ს ც ი ა, ფ. 1450, დავ. 25, საბ. 63).

[166] ერთადერთ დოკუმენტში, რომელშიც დაცულია ცნობა ამ აჯანყების შესახებ და რომელიც წარმოადგენს ოთხი კახელი თავადის 1786 წლის 16 თებერვლის წერილს ერეკლეს სასახლეში მყოფი ზაქარია ანდრონიკაშვილის, ივანე შალიკაშვილისა და დავით ქობულაშვილის სახელზე, ნათქვამია: «Так как вы сыны нашего края и вместе с тем с большим положением, то вы обязаны заботиться о Кахетии. Мы видим и слышим, что население в большом волнении и в состоянии брожения. А в некоторых местах целые деревни присягнули друг другу в церквах (стоять заодно), в иных местах дело доходит до взаимных убийств и поранений, в некоторых местах перестали соблюдать посты и ведут себя вне путей, установленных церковью. Все эти беспорядки как будто продолжают еще более усиливаться. Мы этим очень были встревожены, но не имели возможности приехать и доложить его высочеству (царю), или повидать вас. Царице мы отправили прошение и послали к ней нашего брата (шуамтинского) настоятеля, доложили ей о вышеизложенном и просили прислать нашим управителем одного из своих сыновей. Вам ведь хорошо известно, что подобные явления случались в Кахетии и раньше, но государи умиротво-

ლობის გამო ჩვენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია ამ გამოსვლას, მაგრამ მისი დამარცხება ეჭვს არ იწვევს.

იმავე 1786 წელს იმერეთის გლეხებიც აჯანყებულან. მოძრაობაში მონაწილე ყმებს, რომელთა რაოდენობა 4 ათასს უდრიდა, გაუძარცვავთ ლოსიათ ხევისა და არგვეთის პრივილეგიური წოდების ოჯახები. მათ, პოლკოვნიკ ბურნაშოვის ცნობით, მეფე დავითისათვის თავად-აზნაურთა ყმობისაგან სრული განთავისუფლება მოუთხოვიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა მეფის არჩევით დამუქრებიან. ამით გაბრაზებულ დავითს ძალა გამოუყენებია და მოძრაობა ჩაუქრია, რომლის დროსაც ორი მისი მონაწილე მოუკლავთ, ხოლო თვრამეტი — დაუტყვევებიათ[167].

მიუხედავად იმისა, რომ ამ აჯანყებაში პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, თავისი ხასიათით ის ანტიბატონყმური უნდა ყოფილიყო. არ არის საფუძველი ეჭვის ქვეშ დავაყენოთ პოლკოვნიკ ბურნაშოვისა და მისი ინფორმატორის კრასინკის ცნობა, რომ მოძრაობაში მონაწილე გლეხების ძირითადი მოთხოვნა თავადაზნაურობის ყმობისაგან მათი სრული განთავისუფლება იყო. მართალია, ასეთი რამის მოთხოვნა მაშინდელ საქართველოში, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალებიდან ჩანს და სხვების მიერაცაა სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებული[168]. მთლად უჩვეულო და მოულოდნელი არ იყო, მაგრამ ის მაინც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სიახლეს წარმოადგენდა და სწორედ ამიტომ მიიქცია თანამედროვე დამკვირვებელთა განსაკუთრებული ყურადღება. რა თქმა უნდა, არაა გამორიცხული, რომ იმერელ გლეხებს სამეფო (სახაზინო) უწყებაში გადარიცხვა მოეთხოვათ, როგორც ფიქრობს ზოგი ავტორი[169], მაგრამ, ჯერ ერთი, საკითხთან დაკავშირებული ძუნწი მასალა ამის საფუძველს არ იძლევა და, მეორეც, ბურნაშოვ-კრასინსკისათვის ეს იმდენად სენსა-

---

ряли беспорядок. Теперь его высочество изволить пребывать вдали от нас (т. е. в Тифлисе) и поэтому мы просим его прислать одного из своих сыновей... для успокоения (страны) и... управления нами. Докладывая вам об этом крепко и убедительно, просим поддержать наше донесение перед царем» (ს. კაკაბაძე, დასახ. წერილი, ИКБЗ, გვ. 191—192).

[167] ამ აჯანყების შესახებ იხ. А. Соколов, Путешествие мое в Имеретию, М., 1874, გვ. 53; ნ. ქორთუა, იმერეთის გლეხთა ერთი აჯანყების შესახებ [მსკი, ნაკ. 34, გვ. 195—200]; სიბ. ტ. IV, გვ. 736—738.

[168] სიბ, ტ. IV, გვ. 737.

[169] სიბ, IV, გვ. 737.

ციური არ იქნებოდა, რამდენადაც პირველი, რაჯგანაც მეორე ტენდენცია, მართალია გაცილებით უფრო მკრთალად, ადრეც შეინიშნებოდა და იგრძნობოდა.

1800 წლის ზაფხულზე იარაღი აღუმართავთ სოფ. კალაურის (კახეთი) გლეხებს მებატონე ჯანდიერების წინააღმდეგ. როგორც უკანასკნელთა მიერ გიორგი XII-ისათვის მირთმეული საჩივრიდან ჩანს, შეიარაღებულ გლეხებს დაუკავებიათ ჯანდიერების მამულები, დაპატრონებიან მათ ტყეებსა და საყანე ადგილებს, მოუხნავთ კიდეც და მტკიცედ გადაუწყვეტიათ ფეხი არ მოეცვალათ იქიდან. სავარგულებისკენ მიმავალი გზები ისე შეუკრავთ, რომ კაცის გასვლა შეუძლებელი გამხდარა. „შფოთის“ მონაწილეებს სიტყვა მიუციათ ერთიმეორისათვის, არ დაეთმოთ მემამულეებისათვის, დაკავებულ ადგილებზე არ გაეტარებინათ მათი კაცები და წინააღმდეგობის შემთხვევაში მოეკლათ ისინი. ხელქვეითების ასეთი საქციელით შეწუხებულ თავადებს გიორგი მეფისათვის მიუმართავთ. გლეხები „შფოთზე დგანან“[170], ჩვენ უხნავ-უსარჩოთ ვიკარგებითო. შეუჩივლიათ მათ უმაღლესი ხელისუფლისათვის და სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილი „ქრისტიანებისათვის“ დახმარების მიცემა უთხოვიათ[171]. მეფეს თავისი შვილისათვის—ბაგრატისათვის—უბრძანებია (1800 წლის 21 აპრილი): „თავადთა და გლეხთა ასე რომ მოუხსენებიათ, შენ ყადაღა უნდა უყო, რომ შფოთი არ მოუვიდესთ რა. ის მამული ორთავ ხნას მანამდის ჩვენ კახეთში მოვიდოდეთ და როდესაც ჩვენ მოვალთ მანდ, ჩვენ მოვარიგებთ“[172].

* * *

ნაშრომის ეს თავი შეიძლება შემდეგი დასკვნებით დავამთავროთ:

1. ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ ბრძოლაში სოფლის მშრომელი მოსახლეობა სხვადასხვა ფორმას და საშუალებას მიმართავდა, ყველაზე გავრცელებული აყრა-გაქცევა იყო, რომელსაც გლეხი ადრეც მიმართავდა, მაგრამ მასობრივი ხასიათი მან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო. აყრა-გაქცევა

---

170 ტექსტში წერია „დგან“.

171 ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 183, საბ. 199.

172 ი ქ ვ ე.

ბატონისათვისაც საშიში იყო და ყმისთვისაც, ის ეკონომიური გადადგურებით ემუქრებოდა ერთსაც და მეორესაც, მაგრამ მჩაგვრელთა ძალმომრეობით შეწუხებული უშუალო მწარმოებელი მას მაინც მიმართავდა და ხშირად საკმაო წარმატებასაც აღწევდა, რაც მისი შრომისა და ცხოვრების პირობებს ერთგვარად აუმჯობესებდა.

2. პრივილეგიურ წოდებასთან გლეხთა ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პროტესტს საგადასახადო ტვირთის წინააღმდეგ. პროტესტს აცხადებდა გლეხი ახალი გადასახადების შემოღების, წინანდელი ნორმების გადიდების, უდების დადების, ერთხელ აღებულის ხელმეორედ აღების და ა. შ. წინააღმდეგ. ბრძოლა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისათვის, რა თქმა უნდა, რადიკალურად ვერ ცვლიდა გლეხის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, მაგრამ საბოლოო ჯამში ის მაინც ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეს ემსახურებოდა.

3. განსახილველ ხანაში შედარებით მასობრივი ხასიათი მიიღო წინა პერიოდში ოდნავ საგრძნობმა ისეთმა მოძრაობამ, როგორიცაა ბრძოლა სამეფო (სახაზინო) უწყებაში გადასვლისათვის. მართალია, ამ უწყებაში გადასვლა არ ათავისუფლებდა გლეხს ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრისაგან, მაგრამ რამდენადმე მაინც უმსუბუქებდა მდგომარეობას. სახელმწიფო უწყების კაცს, როგორც წესი, მეტი თავისუფლება და მატერიალური უზრუნველყოფა ჰქონდა. სწორედ ამიტომ უნდოდათ გლეხებს მებატონეთაგან თავის დახსნა და სახაზინო უწყებაში გადასვლა.

4. სრულიად ახალი იყო XVIII საუკუნის, უპირატესად ამ საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილეში კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმა, როგორიცაა ყმური დამოკიდებულების სრული უარყოფა გლეხების მიერ. ისინი, საბუთების დასტურით, „განზე იწევდნენ", ბატონებს არ სცნობდნენ, ყმურ სამსახურზე უარს აცხადებდნენ და თავისუფლებას იჩემებდნენ. თანაც ყოველივე ამას აკეთებდნენ ხშირად ყოველგვარი მოტივირების გარეშე ან კიდევ ყალბი ცნობებისა და ცრუ მოწმეების დასახელების გზით. მართალია, სოფლის მშრომელი მოსახლეობის მოქმედება ამ მიმართულებით, როგორც წესი, წარუმატებელი იყო, მაგრამ ის მაინც ფრიად საყურადღებო და იმ ცვლილების მკაფიოდ დამადასტურებელი მოვლენა იყო, ჩვენი ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში რომ მიმდინარეობდა მაშინ.

... იგი იმის მოწმობა იყო, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში გაბატონებულ კლასს ჩვეულებრივზე მეტად უპირ-

და თავისი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო გლეხობას არ სურდა ძველებურად ცხოვრება. და თუმცა წინა საუკუნეებისათვის უცხო და ახალი ნიავის დაბერვით გამოწვეული ეს შისი განწყობილება ჯერჯერობით გარდაუვალი დაღუპვით არ ემუქრებოდა ძველ წყობილებას, მაგრამ მაინც ერთგვარ საფრთხეს უქმნიდა მას და ნიადაგს ამზადებდა ახალი ურთიერთობის გასამარჯვებლად.

5. ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა საფუძველის ყველაზე საგრძნობი შემრყეველი, ცხადია, გლეხთა შედარებით მასობრივი გამოსვლები, აჯანყებები იყო. მათი სიხშირე XVIII საუკუნეში (განსაკუთრებით კი ამ საუკუნის მეორე ნახევარში) და, რაც მთავარია, ზოგი მათგანის (მაგალითად, 1786 წლის იმერეთის აჯანყების) ანტიბატონყმური ლოზუნგით წარმართვა, ძველი წყობილების არასაიმედო მდგომარეობის აშკარა მაჩვენებელი იყო.

6. ქართველი გლეხის კლასობრივი ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გამწვავდა, წარმოადგენდა აქტიურად მოქმედ ძალას. იგი ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მის წარმომშობ ბაზისზე, ხელს უწყობდა და აჩქარებდა ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს და ამდენად დადებით როლს თამაშობდა.

საერთო დასკვნები

1. XVIII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიური განვითარების დონისა და ხასიათის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იგრძნობა. მკვლევართა ერთი ნაწილი ძალზე გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს ამ დონეს და მიაჩნია, რომ ჩვენთვის საინტერესო საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში უკვე სახეზეა კაპიტალისტური წყობა („უკლად"), რომელიც ინტენსიურად არღვევდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას, მეორე ნაწილი კი, პირიქით, არამცთუ უარყოფს ბურჟუაზიული წყობის არსებობის ფაქტს, არამედ ლაპარაკობს ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების დაჩიხულობაზე, რაღაც საოცარ რეგრესზე, რომელიც შეუძლებელს ხდიდა რამე პროგრესული ხასიათის ძვრებსა და ცვლილებებს.

2. ჩვენი აზრით, ორივე თვალსაზრისი ცოდავს ჭეშმარიტების წინაშე. ხსენებული ხანის საქართველოში ნაადრევია ლაპარაკი როგორც უკვე ჩამოყალიბებული, საბოლოოდ გაფორმებული ბურჟუაზიული წ ყ ო ბ ი ს არსებობაზე, ისე სოციალ-ეკონომიური ცხოვრე-

ბის სრულ დაჩიხულობაზე, უცხო ძალის დახმარების გარეშე წინსვლა-განვითარების შეუძლებლობაზე.

3. მართალია, იმდროინდელი საქართველოს რთული საგარეო მდგომარეობა (ირან-თურქეთის აგრესია, ლეკიანობა) სერიოზულად აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ მას სრული დამუხრუჭება და პროგრესის შეჩერება არ გამოუწვევია. ხალხი არა მარტო იბრძოდა, არამედ შრომობდა, მატერიალურ დოვლათს ქმნიდა, თავის სამეურნეო ჩვეულებს ამდიდრებდა, სიახლეს ნერგავდა. ეს განსაკუთრებით დროის იმ მონაკვეთებზე ითქმის, როდესაც, ქვეყანაში შედარებით სიმშვიდე მყარდებოდა (1632——1722; 1748—1784 წლები).

4. მრავალი წარმატებით აღინიშნა, კერძოდ, XVIII საუკუნის შეორე ნახევარი. წარმატება იგრძნობოდა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში — პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება (1762 წ.), ეფექტური ბრძოლა სენიორალური სისტემის წინააღმდეგ და მისი საგრძნობი შეზღუდვა, სასაქონლო წარმოების გაფართოება, ვაჭრობისა (საშინაო და საგარეო) და მრეწველობის (მანუფაქტურული ტიპის) დაწინაურება, დაქირავებული შრომის გამოყენება წარმოებაში, ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდა, ანტიბატონყმური მოტივების წარმოშობა-გაძლიერება და სხვა იმის მკაფიო მაჩვენებელია, რომ განსახილველი ხანის საქართველოში მიმდინარეობდა პროგრესული ძვრები და რომ მას არ ჰქონდა დაკარგული შინაგანი განვითარების უნარი.

5. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ეკონომიურ საფუძვლებში. XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის მეორე ნახევარში, რთული მდგომარეობა შეექმნა ფეოდალურ მიწათმფლობელობას. ადგილი ჰქონდა მიწების ამოძრავებას, პრივილეგიური წოდება ხშირად და დიდი მასშტაბით ყიდდა მათ, მყიდველი კი უპირატესად არაპრივილეგიური წოდების წარმომადგენლები (გლეხები, ვაჭრები) იყვნენ. ჩვენი მიახლოებითი გამოანგარიშებით, გაყიდული მიწების 65% საზოგადოების დაბალი ფენების ხელში გადადიოდა, ხოლო 35% — ფეოდალური კლასის[1]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწებს გლეხებიც ყიდდნენ და ფეოდალებიც, მაგრამ სწორედ

[1] პროცენტები ორივე შემთხვევაში დამრგვალებულია. თვით ძირითად ტექსტში კი შესაბამისად დასახელებულია 65,1 და 34,9 პროცენტი.

უკანასკნელნი ქმნიდნენ გამყ ··ველთა ძირითად კონტინგენტს. ასეთი ვითარება კი იმის მკაფიო მოწმობაა, რომ ფეოდალური ურთიერთობის საფუძველს — ფეოდალის საკუთრებას მიწაზე ძლიერად უტევდა გლეხობა, რომელიც იძენდა რა მიწას, თავს აღწევდა ამ უკანასკნელით უზრუნველყოფის ბატონყმურ გზებსა და საშუალებებს.

6. სერიოზული ცვლილებები ხდებოდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა სოციალურ საფუძვლებშიც. მიმდინარეობდა ბატონყმობისაგან გლეხთა თავდახსნის საკმაოდ საგრძნობი პროცესი. თავისუფლების მოპოვების ყველაზე მშვიდობიან და საიმედო გზას გამოსყიდვა წარმოადგენდა. გვიანფეოდალური ხანის სამართალი და სამართლებლივი აზროვნება, რომელიც თავისი არსით ფეოდალურ-ბატონყმური იყო, ერთგვარად ხელსაც კი უწყობდა ამ პროცესის გაშლა-გაფართოებას. ამით სარგებლობდა ქართველი გლეხი და ხშირად დიდი მსხვერპლის გაღებით აღწევდა კიდეც მიზანს. ჩვენ ხელთ არსებული მასალების თანახმად, სულ XVIII საუკუნეში ბატონყმური ურთიერთობისაგან თავი დაუღწევია და თავისუფლება მიუღია 450 კომლს. დაკარგულ-განადგურებული და დღემდე მიუკვლეველი მრავალი საბუთის გათვალისწინებით, ეს რაოდენობა სულ მცირე ორჯერ მაინც გადიდდება და 900 კომლს გაუთანაბრდება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებო და ბევრის მთქმელი ფაქტია. თავდახსნილ გლეხთა ნაწილი თავისუფლებას ინარჩუნებდა (ამას, პირველ რიგში, მიწით განთავისუფლებული აღწევდა), ნაწილი კი მას კარგავდა. მათი ხვედრითი წონა, ჩვენი მიახლოებითი გამოანგარიშებით, შესაბამისად 70 და 30 პროცენტს უდრიდა (პროცენტები დამრგვალებულია). ეს კი საკმაოდ დიდი პროცენტია და კარგად მეტყველებს ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების ხასიათზე, ამ განვითარების მიმართულებაზე. იგი იმის მაჩვენებელია, რომ XVIII საუკუნეში, უპირატესად მის მეორე ნახევარში, მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი (ეს დასკვნა ძალაში დარჩება იმ შემთხვევაშიც, თუკი თავისუფლებაშენარჩუნებულ გლეხთა ხვედრით წონას 50%-ით განვსაზღვრავთ).

7. XVIII საუკუნის ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრების ერთ-ერთი გამომხატველი და დამაჩქარებელი იყო ფულადი რენტა-გადასახადების გავრცელება-განვითარება. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო

კავშირების გაფართოებამ განაპირობა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა პროდუქტადი რენტა-გადასახადების კომუტაციის შეუნელებელი პროცესი მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ამ საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში (ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე). სამწუხაროდ, სათანადო მასალების უქონლობა არ გვაძლევს საშუალებას ზუსტად და კატეგორიულად განვსაზღვროთ ფულადი რენტა-გადასახადების ხვედრითი წონა, მაგრამ, ეფიქრობთ, ის XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე არ უნდა ყოფილიყო 15-20 პროცენტზე ნაკლები. ეს პროცენტი ბევრად უფრო გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფო გამოსაღებებს, სადაც, როგორც ცნობილია, ფულადი სახეობა დომინირებდა.

ფულადი რენტის გავრცელება იმის დამადასტურებელია, რომ განსახილველი ხანის საქართველოში წყალი შეუდგა ფეოდალური ურთიერთობის ერთ-ერთ საფუძველს, ამ ურთიერთობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს — ნატურალურ მეურნეობას. ამასთან, რენტის ეს ფორმა, როგორც ცნობილია (ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 179), მოქმედების გაცილებით მეტ თავისუფლებას ანიჭებდა გლეხს, ასუსტებდა კავშირ-დამოკიდებულებას მასა და ბატონს შორის.

8. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს აჩქარებდა კლასობრივი ბრძოლა, რომელშიც ასევე გარკვეული სიახლე შეიმჩნეოდა. სრულიად ახალი იყო, მაგალითად, XVIII საუკუნის, უპირატესად ამ საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმა, როგორიცაა ყმური დამოკიდებულების სრული უარყოფა გლეხების მიერ. ისინი, საბუთების დასტურით, „განზე იწევდნენ“, ბატონებს არ სცნობდნენ, ყმურ სამსახურზე უარს აცხადებდნენ და თავისუფლებას იჩემებდნენ. თანაც ყოველივე ამას აკეთებდნენ ხშირად ყოველგვარი მოტივების გარეშე ან კიდევ ყალბი ცნობებისა და ცრუ მოწმეების დასახელების გზით.

9. ზემოთ ჩამოთვლილი ძვრები — სიახლენი შეუძლებელია მომხდარიყო სრული დაჩიხულობის ვითარებაში. აღნიშნულ სიახლეთა წარმოშობა, რომელიც, კიმეორებთ ისევ, წარმოუდგენელია სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სტაგნაციისა და კატასტროფული უკანსვლის პირობებში, თავის მხრივ ხელს უწყობდა ქვეყნის პროგრესის, მისი განვითარება-დაწინაურების საქმეს. თანაც ეს განვითარება მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის საფუძვლების მეტ-ნაკლებად საგრძნობი შერყევის ნიშნით, რაც ნიადაგს

ამზადებდა ბურჟუაზიული ურთიერთობის გამარჯვებისათვის. მომავალში. XVIII ს. საქართველოში მიმდინარე ეს პროცესი ფნიშვნელოვანწილად გაღრმავდა 1801 წლის შემდეგ, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შედეგად შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა ქვეყნის სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

К ВОПРОСУ О ХАРАКТЕРЕ СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ В XVIII ВЕКЕ

Резюме

Та чрезвычайно сложная внешнеполитическая обстановка, в которой оказалась Грузия в XVIII веке, само собой разумеется, сковывала развитие производительных сил, экономический прогресс страны, ее движение вперед. Это особенно чувствовалось во второй четверти указанного века, точнее в 1723—1735 и 1735—1747 годах, когда в Картли и Кахети господствовали последовательно турки и иранцы. Финансово-экономическая политика агрессоров, главная цель которой состояла в получении дани, не считалась с материальными возможностями плательщиков и, облагая последних безмерно, отнимала у них стимул к трудовой деятельности. Благодаря этой разорительной политике почти все отрасли народного хозяйства стали убыточными, народ переставал ими заниматься и, покидая насиженные места, уходил. Появилось (в особенности в Нижней Картли) много «намосахлари»[1], «насоплари»[2], «накалакари»[3], т. е. многие населенные пункты, селения и города стерлись с лица земли, стали развалинами.

В 1747 году Грузия избавилась от иранского господства. Наступило время сравнительно спокойной жизни, охватившее 50—80-ые годы, а также и первую половину 90-х годов. Мы говорим о сравнительно спокойной обстановке, так как полного покоя народ не имел и в эти годы. Постоянные, почти непрекращавшиеся набеги лезгинских феодалов вынуждали народ быть всегда готовым к отражению неприятеля и защите своей семьи и своего движимого и недвижимого имущества.

Следовательно, даже в 50—80-х годах XVIII века, т. е. тогда, когда Картли и Кахети были свободны от господства иноземных завоевателей и пользовались плодами.

---

[1] Дословно — место, где раньше жили люди.

[2] Дословно — место, где раньше было село.

[3] Дословно — место, где раньше был город.

сравнительно спокойной жизни, не было нормальных условий для развития производительных сил, для полного развертывания трудовой деятельности народа, для беспрепятственного движения вперед экономической жизни страны. И все же народ не сидел праздно, скрестив руки на груди. Он трудился и боролся, боролся и трудился; он и материальные блага создавал и неприятеля отражал, и отечество защищал и честь своей семьи отстаивал. Трудящиеся массы Грузии эффективно пользовались даже небольшими мирными промежутками для восстановления разрушенного хозяйства, для развертывания производственной деятельности. Также поступали купцы, помещики-рационализаторы и др.

В одной докладной записке царицы Дареджан, составленной в конце апреля 1801 года для русской администрации, говорится, что она за свою жизнь восстановила и заселила людьми немало разоренных врагами сел и деревень. В числе них названы Кучатани, Санавардо, Велисцихе, Кукиа, Колагири и др.[4]. Привыкший к труду народ, с большим желанием обращался к нему даже после значительных потрясений, лишь бы была надежда на мирную жизнь. Примером этого может служить сравнительно быстрое восстановление Тбилиси после катастрофы 1795 года. «И меня радует, — писал царевич Александр царице Дареджан в 1797 году, — что город, в котором, ко времени моего прибытия, не было ни единого человека и не из одного дома не шел дым, благодаря богу и вам, постепенно заселяется..., ушедшие возвращаются»[5].

Вот эта кипучая деятельность народа и была одной из главных причин того, что сложная внешнеполитическая ситуация того времени и непосредственное господство иноземных агрессоров и установленный ими тяжелый режим, не сумели полностью затормозить социально-экономическое развитие Грузии. Отмеченные явления, конечно, значительно задержали движение страны вперед, но приостановить это движение они все же не смогли.

Большую роль в этом деле играла политика правительства, центральной власти. Военные и социально-экономические мероприятия («Мориге джари», борьба против сеньоральной системы, отстаивание «крепостнического распорядка», возобновление старого закона, запрещавшего

---

4 Е. Такайшвили, Древности Грузии, т. III, стр. 295, 299.

5 ДГ, т. III, стр. 226—227.

продажу крепостных без земли, некоторое облегчение податного бремени царских (государственных) крестьян, расширение прав крестьянских и купеческих детей по наследованию отцовского движимого и недвижимого имущества и др.), проведенные Теймуразом II и Ираклием II (особенно последним), ставили задачу создания сильной феодально-крепостнической Грузии, расширения хозяйственной деятельности народа, ликвидации пагубных последствий вражеской агрессии, возмещения понесенных убытков. Этого последнего правительству действительно удавалось добиться, если не полностью, то во всяком случае в значительной мере. Словом, ущерб, причиненный врагом, власти старались (и не безуспешно) компенсировать путем осуществления целого ряда мероприятий, могущих поднять боеспособность страны и стимул к труду народа. Следует, однако, отметить, что объективные последствия этой политики шли дальше, выходили за рамки поставленной цели и способствовали развитию таких явлений, которые, в конечном счете, подрывали основы существовавшего тогда социально-экономического строя.

*

* *

Ни в первой, ни во второй половине XVIII века, включая даже период господства турок и иранцев (т. е. 1723—1735; 1735—1747 гг.), в Грузии не прекращалось товарное производство, страна не возвращалась к нормам натурального хозяйства. Фактический материал, имеющийся в нашем распоряжении, не оставляет ни малейшего сомнения в том, что в Грузии рассматриваемого периода, несмотря на наличие ряда неблагоприятных обстоятельств, все же происходили определенные сдвиги в социально-экономической жизни, одним из проявлений которых являлось развитие товарного производства и рыночных связей. Внимательное изучение различных источников, в том числе книг расходов некоторых светских и духовных феодалов, приводит нас к выводу о многотоварности грузинского рынка в XVIII веке. Там, по свидетельству указанных источников, продавалось решительно все, начиная от ткемали, кончая местными и импортными драгоценными товарами. Купцы были связаны с Северным Кавказом, Россией, Ираном и другими странами. Через Россию попадали в Грузию предметы, изготовленные во Франции, Испании, Португалии и в других европейских государствах.

Товарную продукцию производили и в торговые операции были вовлечены как крестьяне (часть), так и помещи-

ки-рационализаторы. Они выступали как в роли продавцов, так и в роли покупателей. Продавались не только излишки, но и специально изготовленные для рынка товары. Например, в одном документе самого начала XIX века, в котором дана характеристика хозяйственной деятельности крестьян селений Турисцихе, Санавардо, Кучатани, Чикаани и Гавази, сказано, что жители «означенных селений занимаются хлебопашеством и скотоводством, имеют рогатый скот..., упрожняются в садоводстве и в делании для домашних обиходов и на продажу шелку»[6].

Развитие товарного производства и рыночных связей в позднефеодальную эпоху являлось важным фактором, подрывавшим (вместе с другими моментами) основы старого строя и подготавливавшим почву для победы новой социально-экономической формации в будущем. Оно яркое свидетельство разложения натурального хозяйства, т. е. одного из характерных признаков феодально-крепостнической системы. «Европейский капитализм, — пишет А. Н. Чистозвонов, — вырастал из феодализма, на базе определенных предпосылок, из которых главными были: 1) развитие простого товарного хозяйства и купеческо-ростовщического капитала; 2) разложение на этой основе натурально-хозяйственной базы феодального производства»[7]. (Подчерк. мною — И. А.).

*
* *

Заметные изменения происходили в феодальном землевладении страны. Земли в изучаемое время пришли, если так можно выразиться, в сильное движение, их купля-продажа приняла массовый характер, такой масштаб, какого она никогда до этого не имела. Это явление было обусловлено резким ухудшением материального положения феодалов и крестьян вследствие сложной внешнеполитической обстановки, с одной стороны, и успехами товарно-денежных отношений, усилением торгово-экономических связей Грузии с зарубежными странами, в том числе с уже вставшими на путь капиталистического развития, с другой.

Земли продавали как феодалы, так и крестьяне. В первой половине XVIII века сельское трудовое население чаще

---

6 ЦГВИАМ, ф. ВУА, д. 18480.

7 А. Н. Чистозвонов, Генезис капитализма и отражение его в региональных типах крестьянских движений в Европе в XVI—XVIII веках. Жур. «Вопросы истории», 1975, № 1, стр. 75.

выступало в роли продавца, нежели привилегированное сословие. Из тех 1303 случаев продажи[8], которые, по нашим данным, были совершены в 1700—1751 годах, 50,6% приходилось на крестьян и 49,4% — на феодалов. В купчих же актах их долевое участие соответственно равнялось: 46,7% и 53,3%.

Совершенно иное положение было во второй половине XVIII века. Здесь дворянство опережало сельское трудовое население в продаже земель и, наоборот, резко отставало от него в их покупке. Из 813, датированных 1751—1800 годами, случаев продажи земли и виноградников, 52,2% падало на привилегированное сословие, а 47,8% — на крестьянство. Из такого же количества купчих на долю первого приходилось 35,6%, а долю второго — 64,4%. Из этих добытых и обработанных нами данных ясно видно активное участие сельских тружеников в приобретении земель. Они опасно наступали на феодальную собственность.

Крестьяне опережали дворян и по площади купленных земель. Из тех 1102 дгиури земли[9], которые по 310 купчим грамотам были проданы в XVIII веке[10], первым принадлежали 582,5 «дгиури» или 52,9% всех проданных земель, а вторым — 519,5 «дгиури» или 47,1%. Большая часть пущенных в торговый оборот земли — 716,5 «дгиури» или 65,1%, перешли в руки непосредственных производителей материальных ценностей, а значительно меньшая—385,5 «дгиури» или 34,9%— привилегированных сословий. Иначе говоря, крестьяне полностью купили не только земли, проданные их классовыми братьями, но и часть (примерно 25,8%) реализованных дворянством имений.

Землю — это основное средство производства — крестьяне покупали преимущественно мелкими участками, хотя и приобретателей больших участков было не так уж мало. Но независимо от того, какова была площадь покупаемой земли — малая или большая — сам факт получения ее в собственность имел огромное значение. Этим путем непосредственный производитель материальных ценностей избавлялся от феодально-крепостнических способов обеспечения се-

---

8 Здесь имеются в виду не все грамоты первой половины XVIII века, а лишь датированные конкретно каким-либо годом. А таких — 1303 штуки.

9 Дгиури — площадь земли, равная 0,5 дес.

10 Имеются в виду грамоты, в которых обозначена площадь проданной земли.

бя землей, подрывал основы феодальной собственности на землю, создавал реальную угрозу дворянской монополии и способствовал становлению новой, буржуазной собственности, зарождению капиталистических отношений.

Активное участие в земельных покупках одной части феодального класса было обусловлено развитием товарно-денежных отношений, желанием в соответствии с этими отношениями изменить характер хозяйственной деятельности. Не один представитель привилегированного сословия мечтал организовать крупное, основанное на рациональных началах и производившее товарную (рыночную) продукцию хозяйство и, надо сказать, что некоторым из них это действительно удавалось[11]. Этим они волей или неволей содействовали развитию явлений, противостоявших существовавшей в то время социально-экономической формации.

*

* *

Грузинский крестьянин долго мечтал об избавлении от феодально-крепостнической зависимости, о получении полной свободы. Наиболее законным и мирным путем достижения этой заветной цели являлся выкуп, но он был доступен лишь незначительной части сельского трудового населения, а абсолютное большинство вынуждено было искать другие пути и средства. Подачей жалоб в различные инстанции, нередко ложными свидетельскими показаниями, ссылкой порой на сомнительные аргументы и факты старалось крепостное крестьянство доказать несостоятельность помещичьих претензий. Достижения той же цели добивалось оно, прибегая к таким формам классовой борьбы, как неповиновение, бегство и отказ от выполнения возложенных на него обязанностей. Особенно массовый характер эти явления получили именно во второй половине XVIII века.

Из всех путей, ведших к свободе, наиболее надежным, повторяем еще раз, было освобождение от зависимого положения путем выкупа. Позднефеодальные право и правовое воззрение, которые в сущности своей были феодальными, в какой-то мере способствовали даже расширению и углубле-

---

11 Н. Г. Кантария, Хозяйство грузинского помещика в XVIII веке (автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1955; Г. Акопашвили, Хозяйство Манучара Туманишвили (вторая половина XVIII века — начало XIX века). Напечатано в сборнике «Вопросы истории народов Кавказа» (Тбилиси, 1966, стр. 405—411).

нию этого процесса. Этим пользовался грузинский крестьянин и нередко ценой больших жертв достигал цели. Из наших, не претендовавших на полноту, материалов видно, что в XVIII веке от феодально-крепостнической зависимости освободилось 450 дымов. С учетом же потерянных, а также не выявленных до сих пор документов, число откупившихся от крепостного состояния крестьян увеличится по крайней мере вдвое и составит не менее 900 дымов. Это конечно, не много, но само по себе чрезвычайно интересный факт, требующий соответствующей оценки.

Часть освободившихся от крепостной зависимости крестьян сохраняла свободу, часть же теряла ее. Их удельный вес, по нашим приблизительным подсчетам, равнялся (соответственно) 70 и 30 процентам (округленно). Первый из этих процентов достаточно убедительно свидетельствует о характере социально-экономического развития страны, о направлении этого развития. Это яркое свидетельство того, что в XVIII веке, преимущественно во второй его половине, в Грузии протекал более или менее заметный процесс разрушения социальной основы феодально-крепостнических отношений[12].

*

* *

Денежная рента (повинности), которая, как правило, переплеталась с другими формами ренты, была довольно распространена в Грузии в XVIII — начале XIX века и в социально-экономической жизни страны играла значительно больше роли, чем это до сих пор предполагали ученые. Она не была чужда ни Восточной, ни Западной Грузии, но по степени своей распространенности первая намного опережала вторую. Специальное изучение вопроса показывает, что на всем протяжении интересующего нас периода (за исключением некоторых отрезков времени) происходил непрерывный процесс коммутации, т. е. замены продуктовой ренты денежной, что в ряде случаев соответствовало не только желанию помещиков, но и отвечало также интересам сельского трудового населения.

Означенная тенденция замены натуральных повинностей денежными стала особенно заметной в конце XVIII века. Тогда денежная форма ренты, по нашим наблюдениям, в экономической жизни страны твердо заняла второе место.

---

12 Это заключение останется в силе и в том случае, если даже удельный вес крестьян, сохранивших свободу, определим не более 50-ти процентов.

Первое и третье места соответственно занимали продуктовая и отработочная ренты, однако тенденция развития, как уже отметили, была явно в пользу денежной ренты, что в конечном счете вызывало рост его общего удельного веса. При этом все больше и больше сокращался разрыв между продуктовой рентой, занимавшей первое место, и денежной, находившейся на втором месте.

Отсутствие необходимых материалов не позволяет точно определить удельный вес денежных повинностей, но, надо полагать, что он на рубеже XVIII—XIX веков был не менее 15—20 процентов. Этот процент значительно возрастает, если принять во внимание государственные подати, в которых, как известно и отмечено в работе, доминировала денежная форма.

*

* *

Имущественная дифференциация крестьян, характерная для всей феодальной формации, особенно углубилась в позднесредневековый период. Связанные с данным вопросом документы единогласно свидетельствуют о наличии в Грузии изучаемой эпохи различных крестьянских групп, отличных друг от друга своими экономическими возможностями. Наряду с безземельными, ничего не имевшими тружениками, источники называют крестьян, с избытком обеспеченных средствами производства. Они превосходили своих соседей как по размерам землевладения и числу скота, так и по масштабу и объему и других видов имущества.

Однако имущественная дифференциация, как известно, не всегда перерастает в классовую. Для этого необходимы определнные объективные условия, одним из которых является развитие товарного производства и рыночных связей. «Эти полярные течения, — пишет В. И. Ленин, — возникают и усиливаются там и постольку, где и поскольку развивается и упрочивается товарное производство»[13]. В Грузии интересующего нас периода, разумеется, нельзя говорить о далеко зашедшем процессе дифференциации крестьян, но и нельзя отрицать в ней наличия зачатков этого явления.

Выясняется, например, что часть богатых крестьян в XVIII веке и в начале XIX столетия устраивали сравнительно крупные хозяйства, производившие не только потребительскую, но и меновую стоимость. Товарную продукцию изготовляли они как вовлечением в это дело членов семьи, так использованием вольнонаемного труда. Последнее, согласно

---

[13] В. И. Ленин, ПСС. I, стр. 193.

свидетельству источников, было довольно распространенным явлением в тогдашней Грузии. В стране, как видно, было немало бедноты, продававшей свою рабочую силу, равно как и богатых, покупавших ее. К числу последних относился, например, крепостной крестьянин Акулашвили (XVIII в.), оказавший сказочный прием царю Теймуразу II, его многочисленной свите и войску. В его хозяйстве, которое, по явно преувеличенным данным Александра Орбелиани, в течение трех дней без труда роскошно содержало целую армию людей, было много наемных рабочих, выполнявших различные работы[14]. Без наемного труда не обходился, надо полагать, и пшавский крестьянин Бодали, который, как видно, был обладателем нескольких тысяч голов овец[15]. То же самое нужно сказать о Пордашвили и Шихинашвили, отбывавших ежегодно повинность, равную (соответственно) стоимости 260 и 1000 голов овец. Туда же надо отнести Феодора Хаханашвили, Стефана Дарчиашвили, Тамаза Бичикашвили, Георгия Марташвили и многих других выделявшихся своим состоянием крестьян. Никто из них, надо думать, не обходился без наемного труда.

Именно им (а также помещикам-рационализаторам) предлагали свою рабочую силу безземельные и малоземельные крестьяне. «Живем поденной работой, так как бедны и несостоятельны», — писали метехские крестьяне в прошении, поданном царю Ираклию II в 1789 году[16]. «Этот человек, — читаем в письме вдовы какого-то Тер-Петрузы от 21 мая 1807 года, — четырнадцать лет (начиная с 1793 года) был пастухом моего скота. За эти четырнадцать лет он ежемесячно... получал от меня плату»[17].

Еще чаще стал применяться наемный труд в начале XIX века. Это очень наглядно подтверждается материалами камерального описания Телавского и Сигнахского уездов 1804 года. О шести дымах Курдгелаурских безземельных крестьян, подвластных кн. Давиду Корчибашеву, там, например, сказано, что они живут «работой у других»[18]. Также «работой у других» поддерживали свое существование крестьяне, принадлежавшие Каихосро Корчибашеву[19], Гла-

---

14 Ал. Орбелиани, Крепостное право в Грузии в прошлом. Жур. «Цискари», 1859 г., ноябрь месяц.

15 Д. Пурцеладзе, ГКГ, стр. 75—76.

16 ДГ, т. III, стр. 50.

17 МЭИГ, т. II, стр. 182.

18 ЦГИАГ, ф. 254, оп. 1, д. 52, л. 17 об.

19 Там же.

хе Корчибашеву[20], Георгию Корчибашеву[21], Дмитрию Корчибашеву[22], Ревазу Вахвахову[23] и другим крепостникам селения Курдгелаури.

Эти и подобные им факты, приведенные в работе в большом количестве, не позволяют, конечно, делать далеко идущие выводы, но они дают все основания говорить о зачатках классовой дифференциации крестьян, о появлении первых признаков этого процесса во второй половине XVIII — начале XIX века.

*

* *

В борьбе против феодально-крепостнических отношений сельское трудовое население прибегало к различным формам, среди которых наиболее распространенным было бегство. Крестьяне к нему и раньше обращались, но особенно массовый характер оно получило именно в XVIII веке, точнее во второй его половине. Уход крепостных с насиженных мест чреват был тяжелыми экономическими последствиями как для них самих, так и для помещиков, но непосредственный производитель, поставленный в тяжелое положение феодальной эксплоатацией, все же прибегал к нему и нередко в конечном счете достигал облегчения своей участи, некоторого улучшения условия жизни и труда.

В борьбе крестьян с привилегированным сословием важное место занимали протесты против податного бремени. Протестовали они против таких ставшими массовыми в XVIII веке явлений, как введение новых повинностей, увеличение ранне существовавших норм, повторное взимание раз уже отбытых податей и т. д. Борьба за облегчение податного бремени, конечно, не могла радикально изменить социально-экономическое положение крестьян, но она все же служила делу прогресса, содействовала хозяйственному и иному развитию страны.

Сравнительно массовый характер в рассматриваемое время получила еле заметная до этого борьба помещичьих крестьян за переход в разряд царских (казенных). Правда, переход в царское (казенное) ведомство не освобождало их от феодально- крепостнической эксплоатации, но он все же

---

20 Там же.

21 Там же.

22 Там же.

23 Там же, л. 18.

несколько облегчал их положение. Крестьянин, феодально зависимый от царя (казны), имел, как правило, больше свободы и лучшее материальное обеспечение. Этим и объясняется усиленное стремление помещичьих крестьян к переходу в разряд царских (казенных) крестьян.

Совершенно новой была появившаяся в XVIII веке, преимущественно во второй его половине, такая форма классовой борьбы, как полный отказ от крепостнической зависимости вообще. Крестьяне, согласно документам, не признавали своих господ, настойчиво уклонялись от выполнения возложенных на них обязанностей, объявляли себя свободными и т. д. К тому же делалось все это порой без всякой мотивировки или путем представления подложных документов и сомнительных свидетельских показаний. Правда, деятельность сельского трудового населения в этом направлении, как правило, была безуспешной, но она все же чрезвычайно интересна как свидетельство изменений, происходивших в социальной жизни нашей страны. Она является ярким показателем того, что во второй половине XVIII века господствующему феодальному классу было труднее обычного сохранить свое прежнее положение, а крестьянство не желало жить по старинке, по нормам крепостнической системы. И хотя это его настроение, чуждое более раннему периоду и обусловленное отмеченными в работе сдвигами в социально-экономической жизни, пока еще не угрожало неизбежной гибелью старому строю, оно все же в известной мере противопоставлялось ему и подготавливало почву для победы новых отношений в будущем.

Наиболее чувствительно, однако, основы феодально-крепостнических отношений расшатывали массовые крестьянские выступления, восстания. Сравнительная частота этих выступлений в XVIII веке (в особенности во второй его половине) и ярковыраженный антикрепостнический характер некоторых из них (например, имеретинского восстания 1786 года), наиболее верный показатель непрочного положения феодального строя.

Классовая борьба грузинского крестьянства, особенно обострившаяся во второй половине XVIII века, представляла собой активно действовавшую силу. Она оказывала сильное воздействие на породивший его базис и ускоряла процессы, происходившие в социально-экономической жизни страны. В целом классовая борьба играла значительную и весьма положительную роль в подготовке условий, приведших впоследствии к гибели феодально-крепостническую систему.

Собранный и изученный автором фактический материал привел его к выводу, что Грузия второй половины XVIII века (включая и последнее десятилетие) не находилась в состоянии застоя, не зашла в тупик в своем движении, не была лишена внутренних возможностей развития. При чем это развитие шло под знаком разрушения социально-экономических основ феодальной формации. Разрушительное действие сдвигов, происходивших в рассматриваемый период в различных сферах жизни, было еще слабо, но оно все же, несмотря на наличие многих препятствующих обстоятельств, набирало силу и уже в начале XIX века, в новых условиях, под благотворным влиянием присоединения Грузии к России, дало более ощутимые результаты.

მიღებული შემოკლებანი

სინ — საქართველოს ისტორიის ნარკვევები.
მსკი — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის.
კხის — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები (წერილების კრებული).
სს — ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი.
დსსი — ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან.
ქსძ — ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები.
ნფხსგი — ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს გლეხობის ისტორიიდან (წერილების კრებული).
მსეი—ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.
დსსს — ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.
სსცია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი.
სმახი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.
ქიემ — ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.
სსმ — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.
АКАК — Акты, собранные Кавказской археографической комиссией.
ИКБЗ — История классовой борьбы в Закавказье (წერილების კრებული).
ДГ — Е. Такаишвили, Древности Грузии.
ГКГ — Д. Пурцеладзе, Грузинтские крестьянские грамоты.
ГЦГ — Д. Пурцеладзе, Грузинские церковные грамоты.

შინაარსი

	გვ.
შესავალი (ისტორიოგრაფია)	5
თავი I. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საერთო მდგომარეობის ზოგადი დახასიათება. ცენტრალური ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიური პოლიტიკის ხასიათი .	28
თავი II. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო კავშირურთიერთობათა განვითარება XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოში .	48
თავი III. ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში	64
თავი IV. ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალური ერთიერთობის სოციალურ საფუძვლებში . .	87
თავი V. საბატონო ფულადი რენტა-გადასახადები XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში . .	96
თავი VI. გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია. კლასობრივი დიფერენციაციის საწყისები (XVIII ს. მეორე ნახევარი, XIX ს. დამდეგი) . .	143
საერთო დასკვნები	210
Резюме. К вопросу о характере социально-экономического развития Грузии в XVIII века	214